ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

# „ეკონომიკა და ფინანსები“

Institute of Economic Research and Development
Georgian Technical University

# „Economics and Finance“

თბილისი / Tbilisi
2021 / 4

UDC(უაკ)050:[33+336] ე-491

ISSN – 2587 - 5000

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა და ფინანსები“. გამოდის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტისა და ეკონომიკის კვლევის და განვითარების ინსტიტუტის გადაწყვეტილებით

International refered and reviewed scientific journal „Ecinimics and Finance“ published by the decision of Georgian Technical University's Faculty of Business Technologie and Institute of Economic Research and Development

**ჟურნალი გამოდის 2018 წლიდან, წელიწადში ოთხჯერ**

**The magazine has been published since 2018, four times a year**

გამომცემლობა: „დანი“

## საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "ეკონომიკა და ფინანსები"

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის თავჯდომარე:** გიორგი ცაავა
**ჟურნალის მთავარი რედაქტორი:** დავით ჩახვაშვილი

**ჟურნალის სარედაქციო კოლეგია:**
ლ. ბახტაძე (თსუ), რ. ბურდიაშვილი (სტუ), ნ. გრიგოლაია (თბილისის ღია უნივერსიტეტი), ს. გოგჩე (აფიონის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თურქეთი), მ. ვანიშვილი (სტუ), ნ. ვდოვენკო (უკრაინა), კ. ჯ. კარლოვითზი (უნგრეთი), რ. მარკს-ბიელსკა (ვორმიის და მაზურის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ტ. ლიპაი (განათლების ეროვნული უნივერსიტეტი, ბელორუსი), ი. მაზური (უკრაინა), ვ. მოსიაშვილი (სეუ), მ. ნარსია (სეუ), ჯ. რედელშეიმერი (რობინსდეილ ამსტრონგის უმაღლესი სკოლა, აშშ), ნ. სამჭკუაშვილი (სეუ), მ. ტროჯაკი (იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი), რ. ქუთათელაძე (სტუ), მ. ჭელიძე (სტუ), ნ. ჭიკაიძე (სტუ), ო. ზუმბურიძე (სტუ)

## International Scientific Journal "Economics and Finance"

**Head of the editorial board of Journal:** Giorgi Tsaava
**Editor-in-Chief of Journal:** Davit Chakhvashvili

**Editorial board of Journal:**
L. Bakhtadze (TSU), R. Burdiashvili (GTU), N. Grigolaia (TOU), C. Gokce (Afyon Kocatepe University, Turkey), M. Vanishvili (GTU), N. Vdovenko (Ukraine), T.J. Karlovitz (Hungary), R. Marks-Bielska (University of Warmia and Mazury in Olsztyn, Poland), T. Lipai (National Institute of Education, Belarus), I. Mazur (Ukraine), V. Mosiashvili (SEU), M. Narsia (SEU), J. Redelsheimer (Robbinsdale Armstrong High School, USA), N. Samchkuashvili, M. Trojak (Jagiellonian University, Poland), R. Kutateladz(GTU), M. Chelidze (GTU), N. Chikaidze (GTU), O. Zumburidze (GTU)

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**ხათუნა ბარბაქაძე, ნატო კაკაშვილი** - საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი ..... 8

**ნელი სესაძე, ნინელი თევდორაშვილი, ლია პიტიურიშვილი** - მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საყრდენები ..... 17

**შორენა ცაავა, გიორგი ნასყიდაშვილი** - აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ..... 23

**ნიკოლოზ ნაცვლიშვილი, ლია ანთაძე** - საწარმოს ფულადი ნაკადების მართვისა და საგადახდო კალენდარის შემუშავების თავისებურებები ..... 31

**ლევან გოგოძე** - ნარჩენებიდან მასალების რეციკლირება - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ..... 39

**ბელა კუტიბაშვილი** - ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოდელის ინდიკატორები და მათი მდგომარეობა საქართველოში ..... 45

**ანი ბიბილური** - მარკეტინგი და მარკეტინგული პროცესების განსაზღვრება ანუ როგორ შევქმნათ მომხმარებლებისათვის ფასეულობა ..... 53

**დიმიტრი მასხარაშვილი, ტარიელ მასხარაშვილი** - ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიები ..... 64

**გიორგი გარსევანიშვილი** - ინდუსტრიალიზაციის განვითარების ხედვები ..... 79

**დავით ჩახვაშვილი** - რონალდ ინგლჰარტის დიაგრამის მნიშვნელობის შესახებ ..... 93

**გრიგოლ ლილუაშვილი** - საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები ..... 101

**ია ალანია** - სოციალური სამართლიანობის პრინციპები. რეგულირება ევროპისა და სხვა ქვეყნებში ..... 122

**დავით ფერაძე** - სტრატეგიული კვლევა საქართველოს სარკინიგზო სექტორისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაციისთვის ..... 132

**აკაკი გაბუნია** - დეზინფორმაციის იდენტიფიცირების მექანიზმები ..... 146

**ირაკლი მჭედლიშვილი** - ნუმიზმატიკა საქართველოში, მისი განვითარების ეტაპები და ფინანსური ანალიზი ..... 155

**ლია ანთაძე** - განათლების ხარისხი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მასზე მოქმედი გარემოებები ..... 167

**ნატალია კვაჭანტირაძე, ნინო კეკელიძე** - ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების საჭიროების კვლევა ..... 173

**ვალერი მოსიაშვილი, თეონა ალექსიძე** - მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ..... 198

# Contents

**Khatuna Barbakadze, Nato Kakakshvili** - Project financing - The success factor of the company ..... 8

**Neli Sesadze, Nineli Tevdorashvili, Lia Piturishvili** - Macroeconomic pillars of microeconomics ..... 17

**Shorena Tsaava, Giorgi Naskidashvili** - Modern trends and statistics of agribusiness development ..... 23

**Nikoloz Natsvlishvili, Lia Antadze** - Peculiarities of enterprise cash flow management and payment calendar development ..... 31

**Levan Gogodze** - Recycling of Waste Materials - Extended Manufacturer Liability ..... 39

**Bela Kutibashvili** - Indicators of the model of sustainable economic development and their situation in Georgia ..... 45

**Ani Bibiluri** - Marketing and Defining Marketing Processes or how to create Value for Customers ..... 53

**Dimitri Maskharashvili, Tariel Maskharashvili** - Innovative technologies in logistics and supply chain management ..... 64

**Giorgi Garsevanishvili** - Visions for the development of industrialization ..... 79

**Davit Chakhvashvili** - On the significance of Ronald Inglhart's diagram ..... 93

**Grigol Liluashvili** - Georgia's International Relations with Neighboring Countries and Challenges of Economic Security ..... 101

**Ia Alania** - Principles of social justice. regulation in Europe and other countries ..... 122

**D. Peradze** - Strategic Research for Restructuration of Georgian Railway Sector and JST Georgian Railway ..... 132

**Akaki Gabunia** - Disinformation identification mechanisms ..... 146

**Irakli Mtchedlishvili** - Numizmatic in Georgia, its development stages and financial Analysis ..... 155

**Lia Antadze** - The quality of education in the general educational space of Georgia and the circumstances affecting it ..... 167

**Natalia Kvachantiradze, Nino Kekelidze** - Research on the need for professional skills in the tourism and hospitality sector ..... 173

**Valeri Mosiashvili, Teona Aleksidze** - Modern trends in the development of the world financial system ..... 198

# საპროექტო დაფინანსება - კომპანიის წარმატების ფაქტორი
# Project financing - The success factor of the company

**ხათუნა ბარბაქაძე** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
**Khatuna Barbakadze** - Associate Professor at TSU,
Faculty of Economics and Business
**Email**: khatuna.barbakadze@tsu.ge

**ნატო კაკაშვილი** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი
**Nato Kakakshvili** - Assistant Professor at TSU,
Faculty of Economics and Business
**Email**: nato.kakashvili@tsu.ge

**რეზიუმე:** საპროექტო დაფინანსებაში კაპიტალის მომწოდებლისთვის გარანტიად გამოდის პროექტის რეალიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიკური ეფექტი. როგორც წესი, აქტივებს შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა, თუმცა ხშირად მათი ოდენობა პრინციპში შეუთავსებელია პროექტის ღირებულებასთან. საპროექტო დაფინანსების სპეციფიკა გულისხმობს, რომ პროექტების რეალიზება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე: მკაცრად განსაზღვრული ან განკერძოებული ეკონომიკური საქმიანობა პროექტის ჩარჩოებში; რისკების გონივრული მართვა და პროექტის მონაწილეების ფუნქციური გარანტიების სისტემის არსებობა; დამუშავებული ფინანსური მოდელის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბაზას ინვესტირებისა და დაფინანსებისთვის; პროექტის პროფესიული მართვა.

წინასაპროექტო სტადიაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე, პირველი, საჭიროა მკაფიოდ დამუშავდეს პროექტის მარკეტინგული საფუძველი; მეორე, ინიციატორმა კარგად უნდა იცოდეს შემოთავაზებული პროდუქტის (მომსახურების) ბაზარი; მესამე, ესმოდეს საკუთარი მიზნობრივი სეგმენტი; მეოთხე, ადეკვატურად შეაფასოს კონკურენტების ძალა. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტის ტექნიკური დასაბუთებაც.

**Summary:** In project financing, the economic impact of the project implementation is guaranteed to the capital supplier. Typically, assets can provide support, although often their amount is in principle incompatible with the cost of the project. The specifics of project financing imply that projects are implemented on the basis of the following principles: strictly defined or separate economic activities within the project; Reasonable risk management and the existence of a system of functional guarantees for project participants; Existence of a developed financial model, which is the basis for investment and financing; Professional project management.

The pre-project stage should focus on a few important points, first, the marketing basis of the project needs to be clearly elaborated; Second, the initiator must be well aware of the market for the proposed product (service); Third, understand your own target segment; Fourth, adequately assess the strength of competitors. No less important is the technical justification of the project.

**ძირითადი ტექსტი:** ბიზნეს-სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაინტერესებული მხარეების მიერ ბიზნესის დაფინანსების წყაროების განსაზღვრა. როგორც წესი, არსებობს დაფინანსების მოზიდვის ორი ძირითადი ფორმა - სავალო და სააქციო. მათ შორის თანაფარდობა განსაზღვრავს კომპანიის ღირებულება.

სააქციო დაფინანსება წარმოადგენს ყველაზე სარისკო კაპიტალს, როგორც შემოსავლის განაწილების, ასევე, კომპანიის ლიკვიდაციის დროსაც, რადგან აქციონერებს ბოლო ადგილი უკავიათ გადახდების პრიორიტეტულობაში. სააქციო დაფინანსების მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს კონტროლის შესაძლებლობა სხვადასხვა ფორმით კომპანიის მართვაში მონაწილეობის საშუალებით. თავის მხრივ, სააქციო კაპიტალი ქმნის საფუძველს სხვა გამსესხებლებისთვის ან ინვესტორებისთვის, ხელს უწყობს რა პროექტში ახალი კაპიტალის მოზიდვას.

სავალო დაფინანსების შემთხვევაში კაპიტალის მომწოდებელს პროცენტები ერიცხება იმის მიუხედავად, წამგებიანია თუ მომგებიანი ბიზნესი. ტრადიციულად არსებობს ორი ძირითადი მიდგომა ვალის გარანტიისადმი. ჯერ ერთი, საკუთრივ ეს სახელმიწოფს ან სხვა კომპანიის გარანტიებია, მეორე, საგირავნო უზრუნველყოფაა.

სახელმწიფო ან კორპორაციული გარანტიების მიღება, როგორც წესი, რთულია. სამწუხაროდ, საგირავნო უზრუნველყოფის წარმოდგენა მრავალ კომპანიას არ შეუძლია, რომლის მიზეზს წარმოადგენს, როგორც აქტივების ცვეთა ან მათი არასაკმარისი ღირებულება კაპიტალის მომწოდებლის შეხედულებით, ასევე, ხშირ შემთხვევებში კომპანიას არ გააჩნია აქტივების ლეგიტიმურად წარმოდგენის შესაძლებლობა. საქმე იმაშია, რომ ზოგიერთი აქტივი შეიძლება არ ირიცხებოდეს კომპანიის ბალანსზე საკუთარი არასრული ლეგალური წარმომავლობის გამო. სიტუაციას ართულებს ასევე ის, რომ პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობების განსაზღვრულ დონეზე მხედველობაში არ შეიძლება მიღებულ იქნეს მმართველობითი აღრიცხვის მონაცემები, რადგან ისინი არ შეიძლება დამტკიცებულ იქნას დამოუკიდებელი აუდიტით.

სიტუაციიდან შესაძლო გამოსავლად შეიძლება იყოს საპროექტო დაფინანსების გამოყენება. თავისი მოქნილობის გამო ეს ფორმა არის ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტური ინსტრუმენტი არასტაბილური ეკონომიკის პირობებში.

პროექტის ქვეშ, ჩვეულებრივ, იგულისხმება მისი მონაწილეების კოორდინირებული მოქმედებები, რომელიც მიმართულია განსაზღვრული მიზანების მიღწევაზე რესურსების შეზღუდვების პირობებში. ამრიგად, ტერმინი „საპროექტო დაფინანსება“ გულისხმობს ბიზნეს-მიზნების მიღწევის განსაზღვრულ ხერხს, რომლის ძირითადი მიზანია, როგორც მოგების მიღება, ასევე, ბიზნესის ღირებულების მაქსიმიზაცია.

საპროექტო დაფინანსების პრინციპების თანახმად, საჭირო კაპიტალის მფლობელი მხარეები, უპირველეს ყოვლისა, აფასებენ პროექტის შესაძლებლობას სტაბილურად მოახდინოს ფულადი ნაკადების გენერირება. სწორედ ეს ნაკადები ხდება სახსრების წყარო, როგორც ვალის დაბრუნებისა და მომსახურებისთვის, ასევე, პროექტში ინვესტირებულ კაპიტალზე შემოსავლის მიღებისთვის.

ამრიგად, საპროექტო დაფინანსებაში კაპიტალის მომწოდებლისთვის გარანტიად გამოდის ეკონომიკური ეფექტი პროექტის რეალიზაციიდან. აქტივებს, აგრეთვე, შეუძლიათ უზრუნველყონ მხარდაჭერა, თუმცა ხშირად მათი ოდენობა პრინციპში შეუთავსებელია პროექტის ღირებულებასთან. საპროექტო დაფინანსების სპეციფიკა გულისხმობს, რომ პროექტების რეალიზება ხდება შემდეგი პრინციპების საფუძველზე:

- მკაცრად განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობა პროექტის ჩარჩოებში;
- რისკების გონივრული მართვა და პროექტის მონაწილეების გარანტიების სისტემის არსებობა;
- დამუშავებული ფინანსური მოდელის არსებობა, რომელიც წარმოადგენს ბაზას ინვესტირებისა და დაფინანსებისთვის;
- პროექტის პროფესიული მართვა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი. როგორც წესი, საპროექტო დაფინანსების კლასიკურ სქემაში იქმნება ეკონომიკურად და იურიდიულად განკერძოებული საპროექტო კომპანია. ამ მიდგომას გააჩნია რამდენიმე უპირატესობა, კერძოდ: განკერძოებული მუშაობა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ პროექტზე კომპანიის წარსულთან დაკავშირებული გარემოებების ზეგავლენის რისკები, როგორიცაა, მაგალითად, საგადასახადო პრეტენზიებთან ერთ-ერთი გასული პერიოდის შემოწმების შედეგების მიხედვით ან რამდენიმე წლის წინათ დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულების ბათილად ცნობის აღიარება; პროექტი ხდება უფრო გამჭვირვალე. ნაკლები სირთულები ჩნდება ფულადი ნაკადების განსაზღვრისა და დაგეგმვის დროს, რადგან არ არსებობს პროექტთან დაუკავშირებელი ოპერაციების ზეგავლენა. გამჭვირვალობა ხელს უწყობს პარტნიორებს შორის ნდობის ჩამოყალიბებასა და პროექტის ღირებულების უფრო მაღალ შეფასებას.

ინვესტიციების ტრადიციულ დაფინანსებაში ძირითადი მხარეებია: კრედიტორი (ინვესტორი) და მსესხებელი. საპროექტო დაფინანსების დროს კი მოქმედ პირთა წრე უფრო ვრცელია. შესაძლო მონაწილეების ჩამონათვალი და მათი როლი პროექტში ნაჩვენებია ცხრილში.

| **საპროექტო დაფინანსების შესაძლო მონაწილეები** | |
|---|---|
| **მონაწილეები** | **როლი პროექტში** |
| *პროექტის სპონსორები* | პროექტის შედეგებში უშუალოდ დაინტერესებული ფიზიკური პირები და კომპანიები. ისინი აწინაურებენ პროექტს, ათანხმებენ სხვადასხვა საკითხებს, ღებულობენ შესაბამის გადაწყვეტილებებს |

| | |
|---|---|
| *მომწოდებლები და მეარენდეები* | კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ სახელშეკრულებო ვალდებულებები მოახდინონ მოცემულ პროექტთან დაკავშირებული საქონლისა და მომსახურეობების მოწოდება |
| *მყიდველები* | მრავალ პროექტში პროდუქცია არ შემოდის ღია ბაზარზე. ამ შემთხვევაში საპროექტო კომპანია წინასწარ დებს გრძელვადიან კონტრაქტს ცალკეულ მყიდველთან ან ჯგუფთან გარკვეული ოდენობით წარმოებული პროდუქციის შესყიდვაზე |
| *ქვეყნის მთავრობა, რომელშიც ხორციელდება პროექტი* | აუცილებელი ნებართვითი დოკუმენტების გაცემა, შესყიდვები, აქციონერის, პროექტის სპონსორის სახით მონაწილეობა, გარკვეული გარანტიების წარმოდგენა |
| *პროექტის მმართველები* | პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მენეჯერთან გუნდი. საპროექტო დაფინანსების თაობაზე გარიგების საკვანძო რგოლი |
| *სავალო ფინანსისტები* | სტრუქტურები, რომლებიც საპროექტო კომპანიას თავაზობენ ვალად რესურსებს დათმულ დროსა და წინასწარ შეთანხმებული პირობებით |
| *კონსულტანტები და მრჩევლები* | პროექტის განხორციელების სხვადასხვა ასპექტებში კომპეტენტური ფიზიკური პირები და სპეციალიზირებული კომპანიები |

პროექტში დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს მენეჯერი ინვესტორების დარწმუნებას იმაში, რომ პროექტის რისკები მაქსიმალურადაა შემცირებული. აგრეთვე, მეტისმეტად მნიშვნელოვანია პროექტის მართვის გამჭვირვალობის ამაღლება ინვესტორისათვის მისაღებ დონემდე.

საპროექტო რისკების მართვის ზოგადი პრინციპები დაიყვანება შემდეგამდე, კერძოდ: რისკების დეტალური ანალიზი, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნეს პროექტის წინასაინვესტიციო სტადიაზე; თითოეული რისკი მიღებულ უნდა იქნეს მხარის მიერ, რომელსაც ძალუძს ყველაზე უკეთ მისი მართვა და გაკონტროლება.

ჩვეულებრივი დაკრედიტების დროს, როგორც წესი, ყველა რისკს სრულად იღებს საკუთარ თავზე მსესხებელი. საპროექტო დაფინანსების

დროს კი რისკები ნაწილდება მსესხებელს, კრედიტორსა და, როგორც წესი, პროექტის კიდევ ერთ მონაწილეს შორის. პოლიტიკური რისკის მართვა ყველაზე მნიშვნელოვანია დავაკისროთ სახელმწიფო ორგანოებს, ჩავრთავთ რა მათ პროექტში, მაგალითად, სპონსორის სახით. ტექნოლოგიური რისკები შეიძლება გადავცეთ მოწყობილობის მომწოდებლებს, ხოლო საბაზრო რისკები - მყიდველებს ან მათთან დაკავშირებულ მხარეებს სპეციალიზირებული კონტრაქტების დადების გზით.

პროექტის მონაწილეების ფუნქციური გარანტიების გამოყენება იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილ იქნეს მომავალი ფულადი ნაკადის სტაბილურობა. ასეთი გარანტიების მაგალითი შეიძლება იყოს ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმების დადება, პარტნიორების მიერ „კომფორტული წერილების“ წარმოდგენა. მყიდველებთან იდება ხელშეკრულებები, „რომლებიც აკავშირებენ“ მათ საპროექტო კომპანიასთან. შესაძლოა, აგრეთვე, გარანტიების მიღება პროექტის სპონსორების ან სახელმწიფოს მხრიდან - გარკვეული ვადით პროექტის რეალიზაციის ხელშემწყობი სპეციალური პირობების შექმნის შესახებ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საპროექტო დაფინანსების წარმატებულობის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს ფულადი ნაკადი. ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროექტის შესაბამისი ფინანსური მოდელის აგება.

ფინანსური მოდელი წარმოადგენს საპროექტო კომპანიის საქმიანობის მოდელირებას ფინანსური ანგარიშმგებლობის შედგენის საშუალებით. ამრიგად, ფინანსური მოდელი ასახავს დაგეგმილი ბიზნესის არსს ურთიერთდაკავშირებული ფინანსური ფორმებით. ეს ფორმები უნდა იყოს სტრუქტურირებული და ინტეგრირებული პროექტის მოგებაზე, მის ფულად ნაკადებზე, საბალანსო მდგომარეობაზე გადაანგარიშებით.

ფინანსური მოდელის აგება ხდება ბიზნესზე ზეგავლენის მომხდენ საკვანძო ფაქტორებთან მიმართებაში დაგეგმვის სტადიაში დამუშავებულ დაშვებების საფუძველზე. ფინანსური მოდელის შედგენისთვის საჭიროა დეტალურად გავიგოთ ამ ფაქტორების ურთიერთკავშირები და ბიზნეს-პროცესების განხორციელების თავისებურებები. მომავალი საქმიანობის სწორად მოდელირებაზეა დამოკიდებული მომავალი ფულადი ნაკადის შეფასების საიმედოობა. ფინანსური მოდელების აგების დროს

მიზანშეწონილია ორიენტაცია ფინანსური ანგარიშმგებლობის საერთაშორისო სტანდარტებზე.

პროექტის წარმატება დიდადაა დამოკიდებული მენეჯერების ძლიერ გუნდზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რამდენად პროფესიონალურადაა ორგანიზებული პროექტის მართვა და მის მონაწილეებს შორის კომუნიკაციები. ამიტომ კომპანიის ყველა ფუნქციურ სისტემას - ლოჯისტიკა, ფინანსები, მარკეტინგი და სხვა, უყენებენ ყველაზე მკაცრ მოთხოვნებს.

რადგან პროექტის მონაწილეთა წრე საკმაოდ ფართოა, პროექტის მმართველმა ყურადღება უნდა დაუთმოს პარტნიორებთან და ინვესტორებთან ურთიერთობებსა და მათი მუშაობის კოორდინაციას. აღნიშნული კი იძლევა საშუალებას უზრუნველყოფილ იქნეს საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების გამჭვირვალობა და მიღწეულ იქნეს პროექტის ძირითადი მიზნები.

მსოფლიო პრაქტიკაში საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს ფართოდაა გავრცელებული ფინანსური მრჩევლების ჩართვა. მათ შეუძლიათ არსებითი მხარდაჭერა პროექტის იურიდიულ, საფინანსო-ანალიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებში, რაც განსაკუთრებით აქტუალურია შემდეგი საკითხებისთვის:

I. პროექტის დამუშავების სტადიაზე:

- პროექტის ოპტიმალური სტრუქტურის შერჩევა და არჩევა;
- საინჟინრო და ტექნოლოგიური ექსპერტიზების ორგანიზაცია;
- ბიზნეს-გეგმის, საინვესტიციო და საინფორმაციო მემორანდუმებისა და საინვესტიციო პირობათა ფურცლების შემუშავება;
- საწარმოს „გაყიდვის წინა მომზადება“.

II. პროექტის განხორციელების სტადიაზე:

- მიზნობრივი აქციონერებისა და ინვესტორების მოძიება;
- პროექტის რეალიზაციისა და დაფინანსების საუკეთესო პირობების მისაღწევად მოლაპარაკების ორგანიზაცია;
- ღირებულების მაქსიმიზაცია და დანახარჯების შემცირება.

III. პოსტინვესტიციურ სტადიაზე:

- კრედიტორებთან და ინვესტორებთან თანამოქმედებათა პროცედურების შემუშავება;

- იურიდიულ და ფინანსურ საკითხებზე მიმდინარე თანხლება;
- პროექტში საქმეთა მდგომარეობის შესახებ რეგულარული ანგარიშების მომზადება;
- ინვესტორებთან ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის, კონტროლის, მარკეტინგის, პერსონალის მართვის სისტემის შეთანხმება.

საპროექტო დაფინანსების რეალიზაცია, როგორც წესი, ხორციელდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში. წინასაინვესტიციო ფაზა შეიძლება გაგრძელდეს დაახლოებით ექვსი თვე. ეს დრო გამოიყენება პროექტის ოპტიმალური სტრუქტურის არჩევასა და შემუშავებაზე, ფინანსური მოდელის აგებასა და დოკუმენტების შემუშავებაზე, პარტნიორების მოძიებაზე, მოლაპარაკებების წარმოებაზე, მომწოდებლების შერჩევასა და წინასწარი ტენდერების განხორციელებაზე. დაახლოებით კიდევ ოთხი თვე იქნება საჭირო უშუალოდ პროექტის დაფინანსების განსახორციელებლად. ძირითადი სირთულე მდგომარეობს მხარეებს შორის შეთანხმებების გაფორმებაზე იურიდიული ფორმალობების გადაწყვეტაში.

საინვესტიციო პროექტის რეალიზაცია პრაქტიკულად ყოველთვის გულისხმობს თანამოქმედებისა და მართვის ახალი მექანიზმების შექმნას. ხშირაც ეს მექანიზმები არ არის აპრობირებული კომპანია-მონაწილეებისთვის. სუსტმა ფინანსურმა ან მარკეტინგულმა დასაბუთებამ შეიძლება გამოიწვიოს ინვესტორების ჩამოშორება ჯერ კიდევ პროექტის დაწყებამდე. ხოლო მონაწილეების არაკომპედენტურობამ გადაჭრან მართვის საკითხები შეიძლება მიგვიყვანოს სერიოზულ სირთულეებამდე პროგრამის რეალიზაციის დროს. ამ დროს ინვესტიციების დაბანდება განხორციელებულია და რაიმეს შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

წინასაპროექტო სტადიაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე, პირველი, საჭიროა მკაფიოდ დამუშავდეს პროექტის მარკეტინგული საფუძველი; მეორე, ინიციატორმა კარგად უნდა იცოდეს შემოთავაზებული პროდუქტის (მომსახურების) ბაზარი; მესამე, ესმოდეს საკუთარი მიზნობრივი სეგმენტი; მეოთხე, ადეკვატურად შეაფასოს კონკურენტები. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტის ტექნიკური დასაბუთებაც.

ვთქვათ, საჭიროა ტექნოლოგიური ხაზის დადგენა. ინვესტორმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ საამქროს რომელ ადგილზე იქნება დაყენებული კონკრეტული დაზგა, რა ღირს ეს დაზგა, რამდენ ელექტროენერგიას მოიხმარს, რამდენი მუშა ემსახურება მას და ა.შ. მხოლოდ ასე შეიძლება სავარაუდო დანახარჯებისა და შემოსავლების განსაზღვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასაპროექტო სამუშაოები მოითხოვენ სერიოზულ დაბანდებებს. მათ შეიძლება მიაღწიონ 10%-ს და უფრო მეტს პროექტის ღირებულებიდან. თუმცა ეს სახსრები, როგორც წესი, არ განიხილება ინვესტორების მიერ, როგორც ინიციატორის საკუთარი დაბანდებები. მათი ღირებულება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ, თუ ინიციატორის მიერ შეტანილი ფულადი სახსრების საერთო მოცულობა ძალზე მნიშვნელოვანია. პროექტში ინვესტორის წარმატებით მოზიდვა გულისხმობს, რომ ინიციატორი დააბანდებს დაახლოებით 30%-ს მისი ღირებულებიდან. ეს იქნება მისი გადაწყვეტილებების სერიოზულობის უდაო მტკიცებულება.

**ლიტერატურა:**


1. ქოქიაური ლ., ბებიაშვილი ნ., „საინვესტიციო პროექტები - თეორია, ანალიზი, მართვა“, თბ., 2010;
2. ქოქიაური ლ., საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, ტომი I-II. თსუ., 2008;
3. Кулаков Н.Ю., Подоляко С.В. Расчет доходности инвестиционных проектов в случае нестандартных финансовых потоков. – М.: Сборник научных трудов, РосЗИТЛП, 2004.
4. Виленский П.Л., Лифшиц В.Н., Смоляк С.А. Оценка эффективности инвестиционных проектов: Теория и практика. – М.: Дело, 2002.
5. Крушвиц Л. Инвестиционные расчеты. – СПб.: Питер, 2001.

# მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური საყრდენები
# Macroeconomic pillars of microeconomics

**ნელი სესაძე** - სეუ, აფილირებული ასოცირებული პროფესორი
Neli Sesadze SEU, Affiliated Associate Professor
n.sesadze@seu.edu.ge

**ნინელი თევდორაშვილი** - სეუ, აფილირებული ასოცირებული პროფესორი
Nineli Tevdorashvili SEU, Affiliated Associate Professor
n.tevdorashvili@seu.edu.ge

**ლია პიტიურიშვილი** - სეუ, აფილირებული ასისტენტ პროფესორი
Lia Piturishvili SEU, Affiliate Assistant Professor
l.pitiurishvili@seu.edu.ge

**შესავალი:** მაკროეკონომიკურ პრობლემებზე მსჯელობისას აუცილებელია რამდენიმე ეკონომიკური ხასიათის საკითხზე დაფიქრება. კერძოდ კი იმაზე, თუ რა კავშირშია ინფლაცია, დეფლაცია, დასაქმება, უმუშევრობა და ა.შ. სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები მიკროეკონომიკასთან, რითი განისაზღვრება წარმოებისა და მოხმარების დონე ქვეყანაში, რეგიონში, მსოფლიოში, რა განაპირობებს უმუშევრობას და დასაქმებას ქვეყანასა თუ მთელ მსოფლიოში, ქვეყნის ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა როგორ გავლენას ახდენს კონიუნქტურული ციკლის მიმდინარეობაზე და პირიქით. ამ ყველაფრის შესწავლა და გააზრება დაგვეხმარება მაკროეკონომიკური მეცნიერული თეორიის დამუშავებასა და მის პრაქტიკაში განხორციელებაში.

**საკვანძო სიტყვები:** მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა.

**Annotation:** When discussing macroeconomic problems, it is necessary to consider several economic issues. In particular, what is the connection between inflation, deflation, employment, unemployment, etc.? Other macroeconomic indicators with microeconomics, how the level of production and consumption is determined in the country, region, world, what causes unemployment and employment in the country or in the whole world, how the country's fiscal and monetary policy affects the conjunctural cycle and vice versa. Studying and

understanding all this will help us to develop macroeconomic scientific theory and put it into practice.

**Keywords:** Microeconomics, Macroeconomics, Fiscal and Monetary Policy.

**თანამედროვე ეკონომიკის პრობლემები:** მიკროეკონომიკურსა და მაკროეკონომიკურ თეორიებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების თაობაზე დიდი კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა XX საუკუნის პირველი ნახევრიდან მიდის. მასში თითქმის ყველა ეკონომიკური სკოლა ჩაერთო, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე მაკროეკონომიკა ცალკე, დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდებოდა.

მაკროეკონომიკა ცდილობს განსაზღვროს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები სხვადასხვა ეკონომიკურ მოვლენებს შორის, რომელთა წყალობითაც მთელი სამეურნეო სისტემის განვითარების პროგნოზირება ხდება შესაძლებელი.

მაკროეკონომიკა აყალიბებს იმ თეორიულ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ხელისუფლების მიერ გასატარებელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რათა ქვეყანაში მიიღწეულ იქნეს მყარი და მაღალი ტემპის ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის სტაბილური დონე, გაწონასწორებული საგადამხდელო ბალანსი და სხვ.

რაც შეეხება მიკროეკონომიკას, ის ინდივიდუალური სამეურნეო სუბიექტებისა და ბაზრების ფუნქციონირების ანალიზით არის დაკავებული; მიკროეკონომიკა ემყარება იმის რწმენას, რომ ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა გამომდინარეობს და ეფუძვნება ინდივიდუალური სამეურნეო სუბიექტების ქცევასა და ცალკეული ბაზრების კვლევას; და კიდევ იმას, რომ მთელი მეურნეობის მდგომარეობა ამ სუბიექტების ქცევასა და წარმატება-წარუმატებლობაზეა დამოკიდებული.

ცალკეულ მიკროეკონომიკურ სუბიექტებს შორის არსებობს რთული ურთიერთკავშირები, რომელთაც რეალური გავლენა აქვთ სამეურნეო მოვლენების ფორმირებაზე. რათა ამ კავშირებს შორის კანონზომიერება დაადგინოს, მაკროეკონომიკა იკვლევს სამეურნეო ობიექტების დიდ ჯგუფებს შორის და არა მის ყოველ ცალკეულ ელემენტს შორის, კავშირებს.

მაკროეკონომიკის მამამთავრად, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღიარებულია დიდი ინგლისელი ეკონომისტი ჯონ მეინარდ კეინსი. ამ

უკანასკნელმა 1936 წელს გამოაქვეყნა თავისი მთავარი ეკონომიკური ხასიათის ნაშრომი ,,დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“.

რამდენიმე წლის შემდეგ რაგნა ფრიშმა (1969 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი) გამოსცა მონოგრაფია ,,პრობლემების ,,Propagation Problems and Impuls Problems in Dynamic Economics“, რომელშიც შეეცადა ერთმანეთისათვის დაეცალკევებინა და დამოუკიდებლად ეწარმოებინა ორი ტიპის: მაკრო და მიკრო ეკონომიკური ეკონომიკური ანალიზი. ამასთან, ამ სფეროებში დასკვნების გაკეთება ძალზე ღრმა და საფუძვლიან ანალიზს მოითხოვს. მაკროეკონომიკა იკვლევს ეროვნულ მეურნეობას მთლიანობაში ან მის უმთავრეს კომპონენტებს, რომლის დროსაც საკვლევად ასევე იღებს სამეურნეო აქტიურობის ფართო პანორამას. მაკროეკონომიკას არ აინტერესებს ისეთი დეტალები, როგორიცაა მაგალითად, პურის ფასი ანდა მიწოდებისა და მოთხოვნილების ურთიერთდამოკიდებულება რომელიმე ცალკეულ ბაზარზე. ის იკვლევს საქონლისა და მომსახურების წარმოების, დასაქმებასა თუ უმუშევრობას, ინფლაციის დონეს და ა.შ. ამასთან, ამ პრობლემებს, მთელი ქვეყნის მასშტაბით სწავლობს.

მაკრო და  მიკრო ეკონომიკებს შორის განსხვავება გაცილებით მეტია, ვიდრე მიკრო და მაკრო ეკონომიკების მასშტაბებს შორის. შესაბამისად სრულიად განსხვავებულია ამ ორ მეცნიერებას შორის ანალიზის სახე. მიკრო ეკონომიკა, უპირველეს ყოვლისა, იკვლევს კონკრეტულ ბაზრებს, ხოლო მაკრო ეკონომიკას ძირითადად აინტერესებს ეკონომიკის სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირები. ამ მიზნის მისაღწევად მაკროეკონომიკა იყენებს აგრეგატების ფართო სპექტრს, როგორებიცაა მოთხოვნისა და მიწოდების მაჩვენებლები, ფულის მიწოდების შესახებ ინფორმაცია, ინფლაციისა და დასაქმების მაჩვენებლები და ა.შ.

მაკროეკონომიის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ფრანგ ეკონომისტეებს: ანტუან დე მონკრეტიენს (1575–1621), ჟან ბატისტ კოლბერს (1619–1683), ფრანსუა კენეს (1694–1774); შემდეგში მათ შეუერთდნენ დავით რიკარდო (1722–1823), ადამ სმიტი (1723–1790) და სხვები.

მაკროეკონომიის ფუძემდებლებად რიკარდოსა და სმიტს ასევე მიაკუთვნებენ იმის გამო, რომ ამ კლასიკური პოლიტეკონომიის შემქმნელებმა მაკროეკონომიკას პირველად მათ მისცეს დამოუკიდებელი მეცნიერების სახე, რაც მანამდე მას არა ჰქონია. მათივე დამუშავებულია

ასევე ის ბერკეტები და კვლევის მეთოდები, რომელსაც დღეს ფართოდ იყენებენ მაკროეკონომიკური კვლევებისას. სმიტმა და რიკარდომ აღწერეს პირველად ბრიტანული ეკონომიკა, როგორც ერთიანი ორგანიზმი, ანუ ის მაკროეკონომიკურ ჭრილში განიხილეს და იკვლიეს; სმიტის უხილავი ხელის კონცეფცია ძალზე საინტერესო მაკროეკონომიკური მოდელია მიკროეკონომიკური ფორმით.

ეკონომისტებს, რომლებიც ეროვნული მეურნეობის კვლევით იყვნენ დაკავებული, XX საუკუნის 30-იან წლებამდეც კი არ შეეძლოთ მისი ერთიანი სახით წარმოდგენა. ისინი იძულებული იყვნენ მწირი, ნაწილობრივი ინფორმაციით დაკმაყოფილებულიყვნენ; მაგალითად, მადნეულის მოპოვებით, ღვინის დამზადებით, მთელი ფაბრიკისა თუ რკინიგზის გაყიდვიდან ამოღებული შემოსავლით და ა.შ., რათა წარმოდგენა შექმნოდათ ეროვნული მეურნეობის შესახებ. მხოლოდ 1930 წელს, როდესაც 1920 წელს შექმნილმა ეკონომიკური კვლევების ეროვნულმა ბიურომ (National Bureau of Economic Research - NBER) მიიწვია საიმონ კუზნეცი, რომლის დავალებაც იყო ეროვნული ანგარიშების (System of National Accounts) შექმნა, გახდა შესაძლებელი ეროვნული ეკონომიკის ერთობლიობაში წარმოდგენა. კუზნეცს 1971 წელს ნობელის პრემიით აჯილდოვებენ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ მაკროეკონომიკა, როგორც მეცნიერება დაიბადა 1930 წელს, როდესაც შესაძლებელი შეიქმნა ეროვნული მეურნეობის მიხედვით წარმოებული პროდუქტის გაზომვა და ანალიზი.

მაკროეკონომიკის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებამ, დიდი სტიმული მისცა ეკონომისტებს შორის კამათს. იმ ეპოქაში მეცნიერებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ ნათელი წარმოდგენა ეკონომიკის ციკლისებური განვითარების შესახებ, ისინი ვერც ეკონომიკური რეცესიის თაობაზე თანხმდებოდნენ. ეკონომიკის თეორიტიკოსთა შორის არ იყო შეთანხმებული შეხედულება სახელმწიფოს როლის შესახებ ეკონომიკის განვითარებაში, მათ არც ინფლაციის დამარეგულირებელი ბერკეტების, დასაქმების პრობლემის შესახებ ჰქონდათ გარკვეული ერთიანი აზრი.

ამასთანავე, კეინსიანიზმის სამეცნიერო ასპარეზზე გამოჩენასთან ერთად, თითქმის სრული ნიველურება მოხდა მაკროეკონომიკის მიკროეკონომიკური ფუნდამენტებისა, რის გამოც ეს მეცნიერული

მიმდინარეობა ახალი კლასიკური ეკონომიკის მიერ მკაცრი კრიტიკის ობიექტად იქცა. მათი აზრით, ყოველგვარი მაკროეკონომიკური მაჩვენებელი ეყრდნობა და გამომდინარეობს მიკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან, მათ გარეშე ყოველგვარი მაკროეკონომიკური ანალიზის ძალზე ზერელე იქნებოდა.

მაკროეკონომიკისა და მიკროეკონომიკის ურთიერთობის პრობლემა მხოლოდ აკადემიური პრობლემა როდია. როგორც ერთი, ისე მეორე სფეროს ეკონომისტების შეხედულებები ედება საფუძვლად ხელისუფლების მაკროეკონომიკურ პოლიტიკას, მის მიერ ეროვნული მეურნეობის გაძღოლის პროცესს. ამიტომ მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა აფერხებს ეკონომიკის განვითარებას. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საერთო მაჩვენებლის პოვნას, რაც მათ ეკონომიკურ შეხედულებებს აახლოებს. აზრების მხოლოდ ასეთი დაახლოების, მათი საერთო მნიშვნელის დადგენის წყალობით გახდება შესაძლებელი დასაქმების ტემპების გაზრდა, ინფლაციის შემცირება, ეროვნული ვალუტის კურსის დასტაბილურება და ზოგადად, ეკონომიკის გაწონასწორებული, მდგრადი განვითარება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში თანამედროვე მაკროეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე საკამათო საკითხია. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობის ჩარევამ საბაზრო ეკონომიკაში, რომელსაც მიზნად საბაზრო მექანიზმის ნაკლოვანების გამოსწორება ექნება, შესაძლოა თავად მთავრობის შეცდომები გამოიწვიოს. ამის მხედველობაში მიღებით: ხელისუფლება ეკონომიკაში უნდა ჩაერიოს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბაზრის უსამართლობები აშკარა და საზოგადოებისათვის თვალში საცემია; შესაბამისად, ისინი ხელს უშლიან საზოგადოების განვითარებას, ეწინააღმდეგებიან მის ინტერესებს. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრული მიზნების მიღწევისათვის სტაბილური პირობები; რაც უნდა მიაღწიოს შესაბამისი ფისკალური, მონეტარული და საკურსო პოლიტიკის განხორციელებით;

ხელისუფლებამ საზოგადოებას უნდა მიაწოდოს არამხოლოდ განსაზღვრული კლასიკური ხასიათის მატერიალური სიკეთეები (საზღვრების დაცვა, პოლიცია, სამართლიანობის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის

განვითარება და სხვ.), არამედ უნდა უზრუნველყოს ასევე საკუთრების ხელშეუხებლობა და დაცვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. https://doc--research-org.translate.goog/2019/07/macroeconomics-in-the-.developingworldmajorobservations/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc
2. https://doc--research-org.translate.goog/2019/07/macroeconomics-in-the-developing-world-major-observations/?_x_tr_sl=en&_x_tr_tl=ka&_x_tr_hl=ka&_x_tr_pto=sc
3. https://www.investopedia.com/terms/m/macroeconomics.asp
4. The Macroeconomics of Aggregate Demand and the Price Level La macroeconomía de la demanda agregada y el nivel de precios http://www.scielo.org.mx/scielo.php?script=sci_arttext&pid=S0185-16672008000100002
5. MACROECONOMIC STABILIZATION IN THE DIGITAL AGE https://www.adb.org/sites/default/files/publication/653306/adbi-macroeconomic-stabilization-digital-age.pdf

# აგრობიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები
# Modern trends and statistics of agribusiness development

**შორენა ცაავა** - სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
**Shorena Tsaava** - Doctor of Social Sciences

**გიორგი ნასყიდაშვილი** – ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების საგანმანათლებლო ხარისხის მაგისტრი
**Giorgi Naskidashvili** - Master of Education Degree in Automated Information Processing and Management Systems

**აბსტრაქტი:** აგრობიზნესი არის ბიზნესი, რომელიც მოიცავს ფერმერულ და მეურნეობასთან დაკავშირებულ კომერციულ საქმიანობას. აღნიშნული ბიზნესი მოიცავს ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტებს რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზარზე გასაგზავნად, წარმოების, დამუშავებისა და განაწილებისათვის. თანამედროვე ეკონომიკურმა პირობებმა სწრაფად გამოკვეთა სოფლის მეურნეობის საწარმოების მდგრადი განვითარების გამოწვევები და არახელსაყრელი სიტუაციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რაც იწვევს თითოეული საწარმოს საიმედოობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია მეწარმე სუბიექტთა ნუსხა, რომელიც იწარმოება 2016 წლის 02 სექტემბრიდან და შეადგენს 1832 სასოფლო-სამეურნეო საწარმოს. სოფლის მეურნეობის საწარმოო ერთეულების საქმიანობა - ეს არის მეურნეობები ან სხვა დანაყოფები, რომლებიც იყენებენ მიწას ან მეურნეობას პირუტყვისათვის. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორიცაა საკუთრების ზომა, მიწის საკუთრება, მიწის გამოყენება, მოსავლის არეალი, მორწყვა, პირუტყვის რაოდენობა, შრომა, მანქანების გამოყენება და სხვა სოფლის მეურნეობის საშუალებები. ასევე, მნიშვნელოვანია ინფორმაცია/კონტროლი წლიდან წლამდე სოფლის მეურნეობის წარმოებისა და ფასების ცვლილების შესახებ. საქართველოში სოფელში წარმოებული პროდუქცია ვერ ახდენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც კი, მართალია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოებულმა დღეს მოქმედმა პროექტებმა

მიწასთან გაუცხოვებული გლეხი ნაწილობრივ დააბრუნა სოფლად. თუმცა საჭიროა ახალი პროექტების დანერგვა რომელიც უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმებული პირების ცოდნისა და უნარების ამაღლებას; მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას; სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვას; პროდუქციის ბრენდირება, შეფუთვა და აღჭურვილობა, ფინანსური და ტექნიკური დახმარება მუნიციპალიტეტებში ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების წარმოქმნა და არსებული საწარმოების გაუმჯობესება.

**საკვანძო სიტყვები:** აგრობიზნესი; სოფლის მეურნეობა; ტექნიკა.

**Abstract**: Agribusiness is a business that involves farming and commercial-related commercial activities. These businesses include important components of the economy needed to market, produce, process and distribute agricultural goods. Modern economic conditions have quickly identified the challenges of sustainable development of agricultural enterprises and the ability to withstand adverse situations, leading to the need to ensure the reliability of each enterprise. Based on the data of the Register of Economic Activities, a list of entrepreneurial entities is presented, which has been produced since September 2, 2016 and amounts to 1832 agricultural enterprises. Activities of agricultural production units - these are farms or other units that use land or farms for livestock. The basic organizational structure of agricultural lands such as property size, land ownership, land use, crop area, irrigation, number of cattle, labor, use of machinery and other agricultural means are important for the development of agriculture. It is also important to have information / control on agricultural production and price changes from year to year. Rural products in Georgia do not even satisfy the rural population, although the current projects produced by the Ministry of Agriculture have partially returned the alienated farmer to the countryside. However, new projects need to be introduced to increase the knowledge and skills of those employed in agriculture; Co-financing of agricultural machinery for harvesting; Introduction of food safety standards; Product branding, packaging and equipment, financial and technical assistance for the establishment of new agricultural enterprises in the municipalities and the improvement of existing enterprises.

**Keywords:** agribusiness; Agriculture; Technic.

**ძირითადი ტექსტი:** აგრობიზნესი არის ბიზნესი, რომელიც მოიცავს ფერმერულ და მეურნეობასთან დაკავშირებულ კომერციულ საქმიანობას. აღნიშნული ბიზნესი მოიცავს ეკონომიკის მნიშვნელოვან კომპონენტებს რომელიც საჭიროა სასოფლო-სამეურნეო საქონლის ბაზარზე გასაგზავნად, წარმოების, დამუშავებისა და განაწილებასათვის.

თანამედროვე ეკონომიკურმა პირობებმა სწრაფად გამოკვეთა სოფლის მეურნეობის საწარმოების მდგრადი განვითარების გამოწვევები და არახელსაყრელი სიტუაციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარი, რაც იწვევს თითოეული საწარმოს საიმედოობის უზრუნველყოფის აუცილებლობას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებული პრობლემების მოგვარება შეუძლებელია მექანიზმის ფორმირების გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს მდგრად განვითარებას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია მეწარმე სუბიექტთა ნუსხა საქმიანობათა მითითებით, რომელთა საქმიანობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობა (იხ. ცხრილი).

| **სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რაოდენობა მათი საქმიანობის მიხედვით** | |
|---|---|
| **საქმიანობა** | **საწარმოს რაოდენობა** |
| ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა | 6 |
| ბოჭკოვანი სართავი კულტურების მოყვანა | 1 |
| დამხმარე მომსახურება მეტყევეობაში | 8 |
| დამხმარე საქმიანობის სახეები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის დარგში9 | 52 |
| დამხმარე საქმიანობის სახეები ცხოველების მოშენებისათვის | 26 |
| ზეთოვანი ხილის მოყვანა | 5 |
| თამბაქოს მოყვანა | 4 |

| | |
|---|---|
| თევზჭერა მტკნარ წყლებში | 7 |
| თესლის დამუშავება და მომზადება გასამრავლებლად | 12 |
| თესლოვანი და კურკოვანი ხილის მოყვანა | 61 |
| კვერცხის წარმოება | 111 |
| კულტურების მოყვანა სასმელების წარმოებისათვის | 28 |
| ლობიოს მოყვანა | 1 |
| მერძეული ჯიშების პირუტყვის მოშენება | 87 |
| მეტყევეობა და სხვა სატყეო-სამეურნეო საქმიანობა | 20 |
| მეფუტკრეობა | 121 |
| მზესუმზირის მოყვანა | 20 |
| მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სხვა ჯიშებისა და კამეჩების მოშენება | 85 |
| მტკნარი წყლების აკვაკულტურა | 40 |
| ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება | 5 |
| ნერგების და ჩითილების წარმოება | 56 |
| საზღვაო აკვაკულტურა | 12 |
| საზღვაო თევზჭერა | 13 |
| სანელებლების, არომატული, ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანა | 26 |
| სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მოსავლის აღების შემდეგ | 25 |
| სიმინდის მოყვანა | 37 |
| სხვა ერთწლიანი კულტურების მოყვანა | 31 |
| სხვა მარცვლეული (ბრინჯის გარდა), პარკოსანი და ზეთოვანი კულტურების მოყვანა | 67 |
| სხვა მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა | 15 |
| სხვა სახის მეფრინველეობა | 73 |

| | |
|---|---|
| სხვა ცხოველების მოშენება სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი | 30 |
| სხვა ხილის, კენკროვნების და კაკლისებრების მოყვანა | 93 |
| ტროპიკული და სუბტროპიკული ხილის მოყვანა | 6 |
| ტყის ველური პროდუქტების შეგროვება (ხე-ტყის გარდა) | 14 |
| ქათმის მოშენება | 119 |
| ღორების და გოჭების მოშენება | 51 |
| ყურძნის მოყვანა | 200 |
| შაქრის ლერწმის მოყვანა | 1 |
| შერეული სოფლის მეურნეობა | 87 |
| ციტრუსების მოყვანა | 8 |
| ცხენებისა და სხვა ცხენისებრთა ჯიშების მოშენება | 4 |
| ცხვრების და თხების მოშენება | 24 |
| ხე-ტყის დამზადება | 97 |
| ხორბლის მოყვანა | 43 |
| სულ ჯამში | 1832 |

სოფლის მეურნეობის საწარმოო ერთეულების საქმიანობა - ეს არის მეურნეობები ან სხვა დანაყოფები, რომლებიც იყენებენ მიწას ან მეურნეობას პირუტყვისათვის.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ორგანიზაციული სტრუქტურა, როგორიცაა საკუთრების ზომა, მიწის საკუთრება, მიწის გამოყენება, მოსავლის არეალი, მორწყვა, პირუტყვის რაოდენობა, შრომა, მანქანების გამოყენება და სხვა სოფლის მეურნეობის საშუალებები. ასევე, მნიშვნელოვანია ინფორმაცია/კონტროლი წლიდან წლამდე სოფლის მეურნეობის წარმოებისა და ფასების ცვლილების შესახებ.

საქართველოს სოფლებში წარმოებული პროდუქცია ვერ ახდენს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დაკმაყოფილებასაც კი, მართალია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოებულმა დღეს მოქმედმა პროექტებმა მიწასთან გაუცხოვებული გლეხი ნაწილობრივ დააბრუნა სოფლად. ეს პროექტებია: „დანერგე მომავალი“ რომლის ფარგლებშიც შეიძლება მრავალწლოვანი ბაღების გაშენება; სანერგე მეურნეობების შექმნა/განვითარება; სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობა. ხდება ფინანსური და ტექნიკური დახმარება მრავალწლოვანი კულტურების ახალი ბაღების გაშენებისთვის, არსებული ბაღების მოდერნიზაციისთვის, სანერგე მეურნეობის შექმნისა ან განვითარებისთვის. (სახელმწიფოს სუბსიდირების ფარგლებში ბაღების კომპონენტში, ფინანსდება: შესაძენი ნერგების ღირებულების 70%; წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50% (არაუმეტეს 1 250 ლარისა 0.5 ჰა-ზე). კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში, ფინანსდება: ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობისთვის და ბაღის გასაშენებლად საჭირო მასალების შეძენის ღირებულების 100%. სანერგეს კომპონენტში, ფინანსდება: სანერგე მეურნეობის პროექტის ღირებულების არაუმეტეს 70% (ჯამურად არაუმეტეს 500 000 ლარის). სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების ან/და ჭის/ჭაბურღილის/წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის კომპონენტში, ფინანსდება: ვენახის, ვაშლის, მსხლის და ბლის ბაღებისთვის განკუთვნილი სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 10%; ჭის/ჭაბურღილის მოწყობის ღირებულების არაუმეტეს 50% (არაუმეტეს 15 000 ლარის); წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ღირებულების 50% (არაუმეტეს 1 250 ლარისა 0.5 ჰა-ზე).

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა: რომლის ფარგლებში ხდება კოოპერატივებისთვის რძის გადასამუშავებლი აღჭურვილობა. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ნედლი რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და ადგილობრივი რძისა/რძის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება (ფინანსდება რძის გადამუშავებისთვის საჭირო აღჭურვილობის 90% (არაუმეტეს 150 000 ლარის ერთ კოოპერატივზე);

პროექტი ღვინის გზა: რომლის ფარგლებში ხდება ღვინის ტურიზმის ობიექტისათვის ცენტრალურ გზებზე საგზაო მანიშნებლების დამზადება/მონტაჟი; ღვინის ტურიზმის ობიექტის შესახებ ინფორმაციის განთავსება პროექტის თანმდევ ბეჭდვით რუკებსა და ბროშურებში. პროგრამის მიზანია ღვინის ტურიზმის ობიექტების პოპულარიზაცია, აგრეთვე მათი ხილვადობისა და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

შეღავათიანი აგროკრედიტი: სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები. ფინანსური მხარდაჭერა პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების შექმნასა და განვითარებისთვის.

აგროდაზღვევამ - რომლის ფარგლებში ხდება - ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოსავლის დაზღვევა. სადაზღვევო პოლისი ფარავს შემდეგ სადაზღვევო რისკებს: სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის - 1 სექტემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში) (სახელმწიფოს სუბსიდირების ფარგლებში ხდება 70% -იანი თანადაფინანსება პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კულტურაზე, ხოლო ვაზზე - 50%; არ იზღუდება მარცვლეული კულტურისა და სხვა კულტურების ერთდროულად დაზღვევა.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ხშირ შემთხვევაში არ იწარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფელში დარჩენილმა მოსახლეობის უმცირესმა ნაწილმაც კი დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნები. საჭიროა განვითარდეს სოფლის მეურნეობა და დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები. ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%-ზე მეტი. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება, სოფლის მეურნეობას ასევე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისთვის: 2020 წელს მან გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 6.2 პროცენტი შეადგინა. სოფლის მეურნეობის განვითარება ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა სიღარიბის დასაძლევად და

საერთო კეთილდღეობის ასამაღლებლად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის საქმიანობაზე 2015 წელს ბრუნვაში იყო - 330.8 მლნ. ლარი; 2016 წელს- 368.0 მლნ. ლარი; 2017 წელს - 425.9 მლნ. ლარი; 2018 წელს - 446.9 მლნ. ლარი; 2019 წელს - 498.4 მლნ. ლარი.სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის სასურველია შემცირდეს მიწების დანაწევრება, საჭიროა სოფლის მეურნეობის მიმართულებით დასაქმებული პირების ცოდნისა და უნარების ამაღლება; მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსება; სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვა; პროდუქციის ბრენდირება, შეფუთვა და აღჭურვილობა, ფინანსური და ტექნიკური დახმარება მუნიციპალიტეტებში ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნისთვის და არსებული საწარმოების გაუმჯობესებისათვის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2020 წლის ჟურნალი "ბიზნეს სექტორი საქართველოში";
2. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp;
3. წყარო: https://programs.gov.ge/ka/პროგრამები
4. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 22 ივნისის №259307 წერილი.

# საწარმოს ფულადი ნაკადების მართვისა და საგადახდო კალენდარის შემუშავების თავისებურებები
# Peculiarities of enterprise cash flow management and payment calendar development

**ნიკოლოზ ნაცვლიშვილი** - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ფინანსების დოქტორი. ასოც. პროფესორი
**ლია ანთაძე -** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი

**Nikoloz Natsvlishvili** - Caucasus International University
Doctor of Finance. Associated professors
nikoloz.natsvlishvili@ciu.edu.ge
**Lia Antadze -** Georgian Technical University. PhD student
antadze.l@gtu.ge

**აბსტრაქტი.** სტატიაში აღნიშნულია რომ საწარმოს ფულადი ნაკადი თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს. საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა შემდეგი თანმიმდევრობით მუშავდევა: თავიდან პროგნოზირდება ფულადი ნაკადები საოპერაციო, შემდეგ საინვესტიციო, მერე ფინანსური საქმიანობის და ბოლოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების მიხედვით. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახასჯვის გეგმა დგება წლის მიხედვით, კვარტალებად და თვეებად დაყიფით. ამასთან ერთად აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, ასევე მოკლევადიანი მოქმედების მრავალ ფაქტორებზე დამოკიდებულება ყოველდღიური მართვის უზრუნველყოფის გეგმიური ფინანსური დოკუმენტის - საგადახდო კალენდარის შემუშავების აუცილებლობას განაპირობებენ. იგი საწარმოს ფულადი ნაკადების ოპერატიული მართვის ყველაზე ეფექტურ და საიმედო ინსტრუმენტს წარმოადგენს და საგადახდო კალენდარის მის სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება უკვე თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებითაც არის შესაძლებელი.

**საკვანძო სიტყვები:** მთლიანი ფულადი ნაკადი, სუფთა აქტივები, მთლიანი მოგება, ფულის სამომავლო ღირებულება, მთლიანი შემოსაცალი, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტები.

**Abstract**. It is noted that the enterprise's cash flow is a collection of time-allocated receipts and payments of cash generated by its economic activities. The concept of "enterprise cash flow" is aggregated, including in its composition numerous types of these flows that serve economic activity. In order to ensure the effective and purposeful management of cash flows, they require certain classifications.

It is stated that the main purpose of cash flow management is to ensure the financial balance of the enterprise in the process of its development by balancing the volumes of receipt and expenditure of money resources and their synchronization in time. Optimization of cash flows is the process of choosing the best forms of their organization in the enterprise, taking into account the conditions and features of the implementation of its economic activities.

It is emphasized that the main purpose of developing a plan for the receipt and expenditure of funds is to forecast in time the gross and net cash flows of an enterprise in the context of certain types of its economic activities and ensure constant solvency at all stages of the planning period. At the same time, the high dynamism of these flows, their dependence on many short-term factors determine the need to develop a planned financial document that provides daily management of the receipt and expenditure of the company's cash.

**Key words:** Gross cash flow, net assets value, gross profit, future value, gross income, money market instruments.

**ძირითადი ტექსტი:** *ფულადი ნაკადის ცნება და მისი სახეობების დახასიათება:* საწარმოში ყველა სახეობის ფინანსური ოპერაციების განხორციელება პრაქტიკულად ფულადი სახსრების, მათი შემოსულობების ან გახარჯვის ფორმით, გარკვეული მოძრაობის გენერირებას ახდენს. ფუნქციონირებადი საწარმოს ფულადი სახსრების აღნიშნული მოძრაობა დროში თავისთავად უწყვეტ პტოცესს წარმოადგენს და „ფულადი ნაკადის“ ცნებით განისაზღვრება.

საწარმოს ფულადი ნაკადი - თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობას წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადები მათ ყველა ფორმებში და სახეობებში, აქედან გამომდინარე მისი ერთობლივი ფულადი ნაკადიც, უეჭველად ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანეს დამოუკიდებელ ობიექტს წარმოადგენს, რომელიც თეორიული საფუძვლების გაღრმავებას და პრაქტიკული რეკომენდაციების გაფართოებას მოითხოვს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური მართვის მაღალი როლი განისაზღვრება შემდეგი ძირითადი დებულებებით: 1. ფულადი ნაკადები საწარმოს სამეურნეო საქმიანობის განხორციელებას პრაქტიკულად ყველა მის ასპექტებში განაპირობებენ. 2. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს მისი სტრატეგიული განვითარების პროცესში ფინანსურ წონასწორობას უზრუნველყოფს. 3. ფულადი ნაკადების რაციონალური ფორმირება საწარმოს საოპერაციო პროცესის განხორციელების რითმიულობის ამაღლებას უწყობს ხელს. 4. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოსათვის ნასესხები კაპიტალში მოთხოვნილების შემცირევბის შესაძლებლობას იძლევა. 5. ფულადი ნაკადებით მართვა საწარმოს კაპიტალის ბრუნვის დაჩქარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენს. 6. ფულადი ნაკადების ეფექტური მართვა საწარმოს გადახდისუუნარობის რისკის შემცირებას უზრუნველყოფს. 7. ფულადი ნაკადების მართვის აქტიური ფორმები საწარმოს უშუალოდ მისი ფულადი ნაკადებით გენერირებადი დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას ძლევს.

განხილული ასპექტები საწარმოს ფულადი ნაკადების ფინანსური მართვის დამოუკიდებელ ობიექტად, აღნიშნული მართვის შესაბამისი სტრუქტურული და საკადო უზრუნველყოფით, გამოყოფის აუცილებლობის შესახებ თეზისს ადასტურებენ.

„საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ. ფულადი ნაკადების ასეთი კლასიფიკაცია შეთავაზებულია განხორციელდეს შედეგი ძირითადი ნიშნების მიხედვით (ნახ. 1.):

## საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია:

1. სამეურნეო პროცესის მომსახურების მასშტაბების მიხედვით:
   - ფულადი ნაკადები მთლიანობაში საწარმოს მიხედვით;
   - ფულადი ნაკადი საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით;
   - ფულადი ნაკადი საწარმოს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით;
   - ფულადი ნაკადი ცალკეული სამეურნეო ოპერაციების მიხედვით.
2. სამეურნეო საქმიანობის სახეობების მიხედვით:
   - ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობის მიხედვით;
   - ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით;
   - ფულადი ნაკადი ფინანსური საქმიანობის მიხედვით.
3. ფულადი სახსრების მოძრაობის მიმართულებადობის მიხედვით:
   - დადებითი ფულადი ნაკადი;
   - უარყოფითი ფულადი ნაკადი.
4. მოცულობის გაანგარიშების მეთოდის მიხედვით:
   - მთლიანი ფულადი ნაკადი;
   - სუფთა ფულადი ნაკადი.
5. მოცულობის საკმარისობის დონის მიხედვით:
   - ჭარბი ფულადი ნაკადი;
   - დეფიციტური ფულადი ნაკადი.
6. დროში შეფასების მეთოდის მიხერვით:
   - დღევანდელი ფულადი ნაკადი;
   - მომავალი ფულადი ნაკადი.
7. განხილვად პერიოდში ფორმირების უწყვეტადობის მიხედვით:
   - რეგულარული ფულადი ნაკადი;
   - დისკრეტული ფულადი ნაკადი.
8. ფორმირების დროითი ინტერვალების სტაბილურობის მიხედვით:
   - რეგულარული ფულადი ნაკადი თანაბარი დროითი ინტერვალით;
   - რეგულარული ფულადი ნაკადი არათანაბარი დროითი ინტერვალით.

ნახაზი 1. საწარმოს ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია ძირითადი ნიშანთვისებების მიხედვით

*საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პრინციპები და ეტაპები:*

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული, რომელთაგან ძირითადებს წარმოადგენენ:

1. ინფორმაციული უტყუარობის პრინციპი.
2. დაბალანსებულობის უზრუნველყოფის პრინციპი.
3. ეფექტიანობის უზრუნველყოფის პრინციპი.
4. ლიკვიდობის უზრუნველყოფის პრინციპი.

ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის პროცესი თანმიმდევრულად მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1, საწარმოს ფულადი ნაკადების სრული და უტყუარი უზრუნველყოფისა და საჭირო ანგარიშგების ფორმირების ეტაპს;

2. წინა პერიოდში საწარმოს ფულადი ნაკადების ანალიზის ეტაპს;

3. საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის ეტაპს;

4. საწარმოს ფულადი ნაკადების მათი სხვადასხვა სახეობების ჭრილში დაგეგმვის ეტაპს;

5. საწარმოს ფულადი ნაკადების ეფექტური კონტროლის უზრუნველყოფის ეტაპს.

*საწარმოს ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციის მეთოდები:*

საწარმოს ფულადი ნაკადების მართვის ერთ-ერთ ყველაზე უფო მნიშვნელოვან და რთულ ეტაპს მათი ოპტიმიზაცია წარმოადგენს.

ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში მსამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესს წარმოადგენს.

საწარმოს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე ზემომქმედი ძირითადი ფაქტორების სისტემა ორი ფაქტორებისაგან შედგება: შიდა ფაქტორებს და გარე ფაქტორებს.

გარე ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. სასაქონლო ბაზრის კონიუნქტურა;

2. საფონდო ბაზრის კონიუნქტურა;
3. საწარმოს გადასახადით დაბეგვრის სისტემა;
4. პროდუქციის მიმწოდებლებისა და მყიდველების დაკრედიტების ჩამოყალიბებული პრაქტიკა;
5. მეურნე სუბიექტების საანგარიშსწორებო ოპერაციების განხორციელების სისტემა;
6. ფინანსური კრედიტის მიღწევადობა;
7. დაუბრუნებადი მიზნობრივი დაფინანსების სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა.

შიდა ფაქტორების სისტემაში ძირითად როლს ასრულებემ შემდეგიფაქტორები:

1. საწარმოს სასიცოცხლო ციკლი;
2. საოპერაციო ციკლის ხანგრძლივობა;
3. პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სეზონურობა;
4. საინვესტიციო პროგრამების გადაუდებლობა;
5. საწარმოს საამორტიზაციო პოლიტიკა;
6. საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი;
7. საწარმოს მფლობელებისა და მენეჯერების ფინანსური მენტალიტეტი.

*ფულადი ნაკადების დაგეგმვა - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმის შემუშავება:*

საწარმოს მიმდინარე ფინანსური გეგმების არცერთი სახეობა, არც ერთი მისი მსხვილი ოპერაცია არ შიძლება მათი მიხედვით დაგეგმილ ფულად ნაკადებთან კავშირის გარეშე იქნას შემუშავებული. საწარმოს დაგეგმილი ყველა სახეობის ფულადი ნაკადები თავის ასახვას პოულობს სპეციალურ გეგმიურ დოკუმენტში - ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმაში (დგება მომვალი წლისათვის ყოველთვიური დაყოფით), რომელიც მიმდინარე ფინანსური გეგმის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს.

ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირება წარმოადგენს.

საწარმოში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმა მუშავდება შემდეგ ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად:

პირველ ეტაპზე საწარმოს საოპერაციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობები და გახარჯვები პროგნოზირდება, რადგანაც აღნიშნული გეგმის რიგი შდეგობრივი მაჩვენებლები მისი სხვა შემადგენელი ნაწილების შმუშავების საწყის წინაპირობას ემსახურება.

მეორე ეტაპზე საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები მუშვდება (მისი საოპრაციო საქმიანობის მიხეედვით სუფთა ფინანსური ნაკადების გათვალისწინებით).

მესამე ეტაპზე საწარმოს ფინანსური საქმიანობის მიხედვით ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების გეგმიური მაჩვენებლები გაიანგარიშება, რომელიც მომავალ პერიოდში მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობის გარე დაფინანსების წყაროების უზრუნველყოფაზეა მოწოდებული.

მეოთხე ეტაპზე მთლიანობაში საწარმოს მიხესდვით მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადები, ასევე ფულადი სახსრების ნაშთების დინამიკის პროგნოზირება ხორციელდება.

საგადახდო კალენდარის მისი სხვადასხვა ვარიანტებში შემუშავება თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისას მნიშვნელოვნად გაადვილდება. ფულადი ნაკადების მიმდინარე და ოპერტიული დაგეგმვის პროცესში, შესაბამისი კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დივერსიფიკაციით განსაზღვრადი აღნიშნული ნაკადების მოცულობებითა და სახეობებით უნდა იყოს დაკავშირებული.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. აღნიშნულია, რომ საწარმოს ფულადი ნაკადი თავისთავად მისი სამეურნეო საქმიანობის გენერირებადი ფულადი სახსრების დრიში განაწილებული შემოსულობებისა და გადახდების ერთობლიობაა. „საწარმოს ფულადი ნაკადის“ ცნება აგრეგირებულს წარმოადგენს, რომელიც თავის შენადგენლობაში სამეურნეო საქმიანობის უზრუნველმყოფელი აღნიშნული ნაკადების მრავალრიცხოვანი სახეობების ჩართვას ითვალისწინებს. ფულადი ნაკადების ეფექტური

მიზანმიმართული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ისინი გარკვეულ კლასიფიცერაბას მოითხოვენ.

2. მითითებულია, რომ ფულადი ნაკადების მართვის ძირითად მიზანს, საწარმოს განვითარების პროცესში ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების დაბალანსებისა და მათი დროში სინხრონიზაციის გზით, ფინანსური განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფულადი ნაკადების ოპტიმიზაცია თავისთავად საწარმოში სამეურნეო საქმიანობის განხორციელების პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით მათი ორგანიზაციის საუკეთესო ფორმების შეჩევის პროცესია.

3. ხაზგასმულია, რომ ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვის გეგმის შემუშავების ძირითად მიზანს საწარმოს მთლიანი და სუფთა ფულადი ნაკადების დროში მისი სამეურნეო საქმიანობის ცალკეული სახეობებისა  და გეგმიური პერიოდის ყველა ეტაპზე მუდმივი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფის ჭრილში პროგნოზირებაა. ამასთან ერთად, აღნიშნული ნაკადების მაღალი დინამიზმი, მათი მოკლევადიანი მოქმედებების მრავალ ფაქტორზე დამოკიდებულება გეგმიური ფინანსური დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობად განსაზღვრავენ, რომელიც საწარმოს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გახარჯვების ყოველდღიურ მართვის უზრუნველყოფს. ასეთ გეგმიურ დოკუმენტს საგადახდო კალენდარი წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ვან ჰორნი, ჯ.მ. ვაჰოვიჩი უმცროსი, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, 2008, მე-12 გამოცემა.
2. ACCA (ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაცია), წიგნი F9, ფინანსური მართვა, 2018.
3. გვენეტაძე ლ., კორპორაციული ფინანსები, 2010, თბილისი.
4. ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი. ტ.2. - თბ. 2011.
5. Brigham E., Ehrhardt M., Financial Management: Theory and Practice, 2015, 15th Edition.

# ნარჩენებიდან მასალების რეციკლირება - მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
# Recycling of Waste Materials - Extended Manufacturer Liability

**ლევან გოგოძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი
**Levan Gogodze** - PhD student at the Georgian Technical University
l.gogodze@gmail.com

**საკვანძო სიტყვები:** ნარჩენები, მართვა, რეციკლირება, სეპერირება, ეკონომიკური სარგებელი, ეკონომიკა, სახელმწიფო, ვალდებულება, ნარჩენი, ნარჩენები, მენეჯმენტი, გადამუშავება, შეგროვება, მწარმოებელი, მწარმოებლის ვალდებულება, ტექნოლოგია, საკანონმდებლო, საყოფაცხოვრებო ნარჩენი, კანონმდებლობა.

**ABSTRACT:** The goal of the Waste Management Code (2014) is to establish a modern waste management system at the national level. The Government of Georgia has approved the National Waste Management Strategy (2016-2030) and the National Waste Management Action Plan (2016-2020) to meet the relevant legal requirements in the field of waste management (Resolution N160 01.04.2016). The introduction of an Extended Manufacturer Obligation (MW) system at the national level is a requirement of the Waste Management Code. At the international level, Georgia is a party to the Basel Convention on the Control of Transboundary Movements of Hazardous Wastes and their Disposal. Therefore, Georgia's national policy framework should create conditions that ensure the safe management of hazardous and other wastes from an environmental point of view. Extended manufacturer commitment is one of the mechanisms recommended by the Basel Conference documents of the Parties, which can facilitate this process by involving and encouraging manufacturers to collect and / or process decommissioned products.

The aim of the Institute is to clarify the principles of Extended Manufacturer Commitment (EPR) approaches and forms of implementation in different countries, advantages and challenges, roles of stakeholders and the state, and funding models. It is not possible to adapt the same model to all types of waste in

all countries, so in order to select the appropriate model for a particular country, it is necessary to take into account the prevailing approaches and the current situation in the country, as well as historical and cultural preconditions.

**Keywords:** Waste, Management, Recycling, Separation, Economic Benefits, Economy, State, Liability, Waste, Waste, Management, Recycling, Collection, Producer, Manufacturer Obligation, Technology, Legislation, Household Waste, Legislation.

**ძირითადი ტექსტი:** დღესდღეობით სამყარო დიდი გამოწვევის წინაშე დგას. მსოფლიოში იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის შემოსავალი და შესაბამისად, მოთხოვნა ამა თუ იმ პროდუქტზე, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ ნარჩენად იქცევა. წარმოებაზე მოთხოვნის ზრდა საჭიროებს სულ უფრო და უფრო მეტ რესურსს, რომლის რაოდენობაც დედამიწაზე შეზღუდულია. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების რეციკლირება და რეციკლირების შედეგად აღდგენილი რესურსების წარმოების პროცესში ჩაბრუნება.

ნარჩენების სწორი და ეფექტიანი მართვა მთელი მსოფლიოსთვის გამოწვევაა და ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება - ეს არის კონცეფცია, რომელიც სათავეს 90-იანი წლებიდან იღებს და მიჩნეულია ნარჩენების მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. აღნიშნული კონცეფცია გულისხმობს მწარმოებლების ჩართვას მათ მიერ წარმოებული პროდუქციისგან მიღებული ნარჩენების მართვასა და ამ მხრივ პასუხისმგებლობის განაწილებაში. ამ სისტემის დანერგვა მოითხოვს შეთანხმებულ ქმედებებს სახელმწიფოს, მწარმოებლების, სხვა ეკონომიკური ოპერატორების და მოსახლეობის მხრიდან, რის გარეშეც შეუძლებელია სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება.

საქართველო, ისწრაფვის რა დანერგოს ნარჩენების მართვის თანამედროვე მოდელები, აქტიურად თანამშრომლობს ამ მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციასთან. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის

მთავრობის დახმარებით შემუშავდა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის დანერგვისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზა; კერძოდ საქართველოს მთავრობამ ახლახან მიიღო რამდენიმე ტექნიკური რეგლამენტი, რომლებიც არეგულირებს ოთხი სხვადასხვა ნარჩენის ნაკადების მართვას მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის ქვეშ. ესენია: ელექტრონული ნარჩენები, გამოყენებული ზეთები, საბურავები, ბატარეები და აკუმულატორები. რეგულაციები ძალაში შევიდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან. მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული ნარჩენების კიდევ ორი ნაკადის - შესაფუთი მასალის ნარჩენებისა და ხმარებიდან ამოღებულ სატრანსპორტო საშუალებების მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების მიღება უახლოეს მომავალში იგეგმება. მოხმარების გაზრდილი დონე ბუნებრივი რესურსების ამოწურვასა და ნარჩენების რაოდენობის ზრდას იწვევს. მასალებისთვის, განსაკუთრებით კი ლითონებისთვის, ახალი წყაროების გამონახვის საჭიროება, განაპირობებს ისეთი ახალი საშუალებების შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობას, რომლებიც ხელს შეუწყობენ ნარჩენებიდან მასალების რეციკლირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) არის საშუალება, რომელიც ნარჩენების მართვას პროდუქციის დიზაინსა და წარმოებასთან აკავშირებს და მიზნად ისახავს პროდუქციის ხმარებიდან ამოღების შემდეგ მასალის დანაკარგების მინიმუმამდე შემცირებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) მწარმოებლებს ეფექტიანად აკისრებს ნარჩენების მართვის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას და ამავე დროს, სტიმულს აძლევს მათ, განახორციელონ ცვლილებები. ამ მეთოდს რამდენიმე უპირატესობა აქვს. **პირველ რიგში,** პირთა ერთი ჯგუფისთვის (მწარმოებლებისთვის) მკაფიო ვალდებულების დაკისრება აგვარიდებს ისეთ სიტუაციას, როდესაც საერთო ვალდებულება არავის ვალდებულება ხდება. **მეორე,** გარემოზე ზემოქმედებების უდიდესი ნაწილი უკვე განსაზღვრულია პროდუქციის დიზაინით.

აქედან გამომდინარე, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას (EPR) შეუძლია წაახალისოს მწარმოებლები, პროდუქციის შექმნის პროცესში გამოიყენონ ისეთი მიდგომები, როგორიცაა დიზაინი გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით (DfE), დიზაინი

დემონტაჟის მოთხოვნების გათვალისწინებით (DfD) და დიზაინი რეციკლირების მოთხოვნების გათვალისწინებით (DfR). მესამე, მწარმოებლებისათვის ვალდებულებების დაკისრება ხელს უწყობს მათ ფიზიკურ ჩართულობას ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვის პროცესში ან პროდუქციის მიწოდების ციკლის ქვედა საფეხურებზე მდგომ პირებთან დიალოგის დაწყებაში, რითიც ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა მოქმედ პირებს შორის უფრო ინტენსიური ხდება და დადებითად აისახება ნარჩენების მართვის მთლიან სისტემაზე. აქედან გამომდინარე, მწარმოებლის როლი უმნიშვნელოვანესია, რადგან მწარმოებელი გავლენას ახდენს:

1. პროდუქციის დიზაინზე - მიდგომა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, როდესაც მწარმოებელი თავად არის დაინტერესებული შექმნას ისეთი პროდუქცია, რომლის დამუშავება და განთავსება ხმარებიდან ამოღების შემდეგ მაქსიმალურად იაფი იქნება. მეორე მიდგომა სავალდებულო ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც ხელისუფლება (სამართლებრივი გზით) გავლენას ახდენს პროდუქციის დიზაინზე ან პროდუქციაში გარკვეული მასალების შემცველობაზე.
2. პროდუქციაში სახიფათო მასალების შემცველობაზე -ნარჩენების პრევენციის მიდგომა შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი ან სავალდებულო.
3. მომხმარებლის ქცევაზე-მწარმოებელი ზემოქმედებას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო პროდუქციის რეკლამირების გზით. მომხმარებლის ქცევაზე ზემოქმედების მოხდენის ძალიან ეფექტიან საშუალებას პროდუქციის ეტიკეტირება წარმოადგენს;
4. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ამოცანები- აღნიშნულიდან გამომდინარე, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) ამოცანები შიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ა) პროდუქციის დიზაინის გაუმჯობესება, რაც გააადვილებს, მაგალითად, მათ დემონტაჟს, აამაღლებს რეციკლირების შესაძლებლობებს ან შეამცირებს პროდუქციაში სახიფათო მასალების შემცველობას. ბ) პროდუქციის და მასალის მაქსიმალურად გამოყენება მათი ნარჩენების ეფექტიანად შეგროვების, დამუშავების, ხელახალი

გამოყენების ან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო და სოციალური თვალსაზრისით მისაღები მეთოდებით რეციკლირების გზით. ევროკავშირში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (EPR) ითვლება მექანიზმად, რომელიც ხელს უწყობს ხმარებიდან ამოღებული პროდუქციის მართვის ხარჯების ინტერნალიზაიას და მწარმოებლების მიერ გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებას პროდუქციის მთლიანი საციცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიზანია, ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის იერარქიას და შესაბამისად, ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას, და შემდგომ, იერარქიის მიხედვით, ხელახალი გამოყენებისთვის მომზადებას, რეციკლირებას, ან სხვა ფორმით აღდგენასა (მაგ., ენერგიის აღდგენას) და განთავსებას. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა ეფექტიანია მაშინ, როდესაც ამ სისტემაში ჩართული მხარეების როლები მკაფიოდ დადგენილი და ყველასათვის ცნობილია. დაინტერესებული მხარეების საქმიანობა უნდა დაარეგულიროს კანონმდებლობამ, ხოლო ხელისუფლებამ უნდა შექმნას მონიტორინგისა და ზედამხედველობის ეფექტიანი სისტემა. სისტემის ეფექტიანობისათვის აუცილებელია: ა)მარტივი, მკაფიო და მკაცრი კანონმდებლობა; ბ) ხელისუფლების მხრიდან რეგულარული შემოწმებებისა და კანონაღსრულების უზრუნველყოფა.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემა აერთიანებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს: შესაბამისი პროდუქციის მწარმოებლები და იმპორტიორები, მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაციები (მწარმოებლის ვალდებულების ორგანიზაცია (PRO) ან მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ცენტრის (EPR ცენტრი), ასეთის არსებობის შემთხვევაში), დისტრიბუტორები, ნარჩენების მართვაში ჩართული ორგანიზაციები (კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების შეგროვებას, რეციკლირებას, აღდგენას ან განთავსებას), მუნიციპალიტეტები, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები (ცენტრალური გარემოსდაცვითი ორგანო, ადგილობრივი გარემოსდაცვითი უწყებები, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები, პოლიცია, საბაჟო, და სხვ.).

ამგვარად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ხელს უწყობს: ა) ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებასა და რესურსად გამოყენებას; ბ) ნარჩენების ხელახალი გამოყენების, რეციკლირებისა და აღდგენის სხვა ფორმების დანერგვას; გ) ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შემცირებას; დ) სახიფათო ნივთიერებების უსაფრთხო დამუშავებას; ე) რესურსებისა და ღირებული მეორადი ნედლეულის გამოყენებას; ვ) სხვადასხვა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლში ჩართული ყველა ოპერატორის (მწარმოებელი, იმპორტიორი, დისტრიბუტორი, მომხმარებელი, შემგროვებელი, დამშლელი, რეციკლირების განმახორციელებელი და ექსპორტიორი) საქმიანობის გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესებას; ზ) პროდუქციის უკეთესი დიზაინის შექმნას; ი) ახალი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების შექმნას, და რაც მთავარია, თ)ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. ნარჩენების მართვის კოდექსი, საქართველოს პარლამენტი, 2014. https://matsne.gov.ge/ka/document/view/2676416

2. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, საქართველოს პარლამენტი, 1996, https://matsne.gov.ge/ka/document/view/33448

3.საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამა 2012 – 2016, საქართველოს მთავრობის დადგენილება #127, 2012.

5. საქართველოს გარემოსდაცვითი საქმიანობის შეფასება, UNECE, 2015.

6. "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, http://water.gov.ge/geo/news/archive?info=754

7. სამედიცინო ნარჩენების სწორი გატანა პანდემიებთან გამკლავებაში დაგვეხმარება, https://blogs.adb.org/ka/proper-disposal-medical-waste-can-help-us-cope-pandemics

# ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოდელის ინდიკატორები და მათი მდგომარეობა საქართველოში
# Indicators of the model of sustainable economic development and their situation in Georgia

**ბელა კუტიბაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი

**Bela Kutibashvili** - Georgian Tecnical University. Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences. PhD student
Email: bkutibashvili@gmail.com

**შესავალი.** თანამედროვე მსოფლიოს წინაშე აქტუალურად დგას პრობლემა ბუნებრივი რესურსების ამოწურვისა და ბუნების კვლავწარმოების პროცესების დარღვევისა. ამ პრობლემას მსოფლიო მასშტაბით განსაკუთრებული ყურადღება გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისიდან მიექცა, რასაც არაერთი საერთაშორისო ღონისძიება მიეძღვნა. ტერმინი "მდგრადი განვითარება" პირველად 1972 წელს სტოკჰოლმის კონფერენციაზე გაჟღერდა, მასზე მუშაობის იდეა გაჩნდა 1987 წელს ბრუტლანდის კომისიის ანგარიშში - „ჩვენი საერთო მომავალი", რომლის თანახმად, მდგრადი განვითარება არის „განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები" (გაეროს გარემოსა და განვითარების გლობალური კომისია, 1987).

საკითხის სიმწვავიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე სამუშაოების შედეგები 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე "გარემო და განვითარება" შემუშავებულ დოკუმენტებში აისახა. ეს დოკუმენტებია: „რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ" და „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის". „დღის წესრიგი XXI საუკუნისთვის" არის სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა განახორციელონ გაეროს სტრუქტურებში შემავალმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოთა მთავრობებთან

ერთად, ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე ყველა სფეროში, სადაც კი ადამიანის საქმიანობა რაიმე სახით ზემოქმედებს გარემოზე.

**საკვანძო სიტყვები.** მდგრადი განვითარება, მიზნები და ინდიკატორები, ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია, გარემოს დაცვა.

**Resume:** The goals and objectives of sustainable development analyzed by the author in the article ensure the well-being of the society in the short, medium and, most importantly, in the long run. It is based on the principle that the needs of the present must be met in a way that does not endanger future generations.

According to the author, in order to be included in the 2030 Agenda Development Scheme, Georgia has nationalized the Sustainable Development Goals and Indicators and established a Sustainable Development Council and four working groups: Social Inclusion, Economic Development, Sustainable Energy and Environment, and Democratic Governance. An analysis of success in achieving the Sustainable Development Goals reveals that the country's development scheme and the Association Agreement cover 93 per cent of the national Sustainable Development Goals.

The article examines the current state of the Sustainable Development Goal and its relevant indicators in the country studied and analyzed by the author, and outlines the measures needed to achieve long-term goals in the future.

**ძირითადი ტექსტი.** მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი

სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. ეს ახალი მიზნები ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების 17 მიზანს განეკუთვნება: 1. სიღარიბის აღმოფხვრა, 2. ნულოვანი შიმშილი, 3. ჯანმრტელი ცხოვრება და კეთილდღეობა, 4. ხარისხიანი განათლება, 5. გენდერული თანასწორობა, 6. სუფთა წყალი და სანიტარია, 7. ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია, 8. ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, 9. მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა, 10. შემცირებული უთანასწორობა, 11. მდგრადი ქალაქები და დასახლებები, 12. მდგრადი მოხმარება და წარმოება, 13. კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები, 14. ოკიანისა და ზღვის რესურსები, 15. დედამიწის ეკოსისიტემები, 16. მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები, 17. პარტნიორობა მიზნების მისაღწევად. [1]

საქართველოს მთავრობა და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იღებენ ვალდებულებას, ერთობლივად იმუშაონ ეროვნული განვითარების პრიორიტეტების, მდგრადი განვითარების მიზნებისა და სხვა საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების მისაღწევად. რომელიც ასახულია 2021- 2025 წლებისათვის „თანამშრომლობის ხელშეკრულებაში“. აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა გაეროს სააგენტოების, საქართველოს მთავრობის, დონორების, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, სამოქალაქო საზოგადოების და სამეცნიერო წრეების ფართო ჩართულობით. „თანამშრომლობის ხელშეკრულება“ წარმოადგენს გაეროს განზრახვა საქართველოს ინტერესებისათვის ერთობლივად განახორციელოს მდგრადი განვითარების მიღწევა 2030 წლამდე პერიოდისათვის გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული საქმიანობით.

2030 წლის დღისწესრიგის განვითარების სქემაში ჩართვის მოზნით საქართველომ მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების და

[1] https://www.unicef.org/georgia/ka

ინდიკატორების ნაციონალიზაცია და დააფუძნა მდგრადი განვითარების საბჭო  და ოთხი სამუშაო ჯგუფი: სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი ენერგორესურსები და გარემოს დაცვა და დემოკრატიული მმართველობა.  მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში წარმატების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სქემა და ასოცირების ხელშეკრულება ფარავენ ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების 93 პროცენტს. 2016 წელს, ქვეყანამ მდგრადი განვითარების მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმს წარუდგინა პირველი ნებაყოფლობითი ეროვნული მიმოხილვა (VNR), ხოლო 2020 წლის ივლისში მეორე ანგარიში წარადგინა.საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია მდგრადი განვითარების მიზნების მიმართულებით — მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური ანგარიშის მიხედვით, ის 73-ე ადგილზეა 162 ქვეყანას შორის.

მდგრადი განვითარების ინდექსებზე დაკვირვებით ნათელია,  რომ სათავეში მოქცეულია სკანდინავიური ქვეყნები: ფინეთი, შვედეტი და დანია.  აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების რეიტინგში საქართველო ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: ბელორუსი, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა და აზერბაიჯანი.

ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია მდგრადი განვითარების 4 მიზნის მიმართულებით -“გენდერული თანასწორობა” (SDG-5), “ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება” (SDG-10) და ეკოლოგიური გამოწვევების (SDG 14-15) თვალსაზრისით; 12 მიზნის მისაღწევა ქვეყანას მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს გასატარებელი, ხოლო ერთი მიზნის, კერძოდ, ხარისხიანი განათლების მიმართულებით, საერთაშორისო ინდექსის ინდიკატორების თანახმად, საქართველოს დასახული მიზანი მიღწეულია.[2]

საქართველოს მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე პირველს განეკუთვნება (SDG-1) **არა სიღარიბეს.** ქვეყნებში სიღრიბის დონის შესაფასებლად გლობალურ ინდექსში გამოიყენება ორი ინდიკატორი: ადამიანების წილი რომლებიც ცხოვრობენ დღეში  1,90 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით და ადამიანების წილი, რომლებიც ცხოვრობენ დღეში 3,20 აშშ დოლარზე ნაკლები თანხით. 2021 წლის მონაცემებით

[2] მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები, IDFI

საქართველოში მოსახლეობის 3,24% ცხოვრობს დღეში 1,90 აშშ დონარზე ნაკლები შემოსავლებით, ხოლო მოსახლეობის 14% ცხოვრობს დღეში 3,20 აშშ დოლარზე ნაკლები შემოსავლით. 2030 წლისათვის დასახული მიზნის მისღწევად და ქვეყანაში მოსახლეობის სიღარიბის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა და ტემპის დაჩქარეებაა საჭირო.

მდგრადი განვითარების მეორე მიზანი (SDG-2) არა შიმშილს ეფუძნება სასურსათო უსაფრთხოებას, მოსახლეობის გაუმჯობესებულ კვებას და მდგრად სოფლის მეურნეობის განვითარებას. ამ მიზნის მიღწევის ინდექსის შესაფასებლად გამოიყენება რვა ინდიკატორი; არასაკმარისი კვება, არასაკმარისი ზრდა ხუთ წამდე ასაკის ბავშვებში, სიგამხდრის მაჩვენებელი 5 წლამდე ასაკია ბავშვებში, მოსახლეობის ჭარბი წონა, ტროფიკულობის დონე, ბურღულეულის წარმოება 91 ჰა დამუშავებულ მიწაზე ტონა), აზოტის მდგრადობის მართვის ინდექსი (0-1,41), მავნე პესტიციდების ექსპორტი. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით 2013 წელს ქვეყნის მოსახლეობის 4,6% ხელი არ მიუწვდებოდა სრულყოფილ კვებაზე და ამ მაჩვენებელმა 2018 წლისთვის შეადგინა 8,2%, რაც მეტად არასასურველ ტენდეციაზე მიუთითებს. ასევე გაუარესებულია ქვეყანაში მოსახლეობის ჭარბი წონის მაშვენებლები, რომელმაც 21,7% შეადგინა, გრძელვადიანი მაზანი შეადგენს 2,8%-ს.

მდგრადი განვითარების (SDG-3) მესამე მიზანზე (ჯანმრთელობა და კეთილდღეობა), უკანასკნელ წლებში უარყოფითად იმოქმედა კოვიდ -19-ის პანდემიამ და შედეგები გარკვეულად არასახარბიელოა.დედების სიკვდილიანობის მაცვენებელი ყოველ 100 000 მოსახლეზე სეადგენს 25,0, ხოლო გრძელვადიანი მიზანი კი 3,4, რაც შეეხება ნეონატოლოგიურ სიკვდილიანობის მაჩვენებელს იგი ყოველ 100 000 მოსახლეზე 4,9, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში გათვალისწინებულია მისი დაყვანა 1,1. გულსისხლძარღვთა დაავადებასთან, კიბოსთან, დიაბეტთან და ქრონიკულ რესპირატორულ დაავადებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი კი 24,9% შეადგენს, ხოლო გრძელვადიან მიზანში გათვალისწინებულია მისი დაყვანა 9,3%-დე.

რაც შეეხება მეოთხე მიზანს (SDG-4) ხარისხიანი განათლება აქ საქართველოს შესრულებული აქვს მიზნის სამი ინდიკატორი დაწყებითი და საშუალო განათლების მეჩვენებელი, რომელიც შეადგენს 99,4%, და

წიგნიერების დონო რომელიც შეადგენს 99,6%. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ პანდემიის შედეგები გარკვეულად უარყოფითად აისახება ამ მაჩვენებელზე სამომავლოდ, რადგან სკოლების დახურვა და დისტანციურ
რეჟიმზე გადასვლა უარყოფითად იმოქმედებს განათლების ხარისხსა და ხელმისაწვდომობაზე.

საქართველოში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მეხუთე მიზანი (SDG-5) გენდერული თანასწორობის მიღწევა. ქალების 50% ხელი არ მიუწვდება ოჯახის დაგეგმარების საშუალებებზე, ასევე დარღვეულია თანაფარდობა ქალებსა და მამაკაცებს შორის შრომის ბაზარზე და შეადგენს 75,4%-ს, გრძელვადიანი მიზანი ითვალისწინებს ამ მაჩვენებლის 100% -დე აყვანას. ქვეყნის პარლამენტში ქალთა მიერ დაკავებული ადგილების პროპირციული რაოდენობა 14,1%-ია, ხოლო გრძელვადიან მიზანში გათვალისწინებულია მისი 50,0%-დე აყვანა.

ქვეყანაში გარკვეული გამოწვევები ფიქსირდება (SDG-6) მეექვსე მიზნის სუფთა წყალისა და სანიტარიით უზრუნველყოფის კუთხით. მსოფლიო ბანკის მონაცემებით მოსახლეობის სანიტარიიაზე ხელმისაწვდომობა 90% შეადგენს, ასევე გაუარესებულია სასმელი წყლით მოსახლეობის უზრუნველყოფის და ჩამდინარე წყლების გაწმენდის მაჩვენებლები. რაც შეეხება მეშვიდე მიზანს (SDG-7) ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგიის გამოყენებას, აქ მაჩვენებლები დამაიმედებელია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ქვეყანაში მიმდინარე კოვიდ -19 პანდემიამ ასევე უარყოფითად იმოქმედა მერვე მიზანზე (SDG-8) მოსახლეობის ღირსეული სამუშაოთი და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაზე. მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესებულია. მშპ. -ს ზრდამ 0,5% შეადგინა, ხოლო უმუშევრობის დონემ 12,1% და ამასთანავე სამუშაო პროცესში ჩართული მომუშავეების სასიკვდილო ტრამვების სიხშირემ 100 000 მოსახლეზე 0,3% მიაღწია, რაც მეტად არასასურველი მაჩვენებელია. მდგრადი განვითარების მეცხრე მიზნის (SDG-9) ინფრასტრუქტურის და ინოვაციების თვალსაზრისით საქართველოში დადებითი ტენდენციები ფიქსირდება, ასევე დადებითი ძვრები გვაქვს სახეზე უმაღლესი საგანმანატლებლო ინსიტუტების რეიტინგების ზრდის კუთხით და მშპ.-ში კვლევებსა და განვითარება გაწეული ხარჯევის ზრდის თვალსაზრისით, მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ განვითარებულ ქვეყნებსი ამ ხარჯების

გაწევა ძირითადად ბიზნეს სექტორიდან ხდება, საქართველოში კი სახეზე გვაქვს ამ ხარჯების უნივერსიტეტებიდან და საჯარო სექტორიდან დაფინანსება, რაც გარკვეულად არასასურველი მდგომარეობაა. მდგრადი განვითარების მეათე (SDG-10) მიზნის შემცირებული უთანასწორობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, კერძოდ ჯინის ინდექსი, რომელიც წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელს ქვეყანაში 47,6-ია, მაშინ როდესაც გრძელვადიანი მიზნის მიღწევისათვის მისი მაჩვენებელი 27,5 უნდა იქნეს დაყვანილი.

მდგრადი განვითარების მეთერთმეტე მიზნის (SDG-11) ფარგლებში ქვეყნისათვის ყველაზე პრობლემურია არაფორმალური დასახლებები, რომლებსაც ხელი არ მიუწვდება სუფთა წყალზე, საბაზისო სანიტარულ პირობებზე და საკმარის საცხოვრებელ ფართზე, რომელიც 34,1% შეადგენს და 2030 წლისათვის ქვეყანასი მან უნდა შეადგინოს 0%-ტი. (SDG-12) მეთორმეტე მიზანი უკავშირდება გონივრულ მოხმარებასა და წარმოებას. 2019 წლის მდგომარეობით, საქართველოში ერთი სული მოსახლე საშუალოდ 7.3 კილოგრამ ნარჩენებს გამოიმუშავებდა ელექტრონული მოწყობილობების მოხმარების შედეგად. მდგრადი განვითარების მიზანი ამ მაჩვენებლის 0.2 კგ-მდე შემცირებას მოიაზრებს. (SDG-13) მეცამეტე მიზანი ეხება ქვეყანასი კლიმატის მდგრადობის მიღწევას, ამ კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები ეხება გარემოში ნახშირორჟანგის გამოყოფის მაჩვენებელს რომელიც 2.6 ტონას შეადგენს და გრძელვადიანი მიზნებიდან გამომდინარე იგი უნდა გაუტოლდეს 0-ს. რაც შეეხება მეთოთხმეტე (SDG-14) და მეთხუთმეტე (SDG-15) მიზნებს, წყალქვეშა რესურსებს და დედამიწის ეკოსისტემას, აქ ქვეყნისათვის პრობლემურია თევზჭერის ლოკაციების ექსპლუატაციის მაცვენებლები და ბიომრავალფეროვნების კუთხით როგორც ხმელეთზე ისე წყალში ამ უნიკალური ეკოსისტემების კონსერვაციის უზრუნველყოფა. (SDG-16) და (SDG-17) მდგრადი განვითარების მიზნები მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები და თანამშრომლობა საერთო მიზნებისათვის. მე-16 მიზნის მიართულებით სახეზე გვაქვს გაუმჯობესების ტენდენცია, მაგრამ შემაშფოტებელია ქვეყანაში განზრახ მკვლელობათა რაოდენობის ზრდა. მე-17 მიზნის თვალასაზრისით საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა ჯანდაცვის და განათლების კუთხით გამოყოფილი თანხები და უფრო შემაშფოთებელია პანდემიის კრიზისის შედეგად მაჩვენებლების შემდგომი გაუარესება.

**დასკვნა.** ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნებისა და ინდექსების გაანალიზების შედეგად შესაძლებელია ვაღიაროთ, რომ მთავრობა გაეროს წარმომადგენლობასთან ერთად აქტიურად არის ჩართული მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციის საქმეში. სესწავლილ პერიოდში სახეზე გვაქვს ცალკეული მიზნების ინდიკატორების მაჩვენებლების გაუმჯობესება, მარამ 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზაციისათვის ქვეყნის ხელისუფლებას მთელრიგ სფეროებში მნიშვნელოვანი საბიჯები აქვს გადსადგმელი რათა უზვრუნველვყოთ მდგრადი განვითარების ინდიკატორების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები, IDFI
2. გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025 თბილისი 2020 წელი
3. https://undocs.org/A/RES/70/1
4. https://undocs.org/A/RES/71/313
5. https://sustainabledevelopment.un.org/memberstates/georgia
6. https://www.unicef.org/georgia/ka

# მარკეტინგი და მარკეტინგული პროცესების განსაზღვრება ანუ როგორ შევქმნათ მომხმარებლებისათვის ფასეულობა
# Marketing and Defining Marketing Processes or how to create Value for Customers

**ანი ბიბილური** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
**Ani Bibiluri -** Georgian Technical University
Doctor of Business Administration, Assistant Professor

**აბსტრაქტი.** ნებისმიერი კომპანიის მიზანია შექმნას ისეთი პროდუქტი და მომსახურება, რაც მოეწონება მომხმარებელსა და იქნება ბაზარზე მოთხოვნადი. ერთი შეხედვით ადვილი ამოცანის წინაშე ვართ, ვაწარმოოთ ის რაც მისაღებია, თითქოს მარტივი საკითხი დავსვით, თუმცა ისმის კითხვა, ასევე იოლი ქმედებები იმალება ამ ყველაფრის უკან? რა თქმა უნდა არა. პროდუქტისა და მომსახურების შექმნა არის ხანგრძლივი, შრომატევადი და საინტერესო პროცესი. ერთგვარი აზროვნების თამაშია, რადგან გვჭირდება ისეთი ტიპის პროდუქტი და მომსახურება, რომელიც თავისი არსით იქნება მოთხოვნადი, განსხვავებული, გამორჩეული და გაყიდვადი ანუ რაღაც რაც არ არსებობს ან არსებულის ბევრად უკეთესი ვარიანტი ანუ განახლებული ვერსია. დღეისათვის ნებისმიერ ამბიციურ და მზარდ კომპანიას აუცილებელია ჰყავდეს კარგი მარკეტოლოგი - ადამიანი, რომელიც კომპანიის ერთ-ერთი ძლიერი რგოლია, რომლის მიზანია შექმნას მომხმარებლისთვის ღირებული ფასეულობა და ამ ფორმით აჩვენოს რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული მათგანი ორგანიზაციისთვის. მარკეტინგის სწორი მენეჯმენტი ორგანიზაციის წარმატების საწინდარია, სწორედ ამიტომ ვფიქრობ მოცემული თემა საკმაოდ საინტერესო და მუდმივად ინოვაციებით სავსეა.

**საკვანძო სიტყვები:** მარკეტინგი, მარკეტინგული სტრატეგია, მარკეტინგული კომპლექსი, პროდუქტი, მომსახურება.

**Abstract.** The goal of any company is to create a product and service that the customer will like and will be in demand in the market. We are faced with a seemingly easy task, to produce what is acceptable, as if we were asking a simple

question, but the question is, are there also easy actions hidden behind all this? of course no. Creating a product and service is a long, time consuming and exciting process. It's a kind of thinking game because we need a type of product or service that is essentially in demand, different, distinctive and marketable or something that does not exist or a much better version of the existing or an updated version. Nowadays, any ambitious and growing company needs to have a good marketer - a person who is one of the strong links of the company, which aims to create valuable value for the customer and thus show how important each of them is for the organization. Proper marketing management is a prerequisite for the success of an organization, which is why I think this topic is quite interesting and constantly full of innovations.

**Keywords**: Marketing, Marketing Strategy, Marketing complex, Product, Service.

**შესავალი.** ისტორიულად კაცობრიობამ განვითარების დიდი გზა გაიარა, პირველყოფილი წყობიდან თანამედროვეობამდე. შესაბამისად ყველა ეპოქაში წარმოდგენები და მიდგომები იცვლებოდა, დღემდეც იცვლება, რადგან თუკი გადავხედავთ, რაც წლების წინ იყო და რაც გვაქვს დღეს, თითქოს განსხვავებულია. თუმცა არ მკრთალდება ის რწმენა, ტრადიციები და ღირებულებები, რაც ადამიანებს დაბადებიდან გააჩნიათ ან მემკვიდრეობითაა მიღებული და რასაც სათუთად ინახავენ. ყოველივეს მდგრადობა ახასიათებს, თანაც იმდენად მაღალი ხარისხის, რომ მათი შეცვლა ფაქტიურად წარმოუდგენელია, შესაბამისად ეს არის ჩვენი ძირითადი რწმენა და ფასეულობები, რომლებიც თაობათა შორის გადაეცემა და რასაც შემდგომ უკვე ეკლესია, სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი განამტკიცებს. თუმცა, არსებობს ასევე მეორადი რწმენა და ფასეულობები, რომელიც ცვალებადია და აქ უკვე გემოვნებისა და კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე ხდება მოქმედება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დღევანდელობა წარსულის გამოძახილია და პასუხია მომავალზე, ამ აზროვნებითა და თვითგადარჩენის ინსტიქტით არსებობს სამყარო, სადაც ქაოსურადაა მიმოფანტული სხვადასხვა აზრები, რასაც ჩვენს რეალობაში თავს უყრის კარგი მარკეტოლოგი და სწორი მიმართულებით წარმართვით აქცევს ფასეულობად. ფასეულობა, ხომ თავის მხრივ, რაღაცის ღირებულების მაჩვენებელია და თუკი ეს ღირებულია ე.ი ფასეულიცაა. ადამიანები ინდივიდუალურები არიან, ამიტომ მათი აღქმა კონკრეტული

პროდუქტისა და მომსახურებისადმი განსხვავებულია, ვიღაცისთვის ოჯახისგან მიღებული სამკაულია ფასეული, რადგან მასში მისი გვარის ისტორიაა ჩაქსოვილი და ერთგვარი რელიკვიაა, სხვისთვის კი შეიძლება სახლთან არსებული მყუდრო წიგნების მაღაზია ქმნის სასიამოვნო განცდასა და უღვიძებს მოგონებებს. ყველაფერი გრძნობების დონემდეა დაყვანილი, ის რაც გვაბედნიერებს და გვახარებს, შესაბამისად მარკეტინგზე თუ ვსაუბრობთ აქ ყველა ეს ფაქტორი გასათვალისწინებელია. თუკი მენეჯმენტი მართვის ხელოვნებაა, მარკეტინგს შეგვიძლია თამამად ვუწოდოთ ფასეულობების შექმნის ხელოვნება.

**ძირითადი ნაწილი.** რა არის მარკეტინგი? მარტივი განმარტებით არის მყიდველებთან მომგებიანი ურთიერთობის მართვა. თუ მოცემულ ახსნას გამოვიყენებთ გამომდინარეობს, რომ კომპანია უზრუნველყოფს ახალი მყიდველების მოზიდვას მათთვის უმაღლესი ფასეულობის შეთავაზებით, ამავდროულად არსებული მყიდველების მოთხოვნათა დაკმაყოფილებით ინარჩუნებს და ზრდის მათ კეთილგანწყობასა და ბიზნესურთიერთობებს. ზოგადი განმარტებით, მარკეტინგი პროცესია, რომლის დროსაც კომპანიები ქმნიან ფასეულობას მყიდველისთვის და მათთან აყალიბებენ მჭიდრო ურთიერთობებს, რათა სანაცვლოდ მყიდველებისაგან მიიღონ ის, რასაც თვითონ აფასებენ.[3] ტერმინ „მარკეტინგს“ ადამიანთა უმეტესობა აღიქვამს, როგორც გაყიდვებსა და რეკლამირებას, თუმცა მარკეტინგი ბევრად მასშტაბური ცნებაა და მოიცავს რიგ პროცესებს. დღეისათვის იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც გაყიდვების საშუალება, არამედ მყიდველთა და მომხმარებელთა საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი და წყარო, რადგან ვისი პროდუქტი და მომსახურება იყიდება კარგად? რა თქმა უნდა იმ კომპანიების, რომლებსაც ყველაზე კარგად ესმით მყიდველთა საჭიროებები და შეუძლიათ უპასუხონ მომხმარებელთა გამოწვევებს, ასევე შესწევთ უნარი სწორი მარკეტინგული უნარებითა და გონივრული მენეჯმენტით სათანადო დონეზე ჩაერთონ საბაზრო ურთიერთობებში, ამავდროულად ითამაშონ საკუთარი წესებით იმდენად კარგად, რომ შეძლონ მომხმარებლის ყურადღების მიპყრობა და მოგების მიღებაც.

---

[3] კოტლერი ფ., არმსტრონგი გ., "მარკეტინგის საფუძვლები", მე-14 გამოცემა (თარგმანი), თბილისი, 2015. 746გვ.

მარკეტინგი ფართო გაგებით, ერთგვარი პროცესია, რომლის დროსაც ხორციელდება ფასეულობების ურთიერთგაცვლა ანუ ყველა მხარე იღებს იმას, რაც სურთ და სჭირდებათ. რეალურად ასეთი ურთიერთობები ძალიან ჰგავს ბარტერულ გაცვლას, რადგან ისტორიულად თავდაპირველი გაცვლა სწორედ საჭიროებაზე იყო დაფუძნებული. ბიზნესისთვის მოცემული ცნება უფრო ვიწრო კონტექსტში განიხილება და მარკეტინგი მყიდველებთან ხანგრძლივი და მომგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და სწორ მართვას გულისხმობს, რადგან ძლიერი მარკეტინგი კომპანიის კარგი საქმიანობის საწინდარია და აუცილებელია თითოეული ორგანიზაციის წარმატებისათვის. შესაბამისად მას ინტენსიურად იყენებენ, როგორც კომერციული, ასევე არაკომერციული დაწესებულებები.

მენეჯმენტი თუკი მართვის უნარების გამოვლენის საშუალებას იძლევა, მარკეტინგი დამატებით ფანტაზიას აღვიძებს და მარკეტოლოგს თავისუფალი აზროვნების გასაქანს სთავაზობს. მარკეტინგში შეზღუდვები არ არსებობს, რადგან პროდუქტი და მომსახურება იქმნება ადამიანური ფაქტორების გათვალისწინებით. სხვანაირად წარმოუდგენელია რაიმე ღირებულისა და საინტერესო ფასეულობის წარმოშობა, რადგან პროდუქტი არის ის, რაც აუცილებელია მივაწოდოთ ბაზარს და მივიქციოთ მყიდველთა ყურადღება, რათა შეიძინონ, გამოიყენონ და ამით დავუკმაყოფილოთ საჭიროება. მარკეტინგი ეს არის უწყვეტი პროცესი პროდუქტის შექმნიდან მის საბოლოო დანერგვამდე და დანერგვიდან საბოლოო ერთეულის გაყიდვამდე. მარკეტინგული პროცესი მოიცავს, პირველ რიგში, მომხმარებელთა მოთხოვნილებების გაგებას ანუ რას სურს მყიდველს? ამ კითხვაზე პასუხს მოაქვს კონკურენტული უპირატესობა ბაზარზე, აქ ჩვენ მივდივართ უკვე **მყიდველთან ურთიერთობის მართვის (Customer Relationship Management-CRM)** სისტემაზე, რაც გულისხმობს მომხმარებელთა მაქსიმალური ერთგულებისათვის თითოეული მყიდველის შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და ურთიერთობების მართვას. დიახ, მნიშვნელოვანია მყიდველზე ორიენტირებული მარკეტინგული სტრატეგიის ჩამოყალიბება, შესაბამისი პროგრამების შედგენა, მომგებიანი ურთიერთობებისა და მყიდველთა კმაყოფილების შექმნა, რასაც საბოლოოდ მომხმარებლისგან ფასეულობის მიღება მოსდევს, რისი მაჩვენებელიცაა მზარდი გაყიდვები და მოგება.

მარკეტინგზე საუბრისას საჭიროა განვსაზღვროთ სამი ძირითად ტერმინი, როგორიცაა: მოთხოვნილება, სურვილი და მოთხოვნა. რა განსხვავებაა მათ შორის? **მოთხოვნილება** არის ჩვენი ადამიანთა საწყისი, ერთგვარი ძალა, რომელიც გვამოძრავებს რაიმე მოქმედებისკენ. იგი მოიცავს სამ ძირითად ფაქტორს: **ფიზიკური** (საკვები, სამოსი, სითბო და ა.შ.), **სოციალური** (სიყვარული, მეგობრობა და ა.შ.) და ინდივიდუალური (განათლება, კარიერა და ა.შ.), მათი კომბინაცია ქმნის შინაგან სამყაროსა და გარეგნულ საჭიროებებს. **სურვილი** გვევლინება კულტურული და პიროვნული ფაქტორებით ჩამოყალიბებულ მოთხოვნილებად, რომელიც თუკი უზრუნველყოფილია ფულით, ვიღებთ **მოთხოვნას.** თუმცა აღსანიშნავია, რომ პიროვნებას ნებისმიერ მომენტში მუდმივად აქვს რაღაცის მოთხოვნილება, რომელიც ხშირად მისი მოტივატორი ხდება. მოტივი ეს არის ერთგვარი მამოძრავებელი ძალა და მდგომარეობა, რომელიც გვაიძულებს ადამიანებს ვეძებოთ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზები. მოცემული საკითხი საინტერესოა ფსიქოლოგებისთვის, შესაბამისად მათი მუშაობის შედეგად ჩამოყალიბდა ადამიანთა მოტივაციის თეორიები, რომელთაგან ყველაზე მეტად პოპულარული ზიგმუნდ ფროიდისა და აბრაამ მასლოუს თეორიებია.

ზიგმუნდ ფროიდი თვლიდა, რომ ადამიანებს გაუცნობიერებელი სურვილები აქვთ, რომლებიც განაპირობებენ მათ რეალურ ფსიქოლოგიურ ქცევას. თითოეული ადამიანი არის სუბიექტი, რომელიც მუდმივად იზრდება პიროვნულად და ამ ზრდის პროცესში უმეტესად თრგუნავს სურვილებს. თუმცა ჩვენი სურვილები არსად ქრება და არ ექვემდებარება სრულ კონტროლს. რეალურად ისინი ილექებიან ქვეცნობიერში, სიზმრებსა და ოცნებებში ჰპოვებენ გამოხატულებას. დათრგუნულ სურვილებს კი ადამიანი მიჰყავს ნერვოზულ, ნერვულ და შიშით აღსავსე მდგომარეობამდე, რასაც ფროიდი საბოლოოდ ფსიქოზს უწოდებდა. მარკეტინგულ ასპექტში მოცემული თეორია ეყრდნობა აზრს, რომ მომხმარებელთა უმეტესობის გადაწყვეტილება ყიდვის შესახებ გაუცნობიერებელია.

აბრაამ მასლოუ შეეცადა თავისი თეორიით აეხსნა თუ რატომ მართავენ ადამიანებს გარკვეული მოთხოვნილებები დროის გარკვეულ პერიოდში. ძირითადი ფაქტორი მოთხოვნილებათა იერარქიაა ანუ ყველა

ჩვენგანს აქვს გარკვეული მოთხოვნილებები, რომელიც იცვლება მათი დაკმაყოფილების შემდეგ. მაგალითად, არსებობს:

- ფიზიოლოგიური მოთხოვნილება (შიმშილი, წყურვილი);
- უსაფრთხოების მოთხოვნილება;
- სოციალური კავშირის მოთხოვნილება (სიყვარული, სითბო, ურთიერთობა);
- პატივისცემის მოთხოვნილება (დაფასება, ყურადღება, სტატუსი);
- თვითგამოხატვის მოთხოვნილება (თვითგანვითარება და რეალიზაცია).

მოცემული რიგითობა დალაგებულია კრიტიკულიდან ნაკლებად კრიტიკულამდე ანუ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ცდილობს დაიკმაყოფილოს ჯერ ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნილებები, ხოლო შემდეგ მომდევნო და ასე იერარქიის ბოლო საფეხურამდე. შესაბამისად მარკეტინგულ ასპექტში ეს გულისხმობს სწორედ მომხმარებელთა მზაობას იყიდოს პროდუქტი და მომსახურება. რეალურად, თუკი ჩვენს მიერ შეთავაზებული ფასეულობა არ პასუხობს მის სურვილებსა და მოთხოვნილებებს მყიდველებთან ხანგრძლივი ურთიერთობის ჩამოყალიბება გამორიცხულია. მომხმარებელთა მოცემული მოთხოვნილებისა და სურვილების დაკმაყოფილება კი შეგვიძლია სწორი მარკეტინგული შეთავაზებით, რაც როგორც აღვნიშნეთ ნიშნავს საჭიროებების დაკმაყოფილებას შესაბამისი პროდუქტის ან მომსახურების მიწოდებით, რასაც საბოლოო შედეგი მომხმარებლის კმაყოფილება მოჰყვება.

როგორ ხდება სასურველი მარკეტინგული შეთავაზების არჩევა? მყიდველებს ყოველთვის უყალიბდებათ გარკვეული ტიპის მოლოდინი იმ ფასეულობისა და კმაყოფილების დონეზე, რაც შეიძლება მიიღონ ჩვენი მარკეტინგული შეთავაზების შესყიდვის შედეგად. კმაყოფილი მომხმარებელი ისევ იყიდის იმავე პროდუქტს და აუცილებლად გაუზიარებს შთაბეჭდილებებს სხვებს. უკმაყოფილო კი პროდუქტს უარყოფითად დაახასიათებს და კონკურენტის ბრენდზეც კი შეიძლება გადაერთოს. სტატისტიკურად ერთი უკმაყოფილო მომხმარებელი კომპანიას აკარგვინებს მინიმუმ 10 პოტენციურ მომხმარებელს, რაც

ქართულ რეალობაში საკმაოდ დიდი ციფრია. შესაბამისად საჭიროა მყიდველთა მოლოდინის მართვა, რადგან მნიშვნელოვანი ფაქტორია. კარგმა მარკეტოლოგმა აუცილებელია დაალაგოს ურთიერთობები, კომპანიის შიგნით და ყველა დეპარტამენტი მუშაობდეს ურთიერთშეთანხმებით, ასევე უზრუნველყოს მომხმარებელთა მოლოდინის გამართლება. რეალურად რას ელიან ისინი ჩვენგან? მყიდველის მოლოდინი გულისხმობს, რომ მას აქვს გარკვეული წარმოდგენები შექმნილი პროდუქტისა და მომსახურების შესახებ, შესაბამისად, როდესაც კომპანია აწვდის შეთავაზებას, იგი ყველაზე მინიმუმ უნდა ამართლებდეს მის მოლოდინს, რასაც მომხმარებლის კმაყოფილება მოჰყვება. თუკი მოლოდინის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე მიღებული შედეგი, მყიდველს იმედი უცრუვდება. ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, როდესაც მიწოდებული პროდუქტისა და მომსახურების ხარისხი და დონე იმდენად მაღალია, რომ მომხმარებლის მოლოდინი არათუ მართლდება, არამედ გადაჭარბებულია და შესაბამისად აღფრთოვანებული რჩება. ყოველდღიურ ცხოვრებაში თითოეული ჩვენთაგანი არის მოცემული ჯაჭვის მონაწილე, ვართ მყიდველები ან გამყიდველები ანუ ვიღებთ რაიმე პროდუქტსა და მომსახურებას ან თავად ვაწვდით მას. შესაბამისად გვაქვს მოლოდინი მომსახურე პერსონალისგან მივიღოთ საუკეთესო მომსახურების ხარისხი ან თავად მივაწოდოთ მაღალი კლასის შეთავაზება. მყიდველი ყოველთვის ვართ, ხოლო თუკი არ ვართ მომსახურე პერსონალის ჯგუფში, ისმის კითხვა მაშ ვინ ვართ ჩვენ? მაშინ ჩვენი უფლებამოსილება ბევრად მეტია ვიდრე მომსახურე პერსონალის, შესაბამისად თანამდებობრივი თვალსაზრისით ვხვდებით უმაღლესი რგოლის მენეჯმენტში, რომლის პრიორიტეტებიდან გამომდინარეობს სწორედ ქვედა რგოლის საქმიანობა. რას ნიშნავს მოცემულობა? მარკეტინგი ეს არის კომპანიის ერთ-ერთი რგოლი, რომელიც არსებობს სხვა დეპარტამენტებთან ერთად და მათი საქმიანობა უნდა იყოს ჰარმონიაში, სანამ მარკეტინგამდე მივალთ, ორგანიზაციას ჰყავს მენეჯმენტი, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობის სფეროებსა და პრიორიტეტებს, შესაბამისად უმაღლესი დონის მენეჯმენტის მიზნებიდან გამომდინარეობს პროდუქტიც და მომსახურების ხარისხიც. თუკი ჩვენ ვართ მოგების მიღებაზე ორიენტირებული, რა ხარისხის კულტურაზე ან ფასეულობის შექმნაზეა საუბარი. ამიტომ თუკი ორგანიზაციას აქვს პრეტენზია იყოს გამორჩეული,

განსხვავებული და მომგებიანი, საჭიროა ჰქონდეს მენეჯმენტის შიდა კულტურა, რომელსაც გაავრცელებს კომპანიის ყველა დონეზე. როგორ დაალაგებს მენეჯერი ურთიერთობას გარე, მესამე პირებთან თუკი თავად არ აქვს შიდა სისტემა გამართული. სწორედ ამიტომ, მარკეტინგული საქმიანობის სწორი დაგეგმვა იწყება მაშინ, როდესაც მენეჯერული რგოლი არის ძლიერი და აქვთ მკაფიო, სწორი ხედვები. განსაკუთრებით, ყველა ორგანიზაციას სჭირდება ხარისხის მართვის სამსახური ანუ ადამიანები ვინც დაინახავენ არსებულ ხარვეზებს, ხაზს გაუსვამენ ღირსებებს, განსაზღვრავენ შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ამავდროულად უზრუნველყოფენ კომპანიის ერთიანი სტრუქტურის შექმნას.

მარკეტინგის მენეჯმენტი ანუ მართვა მარკეტოლოგის საქმიანობის მთავარი ამოცანაა, აქ იგულისხმება ორგანიზაციის დასახული მიზნებისკენ სვლა, მიზნობრივ ბაზრებთან სარგებლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება და შენარჩუნება. მარკეტინგის მენეჯერის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს სამომხმარებლო ფასულობის შექმნა, შეთავაზება და ურთიერთგაცვლის შედეგად მოიზიდოს ახალი მყიდველები და ძველ მომხმარებლებთან შეინარჩუნოს აქტიური ურთიერთობა. მომგებიანი მარკეტინგული სტრატეგიის შესაქმნელად საჭიროა მარკეტოლოგმა განსაზღვროს ვის ემსახურება კომპანია ანუ მიზნობრივი აუდიტორია, ხოლო შემდგომ როგორ მოემსახუროს საუკეთესოდ. ამისათვის ორგანიზაციაში იქმნება მარკეტინგული გეგმა და პროგრამა, რომელიც მოიცავს ყველა მნიშვნელოვან დეტალს ფასეულობის შექმნის პროცესსა თუ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას ანუ კომპანიის მისიის განსაზღვრიდან პროდუქტის სრულყოფილ დანერგვამდე მთლიან პროცესს მოიცავს. თუმცა არსებობს მრავალი ფაქტორი რისი გათვალისწინებაც მარკეტინგულ საქმიანობაში საჭიროა. გვაქვს ცნებები და მიდგომები, რომელიც უცვლელი და ერთნაირად აუცილებელია ყველა კომპანიის საქმიანობისთვის. მაგალითად, კომპანიამ ყოველწლიურად უნდა უზრუნველყოს **SWOT ანალიზი**, რომელიც მოიცავს: **ძლიერი (Strength) და სუსტი (Weakness) მხარეების აღმოჩენას, შესაძლებლობებისა (Opportunities) და საფრთხეების (Threats)** გამოვლენას. რაში დასჭირდება მოცემული ინფორმაცია მარკეტოლოგს? ძლიერი მხარეების აღმოჩენით შეგვიძლია კომპანიის შიდა რესურსები და პოზიტიური სიტუაციური

ფაქტორები განვსაზღვროთ, რომელიც დაგვეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში. სუსტი მხარეები გვაჩვენებს რამ შეიძლება იქონიოს უარყოფითი ზეგავლენა შესრულებულ საქმიანობაზე. შესაძლებლობები ის ხელსაყრელი ფაქტორებია, რომელიც კომპანიას თავის სასარგებლოდ შეუძლია გამოიყენოს. საფრთხეები არახელსაყრელი ფაქტორებია და კომპანიისთვის გამოწვევას წარმოადგენს, რომელიც ღირსეულად უნდა დაძლიოს.

სტრატეგიული დაგეგმვისას საჭიროა **მარკეტინგული კომპლექსის 4P-ის კონცეფციის** გათვალისწინებაც. იგი ერთგვარი მარკეტინგული საშუალებების ერთობლიობაა, რასაც კომპანია მიზნობრივ ბაზარზე დადებითი ეფექტის მოსახდენად იყენებს. მიუხედავად იმისა რომ P-ს რაოდენობა შეიძლება ბევრად მეტი იყოს, მაინც მოცემული ოთხი ძირითადია და მისი გათვალისწინება კარგი შედეგის მომტანია. რას მოიცავს 4P? პირველ რიგში ეს არის **პროდუქტი (Product)**, ადამიანთა საქმიანობის ან შრომის შედეგი, რომელიც ნივთობრივ და საგნობრივ გამოხატულებას ჰპოვებს, აღქმადი და ხელშესახებია. მარკეტინგში პროდუქტი მოიცავს მომსახურებასაც, რაც ერთგვარი საქმიანობა ან სარგებელია, რომელსაც მხარეები ერთმანეთს სთავაზობენ და მატერიალურ ფლობას არ გულისხმობს. მარკეტინგული პროდუქტი მოიცავს ყველაფერს, შეფუთვას, ბრენდსა და ა.შ. პროდუქტი იყიდება ადვილად მაშინ, როდესაც იგი ფასეულობით აღსავსეა, ეფექტურია და ადვილად გასაგები. ბაზარი იღებს ყველანაირ პროდუქტს, რომელშიც თავმოყრილია ყველა სიკეთე, რაც სჭირდება მომხმარებელს. იგი უნდა იყოს ისეთი როგორიც არის ანუ არ მივაწეროთ ჩვენს პროდუქტს არარეალური მახასიათებლები, რადგან ვერ გაივლის სასიცოცხლო ციკლის საფეხურებს და ბაზარზე წარდგენის შემდეგ პირდაპირ დაღმასვლის პერიოდში გადავა, არც კი გვექნება მისგან მოგება და მოწიფულობის ხანა. ამიტომ უმთავრესი წესია შეცდომაში არ შევიყვანოთ მყიდველები. მეორე კომპონენტი არის **ფასი (Price)**, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროდუქტის ხარისხსა და მახასიათებლებს. თუკი ფასი არ არის ადეკვატური, მომხმარებელში იწვევს გაურკვევლობას ანუ ძალიან იაფი ან ძვირი აჩენს კითხვებს, რამდენად შესაბამისობაშია იგი და რა გამოარჩევს მოცემულ პროდუქტს სხვებისაგან? თუმცა **ადგილსაც (Place)** დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ბაზარი, სადაც შევდივარ აუცილებელია შევისწავლოთ, რათა დავადგინოთ სჭირდებათ კი

მოცემული პროდუქტი მყიდველებს. გასათვალისწინებელია კულტურული ღირებულებები და ტრადიციები, ყველა ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს მომხმარებელთა ყიდვის პროცესზე, რადგან **სტიმულირება (Promotion)** ასეთ დროს ბევრად მარტივია. მომხმარებლის შესწავლა გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ სტიმულირება, რაც გამოიხატება სხვადასხვა აქციების შეთავაზებით, ფასდაკლებებითა და ა.შ. თუმცა მარკეტინგული კომპლექსი 4P-ის კონცეფცია გამყიდველის მხრიდან დანახული სურათია, ამიტომ მყიდველის მხრიდან სიტუაციის დანახვა შეგვიძლია **4C-ს** მეშვეობით. აქ უკვე მომხმარებელი განსაზღვრავს პროდუქტის ფასეულობას და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- მყიდველის პრობლემის გადაჭრა (Customer Solution);
- მყიდველის ხარჯი (Customer Cost);
- მოხერხებულობა (Convenience);
- კომუნიკაცია (Communication).

მოცემული მარკეტინგული კომპლექსები ეხმარება მარკეტოლოგს სწორად ჩამოაყალიბოს განვითარების გეგმა და პროგრამა, რითაც საბოლოოდ კომპანია მიაღწევს დასახულ მიზანს, მოიპოვებს მომხმარებელთა ნდობას, რაც ხანგრძლივი ურთიერთობის საწინდარია და გაზრდის საკუთარი ბრენდის ცნობადობას.

**დასკვნა.** მარკეტინგი ამოუწურვადი სფეროა, მუდმივი სიახლეებითა და გამოწვევებით სავსე. კომპანია, რომელსაც სურს იყოს ბაზრის ლიდერი ამბიციაც უნდა გააჩნდეს, ააწყოს საქმიანობა არსებული ტენდენციების გათვალისწინებითა და ღირებული შეთავაზებების შექმნით. ღირებული პროდუქტი და მომსახურება კი მომხმარებლებთან აქტიური კომუნიკაციით იქმნება, ამიტომ საქმიანობის დაწყებისას ან დაგეგმვისას, საჭიროა ორგანიზაციის საქმიანობაში მენეჯმენტის გუნდმა და მარკეტოლოგმა გაითვალისწინონ რიგი ფაქტორები, თუ რა შეუწყობთ ხელს შექმნან მომხმარებლისთვის ფასებულობა, ისეთი როგორიცაა: მარკეტინგული ანალიზი - SWOT ანალიზი; მარკეტინგული კომპლექსი „4P-4C“; მომხმარებელთა კვლევის შედეგები.

**გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:**


1. ფ. კოტლერი, გ. არმსტრონგი , „მარკეტინგის საფუძვლები“, მე-14 გამოცემა (თარგმანი), თბილისი, 2015. გვ.746.
2. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, „მენეჯმენტის საფუძვლები“, გამომცემლობა „სსუ“, 2018. გვ. 496.
3. ნ. თოდუა, ე. ურუტაძე, „მარკეტინგული კვლევის პრინციპები“ (სახელმძღვანელო), თსუ, 2013, გვ. 276.

# ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის მართვის ინოვაციური ტექნოლოგიები
# Innovative technologies in logistics and supply chain management

**დიმიტრი მასხარაშვილი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**ტარიელ მასხარაშვილი** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**Dimitri Maskharashvili** - Georgian National University
**Tariel Maskharashvili** - Tbilisi State University

**აბსტრაქტი:** საქართველოში და ზოგადად მთელ მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება მზარდი კონკურენციით მომსახურებისა და საქონლის ბაზარზე, სადაც თვითოეული ოპერატორი ეძებს ხარჯების შემცირების გზებსა და საშუალებებს. მითუმეტეს 2020-2021 წლების პანდემიამ უფრო აქტუალური და შეიძლება ითქვას სასიცოცხლოდ აუცილებელი გახადა ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რომლებსაც მინიმუმამდე დაყავს ადამიანური ფაქტორები. ინოვაციური ლოგისტიკა ესაა, ნაკადების მართვის პროცესების რაციონალიზაციის მეცნიერული ინსტრუმენტი, საბოლოო მიზნის (დანახარჯების შემცირება, მომსახურების გაუმჯობესება, მოგების გაზრდა და ასე შემდეგ) მიღწევა, ბაზრის სტრუქტურების მიმდინარე და სტრატეგიულ მართვაში პროგრესიული პროცესების დანერგვის გზით.

**Google Glasses** – „ჭკვიანი სათვალე“. ურთიერთკავშირი მომხმარებლებთან ხდება ხმოვანი ბრძანებებით. პირველ რიგში გავეცნოთ Google Glass-ის შესაძლებლობებს: სურათების და ვიდეოს გადაღება; Google-ის ძებნა; ნავიგაცია; Google-ის მთარგმნელი; ვირტუალური შეტყობინებები; Google Now ფუნქციები (ხმოვანი ბრძანებების აღქმა, ხმოვანი რეფერენტი); ხმოვანი ფუნქციები და ჟესტებით მართვა; ვიდეოტრანსილაცია, ვიდეო-აუდიო ჩატები; სხვა აპლიკაციების მხარდაჭერა.

**ავტომატიზირებული სასაწყობე სისტემები** ესაა კომპიუტერით მართვადი ამწე-ტრანსპორტებები, რომლებიც მმართველი პროგრამიდან მოსული ბრძანების შესაბამისად მოაქვთ განაწილების ადგილიდან საქონელი და ანთავსებენ შესაბამის თაროზე,

კომერციული **დრონები** ემსახურება ბიზნესს და არა რომელიმე კერძო პირს. ასეთი დრონები რა თქმა უნდა უფრო რთული და მძლავრი

აგებულებისაა ისინი აღჭურვილი არიან თბო და ინფრაწითელი კამერებით, GPS სისტემებით, RTK მოდულებით, მაღალი გარჩევადობის და დიდი გადიდების უნარიანი ვიდეო კამერებით და სხვა მაღალტექნოლოგიური დანადგარებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ხაზი გაუსვათ, რომ ბიზნესის მართვის თანამედროვე გამოწვევები გვკარნახობენ მიწოდების ჯაჭვის მართვის პროცესში მუდმივად ვეძებოთ და გამოვიყენოთ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც საგრძნობლად გაზრდიან შრომისნაყოფიერებას და მომსახურების ხარისხს, შესაბამისად შეამცირებენ ლოგისტიკურ სერვისებზე დანახარჯებს.

**საკვანძო სიტყვები:** ჭკვიანი სათვალე, ამაზონი, DHL, ავტომატიზირებული სასაწყობე სისტემები, დრონები, რობოტიზირებული სისტემები, რობოტი-ურიკები, რობოტი-პალეტაიზერები, რობოტი-დამხარისხებლები.

**Abstract:** The economic situation in Georgia and the world, in general, is characterized by increasing competition in the market of services and goods, where each operator is looking for ways and means to reduce costs. The pandemic of 2020-2021 has made more urgent and arguably vital the need to introduce innovative technologies that minimize human factors. Innovative logistics is a scientific tool for streamlining flow management processes, achieving the ultimate goal (reducing costs, improving services, increasing profits, etc.) with the introduction of progressive processes in the current and strategic management of market structures.

**Google Glasses** - "smart glasses" Communication with users is done through voice commands. First of all, let's get acquainted with the capabilities of Google Glasses: take pictures and videos; Google Search; Navigation; Google Translator; Virtual messages; Google Now functions (voice command perception, voice referent); Voice functions and gesture control; Video broadcasting, video-audio chats; Support for other applications.

**Automated warehousing systems** are computer-controlled cranes that bring goods from the distribution site and place them on the appropriate shelf by the command from the management program.

**Commercial drones** serve the business and not any individual. Such drones are, of course, more complex and powerful. They are equipped with thermal and infrared cameras, GPS systems, RTK modules, high resolution and large magnification video cameras, and other high-tech equipment.

Based on the above, we can emphasize that the modern challenges of business management dictate us to constantly look for and use innovative solutions in supply chain management, which will significantly increase labor productivity and quality of service, thus reducing costs for logistics services.

**Key Words**: Google Glass, Amazon, DHL, Automated warehousing systems, drones, robotic systems, robot carts, robot palletizers, robot sorters.

**ძირითადი ტექსტი:** საქართველოში და ზოგადად მთელ მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება მზარდი კონკურენციით მომსახურებისა და საქონლის ბაზარზე, სადაც თვითოეული ოპერატორი ეძებს ხარჯების შემცირების გზებსა და საშუალებებს. თანამედროვე ეპოქაში ასეთი კონკურენციის არსებობისას საკმაოდ აქტუალურია და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფეხი აუწყო და დანერგო უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიები. მათი განვითარება წარმოადგენს ორგანიზაციის განვითარების უმთავრეს ფაქტორს და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის წინაპირობას. ლოგისტიკაში ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებამ იმ დონეს მიაღწია, რომ ეს მიმართულება ითვლება მეცნიერების დამოუკიდებელ და მის ყველაზე აქტუალურ ნაწილად. მითუმეტეს 2020-2021 წლების პანდემიამ უფრო აქტუალური და შეიძლება ითქვას სასიცოცხლოდ აუცილებელი გახადა ისეთი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა, რომლებსაც მინიმუმამდე დაყავს ადამიანური ფაქტორები.

ინოვაციური ლოგისტიკა ესაა, ნაკადების მართვის პროცესების რაციონალიზაციის მეცნიერული ინსტრუმენტი, საბოლოო მიზნის (დანახარჯების შემცირება, მომსახურების გაუმჯობესება, მოგების გაზრდა და ასე შემდეგ) მიღწევა, ბაზრის სტრუქტურების მიმდინარე და სტრატეგიულ მართვაში პროგრესიული პროცესების დანერგვის გზით. ინოვაციის განმარტების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ახალი შემუშავებული ტექნოლოგიები, რომლებიც გვეხმარებიან ტვირთის მიწოდებისა და მასთან

დაკავშირებული პროცესების დაჩქარებაში, რაც ზრდის ორგანიზაციის ეფექტურობას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინოვაცია არ არის ნებისმიერი სიახლე ანდა ახლად დანერგილი ტექნოლოგია, არამედ მხოლოდ ის, რომლებიც საგრძნობლად ზრდიან მთლიანად ლოგისტიკური სისტემის ეფექტურობას. ლოგისტიკაში ინოვაციური მეთოდები მოიცავს ისეთ სფეროებს როგორიცაა: შესყიდვების საქმიანობა, სასაწყობე და სატრანსპორტო მეურნეობა, ორგანიზაციაში რესურსების განაწილება, საწარმოო პროცესები, მარაგების მართვა, გასაღების საქმიანობა ანუ ლოგისტიკური საქმიანობის ყველა დარგში.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინოვაციების გამოყენება ლოგისტიკასა და მიწოდების ჯაჭვში უსაზღვროა. ინოვაციური ტექნოლოგიების შემიშავებისა და დანერგვისას უნდა იქნას გათვალისწინებული ყველა ფაქტორი, რომლებიც გავლენას ახდენენ ამა თუ იმ მოსამსახურის, ჩარხის, ამწეების, სხვა ინფრასტრუქტურისა და მიწოდების ჯაჭვის მონაწილე სუბიექტების მუშაობაზე. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ლოჯისტიკური ინოვაციების ეფექტურობა დამოკიდებულია არა მხოლოდ მის მახასიათებლებზე და მაშტაბებზე, არამედ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ინოვაციების მომსახურე პერსონალის პოტენციალზე.

განვიხილოთ ინოვაციები, რომელთა დანერგვაც შესაძლებელია ლოგისტიკური ორგანიზაციის საქმიანობაში.

**Google Glass:** – „ჭკვიანი სათვალე“. ურთიერთკავშირი მომხმარებლებთან ხდება ხმოვანი ბრძანებებით. პირველ რიგში გავეცნოთ Google Glass-ის შესაძლებლობებს: სურათების და ვიდეოს გადაღება; Google-ის ძებნა; ნავიგაცია; Google-ის მთარგმნელი; ვირტუალური შეტყობინებები; Google Now ფუნქციები (ხმოვანი ბრძანებების აღქმა, ხმოვანი რეფერენტი); ხმოვანი ფუნქციები და ჟესტებით მართვა; ვიდეოტრანსილაცია, ვიდეო-აუდიო ჩატები; სხვა აპლიკაციების მხარდაჭერა.

Google Glass ტექნილოგიამ უნდა გააერთიანოს სამი დამოუკიდებელი ფუნქცია ერთ სისტემაში ესენია: რეალურ დროში მობილური კავშირი, ინტერნეტი და ვიდეოდღიურის წარმოება. ამ სათვალეების პირველი ვერსიებით ამ სამი ფუნქციებიდან სრულყოფილად რეალიზება

შესაძლებელია მხოლოდ ვიდეოდღიურის წარმოება, ხოლო დანარჩენი ორი მდგენელის განხორციელება შესაძლებელია ნაწილობრივ. მომდევნო ვერსიებში (Google Glass 2 Google Glass 3) ეს ნაკლი აღმოფხვრილია.

სურათი 1 „ჭკვიანი“ სათვალე Google Glass

ამ ტექნოლოგიის დადებით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ მისი ავტონომიურობა, მოხმარების სიმარტივე (სმარტფონის ყველა ფუნქცია სრულდება ხმოვანი ბრძანებებით) და მასთან მოხერხებული მუშაობა (მოწყობილობასთან ურთიერთობისას ორივე ხელი თავისუფალია, შესაბამისად შეგიძლიათ აკეთოთ დამატებითი საქმე). უარყოფითი მხარეებიდან აღსანიშნავია მისი სიმყიფე (ადვილად მსხვრევადია ისევე, როგორც ნებისმიერი სათვალე) და სიძვირე.

მიმოვიხილოთ რამდენიმე საზღვარგარეთული ფირმების მიერ Google Glass-ის ტექნოლოგიის ლოგისტიკურ საქმიანობაში გამოყენების გამოცდილება. DHL[4] კომპანია რამდენიმე წელია ხმარობს ანალოგიურ ტექნოლოგიას თავის სასაწყობე მეურნეობაში. სათვალეებში ჩასმულია სპეციალური მინა სასაწყობე მეურნეობის მართვის პროგრამით. ამ პროგრამას შეუძლია შტრიხკოდების წაკითხვა და პროდუქციის გადაადგილების ყველაზე სწრაფი მარშუტის დადგენა. ასეთი ტექნოლოგიის დანერგვამ აღნიშნული ფირმის სასაწყობე მეურნეობაში აჩვენა, რომ საკმაოდ შემცირდა შეცდომები და ამასთანავე საგრძნობლად გაიზარდა საქონლის ბრუნვის სიჩქარე. ასევე, როგორც Active Ants[5] ფირმის მიერ „ჭკვიანი“ სათვალეების სასაწყობე მეურნეობაში გამოყენების ცდები

[4] https://www.dhl.com/ge-en/home/insights-and-innovation/innovation/innovation-in-action.html გადამოწმებულია 26.11.2021

[5] https://www.activeants.com/ გადამოწმებულია 26.11.2021

გვიჩვენებს, რომ ამ ფოლანდიური კომპანიის  თანამშრომლების მიერ Google Glass ტექნილოგიის დანერგვის შემდეგ აღწევენ შედეგების საგრძნობ გაუმჯობესებას. კონკრეტულად მათ აჩვენეს, რომ Google Glass სპეციალურ აპლიკაციასთან ერთად შეუძლია 12% შეამციროს დაშვებული შეცდომები და ამავდროულად პროდუქციის შერჩევის დროის შემცირებით, 15%-ით გაზარდოს პროდუქციის შერჩევის სიჩქარე. ალბათ დამეთანხმებით, რომ კომპანიას, რომელიც მთელი მსოფლიოს მაშტაბით ამარაგებს საცალო ვაჭრობის  50 ქსელურ მაღაზიას ამ მაჩვენებლით დაზოგილი თანხები შეადგენს ათეული მილიონობით დოლარს. როგორც წესი Active Ants თანამშრომლები მთელ სასაწყობე მეურნეობაში დადიოდნენ სხვადასხვა მაღაზიებიდან მოსული შეკვეთების სიებით და ცდილობდნენ შეეგროვებინათ (მიეთითებინათ საქონლის ადგილმდებარეობა) აღნიშნული საქონელი. Google Glass ტექნოლოგიის დანერგვით ეს სია განთავსებულია სათვალის აპლიკაციაში, ამიტომ ავტომატურად ხდება მათი იდენტიფიცირება და შეკვეთების ბაზაში ასახვა, შემდგომი დამუშავების ეტაპისთვის გადასაცებად.

კომპანიის მართველის ჟერენ დეკკერის (Jeroen Dekker) სიტყვებით „არსებობს ოთხი მიზეზი, რატომაც გაიზარდა შეკვეთების მაკომპლექტებლების მუშაობის ხარისხი „ჭკვიანმა“ სათვალეებმა:

- პირველი უპირატესობა. ამჯერად შეკვეთების მაკომპლექტებლებს ხელები თავისუფალი აქვთ და შეუძლიათ თავისუფლად იმუშაონ თაროებზე განლაგებულ საქონელთან;

- მეორე უპირატესობა. მომავალი ნაბიჯი უქაღალდო მუშაობაში: აღარაა საჭირო ინვენტარის სიის ბეჭდვა, ხელმოწერები და მათი აკინძვა;

- მესამე უპირატესობა. ალბათ ყველაზე მთავარი ისაა, რომ შეკვეთის ბეჭდვაზე და მაკომპლექტებლებისთვის გადაცემაზე დახარჯული დრო, მისი პირდაპირ Google Glass-ში ელექტრონულად გადაგზავნის ხარჯზე საგრძნობლად მცირდება;

- მეოთხე უპირატესობა. დაშვებული შეცდომების რაოდენობის შემცირება, რადგანაც შეკვეთები აისახება Google Glass-ში

ერთმანეთის მიყოლებით, შესაბამისად გამორიცხულია მათი არევა ან დავიწყება.[6]

**ავტომატიზირებული სასაწყობე სისტემები:** ავტომატიზირებული სასაწყობე სისტემები ესაა კომპიუტერით მართვადი ამწე-ტრანსპორტებები, რომლებიც მმართველი პროგრამიდან მოსული ბრძანების შესაბამისად მოაქვთ განაწილების ადგილიდან საქონელი და ანთავსებენ შესაბამის თაროზე, ასევე გადმოაქვთ ტვირთი სტელაჟებიდან და მიაქვთ მათი კონცენტრაციის ადგილამდე.

დასაწყობების ავტომატიზირებული სისტება შედგება შემდეგი ნაწილებისგან: ერთმანეთთან შეერთებული თაროები; პატარა შედარებით მსუბუქი ურიკები; მარტივი და სამდო ამწეები, რომლებიც გადაადგილებენ ურიკებს ერთი დონიდან მეორეზე პადონებით ან მათ გარეშე; საწყობის მართვის სანდო და ეფექტური პროგრამული პაკეტები.

სურათი 2 ავტომატიზირებული სასაწყობე მეურნეობა

**ასეთი სისტემების უპირატესობაა:**

- ყველა სასაწყობე ოპერაციებისთვის დროის შემცირება და წარმადობის მნიშვნელოვანი გაზრდა;
- მკვეთრი შემცირება სასაწყობე ფართის მოთხოვნილებაზე, შენობის მოცულობის უფრო ეფექტური გამოყენების გზით, რაც ამცირებს ერთეული კომპლექტის შენახვის ხარჯებს და აქედან გამომდინარე

[6] www.activeants.com გადამოწმებულია 26.11.2021

საგრძნობლად იზოგება მთლიანად საწყობში განთავსებული პროდუქციის დასაწყობების თანხები;

- სასაწყობე სისტემის 24 საათიანი მუშაობა;
- თანამშრომლების შემცირების ხარჯზე შრომითი ანაზღაურების შემცირება, რაც თანხების დაზოგვას იწვევს;
- ავტომატიზირებული საწყობის ზონას, რომელიც ემსახურება საქონლის კომპლექტაციას შესაძლებელია მოემსახუროს ერთი ადამიანი, რაც ასევე ზოგავს შრომითი ანაზღაურების ხარჯებს.

აღსანიშნავია საზღვარგარეთული კომპანიები, რომლებიც იყენებენ ანალოგიურ სისტემებს ესენია Procter and Gamble, Estee Lauder, DHL, Kinzo, Nestle, Unilever და სხვა მრავალი. საქართველოში აღსანიშნავია Usa2Georgia სასაწყობე მეურნეობები სხვადასხვა ფილიალებში, რომლები მართალია პატარა ზომის ამანათებზე მუშაობს, მაგრამ მუშაობის პრინციპი აგებულია ავტომატიზირებული სასაწყობე სისტემების ტექნოლოგიაზე.

**დრონები:** (უპილოტო საფრენი მოწყობილობები) დიდი ხანია ფართოდ გამოიყენება ჩვენს ყოფაში. გამოყენების სფეროს თვალსაზრისით განასხვავებენ დრონების ორ ძირითად სახეს სამომხმარებლო და კომერციულს. სამომხმარებლო დრონებს გამოიყენებენ გასართობად ან სურათების და ვიდეოების გადასაღებად. აქედან გამომდინარე მათი დანიშნულებაა ლამაზი ხედების ფოტო და ვიდეო გადაღება.

კომერციული დრონები ემსახურება ბიზნესს და არა რომელიმე კერძო პირს. ასეთი დრონები რა თქმა უნდა უფრო რთული და მძლავრი აგებულებისაა ისინი აღჭურვილი არიან თბო და ინფრაწითელი კამერებით, GPS სისტემებით, RTK მოდულებით, მაღალი გარჩევადობის და დიდი გადიდების უნარიანი ვიდეო კამერებით და სხვა მაღალტექნოლოგიური დანადგარებით, რომლებიც საჭიროა კონკრეტული დავალების შესასრულებლად. ასევე გამოირჩევიან უფრო მაღალი საიმედოობით და დიდი დატვირთვის უნარით. ასეთი დრონების გამოყენების სფერო ძალიან დიდი და შეუცვლელია მაგალითად: საგანგებო სიტუაციების მართვისას, ხანძრის ჩაქრობაში, დაკარგული ადამიანების მოძებნაში და სხვა არაორდინალურ სიტუაციაში, სადაც ადამიანური რესურსი უძლურია.

განსაკუთრებით აქტუალური და შეიძლება ითქვას დრონების მრეწველობაში გამოყენების ზრდა გამოიწვია COVID-19 პადემიამ. DroneDeploy ფირმის გამოკითხვის და გამოკვლევების თანახმად რესპოდენტების 88% თანახმად 2021 წლის ბოლომდე დრონების წარმოება გიზრდება. ასევე კვლევებით დადგინდა დრონების წარმატებული გამოყენების სფეროები ესენია: მშენებლობა, სამთო მოპოებითი სამუშაოები, სოლის მეურნეობა, გეოაზომვითისამუშაოები და სხვა[7].

ორგანიზაციაში ლოგისტიკის განვითარების პერსპექტიული მიმართულებაა შეკვეთების დრონებით მიწოდება. ბოლო წლეებია უპილოტო მფრინავი ობიექტები სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობენ ბიზნესის სფეროს, განსაკუთრებით ლოგისტიკის წარმომადგენლებისგან. 1 ცხრილი მოცემულია დრონების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სურათი 3 უპილოტო საფრენი აპარატი (დრონი)

ცხრილი 1

| უპირატესობა | უარყოფითი მხარე |
|---|---|
| | |
| გამოყენების დაბალი ფასი | გადაუწყვეტელია დრონებთან კავშირის, დაჯდომის და მისი მართვის საკითხები |
| მაღალი მობილობა | მიწოდების არასაიმედოობა |

[7] https://dronedeploy-www.cdn.prismic.io/dronedeploy-www/baee79b2-74a7-4e6d-b3aa-b523ea944fba_State+of+the+Drone+Market+2021+ebook+v4.pdf გადამოწმებულია 26.11.2021

| | |
|---|---|
| თანამშომლების შენახვის დაბალი ხარჯი | არასაკმარისი ავტონომიურობა |
| პროექტის ღირებულების მართვა | დახურულ სივრცეში შეზღუდული ორიენტაცია |
| პროექტის ხარისხის მართვა | ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო ბაზის უქონლობა |
| არ საჭიროებს ღაღალი კვალიფიკაციის პერსონალს | |

Amazon კომპანია, რომელმაც დრონები დანერგა სასაწყობე მეურნრობაში არის ამერიკული ინტერნეტ მაღაზია Amazon-ი. მან კლიენტებს შესთავაზა Prime Air მომსახურების მიწოდება, რაც ითვალისწინებს გზავნილების მიღებას შეკვეთიდან ნახევარ საათში. ამასთან მათი მიწოდების მაქსიმალური მასა შეადგენს 2,3 კილოგრამს. Amazon-მა ასევე დააპატენტა ტვირთის უსაფრთხო დაშვების ტექნოლოგია, რაც გულისხმობს კონტეინერის გარშემო უსაფრთხოების ბალიშების გაბერვას მისი 7 მეტრიანი სიმაღლიდან დაშვებისას რა დროსაც გზავნილი არ ზიანდება.

ასევე Amazon-მა შეიძინა პატენტი დიდ დირიჟაბლზე, რომელზეც განთავსებული იქნება რამდენიმე ათეული დრონი და თავის კლიენტებს გზავნილებს დაურიგებს ამ დრონების საშუალებით. დირიჟაბლი, რომელიც უკვე მონათლეს, როგორც „დრონების დედა“ იმართება ადამიანების მიერ, ხოლო ამანათის მიწოდება უშუალოდ კლიენტებისთვის ხდება დრონებით. რა თქმა უნდა ასეთი პატენტი საკმაოდ დიდი ფანტაზიისკენ გვიბიძგებს, რაც პრინციპში ინოვაციების გენერატორია[8]. სარეკლამო კლიპებიდან ჩანს Amazon-ის თანამედროვე დრონები[9] იხილეთ სურათზე.

[8] ამაზონის ოფიციალური ვებ გვერდი https://www.amazon.com/ გადამოწმებულია 26.11.2021
[9] https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=MXo_d6tNWuY და https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=vNySOrI2Ny8 გადამოწმებულია 26.11.2021

სურათი 4. Amazon-ის ტვირთების ტრანსპორტირების დრონები

**DHL:** დრონები ასევე გამოიყენება კომპანია DHL-ში პროდუქციის ინვენტარიზაციისას. საწყობში საქონლის აღწერის სტანდარტული პროცესი ერთ პალეტზე შეადგენს 3 წუთს, მაგრამ კომპანია DHL-მა ის 30 წამამდე შეამცირა[10]. კომპანიამ პირველი ცდები ტვირთების უპილოტო მფრინავი აპარატით მიტანა შემკვეთამდე დაიწყო ჯერ კიდევ 2013 წელს[11].

საქართველოს საწყობებში დრონები ან არ გამოიყენება ან ინფორმაცია მათი გამოყენების შესახებ არ ვრცელდება. აქვე მინდა ავღნიშნო დრონების ფართოდ გამოყენებას ხელს უშლის უმეტესობა ქვეყნებში შესაბამისი კანონმდებლობის არ ქონა ან დაწესებული შეზღუდვები თათ გამოყენებაზე. რამდენიმე წლის წინ ამერიკის შეერთებულ შტატებში დრონების გამოყენება იყო კანონგარეშე, მაგრამ ახალი დროებითი წესებით უპილოტო ფრენების გამოყენება იგეგმება ისეთ სფეროებში როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ელექტროგადამცემი ხაზების, ნავთობსადენების, გაზსადენების, ანტენების, ხიდების დაზიანებების დადგენა, დახმარება სამაშველო ოპერაციების ჩატარებაში, გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები, აეროგადაღებები, ბიოლოგიაში გარეული ცხოველების საცხოვრებელი ტერიტორიის შესასწავლად და სხვა მრავალ დარგში. დაშვებულია დრონების ფრენისთვის მაქსიმალური სიმაღლე 122 მეტრი, ხოლო თვირთამწეობა 25 კილოგრამი. ასევე უპილოტო მფრინავი საშუალებები უნდა დაფრინავდნენ ოპერატორის ხედვის არეში და იკრძალება მათი მოძრაობა მოსახლეობის თავზე. კანონმდებლობა სხვადასხვა ქვეყნებში რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ცალკე კვლევის საგანია და ალბათ მალე შეიმუშავებენ საერთო მიდგომებს მფრინავი უპილოტო აპარატის გამოყენების შესახებ

2021 წლისთვის ნავარაუდები იყო, რომ გლობალური ბიზნეს-მომსახურების ბაზრის მოცულობა, დრონების გამოყენებით მიაღწევს 237 მილიარდ დოლარს. პანდემიის პირობებში ამ მაჩვენებელმა რა დონეს

[10] DHL. ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dhl.ru/ru.html/ გადამოწმებულია 26.11.2021
[11] https://www.dpdhl.com/en/about-us/history.html გადამოწმებულია 26.11.2021

მიაღწია უცნობია. მეოთხე სურათზე მოცემულია დრონების გამოყენების მოცულობა კომპანია PwC-ზე დაყრდნობით დარგების მიხედვით[12].

სურათი 4. დრონების გამოყენების მოცულობა დარგების მიხედვით




**რობოტიზირებული სისტემები:** სასაწყობე რობოტები განკუთვნილია საწყობში გარკვეული ოპერაციების ჩასატარებლად. უკვე არსებობს ასეთი რობოტების რამდენიმე სახეობა. განიხილავენ ასევე საწყობების ავტომატიზაციის კომპლექსურ მიდგომას, რომელიც შედგება მაგალითად, სამრეწველო მანიპულატორებისგან, მობილური რობოტიზირებული ურიკებისგან, პალეტაიზერების და სხვა ტექნიკისგან.

**რობოტი-ურიკები**, რომლებსაც შეუძლიათ ავტონომიურად გადაადგილონ პალეტები საწყობის ტერიტორიაზე. ზოგიერთ მათგანს შეუძლია პროდუქცია დამოუკიდებლად ჩამოიღონ თაროებიდან და განათავსონ შესაბამის კონტეინერებში, პალეტებზე ან მიიტანონ ტვირთის შეკრების ადგილზე, ასევე დარეზერვირებულ ადგილზე დაალაგონ მითითებული საქონელი.

**რობოტი-პალეტაიზერები**, როგორც წესი ესენი საწარმოო მანიპულატორებია რომლებიც იმართებიან სერვერებიდან და გამოიყენებიან პალეტებზე საქონლის ავტომატურად დალაგებისთვის.

[12] კომპანია PwC www.pvc.com გადამოწმებულია 26.11.2021

**რობოტი-დამხარისხებლები**, შეუფასებელია მათი წვლილი საქონლის დახარისხებაში შეკვეთების მიხედვით და შესაბმისად ძირითადად გამოიყენებიან ონლაინ ვაჭრობაში. მათ უნდა შეძლოთ საქონლის იდენტიფიცირება, მათი ამოღება გროვიდან და დახარისხება ნომენკლატურის მიხედვით. რა თქმა უნდა ამისათვის მათ უნდა ქონდეთ შესაბამისი ნივთების, რომლებზეც ისინი მანიპულირებენ, სამგანზომილებიანი გამოსახულების ციფრული ბაზა.

ასეთი სისტემების ასაწყობად საჭიროა საწყობის მომზადება, მთელი იატაკის მონიშვნა ან სპეციალური ჭდეების დამაგრება. ასევე გამოჩნდნენ ფირმა Magazino-ს მიერ გამოშვებული მოდელები TORU Cube, რომლებიც საწყობების მოუნიშნავად მანიპულირებენ და ორიენტირდებიან ტექნიკური ხედვის პრინციპზე.

საზღვარგარეთ სულ უფრო პოპულარული ხდება რობოტი Kiva (სურათი 5), რომლის დროსაც შესანახი ელემენტები განთავსებულია სპეციალურ მოდულებზე და მათი გადაადგილება ხდება ამ ჭკვიანი მანქანების საშუალებით[13].

სურათი 5. რობოტი Kiva

ეს რობოტები, რომლებიც ბორბლებზე შემდგარი კვადრატული კონსტრუქციისა და სიმაღლით 40 სმ., ხოლო წონით 130 კგ. ორიენტირდებიან-გადაადგილდებიან საწყობის იატაკზე დატანილი შტრიხკოდებით. მართვის პროგრამასთან უკუკავშირის შედეგად სერვერმა ზუსტად იცის ყველა რობოტის ადგილმდებარეობა, ამიტომ მონაცემთა

[13] Amazon Robotics. URL: https://www.amazonrobotics.com/, https://www.amazon.com/ გადამოწმებულია 26.11.2021

ბაზაში შეკვეთის მიღებისას აპლიკაცია პოულობს უახლოეს რობოტს და გადასცემს შესაბამის შესანახ მოდულთან მისასვლელ შტრიხკოდების თანმიმდევრობას. რა თქმა უნდა რობოტში ასევე გადაცემულია შესაბამისი მოდულის მისატანი ადგილის მისამართი და მათი გადაადგილების გეზი მკაცრად კონტროლდება სერვერიდან პროგრამის მარშუტიზატორი მოდულის საშუალებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბიზნესის მართვის თანამედროვე გამოწვევები გვკარნახობენ მიწოდების ჯაჭვის მართვის პროცესში მუდმივად ვეძებოთ და გამოვიყენოთ ინოვაციური გადაწყვეტილებები, რომლებიც საგრძნობლად გაზრდიან შრომისნაყოფიერებას და მომსახურების ხარისხს, შესაბამისად შეამცირებენ ლოგისტიკურ სერვისებზე დანახარჯებს. კომპანიები ლოგისტიკის და მიწოდების ჯაჭვის მართვაში, ინოვაციების არ გამოყენებით და მისადმი ტრადიციული მიდგომით, ვერ იქნებიან კონკურენტუნარიანები და შესაბამისად არიან განწირულნი. აქედან გამომდინარე გამოგვაქვს დასკვნა, რომ მსოფლიოში და შესაბამისად საქართველოშიც, კომპანიების წარმატებული და ეფექტური ფუნქციონირებისთვის და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, ლოგისტიკაში და მიწოდების ჯაჭვის მართვაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს. იმედია ინოვაციების შემუშავება და დანერგვა ამ სფეროში გაიზრდება და საქართველოს კომპანიებიც ფეხს აუწყობენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

**გამოყენებული წყაროები:**


1. https://www.dhl.com/ge-en/home/insights-and-innovation/innovation/innovation-in-action.html გადამოწმებულია 26.11.2021
2. https://www.activeants.com/ გადამოწმებულია 26.11.2021
3. www.activeants.com გადამოწმებულია 26.11.2021
4. https://dronedeploy-www.cdn.prismic.io/dronedeploy-www/baee79b2-74a7-4e6d-b3aa-b523ea944fba_State+of+the+Drone+Market+2021+ebook+v4.pdf გადამოწმებულია 26.11.2021

5. ამაზონის ოფიციალური ვებ გვერდი https://www.amazon.com/ გადამოწმებულია 26.11.2021
6. https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=MXo_d6tNWuY და https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=vNySOrI2Ny8 ორივე გადამოწმებულია 26.11.2021
7. DHL. ოფიციალური ვებ გვერდი http://www.dhl.ru/ru.html/ გადამოწმებულია 26.11.2021
8. https://www.dpdhl.com/en/about-us/history.html გადამოწმებულია 26.11.2021
9. კომპანია PwC www.pvc.com გადამოწმებულია 26.11.2021
10. Amazon Robotics.URL:https://www.amazonrobotics.com/ გადამოწმებულია 26.11.2021

# ინდუსტრიალიზაციის განვითარების ხედვები
# Visions for the development of industrialization

**გიორგი გარსევანიშვილი** - საჯარო მმართველობის დოქტორი
**Giorgi Garsevanishvili** - Doctor of Public Administration

**რეზიუმე:** ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ვითარება. დღეს, ქვეყანა განვითარების უაღრესად საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ცხოვრების დონე არასაკმარისი ტემპებით ვითარდება, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემა კვლავაც გადაუჭრელია. მიმდინარე პერიოდში არსებულ მრავალპრობლემურ გამოწვევათა შორის უმთავრესია ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ეკონომიკამ რეგრესი განიცადა. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე ხელისუფლების მიერ განხორციელებული რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მიუხდავად, სახელმწიფოს სოციალურ - პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პოლიტიკამ ვერ უზრუნველყო თანამედროვე გამოწვევებით გამოწვეული პრობლემების მოგვარება.

საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრებაა. ამისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი. ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ არის გააზრებული საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას სახელმწიფოს მსოფლიოს ქვყნებთან თანამეგობრობის დაახლოების გზაზე. იმ შემთხვევაში თუ საქართველოს ეკონომიკა კვლავ სატრანზიტო დერეფანის, ტურიზმის და ჩვენი თანამემამულეების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან გადმორიცხული თანხების „იმედად“ იქნება, არ განვითარდება მრეწველობა და ახალი ტექნოლოგიები, ქვეყანა კვლავ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის მარწუხებში იქნება მოქცეული. მიზანშეწონილადაა მიჩნეული, რომ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს საქართველოს ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს ეკონომიკა; ეკონომიკური უსაფრთხოება; ეკონომიკური სტრატეგია; ეკონომიკური პოლიტიკა; ევროინტეგრაცია; მრეწველობა; ახალი ტექნოლოგიები; ევროკავშირი; სახელმწიფო მართვა.

**Resume:** The paper discusses the current state of the economic situation in Georgia. Today, the country is at a highly responsible stage of development. The standard of living is developing at an insufficient pace, the problem of poverty and unemployment remains unresolved. Ensuring the country's economic security is one of the most problematic challenges in the current period.

After the restoration of state independence, the Georgian economy regressed. Despite a number of political and economic reforms implemented by the government over the past thirty years, the state's socio-political and economic policies have failed to address the challenges posed by modern challenges.

One of the main priorities of Georgia's foreign and national security policy is its membership in the North Atlantic Alliance and the European Union. For this, desire alone is not enough. Improving the high rate of economic growth is crucial for the security of the country. That is why the issues of Georgia's economic strategy are considered, which should be taken into account in bringing the state closer to the world community. If the Georgian economy continues to be depended on the transit corridor, tourism and funds transferred by our compatriots from around the world, industry and new technologies will not develop, the country will still be in the grip of a political and economic crisis. It would be considerate that the formation of Georgia's economic strategy should be carried out in this direction.

**Keywords:** Georgian Economy; Economic security; Economic strategy; Economic policy; European integration; Industry; new technologies; The European Union; State management.

**Reviewer:** Giorgi Baghaturia - Professor of Georgian Technical University.

**ძირითადი ტექსტი:** საქართველოში ეკონომიკის განვითარება რთულ პირობებში მიმდინარეობს. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 30 წლის შემდეგ, მოსახლეობის დიდი ნაწილი სახელმწიფოში განხორციელებული რიგი რეფორმების მიუხედავად უკმაყოფილოა. ვერ გაიზარდა მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლმა კვლავაც გადაუჭრელია. შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა შეამცირა შობადობა და გაიზარდა სიკვდილიანობა. ქვეყანა რეალურად დადგა ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის წინაშე.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკას რთული მრავადარგობრივი სტრუქტურა გააჩნდა. ქვეყანა მსოფლიოს სტანდარტებით საშუალოდ განვითრებულ ინდუსტრიულ - აგრარულ ქვეყნად ითვლებოდა. ქართული ჩაი, ციტრუსი, ღვინო და სამრეწველო ნაწარმი სოციალისტური ბაზრის მოთხოვნილებებზე იყო დამოკიდებული. აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ მე-20 საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში აბაშის რაიონში ჩატარებული ე.წ. ,,სამეურნეო ექსპერიმენტი“ ; 1988 წელი - რომელიც „პიკურად“ ითვლება საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში და ქუთაისის ავტომექანიკურ ქარხანაში გამოშვებული „კაზ 6083“ და „კაზ 717“ მოდელის ავტომანქანების, ზუგდიდის ცელულუზა - ქაღალდის კომბინატში შექმნილი ნაწარმის, გორის ბამბეული ქსოვილების კომბინატის მიერ წელიწადში 60 მილიონი მანეთის წარმოებული პროდუქციის მაგალითები.

1991 წლიდან დაიწყო დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობა. ცენტრალიზებულ მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლამ, ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა, ქვეყანაში გაჩაღებულმა სამოქალაქო დაპირისპირებებმა და კრიმინალური სამყაროს ბატონობამ მკვეთრად შეცვალა საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა. ამას დაემატა ცალკეული მოქალაქეებისა თუ ხელისუფლების მმართველ გუნდებთან დაახლოებული არასახელმწიფოებრივად მოაზროვნეების პირების მხრიდან, ქვეყანაში მრავალი სამრეწველო ობიექტის განადგურება და აგრარულ და ინდუსტრიულ სექტორებში ადგილობრივი მრავალმხრივი სანედლეულო ბაზის იგნორირება. დაეცა წარმოების მოცულობა, დაქვეითდა ცხოვრბის დონე და ეკონომიკა ვეღარ ვითარედებოდა. საქართველოში მთლიანი შიდა

პროდუქტის მოცულობა 90-იან წლებში დაახლოებით 60%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 80%-ით დაეცა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში ნაწილობრივ გამოსწორდა პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. 2012 წლიდან ქვეყანაში სიღარიბესთან და უმუშევრობასთან ბრძოლა იქნა გამოცხადებული, თუმცა ეროვნული ვალუტის გაუფასურება, უმუშევრობის დაბალი დონე, ადგილობრივი წარმოებისა და საექსპორტო პოტნციალის მქონე ნაწარმის წარმოებისადმი უყურადღებობამ საეჭვოდ გახადა ქვეყნის სწრაფი განვითარების შესაძლებლობა. 2016 წლიდან ხელისუფლების მხრიდან გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ეკონომიკური აქტიურობის ასამაღლებლად, მაგრამ ეს კონკრეტულად ბიზნესის სფეროს შეეხება, ნაკლებად ინდუსტრიალიზაციას, კერძოდ, განხორციელდა ბიზნესის ხელშემწყობი რამდენიმე პროგრამა: პროექტი ,,აწარმოე საქართველოში“; ,,თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან“; პროექტი ,,დანერგე მომავალი“; „აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა“.

დღეს, საქართველო საშუალოდ განვითრებული ქვეყნების რიგში დგას. ეკონომიკური ზრდის ტემპები შედარებით დამაკმაყოფილებელი. ეკონომიკის ექსპერტის ი.არჩვაძის შეფასებით საქართველო მშპ - ის ზრდის ტემპით გერმანიას სამჯერ უსწრებს, მაგრამ თუ ავიღებთ აბსოლუტურ მატებას მოსახლეობის ერთ სულზე, გერმანიაში ის სამჯერ სწრაფად იზრდება. ამ ტემპით გერმანიას 159 წლის შემდეგ დავეწევით. გარდა ამისა, იმ ქვეყნებში სადაც საქონლისა და მომსახურების დიდი რაოდენობა იწარმოება, ადამიანთა ცხოვრების დონე უფრო მაღალია; ხოლო სახელმწიფოში სადაც შრომა ნაკლებად მწარმოებლურია და მასიური უმუშევრობაა, ხალხი ღარიბია და სიღატაკეში ცხოვრობს. აქედან ნათლად ჩანს, რომ საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს ქვეყნების ცხოვრების დონეებს შორის უდიდესი გასხვავება სწორედ მოსახლეობის შემოსავლების შორის სხვაობითაა გამოწვეული.

ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება სახელმწიფოს ჩამოყალიბების თანმდები პრობლემაა. მას მრავალი საუკუნეების მანძილზე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თითოული ადამიანისთვის და თვით სახელმწიფოებისთვისაც. ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა. ზოგჯერ თუ იგი დაკავშირებული იყო ქვეყნის სამხედრო ძლიერებასთან, მისი მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო და მომავალშიც დარჩება ადამიანთა ცხოველმყოფელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პრობლემა. ეკონომიკის ექსპერტებისა და სწავლული ეკონომისტების შეფასებით, ქართული ეკონომიკისთვის თანმდებ მრავალ პრობლემასთან ერთად უპირველსია წარმოების არ ქონა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლება, სამუშაო ადგილების შექმნა, რაც წარმოების სექტორშია შესაძლებელი. დღეის მდგომარეობით საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს ინდუსტრია და ინვოვაციური ტექნოლოგიები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საქართველოს ახალი ტექნოლოგიების შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნილებებთან, ქართული ნაწარმის დაბალი კონკურენტუნარიანობა და წარმოების დაბალი დონე მსოფლიო ბაზარზე გასვლის შემაფერხებელი ფაქტორებია. აღნიშნულიდან გამომდინარე ცივილიზებულ მსოფლიოს ინტეგრაციის გზაზე ყველა აღნიშნული ინტერესებისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელება სახელმწიფოს ეფექტიანი ინსტიტუციონალური მოწყობით, კონკურენტუნარიანი ბიზნესის არსებობითა და ეკონომიკური ზრდის ტემპებით არის შესაძლბელი. ჩვენი აზრით, უმთავრესია ქვეყანაში განვითრდეს მრეწველობა და ახალი ტექნოლოგიები ანუ ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებმაც შექმნეს პოლიტიკურად სტაბილური და ეკონომიკურად მდიდარი მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები. აღნიშნული კონტექსტით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავასახელოდ საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი სოციალისტური სახელმწიფოები: ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია, ხორვატია, სლოვაკეთი. სწორედ, მათი ეკონომიკური კეთილდღეობის პროგრესს მრეწველობის დარგების განვითრება და სახელმწიფოების ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება განსაზღვრავს. საქართველოს გააჩნია ყველა რესურსი ანალოგიური გზით განავითაროს ეკონომიკა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ქვეყანაში არსებობდა მრეწველობის საკმაოდ განვითარებული საწარმოები, კერძოდ: თბილისის საავიაციო და

ელმავალშემკეთებელი ქარხნები; ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა; ზუგდიდს ცელულოზა - ქაღალდის კომბინატი; აგარის შაქრის სახდელი ქარხანა; გორის ბამბეულის საქასოვ - სართავი კომბინატი, ამავე ქალაქის ხილ - ბოსტნეულის საკონსერვო ქარხანა და 19 სხვადსხვა დასახელების სამრეწველო საწარმო, რომელებიც წელიწადში 74 მლნ მანეთზე მეტ ღირებულების ნაწარმს იძელოდა.

*ცხრილი # 1 დასაქმება უმუშევრობა*

| 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 | 2021 I | 2021 II | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამუშაო ძალა (აქტიური მოსახლეობა), ათასი კაცი | 1629.0 | 1675.6 | 1653.8 | 1641.4 | 1605.2 | 1572.8 | 1523.7 | 1447.2 | 1559.1 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1255.0 | 1308.5 | 1294.5 | 1286.9 | 1296.2 | 1295.9 | 1241.8 | 1129.7 | 1214.6 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 374.0 | 367.2 | 359.2 | 354.5 | 309.0 | 276.9 | 281.9 | 317.5 | 344.6 |
| უმუშევრობის დონე, პროცენტი | 23.0 | 21.9 | 21.7 | 21.6 | 19.2 | 17.6 | 18.5 | 21.9 | 22.1 |

წარმოებას ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის. მისი ეფექტიანი ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა, მეტი სამუშაო დგილის შექმნა, მოსახლეობის კეთილდღეობა და ეკონომიკური უსაფრთხოება. წლების წინ მუსირებდა საყოველთაოდ აღიარებული სლოგანი ,,მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, რომელსაც თავისი აქტუალურობით დღესაც არ დაუკარგავს ეკონომიკური დატვირთვა. საქართველოს ეკონომიკის განვითრებისათვის, როგორც სხვა ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის ხვედრითი წილის ზრდას ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში. საბჭოეთის პერიოდში მრეწველობის დარგებში  დასაქმებული იყო მოსახლეობის 38-40%. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებელი განვითარების ამ წლების მონაკვეთში საქართველო საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყანაა, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 4 274.6 აშშ დოლარს შეადგენს (საქსტატი, 2020). გატარებული რეფორმებისა და ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველო კვლავ დგას ეკონომიკური გამოწვევების, მათ შორის სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის აუცილებლობის წინაშე. 2020 წლის მონაცემებით, უმუშევრობის დონე 18,5

პროცენტია (საქსტატი, 2020), ხოლო ზოგიერთ რეგიონში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

*გრაფიკული გამოსახულება #1 - უმსხვილესი საექსპორტო საქონლის წილი მთლიან ექსპორტში 2021 წლის იანვარ - ივლისი*




მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 2006 – 2016 წლებში სიღარიბის დონე 35-დან 17.1 პროცენტამდე დაეცა. ამავდროულად შემცირდა უთანასწორობის მაჩვენებელიც, რაც კეთილდღეობის ზრდის ტენდენციაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკამ ვერ შესძლო სამუშაო ადგილების საკმარისი რაოდენობის უზრუნველყოფა და უმუშევრობის შემცირება. ეკონომიკური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად აუცილებელია სისტემური რეფორმების გატარება წარმოებაში, განათლებასა და სოფლის მეურნეობაში. ასევე საჭიროა ეკონომიკური შესაძლებლობების, განათლების ხარისხისა და გადამზადების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, კერძო სექტორი და მოქალაქეები, ჩართულია მდგრადი განვითარების პროცესში. განსაკუთრებით საყურადღებოა წარმოების მოცულობების და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა. ასევე მნიშვნელოვანია საექსპორტო საქონლის გაფართოვება. ამ ეტაპზე ექსპორტის ძირითადი ნაწილის რამდენიმე დასახელების საქონელზე მოდის, მათ შორის კი 10,9 % (საქსტატი 2021 ) მონაცემებით მსუბუქი ავტომობილებია რაც რეალურად რეექსპორტია.

საქართველოში მეწარმეობის ისტორია პალეოლითის, ანუ ,,ძველი ქვის“ ხანიდან იწყება. ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნიდან კი საქართველოს ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ბერძნებთან. ამასთანავე, საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით. მსოფლიოში რამდენიმე ქვეყანას თუ გააჩნია მსგავსი რესურსების მრავალფერვენება როგორც ჩვენ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალების და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მონაცემებით საქართველოს ძირითადი ბუნებრივი რესურსების სახეობა ასეთია: **1. სათბობ - ენერგეტიკული რესურსები -** მისი კომპლექსი ემყარება ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვაანხშირის, ტორფის და მდინარეების ენერგიის გამოყენებას. ნავთობი - 13 მლნ ტ ( სავარუდო 580 მლნ ტ ); ბუნებრივი აირი - 1.8 მლრდ მ - კუბი; ქვანახშირი - 485 მლნ ტ ( სავარაუდო - 700 მლნ ტ ); ტორფი - 100 მლნ მ - კუბი; **2. შავი, ფერადი და იშვიათი მეტალები** - მანგანუმი - 61 მლნ ტ; რკინა - 120 მლნ ტ; სპილენწი - 200 მლნ ტ; თუთია - 100 მლნ ტ; დარიშხანი - 75 000 ტ; სტიბიუმი - 48 000 ტ; ვერცხლისწყალი - 8 000 ტ; ტიტანი - 4 მლნ ტ; ოქრო 106 ტ ( პროგნოზი 1. 200 ტ); **3. სასმელი წყალი -** მოძიებული რესურსი 573 მ - კუბი წმ-ში; საექსპლუატაციო რესურსი - 800 მ - კუბი დღე-ღამეში; საექსპორტო რესურსი 400 – 450 000 ლირტი დღე -ღამეში. აქვე დავამატებთ, რომ ექსპერტთა შეფაებით მტკნარ, დასალევ წყალზე მსოფლიოში მოთხოვნა სულ უფრო იზრდება და მაღალი საექსპორტო პოტენციალი სწორედ ჩვენს წლის რესურსს გააჩნია. რაც შეეხება მინერალურ წყალს, მისი მოძიებული რესურსი დღე-ღამეში 1300 მ - კუბს შეადგენს; საექსპლუატაციო რესურსი - 800 მ - კუბი დღე-ღამეში, საექსპორტო კი - 400 – 450 000 ლიტრია დღე - ღამეში; **4. ფართო პროფილის კურორტები -** ფუნქციონირებს 102 მსგავსი კურორტი და 200-ზე მეტი საკურორტო ლოკაცია. არსებობს ბალნეოლოგიური, სარეაბილიტაციო - გამაჯანსაღებელი, პროფილაქტიკური და კლიმატური ტიპები. ამას, 2019 წლის 20 დეკემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პროგრამას ,,აწარმოე საქართველოში“ ახალი მიმართულებები - საზღვაო - ბალნეოლოგიური კურორტების კომპონენტი და თემატური პარკების, ეთნოსოფლების და სათავგადასავლო ტურიზმის სერვისები დაემატა; **5. ჰიდროენერგეტიკა და არატრადიციული ენერეგეტიკა -** პირველის პოტენციალი შეადგენს 100 – 110 მლრდ კვტ. სთ. წელიწადში, ხოლო მეორეს ჯამური პოტენციალი - 25 – 30 მლრდ კვტ. სთ. წელიწადში; **6. ქიმიური,**

**აგროქიმიური კერამიკული რესურსები -** საქართველოში ქიმიური მრეწველობა წარმოდგენილია მინერალური სასუქების, ქიმიური ბოჭკოების, ლაქსაღებავების, პლასმასების წარმოებით. ბარიტი - 8 მლნ ტ; ცეოლიტი - 21 მლნ ტ; ანდეზიტი - 22 მლნ ტ; ბენტონიტური თიხა - 134 მლნ ტ; თაბაშირი - 70 მლნ ტ; კერამიკული თიხა - 73 მლნ ტ; ამსთან 2019 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა განაცხადა, რომ კერამიკული საშენი მასალების განვითრება ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც მთავრობის გადაწყვეტილებით პროგრამის ,,აწარმოე საქართველოში" ფარგლებში პრიორიტეტულ დარგად დასახელდა და განხორციელდება მისი სრული დაფინანსება; **7. მეტალურგიური, ინერტული და სამშენებლო რესურსები -** საქართველო უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო ფოლადის დამზადებით. დღეს ქვეყნის მეტალურგია ორი საწარმოო კომპლექსით - რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნებითაა წარმოდგენილი. სულ 363 საბადოა, რომლის ჯამური რესურსი - 3 მლრდ მ -კუბია. მათგან აღსანიშნავია - ვულკანური შლაკი 360 მ - კუბი, ცეცხლგამძლე თიხა - 113 მლნ მ- კუბი, ქვიშა - ღორღის 760 მლნ მ - კუბი, ამ მხრივ უდიდესია გორის სიახლოვესთან მდებარე მდინარე ლიახვის ქვიშისა და ღორღის საბადოები; **8. სამშენებლო, მოსაპირკეთებელი ქვები, მერქანი, საშენ - მასალათა წარმოება -** საშენ - მასალათა წარმოება, როგრც რკინის ინდუსტრია, ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციული დარგია. მისი პოტენციალი 1.5 მლრდ მ - კუბია, მათგან მნიშვნელოვანია კირქვა - 300 მლნ მ - კუბი, ტუფი - 145 მლნ მ -კუბი, მარმარილო - 150 მლნ მ - კუბი, გრანიტი - 42 მლნ მ - კუბი, რაც შეეხება ხის წარმოებას, მთლიანი რესურსი 460 მლნ მ - კუბია, საექსპორტო პოტენციალი - 2 მლნ მ- კუბი მზა პროდუქციის სახით; **9. გეოთერმული რესურსები -** დღე - ღამეში დადგენილია 160 000 მ - კუბი, საპროგნოზო კი 9 000 მ - კუბია ასევე დღე - ღამეში; **10. ძვირფასი ლითონები** - ოქრო და ვერცხლი 100 – 120 ტ -მდეა. ოქრო უკვე მოპოვებულია მადნეულის საბადოზე. რაჭაში კი - კვარძახეთის მადანგამოვლინებაზე ვერცხლის შემცველობა 160 გრამამდე ადის ტონა ქანზე. მაშინ, როდესაც საერთაშორისო სტანდარტებით ტონაზე 20 გრამის შემცველობის შემთხვევაში უკვე იწყება საბადოს ექსპლუატაცია; **11. ტყის მასივი -** 2020 წლის პირველი იანვრის მონაცემებით, საქართველოს ტყის ფონდის საერთო ფართობი 3007, 6 000 ჰექტარს შეადგენს, ანუ ქვეყნის ტერიტორიის 43.2%.

ქვეყნის ტყეები მდიდარია მრავასახოვანი ხის ჯიშებით. მრავალი მათგანი გამოიყენება, როგორც საშენ - მასალათა წარმოებაში ისე სხვა დარგებში ; **12. კვების მრეწველობა** - მისი განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს სასოფლო - სამეურნეო ნედლეულის წარმოების მოცულობა. ქვეყნის ტრადიციული და საპასუხისმგელო დარგია მეღვინეობა, რომელსაც 8 000 წლოვანი ისტორია აქვს. მათთან ერთად ასევე აღსანიშნავია საკონსერვო მრეწველობა, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული რგოლი; და ბოლოს საქართველოს უმთავრეს რესურსად **მიწა ითვლება.** მიწის რესურესბის რაციონალურ მართვაზეა დამოკიდებული ეკონომიკური განვითარების ტემპები, ეროვნული ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება და ქვეყნის უსაფრთხოება.

მისასალმებელი ფაქტია ისიც, რომ გასული წლის 8 ივნისს ტელეკომპანიაში ,,პალიტრანიუსი" ინტერვიუს დროს ქვეყნის თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა გააკეთა საჯარო განცხადება ,,თბილავიამშენის" ბაზაზე „სუ - 25" ის მოდელის თვითმფრინავების გამოშვების პერსპექტივისა და ნატოს სტანდარტებთან შესაბამისი ყუბარმტყორცნების, ყუმბარებისა და რაკეტების წარმოების ინიციატივაზე. ინდუსტრია მიმართული იქნებოდა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების და კომერციული მოტივაციის თაობაზე.

ასევე აღსანიშნავია, რომ სს „თბილავიამშენის" ტერიტორიაზე საფრენი აპარატების ახალი საამწყობრო საწარმოს შენობა გაიხსნა, სადაც თავდაცვის ძალების კუთვნილი საფრენი აპარატები, ქართველი სპეციალისტების მიერ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სრულად აღდგება და გარემონტდება. 3000 მ2-ზე განლაგებული საწარმო სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის" და სსსტც „დელტას" მიერ თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, საქართველოს თავდაცვის ძალებისა და სხვა ქვეყნის საჰაერო ძალების სხვადასხვა ტიპის საფრენი აპარატები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გარემონტდება.

საქართველოს საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მისი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირში გაწევრებაა. ამისთვის მხოლოდ სურვილი არ არის საკმარისი.

ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის გაუმჯობესება. დღეს აღნიშნულის შემცირება საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის მთავარი გამოწვევაა. იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის ეკონომიკა კვლავ ტურიზმის, სატრანზიტო დერეფანისა და უცხოეთში სამუშაოდ გადახვეწილი ჩვენი თანამემამულეების მიერ გადმორიცხული თანხების „იმედად“ იქნება, არ განვითარება ინდუსტრია და ახალი ტექნოლოგიები, საქართველო კვლავ ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნების რიგებში აღმოჩნდება. ამასთნავე, წელიწადნახევრის მანძილზე კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა რადიკალურად შეცვალა მსოფლიო და ნათლად წარმოაჩინა თითოეული სახელმწიფოს, მ.შ საქართველოს შესაძლებლობები. ანალიტიკოსების შეფასებით კრიზისი გაღრმავდება და მნიშვნელოვან ცვლილებებსაც უნდა ველოდოთ. აღნიშნულიდან გამომდინარე დღის წესრიგში დგება ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ახლებური ხედვების ინიცირება. ამისთვის, ხელისუფლება უნდა უზრუნველყოს თვითკმარის სისტემის შესაქმნელად აგრარულ და გადამამუშავებელ სექტორებში ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა.

ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემებზე მუშაობისას შესწავლილი იქნა საზღვარგარეთისა და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა, მისი განვითარების პერსპექტივები, პრიორიტეტული მიმართულებები, ეკონომიკური ზრდის წინაპირობები, სახელმწიფო მართვის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე. ჩატარდა მრავალმხრივი თეორიული და ემპირიული კვლევა, გაანალიზდა წამყვან მეცნიერთა, ბიზნესმენთა, პოლიტიკოსთა, სხვადასხვა სპეციალისტთა მოსაზრებები, საქართველოს მსგავსი ყოფილი სოციალისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყნების განვითარების მაგალითები. თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით განხორციელებული და ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების ანალიზით დასტურდება საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, პერსპექტიულ გეგმებში პრიორიტეტულად გათვალისწინებული ძირითადად ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ინდუსტრიული განვითარების ხელშეწყობა, როგოც მრეწველობაში ისე სოფლის მეურნეობის სექტორში.

მიმდინარე წლის 25 ივნისს საქართველოს პრემიერ - მინისტრმა ი. ღარიბაშვილმა პარლამენტში წარადგინა 151 გვერდიანი მოხსენება ქვეყნის მომავალი ათი წლით განვითარების შესახებ. მთავარი აქცენტი გაკეთებულია ოთხ ძირითად პრიორიტეტულ მიმდინარეობაზე - ადამიანის უფლებების დაცვა, უსაფრთხოება, საგარეო ურთიერთობების მიმართულებით და ეკონომიკურ ნაწილში - კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული შედეგების პრევენციაზე. მთავრობის მეთაურის განცხადებით, მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, სახელმწიფო შეიმუშავებს სათანადო მექანიზმებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. პროექტში „აწარმოე საქართველოში“ რიგი საწარმოები დაფინანსდება და სექტორში 2030 წლისთვის 10 000 ადამიანი იქნება დასაქმებული. მისივე განცხადებით ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობის, როგორც მწარმოებლურობის, ასევე კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის ხელი შეეწყობა სასოფლო - სამეურნეო ნაწარმის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა აღინიშნოს, ი. ღარიბაშვილმა უკვე პრემიერის რანგში ყურადღება გაამახვილა სამხედრო მრეწველობის განვითარებაზე, განსხვავებით სამოქალაქო მრეწველობისაგან და კვლავ დაანონსა „დელტას“ ბაზაზე ამერიკელ პარტნიორებთან ერთად საფრენი აპარატების დამზადებისა და სხვადასხვა დასახელების სამხედრო დანიშნულების საბრძოლო მასალის წარმოების თაობაზე. საქართველოში ინდუსტრიალიზაციის აღდგენა - განვითარების შესახებ ხელისუფლების მხრიდან მოტივაცია კვლავაც მიზერული რჩება, რაც სამწუხაროა. მიმდინარე პერიოდშიც სახელმწიფო სათანადოდ ვერ აცნობიერებს მრეწველობის განვითარების აუცილებლობას. სტრატეგიული ეკონომიკური დარგების არაპროპორციულად განვითარების შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება აქტივობების ზრდის სტიმულირება და ეკონომიკური უსაფრთოების უზრუნველყოფა.

## დასკვნა

1. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის, ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება.

2. საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, სადაც ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სამრეწველო პოტენციალის აღდენა მიიჩნევა და დასახელებული იქნება, როგორც ადრე არსებული, ზემოთ დასახელებული ისე ახალი სამრეწველო საწარმოები. იმავდროულად გასათვალისწინებელია ნავსადგურების მშენებლობის საკითხიც. მათ შორის ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობა. ამჟამად, მას არ გააჩნია მკვეთრად გამოკვეთილი ეკონომიკური მომგებიანობის დასაბუთება, მაგრამ ამ უზარმაზარ პროექტს აქვს დიდი სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური და სტარტეგიული შესაძლებლობები.
3. საქართველოს საჯარო მართვის სათანადო უწყებებმა, მიმდინარე პერიოდში უზრუნველყონ ისეთი საწარმოების მშენებლობის დაფინანსება, რომლებიც გასაკუთრებულ როლს ასრულებენ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციის - ქიმიურ - ფარმაცევტული, მსუბუქი მრეწველობისა და საყოფაცხოვრებო მოხმარების ნაწარმის წამოების უზრუნველყოფაში. აღნიშნული კი გახდება მთავარი მიზეზი მოსახლეობის დასაქმების, უმუშევრობის შემცირების, სიღარიბის დაძლევის და სახელმწიფოს შემოსავლების გახრდის მიმართულებით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
3. გარსევანიშვილი გ. ,,ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს სახელმწიფო მართვის სისტემაში“, სადისერტაციო ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბილის 2020წ, გვ 121
4. ბაღათურია გ. ,,შეფარდებითი უპირატესობის კონცეფცია და საქართველოს მომავალი“. http.//for.ge//view.php?forid=49393&cat=1
5. აბრალავა ა. ,,ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია“. თბილისი 2005 წ, გვ 380

6. ოთინაშვილი რ. ,,ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები“. თბილისი 2005 წ, სტუ, გვ 440
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 3, თბილისი 1986 წ
8. ეჯიბაძე ო. ,,მართვა“. თბილისი 2010 წ, გვ 512
9. ჟურნალი ,,სოციალური ეკონომიკა, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები“ N1-31 2014 წ
10. არჩვაძე. ი ,,არსებობს თუ არა ფორმულა საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის“. https:/www.bpn.ge/article/61570 – arsebobs-tu-ara-pormula-sakartvelos—scrapi—ekonomikuri-ganvitarebistvis.
11. თალაკვაძე გ. ,,მთავრობის მიერ განსახორციელებელი რეფომრები“ სტატია. სტუ - ის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი.
12. თურნავა ნ. ,,ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისწროს ინფორმაცია“. https:/www.interpressenems.ge/ka/article1569375-natia-turnava-inprastrukturuli-proektebi.
13. გულბანი შ. ,,ქართული ეკონომიკის 5 ძირითადი პრობლემა“. https:/www.bpn.ge/article/65038-kartuli-ekonomikis-5-ziritadi-problema.
14. ხუხაშვილი გ. ,,ეკონომიკის ტრანსფორმაცია პანდემიის გაკვეთილებით“. კვირის პალიტრა. 26.04.20
15. ქისტაური ნ. მელაშვილი მ, ქველიძე ქ, ,,ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები“ https:/www.researcher.net/rullication/330637847-ekonomikuri-usaprtxoeba-da-masze-mokmedi-paktorebi.
16. მღებრიშვილი ვ. „თბილავიამშენის“ ტერიტორიაზე საფრენი აპარატების შემკეთებელი საწარმო გაიხსნაhttps://bm.ge/ka/article/tbilaviamshenis-teritoriaze-safreni-aparatebis-shemketebeli-sawarmo-gaixsna/66248. 2020
17. https://www.geostat.ge

# რონალდ ინგლჰარტის დიაგრამის მნიშვნელობის შესახებ
# On the significance of Ronald Inglhart's diagram

**დავით ჩახვაშვილი** - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**Davit Chakhvashvili** - Georgian National University
davit.chakhvashvili@seu.edu.ge

**აბსტრაქტი:** რონალდ ინგლეჰარტის დიაგრამა აჩვენებს ცვლილებებს ადამიანების მსოფლმხედველობაში. სოციოლოგები იკვლევენ მოსახლეობის ყველა სეგმენტის წარმომადგენლებს სტანდარტიზებული კითხვარების გამოყენებით, რომლებიც ზომავენ რელიგიურობას, გენდერულ ურთიერთობს, სამუშაო მოტივაციას, დემოკრატიას, ძალაუფლებას, სოციალურ კაპიტალს, პოლიტიკურ აქტივობას, ტოლერანტობას, გარემოს დაცვას და კეთილდღეობის სუბიექტურ დამოკიდებულებას. სოციოლოგთა ჯგუფები აანალიზებს ამ ღირებულებების ცვლილების გავლენას ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, მოქალაქეთა ცხოვრების ხარისხზე და დემოკრატიაზე. კვლევის ავტორთა აზრით, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების შესახებ შეხედულებები გადამწყვეტ როლს თამაშობს მის ეკონომიკურ განვითარებაში, დემოკრატიული ინსტიტუტების წარმოქმნასა და ფუნქციონირებაში, მოქმედებს გენდერული თანასწორობის ხარისხზე და ასევე გავლენას ახდენს მმართველობის ეფექტურობაზე. კვლევები ტარდება სხვადასხვა რეჟიმების მქონე ქვეყნებში (ავტორიტარულიდან დემოკრატიულამდე), ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე (როგორც ღარიბი, ასევე ძალიან მდიდარი). ამ მონაცემებზე დაყრდნობით, სოციოლოგებმა მოამზადეს ათასობით სამეცნიერო და პოპულარული სტატია, რომლებიც, ისეთ ავტორიტეტულ გამოცემებში იბეჭდება, როგორიცაა Time, Newsweek, The New York Times, The Economist, The World Development Report, ასევე Human Development Report. გაეროს სპეციალისტების მიერ მომზადებული. World Values Survey მონაცემები უფასოა ხელმისაწვდომი WVS ვებსაიტზე (www.worldvaluessurvey.org); მათ სწავლობენ მსოფლიოს სოციოლოგები, ასევე ჟურნალისტები, პოლიტიკოსები და ყველა, ვინც დაინტერესებულია მსოფლიო საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებით.

**Abstract:** Ronald Inglehart's diagram shows changes in the worldview of people. Sociologists study people from all walks of life using standardized questionnaires that measure religiosity, gender, work motivation, democracy, power, social capital, political activism, tolerance, environmental protection, and subjective dependence on well-being. Sociological groups analyze the impact of changes in these values on the economic development of countries, the quality of life of citizens and democracy. According to the authors of the study, the views on the life of the country's population play a decisive role in its economic development, the formation and functioning of democratic institutions, affect the degree of gender equality, and also affect the effectiveness of governance. Research is carried out in countries with different regimes (from authoritarian to democratic), at different stages of economic development (both poor and very rich). Based on this data, sociologists have prepared thousands of scientific and popular articles that are published in authoritative publications such as Time, Newsweek, The New York Times, The Economist, The World Development Report and Human Development Report. Prepared by UN specialists. World Values Survey data is available free of charge on the WVS website (www.worldvaluessurvey.org); They are studied by sociologists around the world, as well as journalists, politicians and everyone who is interested in the ongoing changes in the world community.

გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ამერიკელმა სოციოლოგმა რონალდ ინგლჰარტმა (Ronald F. Inglehart - მიჩიგანის უნივერსიტეტი) შეიმუშავა პოსტ-მატერიალიზმის სოციოლოგიური თეორია, რომელშიც მან სამეცნიერო წრეებს საზოგადოების ღირებულებების ცვლილებების შესწავლის ახალი მიდგომები შესთავაზა. კვლევებში მოცემული იყო ძირითადი ინდიკატორები რომელთა მეშვეობით განისაზღვრებოდა თუ როგორ იცვლებოდა თაობიდან თაობაში საზოგადოების ძირითადი ფასეულობები და ღირებულებები. მკვლევარმა ამ მიდგომის ვიზუალიზაცია ე.წ. ინგლჰარტის დიაგრამის მეშვეობით შემოგვთავაზა.

რონალდ ინგლჰარტის სამეცნიერო ნაშრომი ეფუძნებოდა თეზისს, რომ მატერიალისტურიდან პოსტმატერიალისტურ ღირებულებებზე გადასვლა მე-20 საუკუნის მიწურულის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებას წარმოადგენს. კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება

დაეთმო, საზოგადოების განვითარებაში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ათროპოლოგიური და სხვა ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულებას.

მონოგრაფია „კულტურული ევოლუცია: ადამიანის მოტივაცია ცვლის და გარდაქმნის სამყაროს“ (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 2018) არის რონალდ ინგლჰარტის წინა წიგნებში გამოქვეყნებული დასკვნებისა და თეორიების განახლება. კულტურული ევოლუციის თეორია ამტკიცებს, რომ ადამიანების ღირებულებები/ქცევა დამოკიდებულია თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების ხარისხზე. ამ წიგნში ინგლჰარტი წარმოგიდგენთ იმას, რასაც ის უწოდებს "ევოლუციური მოდერნიზაციის თეორიას" და აღწერს, თუ როგორ განვითარდა სოციალური ღირებულებები და ადამიანური პრიორიტეტები ისტორიაში გაზრდილი ეგზისტენციალური უსაფრთხოების შედეგად. პრეზენტაცია ეფუძნება მსოფლიო ღირებულებების კვლევის ასზე მეტი ქვეყნის გრძივი კვლევის მონაცემებს, რომლებიც შედგენილია შვიდ ნაწილად 1981 წლიდან 2020 წლამდე. ევოლუციური მოდერნიზაციის თეორია აცხადებს, რომ ეკონომიკური და ფიზიკური არასტაბილურობა იწვევს ავტორიტარულ რეფლექსს, რომელიც იწვევს ქსენოფობიას, ძლიერ შიდაჯგუფურ სოლიდარობას, ავტორიტარულ პოლიტიკას და ტრადიციული კულტურული ნორმების მკაცრ დაცვას. თვითგადარჩენის ინსტიქტი, ადამიანისთვის რომელიც საფრთხის ქვეშ იყო მთელი ისტორიის მანძილზე და განაპირობებდა ჯგუფურ სოლიდარობას, აუტსაიდერთა უარყოფას და ძლიერი ლიდერებისადმი მორჩილებას. პირიქით, ეგზისტენციალური უსაფრთხოების მაღალი დონე ხელს უწყობს ცვლილებების, მრავალფეროვნებისა და ახალი იდეებისადმი ღიაობას. მოდერნიზაციამ და ეკონომიკურმა განვითარებამ შექმნა უსაფრთხოების გარკვეული ხარისხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბევრ ქვეყანაში, სადაც ხალხმა თვითგადარჩენა თავისთავადად მიიჩნია და ჩათვალა რომ ეს მშვიდობიან საზოგადოებაში საბაზისო მოცემულობაა. ომისშემდგომი ეპოქის კეთილდღეობამ და ეგზისტენციალურმა უსაფრთხოებამ გამოიწვია კულტურული ცვლილებები, ეკოლოგიურობა და დემოკრატიის გავრცელება, ავტორიტარიზმის დაქვეითება და პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების ზრდა: ეგალიტარული ნორმები, სეკულარიზაცია, ტოლერანტობა უცხოელთა მიმართ, გენდერული თანასწორობა და

ტოლერანტობა განქორწინების, სექსუალური უმცირესობებისა და აბორტის მიმართ. არჩევანის თავისუფლება და პიროვნების განვითარების თავისუყფლება პოსტ-მატერიალისტურ საზოგადოებებში ასევე იწვევს ბედნიერების ზრდას. რონალდ ინგლჰარტი ხედავდა კავშირს ავტორიტარიზმის, პოლიტიკური პოპულიზმის, დემოკრატიის შესუსტებასა და ეკონომიკური უსაფრთხოების დაქვეითებას, უმუშევრობის ზრდასა და მზარდ ეკონომიკურ უთანასწორობას შორის.




კულტურული ორიენტაციების რუკა, რომელიც შედგენილია სოციოლოგების რონალდ ინგლეჰარტის, კრისტიან ველზელის და მათი თანაავტორების კვლევის საფუძველზე მეტად საინტერესო ფენომენია. მკვლევარებმა შეისწავლეს, თუ როგორ მოქმედებს ადამიანების ღირებულებების შეცვლა ეკონომიკურ განვითარებაზე, დემოკრატიის დამკვიდრებაზე და მოქალაქეების ცხოვრების ხარისხზე მთელს მსოფლიოში.

რუკაზე ნაჩვენებია კოორდინატთა სისტემა. ჰორიზონტალური ღერძი აჩვენებს თვითგადარჩენის მნიშვნელობებს და თვითგამოხატვის მნიშვნელობებს. თვითგადარჩენის ღირებულებები მოიცავს მატერიალურ სიმდიდრეს, უსაფრთხოებას, თავმდაბლობას, ადამიანის უფლებების დაბალ შეფასებას, ქსენოფობიას. თვითგამოხატვის ღირებულებები - ადამიანის უფლებების მაღალი შეფასება, წარმატებისა და მატერიალური სიმდიდრის სურვილი, ყურადღება ეკონომიკაზე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე.

ვერტიკალური ღერძი აჩვენებს დამოკიდებულებას ტრადიციულ ფასეულობების და სეკულარულ-რაციონალურ მნიშვნელობებთან. ტრადიციული ღირებულებები მოიცავს ოჯახს, რელიგიას, სოციალურ კონფორმიზმს, ძალაუფლების მიღებას, აქ საზოგადოება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადი ინტერესები. პოლიტიკურის მიხედვით - რელიგიის დაბალი როლი, სეკულარული სახელმწიფოს უპირატესობა, პიროვნული უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე საჯარო.

რუკაზე თითოეული ქვეყანა წარმოდგენილია წერტილით. აღქმის გასაადვილებლად, ინგლჰარტმა და ველცელმა გააერთიანეს ქვეყნები ჯგუფებად, რომლებიც გამოირჩევიან კულტურით ან გეოგრაფიით. რათქმაუნდა უნდა გვესმოდეთ, რომ ქვეყნების დაყოფა პირობითია: ეს მხოლოდ ზოგად ტენდენციაზე მიუთითებს და არანაირი განსაკუთრებული დატვირთვა არა აქვს.

რატომ გახდა ეს რუკა საინტერესო მეცნიერებისთვის? სტატიაში ნაჩვენები კულტურული ორიენტაციის რუკა შედგენილია 2021 წელს და ეკუთვნის კვლევის მეშვიდე ნაწილს World Values Survey პროექტისგან. 1980-იანი წლების დასაწყისიდან მას ხელმძღვანელობდა რონალდ ინგლჰარტი, შეიძლება ითქვას ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ციტირებული სოციალოგი. პროექტის მთავარი შინაარსია დროთა განმავლობაში სხვადასხვა საზოგადოებაში ღირებულების ცვლილებების თვალყურის დევნება.

World Values Survey-ის გამოკითხვები და ინტერვიუები ტარდება ხუთწლიანი შუალედის საფუძველზე. კვლევაში მონაწილეობენ

მოსახლეობის ყველა სეგმენტის ადამიანები სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმის მქონე ქვეყნებიდან.

ინგლჰარტმა და მისმა თანაავტორებმა შეადგინეს კითხვარი ქვეყნის მმართველობის სისტემის, საკუთარი კეთილდღეობის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, პოლიტიკური მონაწილეობის, გარემოს დაცვისა და სხვა თემების შესახებ.

გამოკითხვების შედეგად სოციოლოგებმა მიიღეს საშუალო შეფასებები იმ ღირებულებების შესახებ, რომლებსაც მოსახლეობა იცავს სხვადასხვა ქვეყანაში. პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.worldvaluessurvey.org) შეგიძლიათ იპოვოთ ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია მეთოდოლოგიის შესახებ და სურვილის შემთხვევაში, გადახედოთ კვლევის მონაცემებს.

კულტურული ორიენტაციების რუკამ აჩვენა, რომ მსოფლიოში არის გადანაცვლება სოციალური კონფორმიზმიდან და ავტორიტეტებისადმი აღფრთოვანებიდან თვითშემეცნებისა და სამოქალაქო აქტივობის იდეებისკენ. ეს ტენდენცია იწვევს გადასვლას უფრო დიდი დემოკრატიისაკენ. ადამიანები იწყებენ უფრო ტოლერანტული ცხოვრების, ნაკლებად ექვემდებარებიან სხვადასხვა იერარქიის ავტორიტეტს, მათ შორის პოლიტიკურ, კლანურ და რელიგიურს.

ინგლჰარტმა და მისმა გუნდმა აჩვენეს, რომ საზოგადოების ღირებულებითი ღერძი გარდაიქმნება, მაშინაც კი, თუ ინდივიდების დამოკიდებულებები სულ ოდნავ იცვლება: ცვლილება ხდება, როდესაც ახალი თაობა ცვლის ძველს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ემპირიული შედეგები დაემატოს დიდ სურათს, რომლის გაგებაც შესაძლებელია მარტივი, მაგრამ ელეგანტური თეორიით - ღირებულების ცვლის თეორიით. იგი ვარაუდობს, რომ დასავლური საზოგადოებების ცხოვრების წესი შეიცვალა XX - XXI საუკუნის დასაწყისში მათი კეთილდღეობის ზრდით. თეორია ასევე მიუთითებს ცხოვრების დონის მნიშვნელობაზე ღირებულებითი ორიენტაციების ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციისათვის. ინგლჰარტი ამას დეტალურად განიხილავს ე.წ.

საზოგადოების პოსტმოდერნულობაში: ანუ ღირებულებების შეცვლა უდრის საზოგადოებების შეცვლა.

რონალდ ინგლჰარტის პროექტი არ არის გამორჩეული და არც კრიტიკისგან დაზღვეული. ერთ-ერთი ალტერნატიული მოსაზრება ამბობს, რომ არსებობს საპირისპირო გავლენა: მაგალითად არსებობს მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც ასაბუთებს რომ ჯერ ქვეყნები ხდებიან დემოკრატიული, შემდეგ ხდება ღირებულებების ცვლილება. მიუხედავად ამისა, ინგლჰარტის რუკა შთამბეჭდავი მცდელობაა, ნათელი მოჰფინოს ადამიანთა საზოგადოებების ცხოვრების იდუმალ მხარეებს.

თეორიის საფუძვლიანი შესწავლი შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ რომ ღირებულებითი ორიენტაციის რუკა გვიჩვენებს თანამედროვე საზოგადოებების ე.წ. ღირებულებითი საფუძვლებს. თუმცა, როცა საქართველოზე და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე ვსაუბრობთ, კვლევის შედეგები დიდი სიფრთხილით უნდა იქნას გამოყენებული: ასეთი ქვეყნების მოსახლეობა შინაგანად ჰეტეროგენულია, შეუძლებელია მისი წარმოდგენა კოორდინატულ სისტემაში ერთ წერტილად სერიოზული დამახინჯების გარეშე.

რუკაზე ვხედავთ, როგორ ჯგუფდებიან ერთმანეთთან ქვეყნები. აქ შეიძლება გაჩნდეს ვარაუდები იმის შესახებ, თუ რომელი ისტორიული და კულტურული გარემოებები იწვევს მოცემულ რუკაზე ქვეყნის კონკრეტულ პოზიცირებას, გარდა რათქმაუნდა ეკონომიკური კეთილდღეობისა, რომლის უზარმაზარ როლსაც ხაზს უსვამს ინგლჰარტი.

თუ ცხოვრების სტანდარტები გავლენას ახდენს ღირებულებებზე ისე ძლიერად, როგორც ინგლჰარტის თეორია გვთავაზობს, მაშინ დასავლეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის კულტურული განსხვავებები შეიძლება ნაკლებად დრამატული იყოს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ინგლჰარტის რუკითა და თეორიით შეიარაღებული, შესაძლებელია ჩვენი დროის მრავალი მოვლენისა და პროცესის გონივრული ინტერპრეტაციის მიცემა - ოჯახის ინსტიტუტის გარდაქმნებიდან დემოკრატიის ბედამდე. ჩვენ უნდა გახსოვდეს, რომ ერთი, თუნდაც საკმაოდ მოქნილი თეორიით ვერ ავხსნით ისეთ რთულ სამყაროს რომელშიც გვიწევს ცხოვრება.

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:


1. Bailey, Ronald (31 May 2011). "Does Disease Cause Autocracy?". Reason. Retrieved 22 June 2011.
2. Sacred and Secular: Religion and Politics Worldwide, Cambridge University Press, 2004 (co-authored with Pippa Norris).
3. (with Wayne Baker) «Modernization, Cultural Change and the Persistence of Traditional Values.» American Sociological Review (англ.)рус.. (February, 2000).
4. "Honorary Doctors of the Faculty of Theology - Uppsala University, Sweden". www.uu.se (in Swedish). Retrieved 2017-02-17.
5. Inglehart, Ronald (March 2018). "Cultural Evolution". [Cambridge University Press]. Retrieved 12 April 2020.
6. Inglehart, Ronald; Norris, Pippa (June 2017). "Trump and the Populist Authoritarian Parties: The Silent Revolution in Reverse" (PDF). Perspectives on Politics. 15 (2): 443-454. Retrieved 25 June 2021.
7. Inglehart, Ronald. "Ronald Inglehart". LSA Political Science. Retrieved 27 August 2018.
8. Rising Tide: Gender Equality and Cultural Change around the World, Cambridge University Press, 2003 (co-authored with Pippa Norris).

# საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობები მეზობელ სახელმწიფოებთან და ეკონომიკური უსაფრთხოების გამოწვევები
# Georgia's International Relations with Neighboring Countries and Challenges of Economic Security

**გრიგოლ ლილუაშვილი,** სტუ-ს დოქტორანტი
**Grigol Liluashvili** – PhD student of GTU

**Abstract:** Bilateral relations are one of the most flexible and useful formats for regional and international relations. But in these cases there are both useful and damaging factors for economic and political security. Diversification of economic cooperation often makes it possible to reduce too much dependence on small number of partner countries and creates the conditions for improving the country's security.

It is important for Georgia to pursue an economic policy that will diversify opportunities and economic relations and significantly increase the country's economic security.

Georgia, as a country with an open economy, is closely dependent on / connected with other countries of the region in the following areas: export / import, direct foreign investments, money transfers, tourism, energy resources, etc. Accordingly, mutually beneficial cooperation at the regional and cross-border levels, both in bilateral and multilateral formats, is of particular importance for Georgia.

**ზოგადი მიმოხილვა:** საქართველო წარმოადგენს მცირე ეკონომიკას და მისი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მეზობელ და ხანდახან შორეულ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე. შესაბამისად, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას საერთაშორისო, რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

ასე მაგალითად, 2014-2016 წლებში საქართველოს მეზობელი ქვეყნების ძირითადი ნაწილის (რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, თურქეთი, სომხეთი) ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. შენელდა ეკონომიკური აქტივობები, გაუფასურდა ეროვნული ვალუტები, შემცირდა საერთაშორისო რეზერვები და სახელმწიფო ფონდებში კაპიტალის მოცულობები, რამაც თავის მხრივ უარყოფითი ასახვა ჰპოვა ქართულ ეკონომიკაზე, რადგან საქართველოს მეზობელი ქვეყნები, უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორებიც არიან. თუმცა, 2017 წლიდან საქართველოს ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში (თურქეთი, რუსეთი და სომხეთი) რომელთაც  კრიზისი შეეხოთ, ვითარების დასტაბილურების ტენდენციები შეინიშნება, რაც მყისიერად აისახა საქართველოს ეკონომიკაზეც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მოახდენს ქვეყნის ეკონომიკური კავშირების და შესაძლებლობების დივერსიფიცირებას და მკვეთრად გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, საქართველოს მიერ გაცხადებულ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი ჰაბის ფუნქციის განმტკიცება და ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო, სატელეკომუნიკაციო, ციფრული, ენერგეტიკული და საინვესტიციო პროექტების რეალიზაცია;
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტისა და ქვეყანაში მიმდინარე სხვა პროექტებით შექმნილი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება და არსებული სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაცია;
- „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის“ და სხვა რეგიონული და საერთაშორისო ენერგეტიკული პროექტების განხორციელება და საქართველოს გავლით, ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება;

- საქართველოსთან თავისუფალი ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნების რაოდენობის მაქსიმალური ზრდა, გეოგრაფიული არეალის კიდევ უფრო გაფართოება, ქართული პროდუქციის წარმოების და ექსპორტის ხელშეწყობა, ბაზრების დივერსიფიცირება;
- შავი ზღვის ეკონომიკური როლის გაძლიერება. სატრანზიტო შესაძლებლობების ზრდა, რეგიონის ქვეყნებთან ტვირთბრუნვის მოცულობისა და მიმოსვლის სიჩქარის ზრდა, ლოგისტიკური და სატრანზიტო ინფრასტრუქტურის გაძლიერების ხელშეწყობა და სხვადასხვა რეგიონიდან (მათ შორის ცენტრალური და შორეული აზიის რეგიონებიდან) ტვირთების მოზიდვა;
- ურთიერთმომგებიანი ორმხრივი ტრანს-სასაზღვრო ეკონომიკური პროექტების რეალიზაცია;
- საერთაშორისო თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში – მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკურ ფორუმებში, ასევე პროფილური საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალმხრივ ფორმატებში აქტიური ჩართულობა. მსოფლიო ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარე დიალოგში ჩართვა და ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაციისა და მოწინავე ბაზრების ფუნქციონირების ინოვაციური მექანიზმების დანერგვის მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

ზემოაღნიშნული მიზნების რეალიზაცია ხელს უწყობს საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირებას მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ქმნის ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობისა და ქვეყნის ეკონომიკური და ზოგადად უსაფრთხოების მნიშვნელოვან საფუძვლებს.

**რეგიონის ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულება და საფრთხეები** - საქართველო, როგორც ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული/დაკავშირებული რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა მიმართულებებით: ექსპორტი/იმპორტით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, ფულადი გზავნილებით, ტურიზმით, ენერგო რესურსებით და სხვა. შესაბამისად, საქართველოსთვის განსაკუთრებულ

მნიშვნელობა ენიჭება ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის განვითარებას რეგიონალურ და ტრანს-სასაზღვრო დონეზე, როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.




**<u>წყარო:</u>** საქსტატი

მიუხედავად იმისა, რომ ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზარი საკმაოდ დივერსიფიცირებულია (მაღალ დივერსიფიკაციას გვიჩვენებს ჰერფინდალ ინდექსი[14], რომელიც 0.072-სა და 0.095-შორის მერყეობს), ცალკეული საექსპორტო პროდუქცია მაინც კონცენტრირდება აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, უკრაინისა და რუსეთის ბაზრებზე[15],

---

[14] ჰერფინდალ იდექსი მოთავსებულია 1/N-სა და 1-ს შორის, სადაც N ფირმების რაოდენობაა (ჩვენს შემთხვევაში საექსპორტო ბაზრების რაოდენობა) და გვიჩვენებს, ზოგადად რამდენად კონცენტრირებულია საექსპორტო პროდუქციის გასაღების ბაზარი. თუ ინდექსი 0.01-ზე ნაკლებია მაშინ სრულიად კონკურენტული - სრულყოფილად დივერსიფიცირებულია საექსპორტო ბაზარი; თუ ინდექსი 0.15-ზე ნაკლებია მაშინ საექსპორტო ბაზარი არაა კონცენტრირებული; თუ ინდექსი 0.25-ზე ნაკლებია, მაშინ საექსპორტო ბაზარი კონცენტრირებულია და თუ ინდექსი 0.25-ზე მეტია, მაშინ საექსპორტო ბაზარი მაღალ კონცენტრირებულია.

[15] 2017 წლის მდგომარეობით, საექსპორტო პროდუქციის პირველი 25 პროდუქტი მთლიანი ექსპორტის 78.6%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ 25 პროდუქტიდან 14 დასახელების პროდუქტის კონცენტრირებულად ექსპორტირება ხდება მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი);

რაც ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა.

ანალოგიური ვითარებაა რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის განხორციელებასთან დაკავშირებით. ზოგიერთ იმპორტულ პროდუქციაზე საქართველო მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეულ ქვეყნებზე. ასე მაგალითად, ძალზედ მაღალია ბუნებრივი აირების იმპორტით აზერბაიჯანზე დამოკიდებულების მაჩვენებელი. ასევე, 2018 წლის მონაცემებით, ბუნებრივი აირის გარდა, საქართველოში ძალზედ მაღალი კონცენტრაციით იმპორტირებულ იქნა ელექტროენერგია. გარკვეული დასახელების პროდუქციის იმპორტი წლების განმავლობაში მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება რუსეთიდან (ხორბალი, საკვები ზეთი, სიმინდი და ქვანახშირი), თურქეთიდან (თურქეთიდან იმპორტირებული პირველ 15 პოზიციაზე მყოფი უმრავლესი პროდუქტი მაღალი კონცეტრაციით ხასიათდება).




ზოგიერთ შემთხვევაში გარკვეული პროდუქციის იმპორტის მაღალი კონცენტრაცია მაღალი საფრთხის შემცველი არ არის  და ადვილად ჩანაცვლებადია. თუმცა, ისეთ პროდუქტებზე, როგორიცაა ბუნებრივი აირი, ხორბალი, პირველადი მოხმარების და მოწოდების თვალსაზრისით ძნელად ჩანაცვლებადი პროდუქტები,  სხვა ქვეყნებისთვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭება  გავლენის ბერკეტის გადაცემას ნიშნავს და სერიოზული საფრთხის შემცველია. გასათვალისწინებელია, რომ ამ მხრივ,

ზოგიერთ შემთხვევაში საქართველოს დიდი არჩევანი და სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ გააჩნია.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ექსპორტის შემთხვევაშიც. ექსპორტის სწრაფად დივესიფიცირება საკმაოდ რთულია, რაც „პარტნიორ“ ქვეყნებს საკმაო ბერკეტებს სძენს.

*განვიხილოთ რეგიონის ქვეყნები ცალ-ცალკე:*

**ა) რუსეთის ფედერაცია** - რუსეთი რეგიონის უმთავრესი მოთამაშეა, რომლის სტრატეგიულ ამოცანას სამხრეთ კავკასიაზე, ექსკლუზიური კონტროლის აღდგენა წარმოადგენს. მარტივად რომ ვთქვათ, იგი არ არის დაინტერესებული ეკონომიკურად ძლიერი, უსაფრთხო საქართველოს არსებობით. შესაბამისად, ე.წ. რბილი ძალის და ჰიბრიდული ომის ელემენტების გამოყენებით მუდმივად ცდილობს საქართველოში პროცესების მისი ინტერესების შესაბამისად წარმართვას. კერძოდ:

1. **რუსეთი რამდენიმე წელიწადში იქცა საქართველოს უმთავრეს სავაჭრო პარტნიორად. მნიშვნელოვან პრობლემებს აჩენს ცალკეული პროდუქტების ექსპორტის მაღალი კონცენტრაცია რუსეთის ბაზარზე. შესაბამისად, „საჭიროების“ შემთხვევაში, ქართული პროდუქციისთვის საკუთარი ბაზრის დაკეტვით რუსეთს ქართული ეკონომიკისთვის სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია.**

- 2019 წლის იანვარ-მაისის მდგომარეობით სავაჭრო ბრუნვა რუსეთთან წინა წელთან შედარებით 3.6%-ით გაიზარდა და 568.2 მლნ აშშ დოლარს მიაღწია.
- აღნიშნულ პერიოდში, რუსეთიდან იმპორტი 7.3%-ით შემცირდა და 349.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- 2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით 2018 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ქართული პროდუქციის ექსპორტი რუსეთში 27.9%-ით გაიზარდა და 218.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს რუსეთში ექსპორტი 437.3 მლნ აშშ დოლარის ტოლი იყო (მეორე მაჩვენებელი აზერბაიჯანის შემდეგ - 502.3 მლნ აშშ დოლარი).

- 2019 წლის იანვარ-მაისის პერიოდში ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრებს შორის რუსეთი სიდიდით პირველია (მთლიანი ექსპორტის 14.9%)[16].




<u>**წყარო:**</u> საქსტატი.

- 2019 წლის იანვარ-მაისის მდგომარეობით რუსეთის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:
    - ყურძნის ნატურალური ღვინოები- 62%
    - მინერალური და მტკნარი წყლები - 48%
    - ციტრუსები - 64%
    - ხილი - 87.9%

- აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რუსეთის ბაზრის ათვისება არ მომხდარა სხვა საექსპორტო ბაზრებზე ქართული პროდუქციის შემცირების ხარჯზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტი დღემდე მიწოდების მაჩვენებლის ზრდით ხასიათდება უკრაინის, ჩინეთის, ბელარუსიის და სხა ქვეყნების ბაზრებზე.
- ***ზემოაღნიშნული მონაცემების ანალიზის შედეგად, არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ***

[16] იხ.დანართი #1 -დეტალური ინფორმაცია პროდუქციის მიხედვით

*რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესების შემთხვევაში, ქართული ეკონომიკის ზარალი წლიურად დაახლოებით/საშუალოდ 547 მლნ აშშ დოლარს მიაღწევს.*

| რუსეთი | იანვარი-მაისი 2018 | | | | იანვარი-მაისი 2019 | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მოცემული პროდუქტების მთლიან ექსპორტში | % საქართველოს მთლიან ექსპორტში | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მოცემული პროდუქტების მთლიან ექსპორტში | % საქართველოს მთლიან ექსპორტში |
| **სულ ექსპორტი** | **171,006** | **-** | | **13.3** | **218,080** | **81,635** | | **14.9** |
| ფეროშენადნობები | 57,820 | 47,299 | 38.1 | 4.5 | 61,695 | 56,009 | 45.1 | 4.2 |
| ყურძნის ნატურალური ღვინოები | 45,105 | - | 61.0 | 3.5 | 51,158 | - | 61.9 | 3.5 |
| მინერალური და მტკნარი წყლები | 21,139 | - | 47.0 | 1.6 | 25,751 | - | 47.9 | 1.8 |
| ცენტრიფუგები; აერეგატები სითხის ან აირის საფილტრავი ან გასაწმენდი | 4,431 | 5 | 86.9 | 0.3 | 15,718 | 36 | 94.3 | 1.1 |
| ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი | 7,376 | - | 14.4 | 0.6 | 12,214 | - | 28.7 | 0.8 |
| სამკურნალო საშუალებები | 2,593 | 11 | 5.0 | 0.2 | 10,146 | 24 | 11.1 | 0.7 |
| წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით | 3,167 | - | 31.5 | 0.2 | 4,413 | - | 41.7 | 0.3 |
| ვაშლი, მსხალი და კომში, ახალი | 357 | 628 | 70.8 | 0.0 | 3,715 | 9,414 | 87.9 | 0.3 |
| ნარჩენები და ჯართი სპილენძისა | - | - | 0.0 | 0.0 | 3,110 | 567 | 30.9 | 0.2 |
| მსუბუქი ავტომობილები | 3,497 | - | 2.8 | 0.3 | 2,861 | - | 1.4 | 0.2 |
| ელექტრული წყალგამხურებლები | 1,621 | 634 | 56.4 | 0.1 | 2,621 | 850 | 54.9 | 0.2 |
| კოჭა, ზაფრანა, ურცი, დაფნის ფოთოლი, კარი და სხვა სანელებლები | 1,429 | 670 | 31.6 | 0.1 | 2,126 | 1,059 | 43.0 | 0.1 |
| ბოსტნეული სხვა, ახალი ან შეყინული | 1,753 | 2,387 | 57.8 | 0.1 | 2,112 | 2,183 | 51.6 | 0.1 |
| ციტრუსების ნაყოფი ახალი ან გამხმარი | 1,335 | 2,734 | 73.3 | 0.1 | 1,706 | 3,060 | 63.7 | 0.1 |
| ნაყოფი და მცენარის სხვა ნაწილები, სხვა წესით დამზადებული ან დაკონსერვებული | 56 | 16 | 1.7 | 0.0 | 1,197 | 185 | 25.5 | 0.1 |
| სხვა | 19,326 | - | 2.6 | 1.5 | 17,536 | - | 2.2 | 1.2 |

<u>**წყარო:**</u> საქსტატი.

- *ამასთან, ემბარგოს დაწესება გამოიწვევს მაღალ სოციალურ უკმაყოფილებას, რადგან ემბარგოს ქვეშ ხვდება სოფლის მეურნეობის პროდუქტები, რომლის წარმოებაშიც დასაქმებულია 659.2 ათასი ადამიანი (დასაქმებულთა 39%).*
- *აღსანიშნავია, რომ 2006 წელს რუსეთის მხრიდან დაწესებულ ემბარგოს რუსეთიდან განხორციელებულ იმპორტზე ზეგავლენა არ მოუხდენია.*

2. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთიდან განხორციელებულ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. ამ მხრივაც, განსაკუთრებული ადგილი რუსეთიდან განხორციელებულ გზავნილებს უკავია, რაც ასევე დამატებით ბერკეტებს სძენს რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ.

- საქართველოში ფულადი ტრანსფერების სიდიდით რუსეთი პირველ ადგილზეა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა ქვეყნებიდან (საბერძნეთი, იტალია და თურქეთი) ფულადი გზავნილების მოცულობა, ხოლო რუსეთის წილი მთლიან გზავნილებში წლიდან წლამდე მცირდება. 2019 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით რუსეთიდან გადმორიცხულმა

თანხებმა 163.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 6.2%-ით ნაკლებია 2018 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.




**<u>წყარო:</u>** საქსტატი.

3. **პირდაპირი ინვესტიციები**

- 2019 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით რუსეთიდან საქართველოში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 14.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- 2018 წელს ინვესტირებული თანხის სიდიდე 60.1 მლნ აშშ დოლარი იყო (ისტორიაში სიდიდით მეორე მაჩვენებელი. 2014 წელს იყო 88 მლნ აშშ დოლარი).
- ბოლო წლებში რუსეთიდან განხორციელებული ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართული იყო საფინანსო, უძრავი ქონების და დამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში.
- აღსანიშნავია, რომ 2006 წელს რუსეთის მხრიდან დაწესებულ ემბარგოს რუსეთიდან საქართველოში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების შეფერხება არ გამოუწვევია.
- ***რუსეთს საქართველოში უკვე შეძენილი აქვს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები, ხოლო ამჟამად ხორციელდება მხოლოდ მცირე ზომის პირდაპირი ინვესტიციები, რომელთა შეჩერებას საქართველოს ეკონომიკაზე უმნიშვნელო გავლენა ექნება.***

4. **ტურისტული ნაკადების ზრდა**

- ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა რუსეთიდან ტურისტების შემოდინება. 2015 წელთან შედარებით, 2018 წელს ვიზიტორების რაოდენობა 1.8 ჯერ გაიზარდა და 1.4 მლნ. ტურისტი[17] შეადგინა. ხოლო, 2019 წლის პირველ ხუთ თვეში 31.4%-იანი ზრდა დაფიქსირდა და 539.4 ათას ვიზიტორს მიაღწია.
- დღეს სახეზეა რუსეთის მიერ აღნიშნული თემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების მაგალითი *(არსებობს სხვა მაგალითებიც: რუსეთ-თურქეთს შორის რამდენიმე წლის წინ ურთიერთობის გაუარესების შედეგად განვითარებული მოვლენები, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს საკუთარმა ხელისუფლებამ თურქეთში შესვლა აუკრძალა, რამაც თურქეთის ტურიზმის სექტორს სერიოზული ფინანსური დანაკარგები მოუტანა).*
- ***არსებული მონაცემებიდან და ტენდენციებიდან გამომდინარე, რუსეთის მოქალაქეების ტურისტული მიზნით ვიზიტის აკრძალვა საქართველოს ტურიზმის სექტორს წლიურად დაახლოებით 430 მლნ აშშ დოლარით დააზარალებს.***

- <u>**შესაბამისად, დღევანდელი გათვლებით, რუსეთის მხრიდან ემბარგოს დაწესებისა და ტურისტების შემოსვლის და ფულადი გზავნილების აკრძალვის შემთხვევაში ეკონომიკური ზარალი 4 მლრდ. ლარს გადააჭარბებს (1.5 მლრდ. აშშ დოლარს).**</u>

5. **რუსეთის არსენალშია ჰიბრიდული ომის ელემენტებიც, ქვეყანაში არასტაბილური გარემოს შექმნისა და დესტრუქციული პროცესების ხელშეწყობისთვის, რაც სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.**
   - ამ მიზნით, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ოკუპირებული რეგიონები, დივერსიები, ვითარების დაძაბვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ეთნიკური და რელიგიური ნიშნით, კიბერშეტევები (ენერგეტიკული ობიექტების, ფინანსური

[17] ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით რუსეთიდან ვიზიტორების 64% არის ტურისტი.

ინსტიტუტების და სხვა წინააღმდეგ), საინფორმაციო კამპანია საქართველოს იმიჯის შესალახად საერთაშორისო დონეზე, მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობების გაურესებისთვის ხელშეწყობა და სხვა.

**ბ) აზერბაიჯანი** - საქართველო-აზერბაიჯანის ორმხრივი ურთიერთობები 100-ზე მეტ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებაში აისახა, რომელიც არეგულირებს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა სფეროს. ქვეყნებს შორის მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ (სუამ-ის ფარგლებში) ფორმატებში. აზერბაიჯანი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორს. დღეისათვის აზერბაიჯანი გაზის ფაქტობრივად ერთადერთი მომწოდებელი, ხოლო ექსპორტის კუთხით საქართველოს ნომერ პირველი ბაზარია. ამასთან, საქართველოში ხორციელდება მსხვილი ინვესტიციები აზერბაიჯანული კომპანიების მიერ. ენერგეტიკის მიმართულებით არსებობს ერთობლივად რეალიზებული არაერთი პროექტი. წარმატებულად მიმდინარეობს თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში. ვიზიტორთა რაოდენობით აზერბაიჯანი მოწინავე პოზიციაზეა და იგი ყოველწლიურად იზრდება.

აზერბაიჯანთან ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია. არსებობს დიდი პერსპექტივები ურთიერთმომგებიანი პროექტების რეალიზაციისთვის ენერგეტიკის, ელექტრონული კომუნიკაციებისა და წარმოების სფეროებში. სატრანზიტო შესაძლებლობების გაზრდის კუთხით, ახალი შესაძლებლობები გაჩნდა კასპიის ზღვის სტრატუსის განსაზღვრის შემდეგ შუა აზიიდან კასპია-შავი ზღვის სატრანზიტო დერეფანში ტვირთების მოსაზიდად, რაც ხელს შეუწყობს ტრან-სასაზღვრო თანამშრომლობის გააქტიურებას და რეგიონალური ეკონომიკური უსაფრთხოების განმტკიცებას.

გარდა ამისა, საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თურქეთთან ერთობლივად

რეალიზებულ ენერგეტიკულ პროექტებს, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის. ასევე, აღსნისნავია, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის პროექტი, რომელშიც საქართველოსა და აზერბაიჯანთან ერთად ჩართულია მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანია „ბრითიშ პეტროლიუმი“ (BP). პროექტი, რომელიც 23 წლის წინ დაიწყო ქვეყნის და რეგიონალური სტაბილურობის ერთ-ერთი გარანტი გახდა.

2019 წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით აზერბაიჯანის ბაზარი სიდიდით მეორეა საქართველოს საექსპორტო პროდუქციისთვის. შესაბამისად, აზერბაიჯანის ეკონომიკის შესუსტება და/ან ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილება (რომელსაც ჩვენი მეზობელი პერიოდულად მიმართავს), მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

2018 წლის მდგომარეობით აზერბაიჯანის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:

- მსუბუქი ავტომობილები - 46.5%;
- თამბაქოს ნაწარმი - 66.5%;
- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - 51.6%;
- მინერალური და მტკნარი წყლები, შაქრის დანამატების შემცველობით - 41.7%;
- წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან - 54.7%.

2018 წლის მდგომარეობით, აზერბაიჯანში კონცენრირებულად ექსპორტირებულ პროდუქციას, ქართული ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვანი დარგები აწარმოებენ და მათ მაღალი სოციალური ეფექტი გააჩნიათ.

საქართველო თითქმის 100%-ითაა დამოკიდებული აზერბაიჯანულ გაზზე, ხოლო აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია სოკარი, გაზის საცალო ბაზარზეც მონოპოლისტია. **მართალია აზერბაიჯანი სტრატეგიული მოკავშირეა და დაინტერესებულია საქართველოში სტაბილურობით, თუმცა**

**ბუნებრივ გაზზე 100%-იანი დამოკიდებულება მეზობელ ქვეყანას საკმაო ბერკეტებს სძენს.**

2018 წლის მდგომარეობით, აზერბაიჯანი მე-4 ადგილს იკავებს საქართველოს საიმპორტო ბაზრებს შორის (მთლიანი იმპორტის 6.5%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანიდან იმპორტი 6.3%-ით გაიზარდა და 588.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს საქართველოში იმპორტირებული აზერბაიჯანული პროდუქტებიდან მნიშვნელოვანი კონცენტრაციით ხასიათდება ნავთობის აირები, ელექტროენერგია და ცემენტი (იხ. ცხრილი). რაც შეეხება ნავთობპროდუქტების იმპორტს, საქართველოს აზერბაიჯანზე დამოკიდებულების მაჩვენებელი 12.7%-ს შეადგენს.

| აზერბაიჯანი | 2017 | | | | 2018 | | | | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მოცემული პროდუქტების მთლიან იმპორტში | % საქართველოს მთლიან იმპორტში | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მოცემული პროდუქტების მთლიან იმპორტში | % საქართველოს მთლიან იმპორტში | |
| **სულ იმპორტი** | **553,683.5** | **2,620,609.9** | | **7.0** | **588,565.5** | **2,710,769.3** | | **6.5** | **6.3** |
| ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა | 261,868.7 | 1,511,098.4 | 86.4 | 3.3 | 269,128.3 | 1,654,175.3 | 94.8 | 3.0 | 2.8 |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 112,524.5 | 230,846.3 | 16.1 | 1.4 | 109,971.4 | 181,024.9 | 12.7 | 1.2 | (2.3) |
| ელექტროენერგია | 47,115.3 | - | 70.6 | 0.6 | 63,446.5 | #VALUE! | 83.7 | 0.7 | 34.7 |
| ცემენტი | 15,292.3 | 318,905.5 | 50.6 | 0.2 | 18,471.2 | 347,341.0 | 54.3 | 0.2 | 20.8 |
| მადნები და კონცენტრატები სპილენძის | 20,730.6 | 9,628.6 | 6.1 | 0.3 | 12,729.4 | 5,753.4 | 3.2 | 0.1 | (38.6) |
| წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, შემდგომი დამუშავების გარეშე | 7,103.5 | 14,893.9 | 15.8 | 0.1 | 11,360.9 | 21,137.7 | 13.8 | 0.1 | 59.9 |
| თაბაშირი; ანჰიდრიტი; ბათქაში | 13,042.4 | 107,910.0 | 59.5 | 0.2 | 9,249.5 | 115,240.9 | 51.7 | 0.1 | (29.1) |
| ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, პრასი, ნიორი და სხვა ხახვისმაგვარი ბოსტნეული | 948.6 | 2,451.6 | 10.4 | 0.0 | 6,676.0 | 16,888.3 | 58.7 | 0.1 | 603.8 |
| რკინიგზის ან ტრამვაის ვაგონები სატვირთო არათვითმავალი | 770.0 | 3,850.0 | 86.8 | 0.0 | 5,243.5 | 48,578.6 | 95.3 | 0.1 | 581.0 |
| ამწე, ჩასატვირთ-გადმოსატვირთი, საბურღი ან სატკეპნი და სხვა მანქანების და მოწყობილობების ნაწილები | 542.2 | 64.2 | 4.0 | 0.0 | 3,842.7 | 524.4 | 17.4 | 0.0 | 608.8 |
| სპეციალური დანიშნულების ავტომობილები | 3,324.4 | 67.0 | 14.7 | 0.0 | 3,726.3 | 32.0 | 14.1 | 0.0 | 12.1 |
| ჩაი, არომატიზებული ან არაარომატიზებული | 2,668.9 | 427.3 | 35.4 | 0.0 | 3,683.3 | 615.2 | 41.5 | 0.0 | 38.0 |
| კაკალი სხვა, ახალი ან გამხმარი | 3,888.1 | 779.0 | 31.6 | 0.0 | 3,274.8 | 683.8 | 11.2 | 0.0 | (15.8) |
| ბულდოზერები, ავტოგრეიდერები, ექსკავატორები, სატკეპნი მანქანები და სხვა | 7,347.7 | 186.0 | 14.4 | 0.1 | 2,972.8 | 32.0 | 5.3 | 0.0 | (59.5) |
| მავთულები იზოლირებული, კაბელები | 1,478.5 | 370.9 | 2.7 | 0.0 | 2,654.3 | 734.6 | 4.3 | 0.0 | 79.5 |
| სხვა | 55,037.6 | 0.0 | 0.9 | 0.7 | 62,134.6 | 0.0 | 0.9 | 0.7 | 12.9 |

<u>**წყარო:**</u> საქსტატი.

ფულადი გზავნილების სიდიდით, აზერბაიჯანი მეათე ადგილზეა. 2018 წლის მონაცემებით აზერბაიჯანიდან ჩარიცხულმა თანხებმა 20.4 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 30.6%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

აზერბაიჯანი, ბოლო რამდენიმე წელიწადი, ყოველწლიურად ნახევარ მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიციებს ახორციელებდა ტრანსპორტის სექტორში, რაც არსებული მილსადენების (ტრანს-ანატოლიური გაზსადენი) გაფართოებას და გამტარიანობის გაზრდას უკავშირდება. შესაბამისად, საქართველოში წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებით, აზერბაიჯანი ბოლო წლებში პირველ ადგილს იკავებდა.

შესაბამისად, აღნიშნული პროექტის დასრულების შემდეგ ნაკლებ მოსალოდნელია რომ აზერბაიჯანიდან უახლოეს წლებში დიდი მოცულობის ინვესტიციები განხორციელდეს.

| აზერბაიჯანი | 2016 | 2017 | ცვლილება 2017 წელს წინა წელთან შედარებით | | I-IIIQ 2017 | I-IIIQ 2018 | ცვლილება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ათასი აშშ დოლარი | % | | | ათასი აშშ დოლარი | % |
| **სულ FDI** | **558,458.6** | **465,040.8** | **-93,417.8** | **-16.7** | **365,937.9** | **169,831.3** | **-196,106.7** | **-53.6** |
| დამამუშავებელი მრეწველობა | -4,573.9 | 1,181.6 | 5,755.5 | - | 1,807.1 | 580.5 | -1,226.6 | -67.9 |
| დანარჩენი სექტორები | 12,614.7 | 6,365.8 | -6,248.9 | -49.5 | 2,670.3 | 10.9 | - | - |
| ენერგეტიკა | 19.6 | -52.3 | -71.9 | - | -32.4 | 0.0 | - | - |
| კავშირგაბმულობა | 48.3 | 17.7 | -30.7 | - | 8.8 | 48.3 | 39.5 | 448.0 |
| მშენებლობა | 1,164.1 | 6,936.7 | 5,772.6 | 495.9 | 3,399.5 | 19,170.7 | 15,771.2 | 463.9 |
| სამთომოპოვებითი მრეწველობა | 164.3 | 115.4 | -48.9 | -29.7 | 85.2 | 40.0 | -45.2 | -53.1 |
| სასტუმროები და რესტორნები | 485.1 | 668.3 | 183.2 | 37.8 | -751.1 | 2,596.2 | 3,347.3 | -445.6 |
| საფინანსო სექტორი | 3,785.1 | 2,997.4 | -787.7 | -20.8 | 2,758.8 | 1,929.6 | - | - |
| სოფლის მეურნეობა,თევზჭერა | -105.1 | -123.2 | - | - | -72.2 | -1,353.6 | - | - |
| ტრანსპორტი | 546,426.6 | 444,618.1 | -101,808.5 | -18.6 | 353,134.0 | 148,241.0 | -204,893.0 | -58.0 |
| უძრავი ქონება | -2,257.4 | 2,033.2 | - | - | 2,355.5 | -1,078.4 | - | - |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოც. დახმარება | 687.2 | 282.1 | -405.0 | -58.9 | 574.4 | -353.7 | - | - |

<u>**წყარო:**</u> საქსტატი.

საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების შესაფასებლად გამოყენებული ორი ქვეყნის ურთიერთგადამკვეთი ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. აზერბაიჯანის ეკონომიკური მონაცემების ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ აზერბაიჯანისთვის საქართველო უმთავრესი ეკონომიკური პარტნიორი არ არის, თუ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებს არ ჩავთვლით. აზერბაიჯანისთვის საქართველო მე-7 ადგილზეა როგორც საექსპორტო ბაზარი, ხოლო 21-ე ადგილზე როგორც საიმპორტო. აღნიშნული გამოწვეულია იმით რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის 70% ნავთობის და გაზის ექსპორტისგან შედგება.

**ერთი შეხდევით საქართველოს აზერბაიჯანზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტები არ გააჩნია, თუმცა სწორედ საქართველოა აზერბაიჯანული ეკონომიკის მთავარი მამოძრავებლის, ენერგომატარებლების უმთავრესი გამტარი.**

**გ) თურქეთი** - თურქეთთან არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა 76 მოქმედ ხელშეკრულებას მოიცავს და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს. ორი ქვეყნის მოქალაქეები მიმოსვლის გამარტივებული რეჟიმით სარგებლობენ. თურქეთი საქართველოს

უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც  თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი მოქმედებს. თურქეთის კერძო სექტორი საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს დასრულდა და ფუნქციონირებს ახალციხე-ბორჩქას მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც ახალ შესაძლებლობას ქმნის ელექტროენერგიით ვაჭრობის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, საქართველო-თურქეთის ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აზერბაიჯანთან ერთობლივად რეალიზებულ ენერგეტიკულ პროექტებს, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი. წარმატებულად გრძელდება აქტიური თანამშრომლობა სამხრეთის ენერგეტიკული დერეფნის პროექტების განხორციელებისა და ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის რეალიზაციისთვის.




თურქეთის რესპუბლიკა ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია საქართველოსთვის. 2019 წლის პირველი 5 თვის მდგომარეობით სავაჭრო ბრუნვამ  701.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მათ შორის ექსპორტმა შეადგინა 106.1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა 595.7 მლნ აშშ დოლარი). თურქეთიდან იმპორტირებული პროდუქცია საკმაოდ დივერსიფიცირებულია, რასაც ვერ ვიტყვით თურქეთში განხორციელებულ ექსპორტზე.

**თურქეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილები** წლიდან-წლამდე იზრდება და აშშ-დან (ფულადი გზავნილების 10.6%), იტალიიდან (ფულადი გზავნილების 14%) და საბერძნეთიდან (ფულადი გზავნილების 11.5%) განხორციელებულ ფულადი გზავნილების მოცულობებს უახლოვდება.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების** დარგობრივი დივერსიფიკაციის კუთხით, თურქეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები გამოირჩევა, რომელიც თითქმის ყველა ეკონომიკურ სექტორს მოიცავს. თურქეთის ინტერესი საქართველოში წლიდან-წლამდე იზრდება.

***შესაბამისად თურქეთში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ პროცესებზე.***

**დ) სომხეთი -** სომხეთთან ურთიერთობები ფართო სახელშეკრულებო ბაზით რეგულირდება, რომელიც 80-მდე დოკუმენტს მოიცავს. სომხეთის




რესპუბლიკა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

სომხეთთან ეკონომიკური და ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობების გააქტიურებას დიდი პოტენციალი აქვს. სომხეთი შეიძლება განვიხილოთ ირანთან დამაკავშირებელ საინტერესო მიმართულებად, რომელსაც, დღეს არსებული საერთაშორისო წინააღმდეგობების მიუხედავად, ენერგო

რესურსების დივერსიფიკაციისა და სხვა ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით დიდი პერსპექტივები გააჩნია.

2019 წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით, სომხეთი მეოთხე პოზიციას იკავებს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის ბაზრებს შორის (მთლიანი ექსპორტის 8.1%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ექსპორტი სომხეთში 19.9%-ით გაიზარდა და 116.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის პირველი ხუთი თვის მდგომარეობით სომხეთის ბაზარზე კონცენტრირებულია შემდეგი ქართული საექსპორტო პროდუქტები:

- მსუბუქი ავტომობილები - 23.2%;
- სატვირთო ავტომობილები - 68.8%;
- კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები, მიღებული სოიოს ზეთის ექსტრაჰირებისას - 86.2%;
- შინაური ფრინველი, ცოცხალი - 98.5%;
- ფილები მერქან-ბურბუშელის - 100%.

შესაბამისად, სომხეთის ეკონომიკის შესუსტება მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საქართველოდან სომხეთში ექსპორტირებული პროდუქტის სექტორში მოქმედ ბიზნესებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსუბუქი და სატვირთო ავტომობილები, რომლებიც რეექსპორტის სახით გადის საქართველოდან სომხეთში, სომხეთსაც თავადაც რეექსპორტზე გააქვს. **<u>წყარო:</u>** საქსტატი.

| სომხეთი | 2017 | | | | 2018 | | | | ცვლილება (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მიგებული პროდუქტების მთლიან იმპორტში | % საქართველოს მთლიან იმპორტში | 1000 USD | ტონა/ლიტრი | % მიგებული პროდუქტების მთლიან იმპორტში | % საქართველოს მთლიან იმპორტში | |
| **სულ იმპორტი** | **281,322** | **0** | | **3.5** | **340,157** | **-** | | **3.7** | **21** |
| მანქანები და კონტეინერიანები სპეციალური | 226,596 | 223,010 | 67.0 | 2.9 | 278,988 | 233,553 | 70.3 | 3.1 | 23 |
| მიღები, ბოილერები და სხვა მინის ტევადობები | 7,722 | 21,347 | 24.5 | 0.1 | 10,334 | 29,247 | 27.4 | 0.1 | 34 |
| ოფლენი ამარაგები სხვა | 0 | - | 0.0 | 0.0 | 7,149 | 31 | 51.3 | 0.1 | - |
| მანქანები და კონტეინერიანები ძვირფასი ლითონებისა | 455 | 282 | 12.4 | 0.0 | 5,236 | 3,621 | 84.4 | 0.1 | 1050 |
| ნაწარმი საკონლის ტრანსპორტირებისათვის ან მის შესაფუთად პლასტმასისგან | 2,096 | 1,150 | 6.8 | 0.0 | 3,207 | 1,640 | 8.9 | 0.0 | 53 |
| სიგარეტი, სიგარილები და სიგარეტები თამბაქოს ან მისი შემცვლელებისგან | 2,310 | 277,360 | 2.3 | 0.0 | 2,986 | 351,466 | 1.6 | 0.0 | 29 |
| ეთილის სპირტი არაფუნქციურირებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოცე % ან მეტი | 4,518 | 4,224,110 | 26.5 | 0.1 | 2,504 | 1,881,438 | 8.0 | 0.0 | -45 |
| ხაპურნალო სამუალებები | 2,514 | 2,400 | 0.7 | 0.0 | 2,301 | 2,195 | 0.7 | 0.0 | -8 |
| მიკოლიდი და კაკაოს შემცველი კვების სხვა მზა პროდუქტები | 1,679 | 458 | 3.1 | 0.0 | 1,651 | 425 | 3.1 | 0.0 | -2 |
| ძმერი და ანალოგური პროდუქტები ხორცის, ხორცის ტენპროდუქტების ან სისხლისგან | 1,124 | 227 | 17.3 | 0.0 | 1,366 | 288 | 19.0 | 0.0 | 22 |
| ლოსტასის სამზეზელი დეტალები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი | 1,152 | 439 | 10.0 | 0.0 | 1,308 | 542 | 8.9 | 0.0 | 14 |
| მინერალი, წმელები, ლერტები და ფასოსერი პროფილები პოლიმერული მასალებისგან | 1,005 | 593 | 4.1 | 0.0 | 1,246 | 725 | 5.1 | 0.0 | 24 |
| ფელანგოები და მოწყობილობები მეფეფინაში ან ეკლერინარიაში გამოსაყენებელი | 149 | 2 | 0.3 | 0.0 | 1,197 | 10 | 2.6 | 0.0 | 703 |
| მიღები, მილები და ბლოწყები და მათი ფიტინგები პლასტმასებისგან | 1,000 | 556 | 2.3 | 0.0 | 1,028 | 525 | 2.2 | 0.0 | 3 |
| ყარაფი, ალუმილი და ბალი, აკაბი, ქლიავი და ლოდნიში, ახალი | 552 | 1,284 | 55.5 | 0.0 | 989 | 1,878 | 54.4 | 0.0 | 79 |
| სხვა | 28,450 | - | 0.4 | 0.4 | 18,666 | - | 0.2 | 0.2 | -34 |

2018 წლის მდგომარეობით, სომხეთი მე-8 ადგილს იკავებს საქართველოს საიმპორტო ბაზრებს შორის (მთლიანი იმპორტის 3.7%). აღნიშნულ პერიოდში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სომხეთიდან იმპორტი 21%-ით გაიზარდა და 340.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ფულადი გზავნილების სიდიდით, სომხეთი მეთვრამეტე ადგილზეა. 2018 წლის მონაცემებით სომხეთიდან ჩარიცხულმა თანხებმა 9.1 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 18.1%-ით მეტია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე. საქართველოდან სომხეთში ფულადი გადარიცხვები 15.5%-ით გაიზარდა და 7.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით სომხეთი საქართველოსთვის უმნიშვნელო პარტნიორია. 2018 წლის მონაცემებით სომხეთი 19-ე ადგილს იკავებს საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მოცულობით.

| სომხეთი | 2016 | 2017 | 2018 |
|---|---|---|---|
| **სულ FDI** | **4,315.8** | **6,803.7** | **9,673.1** |
| დამამუშავებელი მრეწველობა | 766.3 | -1,288.9 | 649.6 |
| დანარჩენი სექტორები | 2,983.8 | 6,913.7 | 5,618.5 |
| კავშირგაბმულობა | -20.9 | -52.6 | -41.7 |
| მშენებლობა | 459.2 | 885.6 | 985.0 |
| სასტუმროები და რესტორნები | 562.1 | -547.5 | 216.1 |
| საფინანსო სექტორი | 2.0 | -0.4 | - |
| სოფლის მეურნეობა,თევზჭერა | -568.9 | -610.0 | -648.9 |
| ტრანსპორტი | -302.6 | 715.3 | 778.0 |
| უძრავი ქონება | 434.8 | 788.7 | 2,116.4 |

არც სომხეთის და საქართველოს ურთიერთ-გადამკვეთი სტატისტიკური მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს. შესაბამისად, ვხელმძღვანელობთ დამოუკიდებლად ორი ქვეყნის მონაცემებით. სომხეთის ეკონომიკური მონაცემების ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ სომხეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი უფრო საქართველოს ტერიტორიის გავლით რუსეთთან და ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის თვალსაზრისითაა. **ამ მხრივ სომხეთის საქართველოზე დამოკიდებულება**

**ძალიან დიდია.** სომხეთისთვის საქართველო მე-10 ადგილზეა როგორც საექსპორტო ბაზარი, ხოლო მე-14 ადგილზე როგორც საიმპორტო.

**ე) უკრაინა** - მიუხედავად იმისა, რომ საქართველო-უკრაინას უშუალო სახმელეთო საზღვარი არ გააჩნიათ, ორ ქვეყანას ტრადიციულ პარტნიორობასა და მჭიდრო თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობები აკავშირებთ. არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა 105 ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებას მოიცავს და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა პრაქტიკულად ყველა სფეროს არეგულირებს.

უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი და მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია. საქართველოსა და უკრაინას შორს მოქმედებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, რომელიც სამართლებრივად დარეგულირებულია როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატში (სუამ-ის ფარგლებში). აქტიურად ვითარდება თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებებით. დამყარებულია პირდაპირი სამეცნიერო-საგანმანათლებლო კავშირები ორი სახელმწიფოს წამყვან უნივერსიტეტებს შორის.

პრიორიტეტულია ტურიზმის სფერო. საქართველო წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას უკრაინელი ტურისტებისათვის, რაზეც მეტყველებს საქართველოში ჩამოსული უკრაინელი ტურისტების რაოდენობის მუდმივი ზრდა. უკრაინიდან ვიზიტორების რაოდენობამ 2018 წელს 177 ათასი ადამიანი შეადგინა. ტურისტთა რაოდენობის სიდიდით უკრაინა საქართველოში მე-6 პოზიციას იკავებს (ვიზიტორების 2%).

2018 წლის მონაცემებით, საქართველოდან უკრაინაში გატანილ იქნა 175 მლნ აშშ დოლარის საექსპორტო საქონელი (მთლიანი ექსპორტის 5.2%). აღნიშნული მაჩვენებლით უკრაინა საქართველოს საექსპორტო ბაზრებს შორის მე-6 პოზიციას იკავებს. საექსპორტო პროდუქციებს შორის აღსანიშნავია: მსუბუქი ავტომობილების, ეთილის სპირტის, ღვინის, სასუქების და მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი.

აღნიშნულ პერიოდში უკრაინიდან იმპორტმა 514.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი იმპორტის 5.6%). აღნიშნული მაჩვენებლით უკრაინა მე-4 პოზიციას იკავებს საიმპორტო ბაზრებს შორის. იმპორტირებული

პროდუქტებიდან აღსანიშნავია: თამბაქოს ნაწარმი, წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან, კოპტონი და სხვა მყარი ნარჩენები და დაფასოებული სამკურნალო საშუალებები.

საქართველოში ფულადი გზავნილების სიდიდით უკრაინა მეცხრე პოზიციაზეა. 2018 წლის მონაცემებით უკრაინიდან გადმორიცხულმა თანხებმა 28.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 8.6%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უკრაინიდან ფულადი გზავნილების რაოდენობაზე. 2018 წლის მონაცემებით, ფულადი გზავნილები 2013 წელთან შედარებით 36.8%-ით შემცირებულია.

2018 წლის მონაცემებით უკრაინიდან განხორციელებულმა წმინდა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 18.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. უკრაინიდან ძირითადად ინვესტიციები ხორციელდება სასტუმრო და რესტორნის ბიზნესში, დამამუშავებელ მრეწველობაში და მშენებლობის სექტორში. აღსანიშნავია, რომ უკრაინა საქართველოში საინვესტიციო აქტივობებით არასდროს ყოფილა ლიდერთა შორის.

უკრაინასთან ურთიერთობებს დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. არსებობს არაერთი ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატის თანამშრომლობის მიმდინარე და პერსპექტიული პროექტები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების თვალსაზრისით უზარმაზარი რესურსი აქვს.

ორმხრივი ურიერთობები ხშირად ყველაზე მოქნილი და სასარგებლო ფორმატია რეგიონალურ და საერთაშორისო ურთიერთობებში. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს როგორც ეკონომკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისათვის სასარგებლო, ასევე დამაზიანებელი ფაქტორებიც. შესაბამისად, ნებისმიერ თანამშრომლობას, ხელშეკრულებას თუ შეთანხმებას, წინ უნდა უძღოდეს დადებითი და უარყოფითი მხარეების მრავალმხრივი ანალიზი, რომელიც ნებისმიერი ორმხრივი თუ მრავალმხრივი ურთიერთობებისგან მაქსიმალური ეფექტისა და მინიმალური დანაკარგის უზრუნველყოფის საშუალებას მოგვცემს. ეკონომიკური თამანშრომლობის დივერსიფიცირება, ხშირად მცირერიცხოვან „პარტნიორ“ ქვეყნებზე ზედმეტი დამოკიდებულების

შემცირების საშუალებას იძლევა და ქვეყნის უსაფრთხოების გაზრდის პირობებს ქმნის.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**


1. პატარაია თ. (2015), „ენერგოტრანზიტის და უსაფრთხოების ასიმეტრია სამხრეთ კავკასიაში: გზა რუსეთსა და ევროკავშირს შორის“, ჰენრიხ ბიოლის ფონდი.
2. მაკფარლეინი ს. (2012), „საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“, Chatman House.
3. „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების 2017-2020 წწ. დღის წესრიგი“ (2016).
4. „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ (2012), საქართველოს პარლამენტი.
5. „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში“, თბ. 2017-2018 წ.წ.
6. „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020“, საქართველოს მთავრობა.
7. „საქართველო - სომხეთი: ერთობლივი საოპერაციო პროგრამა“ (2014), EU Eastern Partnership Territorial Cooperation (EaPTC).
8. საქართველოს ეკონომიკისა და მსგრადი განვიტარების სამინისტრო, www.economy.ge
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, www.mof.ge

# სოციალური სამართლიანობის პრინციპები. რეგულირება ევროპისა და სხვა ქვეყნებში
# Principles of social justice. regulation in Europe and other countries

**ია ალანია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის დოქტორანტი
**Ia Alania** - GTU, Department of Social Sciences
PhD student
i.alania@rs.ge

**რეზიუმე:** სოციალური სამართლიანობა ხდება ცხოვრების პრინციპი დემოკრატიულ და სოციალურად ორიენტირებულ საზოგადოებაში. ეს პრინციპი ან მისი ცალკეული ელემენტები დაფიქსირებულია თანამედროვე კონსტიტუციებში, თუმცა ამ პრინციპის შინაარსი და მისი ინდიკატორები განსხვავდება თანამედროვე სამართლის სამ გლობალურ სისტემაში: მუსლიმურ, ლიბერალურ-ნახევრად სოციალური კაპიტალისტურ და ტოტალიტარულ-სოციალისტური. სტატიაში განხილულია ევროპასა და სხვა ქვეყნებში ამ პრინციპის განხორციელების სამართლებრივი რეგულირება.

თავისუფლებასთან, თანასწორობასთან, მშვიდობასთან, დემოკრატიასთან და ურთიერთობის სხვა ძირითად პრინციპებთან ერთად, სამართლიანობა უნივერსალური ღირებულებაა. სამართლიანობის ზოგადი მოთხოვნა უკვე დიდი ხანია გამოიყენება მრავალი ქვეყნის თანმედროვე საკონსტიტუციო სამართალში. თუმცა, თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება სამართლიანობის სოციალური და არა აქსიოლოგიური კონცეფცია.

განსხვავებით ტრადიციული მოწყალე მმართველობისა (დღემდე ბრიტანეთის დედოფალი, ტრადიციისამებრ, წელიწადში ერთხელ ურიგებს ღარიბებს ერთ პენს პატარა ქალაქის ეკლესიის ვერანდაზე) და ქველმოქმედებისგან (ქველმოქმედების წახალისება ნათქვამია მრავალი ქვეყნის კონსტიტუციაში), რომელსაც აქვს ინდივიდუალისტური საფუძველი, სოციალური სამართლიანობა არის კოლექტივისტური ფენომენი. დღესდღეობით სოციალური სამართლიანობა თანამედროვე კონსტიტუციური სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

პირველ კონსტიტუციაში არ იყო ნახსენები სოციალური სამართლიანობა, გარდა დებულებებისა, რომლებიც აცხადებდნენ ხალხის მმართველობას და კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას და შემოიფარგლებოდა სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების სისტემის რეგულირებით, ადამიანის და მოქალაქის ზოგიერთი პირადი და პოლიტიკური უფლებებით.

ადამიანისა და მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის დებულებები პირველად 1917 წელს მექსიკის კონსტიტუციაში შევიდა, რომელიც მიღებულ იქნა სახალხო რევოლუციის ტალღაზე, შემდეგ (კლასობრივი პოზიციებიდან) - რსფსრ 1918 წლის კონსტიტუციაში, მოგვიანებით. 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციაში, რომელიც ასევე რევოლუციური მოვლენების შედეგი იყო და ზოგჯერ შეცდომით ის ითვლება „პირველ სოციალურ კონსტიტუციად". ახლა ასეთი დებულებები არის სხვადასხვა კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოების კონსტიტუციებში, მაგალითად: განა 1992, ბრაზილია 1988, საუდის არაბეთის მთავრობის ძირითად ნიზამში 1992 და ა.შ.

სოციალური სამართლიანობის კონცეფციასთან მიახლოებული პირველი დებულება, როგორც ჩანს, 1937 წელს შევიდა ირლანდიის კონსტიტუციაში, რომელიც ებრძოდა ინგლისის მმართველობას. მასში ნახსნები იყო, ისეთი „სოციალური წესრიგის" აუცილებელ არსებობაზე, რომელშიც „სამართლიანობა ქველმოქმედებასთან ერთად უნდა გახდეს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის არსებობის შთაგონება".

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური სამართლიანობა, სამართლის პრინციპები, სამართლებრივი მაჩვენებლები, კონსტიტუცია, სოციალური დახმარება

**RESUME:** Social justice is based on the principle of living democratically and socially oriented societies. This principle or certain elements are rooted in modern constitutions, while the content of this principle and its indicators differ in the three global systems of modern rights: Muslim to liberal, semi-liberal to semi-liberal. The article discusses the legal regulation and practice of realization of a certain principle in Europe and other countries.

People with freedom, equality, peace, democracy, some other key principles of justice in different societies - common sense. Both the need for justice

is a relevance and a right, while in modern conditions all social, not axiological, principles of justice arise in the first place.

In contrast to the traditional rules of almsgiving (after every day the British corporations traditionally distribute a penny of misery to the king of the ill-fated church circles) and benevolence (with the exception of benevolent constituents founded on a foreign name). социальная справедливость - явление колектвистское. Today's social justice - one of the most important principles of modern constitutional rights.

The first constitutions did not contain reprimands for social justice for the exclusion of positions, proclamation of the power of the people and inviolability of certain properties and limitation of the regulation of systems of high political and non-governmental organizations.

For the first time, socio-economic provisions were included in the Constitution of Mexico in 1917, adopted on the wave of the people's revolution, then from class positions - in the Constitution of the RSFSR of 1918, later in the Weimar Constitution of 1919, which was also the result of revolutionary events and is sometimes mistakenly considered "The first social constitution". Now such provisions are in the constitutions of states located on different continents, for example, Ghana in 1992, Brazil in 1988, mainly in the Nizam on the administration of Saudi Arabia in 1992, etc.

For the first time, a provision close to the concept of social justice was included, it seems, in 1937 in the Constitution of Ireland, which fought against English rule. It spoke of the need for the existence of such a "social order" in which "justice, along with charity, should inspire all institutions of state life".

**Keywords:** Social justice, principles of law, legal indicators, constitution, social assistance

**შესავალი.** სხვადასხვა სახელმწიფოს კონსტიტუციებში ტერმინ „სოციალური სამართლიანობის“ გამოჩენა არა მარტო მარქსიზმის სოციალისტური სწავლებების და ტოტალიტარული სოციალიზმის კანონის უზენაესობის შედეგია, ასეთი სოციალიზმის პრაქტიკა გაუკუღმართებული იყო, მაგრამ სოციალისტური კონსტიტუციების დებულებები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ იყო ინფორმაცია საზღვარგარეთ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვა ქვეყნების მშრომელ მოსახლეობაზე.

სოციალური სამართლიანობის პრინციპი პირველად, დიდი ალბათობით, გათვალისწინებული იქნა ინდოეთის 1949 წლის კონსტიტუციაში, რომელმაც გამოაცხადა „მესამე გზა“ სოციალიზმსა და „იმპერიალისტურ კაპიტალიზმს“ შორის. ამ კონსტიტუციის I ნაწილის, 38-ე პუნქტში მოხსენიებულია ისეთი „სოციალური წესრიგის სურვილის შესახებ, რომელშიც სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სამართლიანობა განსაზღვრავს ყველა ინსტიტუტის არსს…“. ახალა ფრაზა „სოციალური სამართლიანობა“ წარმოდგენილია შემდეგი ქვეყნების კონსტიტუციებში: პორტუგალიის 1976 წლის, სალვადორის 1983 წელს, ბრაზილიის 1988 წელს, პოლონეთის 1997 წელს, ნეპალის 2007 წელს, ბრიტანეთის თანამეგობრობის პატარა სახელმწიფოს სენტ-ლუსიის 1978 წელს და ა.შ. კუბის კონსტიტუციაში 1976 წელს საუბარია „სოციალურ პოლიტიკურ სამართლიანობაზე“, კოლუმბიის 1991 წლის კონსტიტუციაში - სამართლიან პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგზე.

მსგავს დებულებებს შეიცავს ზოგიერთ საერთაშორისო დოკუმენტი. 2008 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია სოციალური სამართლიანობის შესახებ სამართლიანი გლობალიზაციისთვის. 2007 წლის 26 ნოემბერს გაეროს რეზოლუციით 62/10 გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, 20 თებერვალი გამოცხადდა სოციალური სამართლიანობის მსოფლიო დღედ.

**ძირითადი ტექსტი.** კონსტიტუციებში, სადაც ტერმინი „სოციალური სამართლიანობა“ გვხვდება, ის ჩვეულებრივ გვხვდება პრეამბულებში ან სამთავრობო პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების სექციებში. დამფუძნებელი აქტები აღნიშნავენ, რომ კონსტიტუციის ის ნაწილი, რომელიც აღნიშნავს ამ პრინციპს და შეიცავს სხვა სოციალურ დებულებებს, არის „ძირითადია ქვეყნის მთავრობისთვის“, მაგრამ ასეთი დებულებები „არ უნდა აღსრულდეს სასამართლო იძულებით“ (ინდოეთის კონსტიტუციის 37-ე მუხლი). ალბანეთის 1998 წლის კონსტიტუცია ასევე ითვალისწინებს, რომ „შეუძლებელია სოციალური მიზნების მიღწევა უშუალოდ სასამართლოს მეშვეობით“ (59-ე მუხლის მე-2 ნაწილი). 1999 წლის შვეიცარიის კონსტიტუციის თანახმად, „არავითარი პირდაპირი პრეტენზია საჯარო სერვისებზე არ შეიძლება იყოს სოციალური მიზნებიდან გამომდინარე“ (41-ე მუხლის მე-4 პუნქტი). ეს გარემოება, ისევე როგორც

სოციალური სამართლიანობის პრინციპის არსის და ელემენტების მითითების არარსებობა, ამცირებს ამ უკანასკნელის მარეგულირებელ მნიშვნელობას. პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების და საზოგადოებაში ცხოვრების პირობებს, ეხება სოციალური და სახელმწიფო სისტემის საფუძვლებს, პიროვნების სტატუსს. აქედან გამომდინარე, მას აქვს განსხვავებული ელემენტები და განსხვავებული ინდიკატორები სოციალურად განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში. ყველაზე განზოგადებული ფორმით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამჟამად მსოფლიოში არსებობს სამი გლობალური სამართლებრივი სისტემა: მუსულმანური (დაახლოებით 20 სახელმწიფო და, მუსულმანური წყაროების მიხედვით, 1,7 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს კომპაქტურად და მიმოფანტული სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, საფრანგეთში - 5,8 მილიონი მუსლიმი), ტოტალიტარული სოციალიზმი (ხუთი სახელმწიფო 1,5 მილიარდზე მეტი მოსახლეობით) და ლიბერალური ნახევრად სოციალური კაპიტალიზმი. ქვეყნების უმეტესობა 4 მილიარდზე მეტი მოსახლეობით.

მუსლიმურ ქვეყნებში გამოქვეყნებულ სხვადასხვა დოკუმენტში არის საუბარი „მუსლიმური სამართლიანობის“ პრინციპზე. ტრადიციულად, მუსლიმური სამართლიანობის კონცეფცია ემყარება ყურანის დებულებებს, ხალხის დაყოფას რელიგიური ხაზებით და ვარაუდობს, რომ კანონის წყაროა შარიათი, ხოლო უმმა (საზოგადოება, სახელმწიფო) არის "ერთგულების" ასოციაცია. მუსლიმებში მხოლოდ "ერთგულ" მამაკაცებს აქვთ სრული უფლებები, ქალთა უფლებები „ლეგალურად“ შეზღუდულია; „წმინდა“ არის არა კერძო, არამედ საჯარო საკუთრება, ოთხი ელემენტი (ჰაერი, წყალი, ცეცხლი, მიწა, ბუნებრივი რესურსების ჩათვლით) არ შეიძლება იყოს კერძო საკუთრება; გათვალისწინებულია ზაქათი - ღარიბების სასარგებლოდ მდიდრების ქონებაზე სპეციალური 5%-იანი გადასახადი; აკრძალულია პროცენტით სესხება, მეჩეთებში არის ვაკუფის ქონება ღარიბი მუსლიმების დასახმარებლად. ზოგიერთი სხვა ფენომენი ასევე განიხილება მუსლიმური სამართლიანობის ელემენტებად, მაგალითად, მამაკაცების მიერ ღარიბი ქალების მიღება, რომლებიც სახლებში ქმრის გარეშე დარჩნენ.

ტოტალიტარული სოციალიზმის სამართლის სისტემა თავის მართლმადიდებლურ ფორმაში (დღეს არის შეცვლილი ფორმებიც) გულისხმობს სოციალური სამართლიანობის სხვა ძირითად კომპონენტებს:

კერძო („ექსპლუატაციური“) საკუთრების აღმოფხვრას და წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებას; მოსახლეობა დაყოფილია მუშებად და ექსპლუატატორებად, მხოლოდ პირველებს აქვთ სრული უფლებები; გამოცხადებულია მუშათა კლასის წამყვანი როლი: შრომა განსაზღვრავს ადამიანის პოზიციას საზოგადოებაში. სოციალური პროდუქტის განაწილება უნდა განხორციელდეს შრომის მიხედვით; კონსტიტუციების ან სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად, წარმოების, განაწილების, მოხმარების ცენტრალიზებული დაგეგმვა ხორციელდება; სოციალური სამართლიანობის იდეის საბოლოო განსახიერება არის სოციალისტური, შემდეგ კი კომუნისტური საზოგადოების შექმნა. თუმცა, არსად იყო შესაძლებელი ყველა ამ დებულების სრულად განხორციელება.

ლიბერალური კაპიტალისტური სისტემა ითვალისწინებს: კერძო საკუთრების დომინირებას მის სხვადასხვა ფორმებში; ადამიანთა სამართლებრივი, მაგრამ არა სოციალური თანასწორობის პრინციპი; საზოგადოების კლასობრივი და სხვა სოციალური დაყოფის უარყოფა სოციალური ფენებისთვის რაიმე სამართლებრივი პრივილეგიების დაწესებით; სოციალური პროდუქტის განაწილება, უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრების სიდიდის შესაბამისად, რაც ნათლად ჩანს სააქციო საზოგადოების მაგალითზე და ა.შ.

ლიბერალური კაპიტალისტური სისტემის მოწინავე ქვეყნებს აქვთ ხელფასების მაღალი დონე, საარსებო მინიმუმი, პენსიები და სახელმწიფოს მიერ მოწოდებული სხვა სოციალური სერვისები. ევროპის ყველაზე აყვავებულ ქვეყნებში ამ მაჩვენებლების ნაწილი 15-20-ჯერ აღემატება ევროკავშირის სხვა ქვეყნებს. თუმცა, ეს სისტემა დაფუძნებულია მოგებისკენ სწრაფვაზე და კერძო საკუთრება, რომელზეც ის ეყრდნობა, ჩვენს დროში უკვე გადარჩენის ფორმად იქცევა. გარკვეულწილად, ეს აისახება ზოგიერთ კონსტიტუციაში (ბრაზილია, გერმანია, პორტუგალია და ა.შ.), რომელიც ადგენს, რომ კერძო საკუთრება არა მხოლოდ უნდა ემსახურებოდეს მფლობელს, არამედ ასრულებდეს საჯარო ფუნქციებს.

სოციალური სამართლიანობა არის როგორც ქვეყნის განვითარების მიღწეულ დონეზე არსებობის პრინციპი, ასევე სწორი მიზნების დასახვა, მისი მაჩვენებლები იცვლება ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში. ის, რაც შეიძლება

ჩაითვალოს სოციალურ სამართლიანად ტროპიკულ აფრიკაში, ასე არ არის ევროპისა და ამერიკის განვითარებულ ქვეყნებში.

კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით, შეიძლება აღინიშნოს, რომ სოციალური სამართლიანობის პრინციპს თავის ფაქტობრივ გამოვლინებაში აქვს ორი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ზოგადი სოციალური და კონკრეტულად მიზანმიმართული. სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეგულირების, ხალხის მიერ დედამიწის წიაღის საკუთრების, საარსებო მინიმუმის შესახებ დებულებები, პრინციპში ვრცელდება ყველა მოქალაქეზე, თუმცა, მაგალითად, უფასო მედიკამენტების და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული უფლება, საარსებო მინიმუმი გაცილებით მნიშვნელოვანია ღარიბებისთვის, ვიდრე მდიდრებისთვის. მიზნობრივი სოციალური დახმარება მიმართულია მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე, მუშაკებზე, ბავშვებს, პენსიონერებზე და ა.შ. ასევე კონკრეტულ პირებზე, რომლებიც რთულ ცხოვრებისეულ ვითარებაში აღმოჩნდებიან.

სოციალურ სამართლიანობასთან დაკავშირებული ინდივიდუალური სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე, შეიძლება სცადოთ მისი ინდიკატორების დადგენა, დადგინდეს, როდის არის შესაძლებელი სოციალური სამართლიანობა ნაკლები შეღავათების მიღებისას და როდის არ არსებობს მეტი შეღავათების მიღებისას. ზოგად ციფრულ ინდიკატორებად ვიღებთ „სამომხმარებლო კალათას“ და კანონით დადგენილ ადამიანური განვითარების ინდექსს, ხოლო სოციალურად გამიზნულთათვის – მინიმალურ ხელფასს (მინიმალურ ანაზღაურებას) და ხანდაზმულთა პენსიას სტაჟის გათვალისწინებით.

სამომხმარებლო კალათა - ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა - განისაზღვრება მეცნიერული კონცეფციების საფუძველზე და ითარგმნება ფულადი თვალსაზრისით. სხვადასხვა ქვეყანაში, ჩვეულებრივ, მოიცავს 100-ზე მეტ საქონელსა და მომსახურებას (რუსეთში - 156, გერმანიაში - 475, დიდ ბრიტანეთში - 700). როგორც წესი, სამომხმარებლო კალათა ასახავს ხალხთა განსხვავებულ საცხოვრებელ პირობებს, მაგალითად, საფრანგეთში, ის გულისხმობს რესტორნებში ვიზიტების გარკვეულ რაოდენობას, დიდ ბრიტანეთში - გოლფის თამაშის საფასურს. დასავლეთის ქვეყნებში ითვლება, რომ საარსებო მინიმუმი უნდა იყოს საშუალო ხელფასის 40% (აშშ) - 50%

(ევროპის ბევრ ქვეყანაში). პრაქტიკაში ის დგინდება კანონით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების გაანგარიშების საფუძველზე და პირისთვის ხელმისაწვდომ ქონებაზე, ცალკეული კატეგორიის პირებისთვის კი შეიძლება იყოს უფრო მცირე ოდენობა. ამრიგად, შეერთებულ შტატებში 2019 წელს საშუალო თვიური ხელფასი იყო 4580 აშშ დოლარი, საარსებო მინიმუმი დაახლოებით 1300 აშშ დოლარი იყო, ხოლო „ღარიბი“ კატეგორიისთვის 700-900 აშშ დოლარი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (ბულგარეთი, რუმინეთი და სხვ.) საარსებო მინიმუმი ჩვეულებრივ უდრის მინიმალურ ხელფასს. თუ მოქალაქის შემოსავალი სამომხმარებლო კალათის ღირებულებაზე დაბალია, სახელმწიფო იხდის სუბსიდიას საარსებო მინიმუმამდე მისასვლელად.

საარსებო მინიმუმი არ არის მუდმივი, მონაცემები მუდმივად იცვლება. 2019 წელს საარსებო მინიმუმი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში მერყეობდა 1500-დან ბელგიაში, ნიდერლანდებში თვეში 2000 ევრომდე, პოლონეთში - 410, უნგრეთში - 333, რუმინეთში - 218, ბულგარეთში - 184 ევრო, ყველაზე დაბალი დონე ევროკავშირის ქვეყნებს შორის.

მეორე საერთო რიცხვითი მაჩვენებელი არის ადამიანის განვითარების ინდექსი, რომელსაც ყოველწლიურად განსაზღვრავენ გაეროს ექსპერტები. 2019 წელს ნორვეგიამ ამ მაჩვენებლით პირველი ადგილი დაიკავა 0,944 ინდექსით, მეხუთე - აშშ (0,914), 17– f - იაპონია (0,890), 34– f - საუდის არაბეთი (0,830), 54– f - რუმინეთი (0,785). ), 57– ე - რუსეთი (0,728), 95– ე - ალბანეთი (0,716). 182 ქვეყნიდან ბოლო ადგილი ნიგერიამ დაიკავა (0,332).

მინიმალური ხელფასი დასაქმებულებისთვის მიზნობრივი მაჩვენებელია. სხვადასხვა ქვეყანაში ის არის ყოველთვიური ან საათობრივი, ის ჩვეულებრივ დადგენილია საკანონმდებლო დონეზე და შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს (გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში საუბარია სამართლებრივ ნორმებზე და არა რეალურ ხელფასზე, რომელიც კიდევ უფრო განსხვავდება). 2019 წელს თვიური მინიმალური ხელფასი იყო: ბელგიაში - 1501,8 ევრო, გერმანიაში - 1473, დიდ ბრიტანეთში - 1301, ესპანეთში - 756, საბერძნეთში - 683, პოლონეთში - 409,53, რუმინეთში - 217,5 ევროს შეადგენს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, ასაკობრივი პენსია არ უნდა იყოს ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის 40%-ზე ნაკლები. ევროპის რიგ ქვეყნებში

პენსიებისა და ხელფასების პროცენტი გაცილებით მაღალია: ჩეხეთში - 50%, ფინეთში - 58,4%, თურქეთში - 64,5%, ესპანეთში - 81%. ლუქსემბურგში პენსია შესაძლოა წინა ხელფასზე ოდნავ მაღალიც კი იყოს. ამასთან, ბევრ ქვეყანაში პენსია არ აღწევს დადგენილ დონეს.

**დასკვნა.** სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, არის ასევე მონაცემები მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების დონის შესახებ, თუ ქვეყანაში ყველა დაახლოებით ერთნაირად ცხოვრობს და სოციალური სამართლიანობა გარეგნულად მაინც დაცულია. გარკვეულწილად ეს დამახასიათებელი იყო სსრკ-სთვის, მაგრამ საბჭოთა კავშირში ცხოვრების სხვა ნეგატიურმა ასპექტებმა დაარღვია სოციალური სამართლიანობის ძირითადი საფუძვლები.

თუ ინდივიდებისა და მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მატერიალურ მდგომარეობაში უზარმაზარი ხარვეზია, აშკარად ირღვევა სოციალური სამართლიანობა. მატერიალური შესაძლებლობები დიდწილად განაპირობებს ხელმისაწვდომობას კულტურაზე, განათლებაზე, ჯანდაცვაზე, დასვენებაზე და ა.შ. ჩვეულებრივ, გაანგარიშებისას ადარებენ ყველაზე მაღალი შემოსავლის მქონე ადამიანების 10%-ს და ყველაზე დაბალს 10%-ის ფინანსურ მდგომარეობას. შეერთებულ შტატებში შემოსავლების სხვაობა უმდიდრეს და ღარიბ მოქალაქეებს შორის თხუთმეტჯერ აღემატება, ევროპის ქვეყნებში შვიდჯერ ან რვაჯერ.

სოციალური სამართლიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ძალაუფლებისა და ქონების რეალური გამიჯვნა. ზოგიერთ ქვეყანაში საჯარო სამსახურში მყოფი პირები ვერ ახორციელებენ ბიზნესს, თუნდაც ტრასტის - ტრასტის გამოყენებით თუმცა, მაგალითად, შეერთებულ შტატებში ეს შესაძლებელია.

თანამედროვე პირობებში საჭიროა მოიძებნოს სამართლებრივი საფუძველი, რომ საჯარო მოხელეებმა მიიღონ მაღალი და თუნდაც ძალიან მაღალი უსაფრთხოება სამსახურის პერიოდში და პენსიაზე გასვლის შემდეგ, ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ დაუშვან მათი მონაწილეობის მიღება ფარული ფორმებით სამეწარმეო საქმიანობაში. აუცილებელია ისეთი პირობების შექმნა, რომ თანამდებობის პირმა უარი თქვას ქრთამზე, ვადაზე ადრე გათავისუფლების და მომავალი პენსიის დაკარგვის შიშით. რა თქმა

უნდა, ამასთან ერთად, საჭიროა სხვა ღონისძიებები, მათ შორის საგანმანათლებლო და მორალური ხასიათის.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. House of payment is red: the wealthiest members of the government // URL: http://www.forbes.ru/rating.
2. Minimum wages in Europe// URL: http://www.euromag.ru/catalogs/stat/41680.html.
3. How good is it abroad, or the average salary in the world // URL: http://visasam.ru/emigration/html.
4. The UN published the World Human Development Index 2019 // URL: http://www.euroosvita.net/index.php/?category=1&id= 3427.
5. Highest pensions in Europe - top ten countries // URL: http://ubiznes.ru/skolko earns the highest pensions in Europe top ten countries //html.
6. Social inequality. Changes in social structure: a European perspective. Sat. articles. SPb., 2019
7. Рейтинг: прожиточный минимум в странах ЕС // URL: http:// www. businessclass.md/ news/Reiting_projitochnii_minimum_v_stranah_ES_/ ?lg=ru.
8. Хайруллоев Ф С. Принцип справедливости в мусульманском праве: Дисс. ... канд. юрид. наук. М., 2020.

# სტრატეგიული კვლევა საქართველოს სარკინიგზო სექტორისა და სს „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაციისთვის
# Strategic Research for Restructuration of Georgian Railway Sector and JST Georgian Railway

**დავით ფერაძე** - სტუ-ს დოქტორანტი
**D. Peradze - PhD student of GTU**

**Resume:** The necessity of restructuring JSC Georgian Railway is based on the current status of Georgian rail-sector. Namely:

- No open access for third parties to the Georgian rail sector. Third parties only have access to the rail network with the permission of GR.
- Georgia has three rail infrastructure managers: GR, MKR (1435 mm rail connection with Turkey), and the Tourist railway with small gauge- all three under control and operation of GR.
- GR is the sole provider of rail freight and passenger services in Georgia.
- GR is a horizontally integrated transport company structured in different organization units with subsidiaries.
- GR has no market-oriented organization structure.
- The freight section of the GR is obliged to cross-subsidize the loss-making passenger transport and rail infrastructure.
- There are no independent rail bodies in the sense of the EU rail legislation that are in charge of:

✓ Rail market regulation;
✓ Railway licensing;
✓ Rail safety issues;
✓ Accident investigation is in the hands of the GR, the only body that can cause rail accidents.
✓ Technical norms, interoperability issues are solely decided by the GR nationally or internationally with the neighboring railways and as active member of the OSSJD.

As a result of aforementioned the rail sector has to lose volumes and market shares in freight transport against the road and in passenger transport against the air.

This research focuses on the restructuring of Georgian Railway with the goal to transform the company into a financially sustainable and business-oriented internationally acting multi-modal transport operator that will be able to compete in the future with other transport service providers and to meet the market expectations, especially in view with Georgia:

- as a transit corridor for the Southern Belt and Road and
- multi-modal distribution platform for the region with facilities for value-added manufacturing

The restructuring of JSC Georgian Railway will enable not only harmonization with EU legislation, but also improving the railway sector in Georgia, which will play an important role in the development of the Georgian economy. Namely,

- Increase profitability;
- There will no longer be a need for cross-financing between passenger transport and freight;
- Rehabilitation of infrastructure;
- Increased customer confidence in the quality of service offered;
- Professional development of key personnel will be simplified.

**შესავალი:** 2014 წლის 27 ივნისს საქართველოს, ევროკავშირს (EU), ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ("ასოცირებით შესახებ შეთანხმება"). საქართველოს პარლამენტის მიერ „ასოცირების შესახებ შეთანხმება" რატიფიცირებულ იქნა (2014 წლის 18 ივლისის №2495-რს დადგენილება) და მაშასადამე, გახდა საქართველოს ეროვნული სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილი. „ასოცირების შესახებ შეთანხმების" მთავარი მიზანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის ყოვლისმომცველი და ეფექტური თანამშრომლობის დამყარება, ამასთან, საქართველოს ჩაბმა აქტიურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებაში.

სარკინიგზო სექტორთან მიმართებით, „ასოცირების შეთანხმების" მე-14 დანართის ფარგლებში, საქართველომ იკისრა ვალდებულება საკუთარ კანონმდებლობაში დანერგოს ევროკავშირის შესაბამისი სამართლებრივი აქტები, რომელთა იმპლემენტაცია გულისხმობს სახელმწიფოს კუთვნილი რკინიგზის, სს „საქართველოს რკინიგზის" რესტრუქტურიზაციას, იმისათვის, რომ ის იყოს შესაბამისობაში ახალ სარკინიგზო გარემოსთან.

წინამდებარე სტრატეგიულ კვლევაში ასახულია ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული სარკინიგზო სექტორის ჩამოყალიბებას. კვლევა ფოკუსირდება სს „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაციაზე იმ მიზნით, რომ კომპანია გარდაიქმნას ფინანსურად მდგრად და ბიზნესზე ორიენტირებულ საერთაშორისოდ აღიარებულ მულტიმოდალურ სატრანსპორტო ოპერატორად, რომელსაც ექნება შესაძლებლობა მომავალში კონკურენცია გაუწიოს სხვა სატრანსპორტო მომსახურების მიმწოდებლებს და უპასუხოს ბაზრის მოთხოვნებს, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში.

**რესტრუქტურიზაციის სამოქმედო გეგმა და ოფციები: რესტრუქტურიზაციის გეგმამ უნდა განსაზღვროს სს „საქართველოს რკინიგზის“ ორგანიზაციული და ფინანსური გამიჯვნა, სამგზავრო, სატვირთო და ინფრასტრუქტურის აქტივობები, ევროკავშირის 2012/34 დირექტივის სავალდებულო მოთხოვნების შესაბამისად, რათა სახელმწიფოს კუთვნილი კომპანია გარდაიქმას ისეთ კომპანიად, რომელსაც ექნება სოციალური პასუხისმგებლობა, ეყოლება სანდო და მოგებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი და რომელიც წარმოადგენს მულტიმოდალურ საერთაშორისო სატრანსპორტო ოპერატორს.**

რკინიგზის რესტრუქტურიზაციის ოფციები მოიცავს შემდეგს:

- სარკინიგზო სამართლის ცვლილებებს, შესაბამისად, ახალი სარკინიგზო სამართალი, რომელიც სრულად შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებლობას, როგორც ეს გათვალისიწინებულია ასოცირების შეთანხმებაში;

- სხვადასხვა სარკინიგზო ორგანოების ჩამოყალიბება, განსაკუთრებით მარეგულირებელი ორგანოსი, ეროვნული უსაფრთხოების ორგანოსი და უბედური შემთხვევების გამოძიების ორგანოსი;

- „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაცია, ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების ერთმანეთისაგან გამიჯვნის გზით, რაც წარმოადგენს საქართველოსთვის ყველაზე დიდი გამოწვევის მქონე და ძვირადღირებულ სცენარს, რადგანაც ის მოიცავს ა) სს „საქართველოს რკინიგზის“ სარკინიგზო ინფრასტრუქტურასა და სარკინიგზო

ოპერაციებში აუცილებელი ინვესტიციების განხორციელებას და ბ) რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერას მთავრობის/სამინისტროების დონეზე, შესაბამისი შესაძლებლობების განვითარების მიზნით, რომელიც გამოიწვევს ახალი პოზიციებისა და დავალებების მქონე ახალი სარკინიგზო ორგანოების შექმნას.

**ნახ. 1. სს „საქართველოს რკინიგზის“ ბიზნეს ერთეულების სტრუქტურა.**




წყარო: www.railway.ge

ქვემოთ მოცემული გრაფა იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ განხორციელებული ქმედებებისა და შედეგების სურათს.

**ა) რესტრუქტურიზაციის სამი ძირითადი ოფცია**

ევროპის ქვეყნების პრაქტიკამ გამოკვეთა რესტრუქტურიზაციის სამი ძირითადი ოფცია:

1. სარკინიგზო ოპერატორი იყოს ერთადერთი სრულად ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია, რომელიც შედგება ცალკეული ბიზნეს ერთეულებისაგან, მათ შორის ინფრასტრუქტურის მენეჯერისაგან და ერთი, თუ მეტი განცალკევებული ბიზნეს

ერთეულისაგან[18], რომელიც ახორციელებენ სარკინიგზო მომსახურებას მგზავრთა გადაყვანის და სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით, თუმცა არ გააჩნიათ დამოუკიდებელი სამართლებრივი ფორმა. (მაგალითად: სლოვენია და უნგრეთი);

2. რესტრუქტურიზაციის შედეგად მოხდეს სხვადასხვა ვერტიკალურად ინტეგრირებული დამოუკიდებელი იურიდიული პირების ჩამოყალიბება, „მყარ“ ან „სუსტ“ ჰოლდინგურ სტრუქტურაში შემავალ კომპანიებად (მაგალითად: ავსტრია და გერმანია კლასიკური ძლიერი ჰოლდინგი (ÖBB, DB[19]), პოლონეთი (PKP), საფრანგეთი (SNCF)).

**ნახ. 2. რკინიგზის რესტრუქტურიზაციის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტზე**




[18] განცალკევებული ნიშნავს: ორგანიზაციული ერთეული, რომელსაც ეწოდება დეპარტამენტი ევროკავშირის 2012/34 დირექტივის მიხედვით, და არ წარმოადგენს ცალკეული ოპერატორის იურიდიულ პირს;

[19] გერმანიის რკინიგზის ბიზნეს ერთეულები https://www.deutschebahn.com/en/group/business_units

ნახ. 3. გერმანიის რკინიგზის (DB) და მისი შვილობილი კომპანია დბ მობილიტი ლოგისტიკს (DB Mobility Logistics) ორგანიზაციული სტრუქტურა.




წყარო: www.deutschebahn.com

ნახ. 4. ავსტრიის ფერდერალური რკინიგზის (ÖBB) სტრუქტურა.




**წყარო:** www.obb.at

3. რესტრუქტურიზაციის შედეგად მოხდეს სრულიად დამოუკიდებელი კომპანიების ჩამოყალიბება, რომელთაგან ერთი არის ინფრასტრუქტურის მენეჯერი, ხოლო ერთი ან მეტი ოპერატორი იარსებებს სატრანსპორტო მომსახურებებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ თითოეულ ახალ კომპანიას ექნება

საშუალება ჰყავდეს შვილობილი კომპანიები, სპეციფიური დანიშნულებისათვის.

**მაგალითად:**

- ინფრასტრუქტურის მმართველ კომპანიებს შესაძლოა ჰყავდეთ სრულად ან ნაწილობრივ მათ საკუთრებაში არსებული შვილობილო კომპანიები სამუშაოთა წარმოებისათვის;
- სატრანსორტო კომპანიებს შეიძლება ჰყავდეს შვილობილი კომპანიები სატვირთო მომსახურების (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო), სამგზავრო მომსახურების (საზოგადოებრივი მომსახურება, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო), წევის მომსახურების, რომელიც შეიძლება შეთავაზებულ იქნას საქართველოში ყველა სარკინიგზო ოპერატორისათვის, სავაგონო მომსახურება, რომელიც შემოთავაზებულ შეიძლება იქნას სახელმწიფოს შიგნით ან საერთაშორისოდ მოქმედი სავაგონო სალიზინგო კომპანიების მიერ.
- ლატვიაში, სამგზავრო კომპანია იყო რიგის ტერიტორიაზე სატრანსპორტო მომსახურების გამწევ კომპანიასთან სრულად ინტეგრირებული და რკინიგზის სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული რკინიგზის მგზავრთა გადაყვანის ნაწილი აღარ არის.
- ბულგარეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, კოსოვოში, რუმინეთში, მონტენეგროში, სლოვაკეთში, შვედეთში, არსებული სარკინიგზო კომპანიები დაიყო დამოუკიდებელ კომპანიებად, მაშინაც კი, თუ დამოუკიდებელი კომპანიები სახელმწიფოს საკუთრებაშია.

ევროპის მონიტორინგის მე-5 ანგარიში, გვაძლევს ევროკავშირში იმპლემენტირებული ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვას (სტატუსი 2015). აღნიშნული ანგარიშის შედეგად დადგინდა, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ დანერგა რესტრუქტურიზაციის მესამე ოფცია, კერძოდ, სრულად გამიჯნული სტრუქტურები;

საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური ოფციის არჩევის მიზნით უნდა მომზადდეს შესაბამისი კვლევები, შეფასების მატრიცა, ანალიზი.

ტრანსპორტის პოლიტიკის განმსაზღვრელი კომპეტენტური სამინისტროს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) და „საქართველოს რკინიგზის“ ერთობლივი ძალისხმევით, მომზადდა ე.წ „შეფასების პირველადი მატრიცა“, რომელიც მიღებულია ევროკავშირის 2012/34 დირექტივაში მოცემული სხვადასხვა კრიტერიუმის ანალიზით. აღნიშნული „შეფასების მატრიცის“ მეშვეობით პირველადად გამოიკვეთა, რომ რესტრუქტურიზაციის მესამე ოფცია (**ჰოლდინგი, ინფრასტრუქტურის, მგზავრთა გადაყვანის და სატვირთო გადაზიდვების დამოუკიდებელი შვილობილი კომპანიებით**) სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ პოტენციურად იქნება საუკეთესო შედეგის მომცემი.

**ბ) გადასადგმელი ნაბიჯები**

**ნაბიჯი 1: მოსამზადებელი ეტაპი:** არსებული რკინიგზის ოპერატორის მომზადება, რათა გახდეს ბაზრისთვის მორგებული, იმ შემთხვევაშიც კი თუკი ბაზრის გახსნა მომდევნო წლების განმავლობაში არ მოხდება. ევროკავშირის გამოცდილებამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რკინიგზის მომზადებას, რათა ღია ბაზრისთვის იყოს მორგებული, სჭირდება წლები, შესაბამისად, პროცესის დაწყება უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრე. ეს არ გულისხმობს მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და ოპერაციების ერთმანეთისაგან განცალკევებას.

**აღნიშნული გულისხმობს შემდეგ ღონისძიებებს:**

- სამოქმედო გეგმაზე შეთანხმება;
- „საქართველოს რკინიგზის ჰოლდინგის“ დაფუძნების მოსამზადებელი სამუშაოები;
- რესტრუქტურიზაციის განსახორციელებლად მთავარი ჯგუფის შექმნა, რომელსაც ექნება უფლებამოსილება აღნიშნული ორგანიზაციის გარეთ გარდაქმნის განხორციელების (მაგ. სამუშაო ძალა განსაკუთრებული მანდატით);
- ყველა ორგანიზაციულ დონეზე, მათ შორის „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორთა საბჭოს და ხელმძღვანელების დონეზე სწავლების პროგრამების დაწესება;

- „ახალი მართვის პრინციპების“ საფუძველზე, სათანადო სასწავლო პროგრამების დაწყება, რომლის სახელწოდებაც შეიძლება იყოს „ხიდი“, რაც ასახავს არსებული საწარმოსა და გარდამავალი საწარმოს შედეგად ახალი კომპანიის შექმნას;
- ხარისხის პროგრამის შექმნა: მოკლე პერიოდში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, თანხმლები ღონისძიების ხარისხის მაკონტროლებლების განსაზღვრა, მათ შორის არსებული გარდამავალი სტრუქტურების ჩართვით. ხოლო ახალ საწარმოში, მაღალი დონის ხარისხის უზრუნველსაყოფად, ეს გახდება მუდმივად დადგენილი ღონისძიება.
- შვილობილ კომპანიებში თანამშრომელთა განაწილებისა და ფუნქციების განსაზღვრის გეგმა, ახალი სამსახურებისათვის არსებული კვალიფიკაციის შესაბამისად.
- შემდეგი მმართველობითი ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული, კომერციულად წარმატებული „საქართველოს რკინიგზის“ ჩამოყალიბებისათვის:
- მომხმარებლებზე ორიენტაციის წარმოდგენა (გაყიდვის ჯგუფები, ახალი პროდუქტები - მაგალითაც, მულტი-მოდალურობა, კარიდან კარის პროდუქტები);
- დასაქმებულთა შრომისუნარიანობის გაზრდა (ბონუსების სისტემა, გადაჭარბებული რაოდენობის პერსონალის შემცირება);
- მიმდინარე პროცესების (კონტროლი, ღირებულების გამოთვლა, ქონების მართვა, ლიზინგი vs. შესყიდვა) ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს არსებულ ოპერატორს გახსნილი ბაზრის პირობებში კონკურენცია გაუწიოს ახლად დაფუძნებულ სარკინიგზო ოპერატორს;
- სახელმეკრულებო საფუძვლებით ხანგრძლივვადიანი დაფინანსების გათვალისწინება, ნათლად განსაზღვრული მიზნებით და სათანადო შესრულების ინდიკატორებით, როგორც ამას 2012/34/EU დირექტივა მოითხოვს.

**ნაბიჯი 2: „დანერგვის ეტაპი“:** ეს ეტაპი მოიცავს ინფრასტრუქტურისა და ოპერატორის დამოუკიდებელი შვილობილი კომპანიების დაფუძნებას.

- „საქართველოს რკინიგზის“ ჰოლდინგის დაფუძნება;
- ინფრასტრუქტურის მენეჯერის კომპანიის (შპს „საქართველოს რკინიგზა ინფრა“) დაფუძნება;
- მგზავრთა გადაყვანის კომპანიის (შპს „საქართველოს რკინიგზა სამგზავრო“) დაფუძნება, რომელიც „საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებას“ შეასრულებს, შესაბამისად, ექნება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან გაფორმებული საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულება;
- სატვირთო გადაზიდვების კომპანიის (შპს „საქართველოს რკინიგზა“ ტვირთი და ლოგისტიკა) დაფუძნება, რომელიც საერთაშორისო მულტი-მოდალური სატრანსპორტო ოპერატორი იქნება, სპეციფიკური მომსახურების საშუალებებით, როგორიცაა ლოგისტიკური ცენტრები და საქმიანობას განახორციელებს შემდეგ ძირითად ბაზრებზე:

✓ ტრანსკონტინენტური ბაზარი, სამხრეთ აბრეშუმის გზაზე საქართველოს სატრანზიტო ქვეყნად გამოყენების გზით, რეგიონში გადაზიდვების გადანაწილებით;
✓ ექსპორტის/იმპორტის ტრანსპორტი;
✓ შიდა ტრანსპორტი.

შედეგი უნდა იყოს სარკინიგზო მომსახურებების, როგორც ძირითადი საქმიანობის მქონე ფინანსურად სტაბილური და ბიზნესზე ორიენტირებული საერთაშორისო მულტი-მოდალური სატრანსპორტო ოპერატორი.

**რესტრუქტურიზაციის პროცესის თანმხლები ღონისძიებები**

იმის გათვალისწინებით, რომ რკინიგზა ყოველთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ბიზნესს, კომპანიის პერსონალის ოპტიმიზაციის საკითხი გულდასმით უნდა იქნეს დაგეგმილი და განხორციელებული. ეს ძირითადად გულისხმობს იმას, რომ საპენსიო ასაკის მქონე

მაღალკვალიფიციურმა დასაქმებულებმა თავიანთი ცოდნა უნდა გადასცენ უფრო ახალგაზრდა თანამშრომლებს, იმ მიზნით, რათა შენარჩუნებულ იქნას რკინიგზის სისტემა და გონებრივი შესაძლებლობების შემცირების შედეგად არ მოხდეს ცოდნის დაკარგვა.

შემდგომი საკითხი არის ტექნოლოგიების ცვლილება, მაშინ როცა ახალი ტექნოლოგიების წარმოდგენა ხდება იქ, სადაც ახალი კვალიფიკაციაა საჭირო, თუმცა საქმიანობა ისევ ძველებურია.

იმისათვის, რომ კომპანიამ განაგრძოს მდგრადი საქმიანობა, პერსონალის ოპტიმიზაციის სხვადასხვა ვარიანტი შეიძლება იქნას მხედველობაში მიღებული, როგორიცაა ცოდნის გადაცემა, სწავლება და ადამიანური რესურსების განვითარება, ასევე კომერციალიზაციის მიმართ პერსონალის მოტივაცია.

**ოპტიმიზაციის ვარიანტები კი ასეთია:**

- თანამშრომელთა შემცირება[20] (გათავისუფლება). აღნიშნულ ვარიანტს შეიძლება შედეგად მოყვეს გონებრივი შესაძლებლობების შემცირება, საზოგადოებრივი უკმაყოფილება და მოგვიანებით კი ახალი პერსონალის დაქირავებისა და სწავლებისათვის გაწეული დიდი ხარჯები. ევროკავშირის სარკინიგზო ისტორია სავსეა მაგალითებით, კერძოდ, კი ბელგია, საფრანგეთი და იტალია, რომელმაც თითქმის დაანგრია სარკინიგზო სექტორი;

- კომპანიაში არსებული თანამშრომლების გაერთიანება. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაციის შედეგად გადაჭარბებული ადამიანური რესურსების შემცირების დიდი ალბათობა, „საქართველოს რკინიგზას“ შეუძლია დააფუძნოს სპეციალური შვილობილი კომპანიები, რომელიც ამ გამოწვევის მოგვარებაზე იმუშავებენ. ე.წ. „თანამშრომლების გაერთიანების“ ძირითადი საქმიანობა არის თანამშრომლების ფაქტობრივი შემცირება, სწავლების,

[20] 2019 წლის მდომარეობით სს „საქართველოს რკინიგზა“-ში დასაქამებულია 13,000 მდე თანამშრომელი. მემანქანის საშუალო ასაკი კი - 52 წელია.

ტრეინინგების, პენსიაზე გაშვების, გათავისუფლების ან დაქირავების გზით. აღნიშნული კომპანიები დახმარებას გაუწევენ დიდი რაოდენობით თანამშრომლების გაშვებისას არსებული პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში, მოიძიებენ კვალიფიციურ კადრებს და ასევე განავითარებენ ახალ საქმიანობებს, შესაბამისად, ეყოლებათ კადრების რეზერვი, რომელიც საქმიანობის განვითარების შემთხვევაში შესაძლო გახდეს საჭირო, ამასთან შეამცირებენ მასშტაბურ გათავისუფლებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებს;

- სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული რკინიგზის ადამიანური რესურსების მართვის სააგენტო. სხვა შესაძლებლობა არის რკინიგზის პერსონალის სააგენტოს "შექმნა" სამინისტროს დაქვემდებარებაში (სატრანსპორტო ან სოციალური საქმიანობა). სააგენტოს ძირითადი საქმიანობა არის იგივე რაც „თანამშრომელთა გაერთიანების", მაგრამ სამინისტროს დაქვემდებარების ქვეშ.

ფულადი სახსრების არ ქონა და დაბალი ხელფასები გავლენას ახდენს „საქართველოს რკინიგზაში" ახალგაზრდა პროფესიონალების დასაქმების მოტივაციაზე, რამაც რკინიგზის სექტორში კვალიფიცირებული დასაქმებულების ნაკლებობა შექმნა.

თანამშრომელთა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციის განვითარებისთვის, კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე კვალიფიკაციისა და ტრეინინგების პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს.

**ვაკანსიების გაუქმება და ნახევარ განაკვეთზე მუშაობა**

- პირველი ნაბიჯი იქნება ვაკანსიების გაუქმება და ნახევარ განაკვეთზე დასაქმების თაობაზე ხელშეკრულებების გაუქმება, ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობის დებულებებით;

- ეს ღონისძიება „საქართველოს რკინიგზაზე" არ იქონიებს ეკონომიკურ გავლენას, თუმცა არაპირდაპირ, გამორიცხავს სხვა პირების დასაქმების შესაძლებლობას და ხელს შეუშლის ახალი ხარჯების წარმოშობას;

- აღნიშნული ღონისძიება განხორციელდება „შემცირების გეგმის“ დამტკიცებიდან ერთი თვის განმავლობაში.

**ნებაყოფლობით საფუძველზე**

- დასაქმებულთა შემცირება ნებაყოფლობით საფუძველზე, დასაქმებულების არსებული რაოდენობის შემცირებით, ეკონომიკური და ფინანსური ოპერაციების გათვალისწინებით, განხორციელდება იმ თანამშრომლებისათვის შეთავაზებების წარდგენით, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრეინინგი კომპანიის ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის მოცულობის შესაბამისად დასაქმებულთა შემცირების თაობაზე;

- მეორე ეტაპზე, დაახლოებით 150 ერთეულის შემცირება არის მოსალოდნელი. პირთა რაოდენობა წინასწარ განისაზღვრება „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლებთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე;

- აღნიშნულთან დაკავშირებით, „შემცირების გეგმის“ დამტკიცებიდან ორი თვის განმავლობაში შემუშავდება წინასწარი სია.

**დასაქმებულთა შემცირება პერსონალის შემცირების პრინციპით, თუმცა ძალიან მგძნობიარე გზით (დასაქმებულთა გაერთიანება)**

- „საქართველოს რკინიგზის“ რესტრუქტურიზაციით, დასაქმებულთა რაოდენობა შესაბამისად შემცირდება;
- ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად რკინიგზის შესაბამისი ორგანოების (სახელმწიფო უსაფრთხოების ორგანო, მარეგულირებელი ორგანო, „საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულების“ კომპეტენტური ორგანო, უბედური შემთხვევების საგამოძიებო ორგანო) შექმნით, ზოგიერთ სპეციალისტს მოუწევს „საქართველოს რკინიგზიდან“ აღნიშნულ ორგანოებში გადასვლა და ამ გზით „საქართველოს რკინიგზის“ დასაქმებულთა რაოდენობა კიდევ ერთხელ შემცირდება.

**ადმინისტრაციული პერსონალის შემცირება**

- „შემცირების გეგმის“ განხორციელების შემდეგ, ადმინისტრაციული კვოტა შეიძლება შემცირდეს.

**დასკვნა:** „საქართველოს რკინიგზა“ და რკინიგზის სექტორი დგას გზაჯვარედინზე: ან მათ წარმატებული მომავალი ექნებათ, ან ადრე თუ გვიან გახდება დაშლილი სექტორი.

დროის დაკარგვა რომ არ მოხდეს, „საქართველოს რკინიგზას“ შეუძლია წარმოადგინოს და განახორციელოს შემოთავაზებული რესტრუქტურიზაციის პროცესი დაუყოვნებლივ, რომელსაც კომპანია მიყავს უკეთესი მომავლისაკენ. ეს ასევე სრულ შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და „ასოცირების შეთანხმებასთან“.

**გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**


1. მარგალიტაძე ი., გეგეშიძე ე. (2017), „სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციები და საზღვაო საქმე“, სტუ.
2. მოისწრაფიშვილი მ. (2017), „ლოჯისტიკის საფუძვლები“, სტუ.
3. „სატრანსპორტო–ლოჯისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ (2017), ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი.
4. „სატრანსპორტო სექტორის შეფასება“ (2013), ქვეყანასთან თანამშრომლობის სტრატეგია - საქართველო 2014-2018, აზიის განვითარების ბანკი.
5. TRACECA, http://www.traceca-org.org
6. www.railway.ge
7. www.deutschebahn.com
8. www.obb.at

# დეზინფორმაციის იდენტიფიცირების მექანიზმები
# Disinformation identification mechanisms

**აკაკი გაბუნია** - სტუ, სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტი
დოქტორანტი
Akaki Gabunia - Georgian Technical University,
PhD student

**რეზიუმე:** ტექნოლოგიების განვითარების შედეგად ჟურნალისტები ინფორმაციის გადაცემის ერთ–ერთი და არა ერთადერთი საშუალებაა. მედიის საშუალებით საზოგადოება იღებს ინფორმაცის, რომელზე დაყრდნობითაც ის პოლიტიკურ ელიტას აწვდის ხმას და ხშირად პოლიტიკურ ამინდს ქმნის. ინტერნეტ სამყაროში სრულიად ადვილი შესაძლებელია ნებისმიერი პიროვნება გახდეს ინფორმაციის გამავრცელებელი.

ვებ ტექნოლოგიების განვითარებამ და იოლად ხელმისაწვდომობამ ფაქტობრივად წაშალა ჟურნალისტსა და აუდიტორიას შორის ზღვარი. ონლაინ სივრცეში ინფორმაცია იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ ხშირ შემთხვევაში მედია საშუალებების რეაგირება დაგვიანებულია. სწორედ ონლაინ მედიაა დეზინფორმაციის ერთ–ერთი მთავარი გამავრცელებელი. ონლაინ სივრცეში ინფორმაციის წყაროს იდენტიფიცირება რთულია, ხოლო საკუთარი ინტერესების გავრცელება კი მარტივი. ონლაინ მედიას სწრაფად „ჭორის გავრცელების" ფუნქცია აქვს შეთავსებული.

საინფორმაციო ომის ერთ – ერთი ხერხი, სწორედ ჭორით ზემოქმედებაა, ვინაიდან საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ამ ტიპის ინფორმაცია საინტერესოა, ამან ფეხი ადვილად მოიკიდა ელექტრონულ სივრცეში, რის უპირატესობასაც წარმოადგენს ის, რომ ამ ტიპის წყაროს იდენტიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება შექმნას „ფეიქ ნიუსები", „ფეიქ ექაუნთები" – ყალბი საინფორმაციო, მედია საშუალებები.

მაგალითად, იქმნება გარკვეული ონლაინ გვერდი, რომლის რედაქტორიც და ჟურნალისტიც შესაძლოა ერთი და იგივე ადამიანი იყოს. ბუნებრივია, იმის იდენტიფიცირება, თუ ამ ყველაფრის უკან ვინ დგას, საკმაოდ რთულია და სწორედ ამიტომ, ეს გზა არის ყველაზე ხელსაყრელი

„ინფრომაციის გათეთრებისა“, რასაც საინფორმაციო ომის პირობებში საკმაოდ ხშირად იყენებენ”.

მიუხედავად საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობისა და საკანონმდებლო რეგულაციებისა, ქართულ მედიასივრცეში ყალბი და დაუზუსტებელი ინფორმაცია მაინც ვრცელდება.

საზოგადოებაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დეზინფორმაციის წინააღმდეგ არსებული ღონისძიებებს ეფექტურად არ მიიჩნევს.

**საკვანძო სიტყვები:** დეზინფორმაცია, პროპაგანდა, მედია საშუალებები, მედიასივრცე, მედიაკრიტიკა

**Summary:** As a result of the development of technology, journalists are one of the only and not the only means of transmitting information. Through the media, the public receives information based on which it gives a voice to the political elite and often creates political weather. In the world of the Internet it is quite possible for any person to become a disseminator of information.

The advent of web technologies and easy access has virtually blurred the line between journalism and audiences. Information spreads so fast in the online space that in many cases the media response is delayed. Online media is one of the main spreaders of misinformation. It is difficult to identify the source of information in the online space, and it is easy to spread your own interests. Online media has a quick "gossip" feature.

One of the ways of information warfare is through gossip, because for a large part of the society this type of information is interesting, it has easily taken root in the electronic space, the advantage of which is that it is practically impossible to identify this type of source. Anyone can create "fake news", "fake accounts" - fake news, media outlets.

For example, a certain online page is created, the editor and journalist of which may be the same person. Naturally, it is quite difficult to identify who is behind all this, and that is why this is the most convenient way to "launder information, which is often used in information warfare."

Despite the active cooperation of non-governmental organizations and legislative regulations, false and inaccurate information is still spread in the Georgian media space.

A public opinion poll showed that a large part of the public does not consider anti-disinformation measures effective.

**Keywords:** disinformation, propaganda, media, media space, media criticism

**შესავალი:** 2000-იანი წლების ბოლოს მრავალ ქვეყანაში Twitter-ი და Facebook-ი, როგორც სოციალური მედიის საყრდენები, YouTube-ს შეუერთდნენ. ისინი გავლენას როგორც ჟურნალისტურ პრაქტიკასა და პროფესიულ იდენტობაზე (განსაკუთრებით გადამოწმების, აუდიტორიის ჩართულობის და სოციალურ პლატფორმებზე პირადი და საჯარო ინტერესების კონფლიქტების დროს), ასევე კონტენტის გავრცელებაზე ახდენდნენ. რამდენადაც ინდივიდების მიერ ფორმირებული ქსელები ნდობას ეფუძნება, კონტენტის გავრცელების ტრადიციული მეთოდებისთვის პირდაპირი წვდომა წყაროებზე და მათი გავრცელება (განსაკუთრებით Facebook-ზე) გამოწვევად იქცა.

მომხმარებლები საკუთარ ინფორმაციულ ნაკადს - მათ შორის, საინფორმაციო სააგენტოების, ჟურნალისტებისა და ინფორმაციის სხვა სანდო წყაროების კონტენტს - მედიაციის გარეშე პირდაპირ მართავენ. „ნდობის ქსელების“ (მომხმარებლებისა და მათი ნაცნობების) მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების შედეგად, არასწორი, ყალბი, მავნე და პროპაგანდისტული შინაარსი, რომელიც ინფორმაციადაა შენიღბული, სულ უფრო მეტადაა ხელმისაწვდომი. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ როგორც ემოციურ შინაარსს, ისე მეგობრის ან ოჯახის წევრის მიერ გაზიარებულს, სოციალურ მედიაში გადაზიარების უფრო მეტი პოტენციალი აქვს, მაშინ, როდესაც ჟურნალისტები და საინფორმაციო მედიები ინფორმაციის შეგროვების, აუდიტორიის ჩართულობისა და კონტენტის გავრცელლების აუცილებლობიდან გამომდინარე პლატფორმების ნაწილი გახდნენ (მათ იქ ყოფნა სჭირდებათ, სადაც მათი აუდიტორია აქტიურია), ამასთანავე განვითარდა „ფილტრის ბუშტები'“ თუ „დახშული სივრცეები“ (მაშინაც კი, როცა ისინი არც ისე ჰერმეტული ან იზოლირებული არიან, როგორც ზოგჯერ ამას ამტკიცებენ). ამან ბევრ ინდივიდუალურ მომხმარებელს ალტერნატიულ შეხედულებებსა და გადამოწმებულ ინფორმაციაზე წვდომა შეუზღუდა. შედეგად „ინფორმაციულ ქაოსთან“ დაკავშირებული რისკები გაიზარდა.

აუდიტორიასთან ქსელურად დაკავშირებული ჟურნალისტიკის უპირატესობებს შორისაა მრავალფეროვან წყაროებზე წვდომა, ერთობლივი ვერიფიკაციის უზრუნველყოფა (სასარგებლოა მცდარი ინფორმაციის შესასწორებლად, დეზინფორმაციისა და მავნე აქტორების გამოსავლენად) და ერთგული აუდიტორიის მოზიდვა (რასაც მედია აქტორებისა და ინფორმაციის მომხმარებელთა პირდაპირი ჩართულობა განაპირობებს). ისინი ასევე უზრუნველყოფენ აუდიტორიასთან „უკუკავშირის“ შესაძლებლობას, რათა გაშუქებაში დაშვებული შეცდომის შესწორება მოხდეს, ან ერთობლივ კვლევაში წვლილი შეიტანონ. ქსელურად დაკავშირებული საჯარო სივრცე ასევე ეხმარება ჟურნალისტებს და აუდიტორიას, თვითნებური შეზღუდვები და ცენზურა (მაგ: PR ტექნოლოგიების შრეები) თავიდან აიცილონ, რაც სასარგებლოა ინფორმაციაზე წვდომის გაუმჯობესებისა და ღია საზოგადოებისთვის.

აუდიტორიასთან და ინფორმაციის წყაროებთან სოციალურ ქსელებში ჟურნალისტების ჩართულობა ანგარიშვალდებულების მექანიზმებისთვის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, რაც თვითრეგულირების პროცესს ასაზრდოებს. ეს ინტერაქცია საშუალებას აძლევს ჟურნალისტებს, საჯაროდ და სწრაფად მოახდინონ რეაგირება მათი ნამუშევრების ლეგიტიმურ კრიტიკაზე, მყისიერად შეასწორონ შეცდომები და კონტენტის მომზადების პროცესის გაცნობით უფრო გამჭვირვალე გახადონ მათი საქმიანობა.

**ძირითადი ტექსტი:** ტექნოლოგიების განვითარებამ თანამედროვე სამყაროს, უდავო სიკეთესთან ერთად, რამდენიმე სერიოზული თავის ტკივილიც შემატა. ის, რომ ინტერნეტი მკვეთრად ამარტივებს კომუნიკაციას, აფართოებს ინფორმაციის მოპოვების არეალს, იძლევა გამოხატულების თავისუფლებას და ზრდის ინფორმირებული მოქალაქეების რიცხვს, მტკიცებას არ საჭიროებს, მაგრამ, ამის პარალელურად, იმატა ყალბი, გადაუმოწმებელი ინფორმაციების გავრცელების პრეცედენტებმა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ პოლიტიკურ ძალებსა და ქვეყნებს შორის ურთიერთობებზეც კი. რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ყალბი ინფორმაციის გავრცელებამ და როგორ შეიძლება მას ვებრძოლოთ?

ყალბი ინფორმაციის გავრცელების პრობლემა ახალი ნამდვილად არ არის კაცობრიობისთვის. ის მეტად აქტუალური გახდა რამდენიმე წლის

წინ, როდესაც ამერიკაში მნიშვნელოვანი არჩევნები ჩატარდა, ევროპაში კი _ ბრექსიტის (Brexit referendum) რეფერენდუმი და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები. სოციალური ქსელი, რომლითაც ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სარგებლობს, ნებისმიერ ადამიანს აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევს, ამიტომ, ტრადიციული ჟურნალისტიკა საკმაოდ მწვავე კონკურენცია-მეტოქეობას განიცდის „ფეიკნიუსების“ სააგენტოების, ჯგუფების და სხვა არაკეთილსინდისიერი ადამიანების მხრიდან. ზოგადად ფეიკნიუსს იყენებენ როგორც კომერციული მიზნებისთვის, ისე პოლიტიკური პროპაგანდისთვის. დგინდება, რომ ამ მეთოდებით მსოფლიოში, თუნდაც, სხვადასხვა აპოლიტიკური ონლაინ მედიასაშუალებები ძალიან კარგ ეკონომიკურ სარგებელს იღებენ.

ციფრულმა ერამ გამოქვეყნების ბარიერები მოხსნა და წარმოების ინსტრუმენტები იმ ადამიანებს გადასცა, ვინც ადრე აუდიტორიად იყო ცნობილი და მათ, ვინც შინაარსის, მათ შორის ინფორმაციის, თანამწარმოებელი გახდა. ამ ფუნქციასა და პრაქტიკას “produsage”-ს ანუ წარმოებისა (production) და მოხმარების (usage) სიმბიოზს უწოდებენ. ვიდრე სოციალური მედიის პლატფორმები მათ წვდომას მკვეთრად გაზრდიდნენ, თავდაპირველად მათ აუდიტორია ელექტრონული ფოსტითა და „ჩეთ რუმებით“ მიიზიდეს.

ყალბი ინფორმაციის ერთი მახასიათებელია მყვირალა სათაურით გამოქვეყნებული „სენსაციური ინფორმაცია“, რომელიც ადვილად ატყუებს მკითხველს. ამგვარ ინფორმაციებზე დაწკაპუნების რაოდენობა ავტომატურად ფიქსირდება, რაც საშუალებას აძლევს მედიასაშუალების მესვეურებს, მიიზიდონ რეკლამის დამკვეთები, რადგან ინფორმაციების მნახველთა რაოდენობა მის გვერდზე ასიათასებს აღწევს. ეს სისტემა მუშაობს პოლიტიკური მიზნითაც. საქართველოში ყალბი ინფორმაციის გავრცელების პიკი იყო 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის „ორთაბრძოლა“ გაიმართა არა მხოლოდ სოციალურ ქსელებში (მაგალითად, „ფეისბუქში“, რომელსაც საქართველოს მოქალაქეები ყველაზე მეტად იყენებენ), არამედ ტელევიზიებშიც, სადაც მეტად ჩანდა ოპოზიციური ფლანგი. მაგალითად, მაშინ ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილება ტელევიზია „რუსთავი 2“ ტელესიუჟეტებში ისეთ სიყალბეს ამბობდა, რომლის განეიტრალებაც ხელისუფლებას გაუჭირდა.

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს მანიპულაციური მედიათხრობა, როდესაც ტყუილ-მართალი ერთმანეთში არეულია. „ფეიკნიუსები“ ერთ-ერთი განშტოებაა, როდესაც ჟურნალისტის პირადი პოლიტიკური მოსაზრებები საღდება, როგორც აქსიომა, როგორც ფაქტი და არა როგორც მისი აზრი. საქართველოს პოლიტიკურ რეალობაშიც გვხვდება ასეთი რამ: მაგალითად, ავრცელებენ ინფორმაციას, რომ, ვთქვათ, ქართული ოცნება არის რუსეთის მონა-მორჩილი, „გაზპრომის“ ფულზე დამოკიდებული და სხვ. ავრცელებენ, მაგრამ ამის უკან ფაქტები არ არის, ეს არის უბრალოდ მოსაზრება. როგორ ხდება ფეიკ ნიუსების ამოცნობა მარტივად? უნდა დააკვირდე – თუ ვინ ავრცელებს ინფორმაციას და შემდეგ გადაამოწმო. ინტერნეტი უკიდეგანო სივრცეა. თუ ამავე ინფორმაციას იმეორებს მისი თანაპარტიელი, გასაგებია – რა ხდება, თუ სხვა წყარო იგივეს არ ადასტურებს, მაშინ ეს ინფორმაცია ყალბია. ჩვენი ფეიკ ნიუსის ერთი მაგალითით წლების წინ ძალიან დიდი დარტყმა მივიღეთ. ყველას გვახსოვს მოდელირებული ქრონიკა. ეს იყო კლასიკური ფეიკ ნიუსი. ასეთ დროს ძალიან მარტივი საშუალებაა, რომ გადაამოწმო – რა ხდება სხვა არხზე. მახსოვს, მე საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადავრთე და, მგონი, ის არხი ბალეტს აჩვენებდა, მეორე დღეს კი გამოცხადდა, რომ ეს მოდელირებული ქრონიკა იყო. ამ მოდელირებულ ქრონიკას, თუ ე.წ. ფეიკ ნიუსს ოცდაათი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, რაზეც პასუხი არავის უგია. დაეჭვება და გადამოწმება არის მთავარი. თუ ინფორმაცია საიმედოდ არ გვეჩვენება, აუცილებლად უნდა შევხედოთ თარიღს და ავტორს. ასეთივე ერთი კლასიკური ყალბი ინფორმაცია იყო, როდესაც მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ ანაკლიაში შემოჰყავდა ბრიტანული კომპანია, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ დაიწუნა.

მას დაავიწყდა, რომ ამ კომპანიაზე შეიძლება მოიძიო ინფორმაცია და გაიგო, ვინ არიან მისი წარმომადგენლები. ამგვარი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ ესენი არიან არა ბრიტანელი, არამედ ყაზახი მილიონერები, რომლებსაც კავშირები აქვთ რუს ოლიგარქებთან. ასეთი ინფორმაციები ძალიან მარტივია დასაჯერებლად და თუ არა დროული რეაგირება, სხვანაირად წინ ვერ წავალთ.

ყველა აცნობიერებს, თუ რამხელა საფრთხეს უქმნის ყალბი ინფორმაციის გავრცელება პოლიტიკურ/სახელმწიფოებრივ სტაბილურობას. ამის გამო დასავლეთში დაიწყეს დაცვის მექანიზმებზე

ზრუნვა. ჯერჯერობით ეს არ არის მასშტაბური. როგორც ანალიტიკოსებისაუბრობენ, იქმნება სპეციალური ჯგუფები ევროკავშირში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბრიტანეთსა და ამერიკაში, სადაც მობილიზებული არიან ანალიტიკოსები და ფოკუსირებული არიან უკვე ეჭვმიტანილ ინტერნეტსაიტებზე. ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ Google-თან და Facebook–თან, რომ ერთობლივად მოხდეს ასეთი გვერდების დაბლოკვა. მაგალითად, თუ ისინი დაინახავენ, რომ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირიდან ხდება ყალბი ინფორმაციის გავრცელება, ამ IP მისამართს საერთოდ დაბლოკავენ. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ინფორმაციის გავრცელების წინააღმდეგ კანონი აქვს საფრანგეთს, რითაც ის ებრძვის უცხო ქვეყნიდან მანიპულაციურ ჩარევებს შიდა პოლიტიკურ ამბებში. ჩვენ, იქიდან გამომდინარე, რომ გამოხატვის თავისუფლების ძალიან მაღალი ნიშნული გვაქვს ქვეყანაში, ამ ნიშნულს ვუფრთხილდებით, მაგრამ არსებობს გარკვეული რეგულაციები, რომელიც, ალბათ, უნდა დავამკვიდროთ. მაგალითად, ბრიტანეთს აქვს ძალიან კარგი მექანიზმი: იქ ფუნქციონირებს მარეგულირებელი კომისია, რომელიც წვდება ყველა ტელევიზიას, როგორც კერძოს, ასევე საზოგადოებრივს. თუ მაყურებელმა გადაწყვიტა შეიტანოს საჩივარი რომელიმე არხის წინააღმდეგ, რადგან შეილახა/დაზიანდა მისი პიროვნება, ხდება სანქცირება. როგორც ჩვენთან პორნოგრაფია არ გადის ტელეარხებზე, ისე არ გადის იქ გინება და ყალბი ინფორმაცია. ანალიტიკოსების განმარტებით საკმაოდ კარგად მუშაობს საჩივრების სისტემა.

როგორც არაერთი კვლევიდან ჩანს, დეზინფორმაციის 90% რუსეთიდან მოდის, თუმცა რუსეთის ხელისუფლება ამას უარყოფს. ეს არის ე.წ. ჰაკერების და ინტერნეტ-სპეციალისტების მიერ მართული პროცესი და, ცხადია, სპეციალური ორგანოების დავალებით ისინი ასეთ დეზინფორმაციას ავრცელებენ. რუსული დეზინფორმაციის ძირითადი მიზანია, ხალხში გააღვივოს ასეთი აღქმა: ჩვენ კი ვართ ცუდები, მაგრამ თქვენ არანაკლებ ცუდები ხართ, რომ უკრაინა არის სლავური ქვეყანა და რუსეთისგან არასდროს არსად წასულა, მისი ხელისუფლება არ ვარგა, ავტოკეფალური ეკლესია არაფერს ნიშნავს და ა.შ. საქართველოსთან მიმართებაში რუსული პროპაგანდა არ არის ისეთი მწვავე, როგორც უკრაინასთან მიმართებაში, თუ არ გამოვრიცხავთ ივნისის მოვლენებს, როდესაც მათ წარუმატებელი მცდელობა ჰქონდათ, რომ საქართველო

წარმოეჩინათ არასტაბილურ და არეულ ქვეყნად. რუსული პროპაგანდა უფრო მიმართულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნოსტალგიის წარმოსაჩენად.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში დეზინფორმაცია რუსეთს და კრემლს უკავშირდება. საქართველოსთვის ძირითადად მნიშვნელოვანი მითი, რომლის მხარდაჭერაც კრემლის პროპაგანდის ძირითად ამოცანად შეიძლება იქნას მიჩნეული, რუსეთისთვის საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საფრთხიდან გამომდინარეობს. კრემლის პროპაგანდის დიდი ნაწილი საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეაა. პრო-კრემლისტური ძალები საკმაოდ აქტიურად ცდილობენ ქართულ საზოგადოებაში სკეპტიკური განწყობის შექმნას და ნატო-ში ინტეგრციასთან დაკავშირებით ყოველგავრი მოლოდინის გაქრობას.

სად არის გამოსავალი? ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის რამდენიმე მექანიზმი არსებობს, რომელშიც საზოგადოება უნდა იყოს აქტიურად ჩართული: პირველი – ყალბი ინფორმაციის გამავრცელებელი მედიასაშუალებების გამოვლენა, დასახელება და კატალოგიზაცია; მეორე – მედიაწიგნიერების დონის ამაღლება, რომ საზოგადოება ფლობდეს ე.წ. მცდარი ინფორმაციის და დეზინფორმაციის ამოცნობის ტექნიკას; მესამე – მყისიერი რეაგირება ყალბი ინფორმაციის გავრცელებაზე – მისი გაბათილება. ჩვენ ვაწყდებით ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, რასაც ჰქვია კრიტიკული აზროვნება – არ შეიძლება მივიღოთ ყველაფერი ისე, როგორც ვხედავთ და ვკითხულობთ, ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს კრიტიკული აზროვნება და ეს უნდა მოდიოდეს როგორც სკოლიდან, ისე უმაღლესი სასწავლებლებიდან. ამ ყველაფერზე ერთობლივად უნდა იზრუნონ ჟურნალისტებმა, არასამთავრობოებმა, ხელისუფლებამ და საზოგადოებამ. სხვანაირად ამ ვირუსის გავრცელებას ვერ შევაჩერებთ.

**დასკვნა:** მედიასაშუალებებში ძირითადად დომინირებენ პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები. ნაკლებად ჩანან სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, რომლებმაც მეცნიერული ანალიზი უნდა მოგვცენ ამა თუ იმ მოვლენაზე. სამწუხაროა, რომ „NDI“-ის კვლევები ერთადერთია, რომელიც განწყობებს იკვლევს. არ შეიძლება იყოს ერთი სოციოლოგიური კვლევის კომპანია, რაც უფრო მრავალფეროვანია გარემო, მით უფრო მარტივია არჩევანი. რაც შეეხება იმას, არის თუ არა ამჯერად რაიმე მექანიზმი სიყალბისგან დასაცავად, საქართველოში ფუნქციონირებს

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები პრემიერმინისტრის აპარატში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, თავდაცვის სამინისტროში, შსს-ში. ამ კუთხით, ასევე, მუშაობს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ე.წ. „მედიაჩეკერი“, რომლებიც ყურადღებას აქცევენ – თუ როგორ ვრცელდება რუსული იდეოლოგია ქართულ რეალობაში. თუმცა, სამწუხაროდ, არასამთავრობოების ის ნაწილი, რომელიც რუსულ პროპაგანდაზე ახორციელებს მონიტორინგს, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ქართული ყალბი ინფორმაციის გავრცელებას. კარგი იქნება, თუ არასამთავრობო სექტორი გააფართოებს მონიტორინგს და მყისიერ რეაგირებას მოახდენს ყველა ყალბ ინფორმაციაზე.

**ლიტერატურა:**


1. შერლინ ირეტონი და ჯული პოზეტი. ჟურნალისტიკა. ყალბი ამბები და დეზინფორმაცია. 2021
2. Gillmor, D. (2020). We, the Media: Grassroots Journalism By the People, For the People (O'Reilly). http://www.authorama.com/we-the-media-8.html
3. Rosen, J. (2020). The People Formerly Known as the Audience, PressThink blog (June 27th, 2020). http://archive.pressthink.org/2020/06/27/ppl_frmr.html
4. Bruns, A. (2020). Blogs, Wikipedia, Second Life, and Beyond: From Production to Produsage. Peter Lang, New York. See also: Bruns A (2020) Collaborative Online News Production. Peter Lang, New York.
5. Posetti, J. (2020). Transforming Journalism…140 Characters at a Time Rhodes Journalism Review 29, September 2020. pdfs.semanticscholar.org

# ნუმიზმატიკა საქართველოში, მისი განვითარების ეტაპები და ფინანსური ანალიზი
# Numizmatic in Georgia, its development stages and financial Analysis

**ირაკლი მჭედლიშვილი** - მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
**Irakli Mtchedlishvili** - Master
Georgian National University, Seu
irakli.mtchedlishvili0@gmail.com

**რეზიუმე:** საქართველოში ფულის მოჭრის ისტორიას მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია და არაერთი შრომა მიუძღვნა. ქართულ, რუსილ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე ასზე მეტი ნაშრომია გამოქცეყნებული. თითქმის ყოველწლიურად როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ ჩნდება დღმდე უცნობი მონეტები და მნიშვნელოვან ხარვეზებს ავსებს. ახალი ცნობები ძირფესვიანად ცვლის არსებულ ლიტერეტურას. მაგალითისთვის უახლოესი ათწელულების ახალი აღმოჩენებია: არისტახლე კოლხელის, ბაგრატ III, დავით კურაპალატის ვერცხლისა და დავით აღმაშენებლის ბიზანტიური სტილის მონეტა. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში დაცულია ქართული ფულის მსოფლიოში საუკეთესო კოლექცია.

დღემდე უცნობი მონეტების უმეტესობა დაცულია კერძო კოლექციებსა და მსოფლიო მუზეუმუმებში. სამწუხაროა აგრეთვე, რომ შეუსწავლელი გვრჩება ირანისა და თურქეთის სამუზეუმო ფონდები. სამეურნეო საქმიანობის დასაწყისიდანვე საჭრო გახდა საჭირო გახდა შრომის პროდუქტების გაცვლა- გამოცვლა. ამას მოჰყვა ამა თუ იმ საქონლის ღირებულების დამწესებელი საზომი ერთეულების დადგენა - ლითონის ფული. ირკვევა, რომ თანამედროვე ფულის ნიშნებამდე სხვადასხვა საგანი წარმოადგენდა მსყიდველობით ფუნქციას: საომარი იარაღი, ტყავეულ-ბეწვეული, ცხოველები და სხვა. იმის გამო, რომ პირუტყვი გამოიყენებოდა ფულის მაგივრად ძველი რომაული ტრმინი "pecunia" (ფულისა და პირუტყვის მნიშვნელობა) ძველქართული ტერმინის "ხვასტაგის" შესატყვისია, რაც ფულს, დოვლათს და რქოსან პირუტყვსაც ნიშნავს. იმერეთში დღემდე ფულისა და რქოსანი პირუტყვის შესატყვისად იყენებენ სიტყვა "ხვადაგს".

**საკვანძო სიტყვები**: ''ხვადაგი'', ოქროს ხანა, სირმა აბაზი, სამონეტო ბაზარი არაბთა ბატონობის დროს, თანამედროვე ქართული ნუმიზმატიკა.

**Abstract**: The scientists have paid great attention to cut money in Georgia for a long time and they have written many thesis about it in Georgian, Russian and German languages. They have published more than hundred thesis about it. Almost every year many unknown coins appear not only in Georgia, but abroad too. New information has totally changed nowadays literature. For example, the recent discoveries are Aristakhle Kolkhelis, Bagrat 3rd, David Kurapalate's silver and Bizantic coins.

The best collection of unknown coins are protected in Janashia's Museum. Then unknown coins are also kept in private collections and in the world's museums. It is bad that the Itish and the Turkish museums fonds are not studied yet. According to the beginning of agricultura; buisness it was necessary to exchange products. It needed to use metal money. Instead of money they used for buying: weapon, leather, fur, animals and etc. As the animals were used instead of money, the old Romans slogan "pecunia" ( the meaning of money and cattle) is similar to "khvastagi", which means money, wealth and cattle. In Imereti even nowadays according to money and the cattle they used word "Khvadagi".

**Keywords:** "Khvadagi", Golden age, "Sirma Abazi", coin market during Arab domination, modern Georgian Numismatics.

**ძირითადი ტექსტი:** საქართველო - სამონეტო ცივილიზაციის უძველესი კერაა. უკვე ძვ.წ. VI ს-ში კოლხეთის სამეფოს ტერიტორიაზე იჭრება ვერცხლის მონეტები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში "კოლხური თეთრის" სამონეტო ჯგუფის სახელითაა ცნობილი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოლხური თეთრი მოჭრის ტექნიკითა და შესრულების მხატვრული დონით არაფრით ჩამოუვარდება ბერძნული სამყაროს თანადროულ ნუმიზმატიკურ ძეგლებს. კოლხური თეთრის მნიშვნელობა მეტად დიდია, საქართველოს ისტორიის ერთ - ერთი ყველაზე რთულ და წერილობით წყაროებით ნაკლებად გაშუქებულ პერიოდის შესწავლის თვალსაზრისით.

საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ერთ - ერთი ძირითადი საყრდენია ძვ.წ. VI ს-ში თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სამეფოს არსებობის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, კოლხური თეთრი პირველხარისხოვანი მასალაა ძველი ქართული პანთეონის შესასწავლად.

თვალსაზრისით კი შეინიშნება კოლხური თეთრის განსაკუთრებული მსგავსება ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანების მილეტურ მონეტებთან, რადგან კოლხური ფული ქალაქ ფაზისში (ფოთი) - მილუტელთა ახალშენში იჭრებოდა.

კოლხური თეთრის აბსოლუტური უმრავლესობა აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში: ჩრდილოეთით ქ. სოხუმიდან, სამხრეთში- მდინარე ჭოროხის შესართავამდე, და შავი ზღვის სანაპიროდან ლიხის ქედამდე. კოლხური თეთრი მცირე მასშტაბით საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადიოდა. ქალაქ ფაზისის სამონეტო პროდუქციაში შესაძლებელია რვა ტიპის გამოყოფა:

პირველი ტიპი (ლომის თავი/პეგასი) სამჯერ მაინც არის გამოყენებული. ფაზისში იჭრებოდა მილეტური (13 გრ), ეგინური (12,7 გრ) და სპარსული (10,4 გრ) სისტემის სტატერები;

მეორე ტიპი (ჰერმაფროდიტი ლომი/მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალი) გამოყენებულია ორჯერ: ერთხელ სპარსული სისტემის სტატერისათვის (რემედიუმი/წონის მერყეობა - 10-11,4 გრ) და მეორედ - ატიკური სისტემის დიდრაქმისათვის (რემედიუმი - 7,9 გრ; 9,9 გრ);

მესამე ტიპსაც (ქალის არქაული თავი/ქალის იდენტური თავები) ასეთი ქარგა მიესადაგება. 9,6 გრ; 9,9 გრ; 10,4 გრ. წონის ცალები სპარსულ სისტემას განეკუთვნება: 8,7 გრ; 9,2 გრ. წონის - ანტიკურ სისტემას;

მეოთხე ტიპის (ქალის არქაული თავი/ხარის თავები) წონითი მონაცემები არ მოგვეპოვება;

მეხუთე ტიპი (ლომის თავი/ხარის თავი) სიკლია (5,5 გრ);

მეექვსე (ლომის თავი/ძუ ლომის პროტომა)-ატიკური ჰემიდრაქმა (რემედიუმი - 1,7-2,6 გრ);

მეშვიდე (ქალის არქაული თავი/ხარის თავი) იგივეა (რემედიუმი - 1,2-2,6 გრ);

მერვე (ქალის არქაული თავი/წერო) - უკნინესი ნომინალი ჰემიტეტარტემორიონია.

ყველა ტიპი, გარდა მეშვიდესი, რომლის რამდენიმე ათასი ცალი არსებობს, წარმოდგენილია მცირე რაოდენობის ეგზემპლიარებით. მონეტათა ტიპების უმრავლესობა ძვ. წ. V საუკუნეში მოიჭრა (ძვ. წ. 494 წლის შემდგომ), მეშვიდე ტიპის ემისია კი ძვ. წ. III საუკუნეშიც გრძელდებოდა.

ბერძნული და აღმოსავლური ცივილიზაციების სინთეზი, რომელიც ელინიზმის სახელით არის ცნობილი, ალექსანდრე მაკედონელისა (ძვ.წ. 336-323 წწ.) და მისი დიადოხების იმპერიების წიაღში იღებს სათავეს. ალექსანდრე მაკედონელმა შემოიღო ახალი ფულადი სისტემა, რომელიც, ძირითადად, ოქროზე იყო ორიენტირებული. ამ პერიოდში შეიცვალა მონეტის გარეგნული სახე და სტრუქტურა-მასზე მეფის პორტრეტსა და სახელის აღმნიშვნელ წარწერას ათავსებდნენ.

მსოფლიო სამონეტო ბაზარი ალექსანდრე მაკედონელის ფულმა-ოქროს სტატერმა და ვერცხლის ტეტრადრაქმამ დაიპყრო. მოგვიანებით შავი ზღვისპირეთის ქვეყნებში ასეთივე პოპულარული იყო მისი ერთ-ერთი პოლიტიკური მემკვიდრის, თრაკია-მაკედონიის მეფის ლისიმაქეს (ძვ.წ. 306-282 წწ.) სტატერები. ეს საფასეები მთელი ელინისტური სამყაროს ფულადი მიმოქცევის საფუძველს წარმოადგენდა.

ცივილიზებული მსოფლიოს ყველა აღნიშნული ცვლილება, ცხადია, საქართველოსაც შეეხო. ელინისტური ხანის დასაწყისში შეწყდა კოლხური თეთრის ემისია და ის თანდათანობით გაქრა მიმოქცევიდან. მისი ადგილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილმა ოქროს სტატერებმა დაიმკვიდრა. მოგვიანებით სამონეტო ბაზარზე ორიგინალური სტატერების დეფიციტმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მათი ადგილობრივი მინაბაძების გაჩენა გამოიწვია. საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელის და ლისიმაქეს ტიპის სტატერების ადგილობრივი მინაბაძები ძვ.წ. II - ახ. წ. I საუკუნეებში უნდა იყოს მოჭრილი. ორივე მათგანი ისტორიული კოლხეთისა და იბერიის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი. მათ შორის ყველაზე ადრეული, რომელიც ძვ.წ. II საუკუნით თარიღდება, კოლხეთის მეფის აკას სახელით არის მოჭრილი. ასეთი მონეტის მხოლოდ ორი ცალია ცნობილი და ორივე მათგანი კოლხეთის ტერიტორიაზეა ნაპოვნი.

ძვ.წ. II საუკუნის ქართული ნუმიზმატიკის ნიმუშად არის მიჩნეული კოლხეთის მეფის სავლაკის მიერ მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომელთაგან სულ რვა ცალია ცნობილი.

ძვ.წ. II-I საუკუნეებში შავიზღვისპირა ქალაქ დიოსკურიაში (სოხუმი) იჭრებოდა სპილენძის საქალაქო მონეტა, რომელზეც ქალაქის ეპონიმების, ტყუპი ძმების დიოსკურების ქუდებია გამოსახული. მონეტების წონა 1.3 გრამიდან 6.14 გრამამდე მერყეობს, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დიოსკურიაში რამდენიმე ნომინალს (ხალკი, დიხალკი, ტეტრახალკი) უშვებდნენ.

ძვ.წ. 65 წელს ქართლში (იბერია) პომპეუსის მხედართმთავრობით რომაელთა ჯარი შეიჭრა. პომპეუსთან დამარცხების შემდეგ ქართლის მეფე არტაგი იძულებული შეიქნა „რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ“ ეცნო თავი. შემდგომში პომპეუსი კოლხეთში გადავიდა.

ძვ.წ. 63 წელს პომპეუსმა ქვეყნის მმართველად დანიშმა ვინმე არისტარქე, რომელსაც ბერძნულ-რომაული წერილობითი წყარობი მეფედ მოიხსენიებენ. ცნობილია არისტარქე კოლხის სახელით ძვ.წ. 52-52 წლებში მოჭრილი ვერცხლის დრაქმა, რომლის სულ ექვსმა ეგზემპლარმა მოაღწია ჩვენამდე. მონეტის შუბლზე გამოსახულია სხივოსან-გვირგვინოსანი ჰელიოსი პომპეუსის სახის ნაკვთებით, ზურგზე კი ქალღმერთი ტიხე (ფორტუნა). ვარაუდობენ, რომ ამ მონეტის ემისია ფაზისის ზარაფხანაში წარმოებდა. ცოტა უფრო ადრე, ძვ.წ. 84 წელს, კოლხეთის მეფემ, პონტოს მეფის მითრიდატე VI ევპატორის შვილმა, მითრიდატე ფილადელფოს ფილოპატორმა ვანში (სურიონი) მოჭრა ვერცხლისა და სპილენძის მონეტები ლოტოსის ყვავილისა და რვაქიმიანი ვარსკვლავის გამოსახულებით.

არისტარქეს მმართველობის დასრულების შემდეგ, კოლხეთი რომის ვასალური პონტოს სამეფოს დაქვემდებარებაში მოექცა. ახ.წ. 63 წელს რომის იმპერატორმა ნერონმა პონტოს სამეფო და მასთან ერთად კოლხეთი რომის პროვინციად გამოაცხადა, რამაც შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის სამონეტო ბაზარზე. ფულის მიმოქცევის თვალსაზრისით, კოლხეთი სამ რეგიონად დაიყო: შავი ზღვის სანაპირო ზოლში, რომელიც რომაელთა რეალურ კონტროლს ექვემდებარებოდა, ფულადი მიმოქცევის საფუძველი კაპადოკიის კესარიასა და ტრაპეზუნტში მოჭრილი მონეტები გახდა, ცენტრალურ კოლხში-კაპადოკიური ვერცხლი, არგვეთი კი ქართლის

სამეფოს შემადგენლობაში მოექცა და შესამაბისად მისი სამონეტო ბაზარიც იბერიისას დაემსგავსა. ტრაპეზუნტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხარე გარკვეულ წილად, ქართველური სამყაროს ნაწილი იყო და ის I-III საუკუნეებში მონეტების ემისიას მკვეთრად გამოხატული ადგილობრივი რელიგიური ტიპებით ახორციელებდა. აქ მოჭრილი ფული იკონოგრაფიულად წმინდა ელინური არ ყოფილა - ტრაპეზუნტის მუნიციპალურ სპილენძის მონეტებზე გამოსახული მისტიკური მხედარი წმ. გიორგის იკონოგრაფიის პროტოტიპია.

**საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება და სამონეტო ბაზარი არაბთა ბატონობის დროს.** პირველი არაბული მონეტა თბილისის ზარაფხანაში 704 წელს მოიჭრა, ხალიფა აბდ ალ-მალიქის (685-705 წწ.) დროს და როგორც სახალიფოს ყველა სხვა ზარაფხანის დირჰემები, ისიც ანონიმურია. თბილისში მოჭრილი ომაიანთა დირჰემი სულ ოთხი ცალის რაოდენობით არსებობს ბერლინის მუზეუმში, კატარის ეროვნულ მუზეუმში, ეშმოლის მუზეუმში და კერძო კოლექციაში. ე.ი. 704 წელს არაბებს თბილისი ხელთ ეპყრათ.

თბილისში VIII საუკუნის დასაწყისში არაბთა მხრიდან სამონეტო ემისიის რეალიზაცია პოლიტიკური ჟესტი უფრო იყო, ვიდრე ეკონომიკური. მონეტები ფართო ცირკულაციისთვის არ ყოფილიყო გამიზნული. ამის შემდეგ თითქმის 125 წელი თბილისის ზარაფხანა არ ფუნქციონირებს.

ამ დროის განმავლობაში საქართველოს ტერიტორია გაყოფილი იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად. არაბებს აღმოსავლეი ეკავათ, რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ის ბიზანტიასთან იყო ინტეგრირებული. ბიზანტიურ მონეტებს აქ წინ იყო წამოწეული. უკვე X საუკუნეში კი მატულობს ბიზანტიური სპილენძის მონეტები.

**ქართულ-ბიზანტიური მონეტები და საქართველო-ბიზანტიის ეკონომიკური ურთიერთობა.** 1068 წელს ალფ-არსლანის მიერ ქართლის ხანმოკლე ოკუპაციაში მოაქცია, ამან დაკავშირებული ნორმალური საქონელბრუნვის შემცირება, დისტრიბუციული გაუგებრობა და ახალი ემისიის საჭიროება – ვთვლით, რომ 1068, უფრო სწორედ, 1068/69 წლები მონეტის მოჭრის თარიღად მაინცდამაინც წმინდა ჰიპოთეტური მომენტი არ უნდა იყოს.

**ოქროს ხანა** - ისტორიული პერიოდი 11 საუკუნის ბოლოდან 13 საუკუნემდე გაგრძელდა საქართველოში. მთელი ამ დროის განმავლობაში ქვეყნის ძალაუფლებამ და ეკონომიკურმა წინსვლამ მწვერვალს მიაღწია. ამ ორი საუკუნის მიმდინარეობისას ჩამოყალიბებულ ნუმიზმატიკას ყველაზე დიდი ადგილი უჭირავს საისტორიო დარგში.

ოქროს ხანა დაიწყო დავით IV მმართველობის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა დარბეული იყო შემოსევებისა და მომთაბარე ტომებისაგან, სწორმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ნაბიჯებმა ეს ყველაფერი გამოასწორა.

აღსანიშნავია ქართულ ნუმიზმატიკაში არსებული უნიკალური მონეტა, კერძოდ დავით მეოთხის მმართველობისას მოჭრილი, რომელიც შეუფასებელია თავისი იშვიათობიდან გამომდინარე. მონეტა იწონის 10,73 გრამს შუბლზე წერტილოვან რკალში მოთავსებულია სამეფო ტანსაცმლით მოსილი მეფის პორტრეტული გამოსახულება. მეფის თავსაბურავია ჯვრიანი სტემა, რომლიდანაც სახის ორივე მხარეს მარგალიტებიანი საკიდები — პენდილიები ეშვება; ყელს შემოუყვება მსხვილი მძივების წყება; სამხრეებიც და კაბაც თვლებით არის შემკული; მარჯვენა ხელში სკიპტრა უპყრია, მარცხენაში კი — ჯვრიანი სფერო. ფიგურის ორივე მხარეს განთავსებულია დაქარაგმებული ასომთავრული ზედწერილი: „დთ – მფ“ („დავით მეფე“). ხაზოვანი რკალით შემოსაზღვრული ზურგის ცენტრში, ოთხფურცლიან ბუდეში მოთავსებულია ტოლმკლავა ჯვარი, რომლის მკლავების შემსხვილებულ ბოლოებზე თითო წერტილია დასმული. ჯვრის ბუდეს გარს შემოუყვება დაქარაგმებული ასომთავრული წარწერა: „დთ–მფ–აფთ–ქ–რნ–კხთ–სხთ“ („დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“).

2021 წლის ნოემბრამდე ცნობილი იყო რომ არსებობდა ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც დაცული იყო ბრიტანეთის მუზეუმში. თუმცა ამა წლის ნოემბერში ერთ-ერთმა კერძო კოლექციონერმა, ჯანაშას მუზეუმს გადასცა დახურდავებული ვარიანტი (მონეტის დახურდავება- ეს არის პრაქტიკა როდესაც კონკრეტულ მონეტას ნომინალის გასანახევრებლად ორად ან მეტად ჭრიდნენ). ამ შემთხვევამ გვაჩვენა, რომ ძრფესვიანი შესწავლით შესაძლოა მნიშვნელოვანი აღოჩენები გაკეთდეს.

მონეტა მოჭრილი უნდა იყო 1118 წლის შემდეგ, როდესაც დავით აღმაშენებელმა ლორე აიღო და ტაშირის („სომეხთა“) სამეფო საქართველოს

შემოუერთა. ბრიტანეთში დაცული ეგზემპლარი 1857 წელს ენისკილენის ჰერცოგმა უილიამ კოულმა ოსმალეთში ყოფნის დროს შეგროვილ სხვა აღმოსავლურ მონეტებთან ერთად გადასცა მუზეუმს.

მიუხედავად იმისა, რომ ოქროს ხანაში ეკონომიკა იყო მძლავრი დავითის ნებისმიერი ტიპის მონეტა უკიდურესად იშვიათია, თუმცა მაგალითისთვის თამარის მონეტები საკმაოდ ხშირია. დავითის მონეტების ასეთ სიმცირის მიზეზი არ არის ზუსტად დადგენილი.

ოქროს ხანის აღსასრული გამოიწვია მომთაბარეთა შემოსევებმა, კერძოდ მონღლებმა. მათ დაპყრობილ ტერიტორიებს დააკისრეს ძალიან დიდი ხარკი, რამაც არათუ მონეტების, მეტალის დეფიციტიც კი გამოიწვია. ფინანსური მდგრადობა სრულად დაირღვა, ქართული მონეტების მასის დიდმა ნაწილმა მონღოლეთში გადაინაცვლა, სადაც გაიფანტა ან გადადნა. დამპყრობლის უღლის ახსნის შემდეგ ფინანსური სიმტკიცე დიდხანს შერყეული იყო.

**მეფე ერეკლე და მის მიერ მოჭრილი სირმა აბაზი.** სირმა-აბაზი ქართული ვერცხლის მონეტაა რომელსაც ჭრიდნენ თბილისის ზარაფხანაში 1752-1753-დან 1798-1799 წლებამდე. მას ირანულ აბაზთან მხოლოდ სახელი აკავშირებდა. მასა 3 გრამი მასზე სპარსულ და არაბულ ენებზე წერია მოჭრის დრო, ადგილი, ისლამური რელიგიის ფორმულები, რომლებიც ქრისტიანულ იდეოლოგიას არ ეწინააღმდეგება. იჭრებოდა სირმა-აბაზის 4 ნომინალი: ნახევარი მარჩილი (6 შაური), აბაზი (4 შაური), უზალთუნი (2 შაური) და 1 შაური. ნუხის სახანოში სირმა-აბაზის უხეში ასლი გამოდიოდა. განჯაში 1786-1791 წწ-ში ერეკლე II-ის ნაცვლები სირმა-აბაზის მსგავს მონეტებს ჭრიდნენ. სირმა აბაზი ბრუნვაში დარჩა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. 1848-1849 წლებში რუსეთმა სირმა-აბაზის შესყიდვა სცადა, მაგრამ ხურდა ფულის ნაკლებობის გამო 1852 წლამდე ვერ განახორციელა თავისი გეგმა. საქართველოში სირმა-აბაზი ნაპოვნია განძების სახით (ფხოველის, ფასანაურის, სიმონიანთხევის, ჭიკაანის, ალის, მუხათის, თბილისისა და სხვა) და შემთხვევითაც.

**ბაგრატ III მიერ მოჭრილი ფინანსებზე დამყარებული დიპლომატიის უნიკალური მაგალითი.** ბარატის ერთ-ერთ მონეტის ავერსზე არაბულად აწერია: "არა არს ღერთ გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი მოციქულია". რევერსზე კი ქართულად ვკითხულობთ: "ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე". მსოფლიოს არც ერთ კულტურაში არ გვხვდება მსგავსი

პრეცენდენტი, როდესაც ქრისტიანული და ისლამური მოძღვრება ასეთ ჰარმონიაშია.

ფინანსური თვალსაზრისით ეს მონეტა იყო ძალიან წარმატებული რადგან ახლო აღმოსავლეთშიც იყო მიმოქცევაში, რითიც ვხედავთ, რომ ქართულს ფულს საქართველოს გარეთაც ჰქონდა ძალა რაც ქვეყნის სიძიერეს მიუთითებს.

**რუსეთთან შეერთების შემდეგ მოჭრილი თბილური ფული** XIX საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფო იმპერიის ნაწილად იქცა. სამოქალაქო ადმინისტრაციულ-იურიდიული უწყებათა მოხელეები ხელფასს ასიგნაციებითა და ჩერვონეცებით - ჰოლანდიური დუკატებით იღებდნენ. გაცილებით მეტი ფულადი რესურსი სჭირდებოდა რუსულ ჯარს, რომელიც ადგილობრივი ბაზრის რესურსებით მარაგდებოდა.

საქართველოში და, საერთოდ, კავკასიაში ასიგნაციებს, პრაქტიკულად, არავინ ღებულობდა. ხელისუფლება გადასახადებს ვერცხლის ფულით კრეფდა და სანაცვლოდ ქაღალდის ასიგნაციების შეთავაზება მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევდა. ვერცხლთან შეფარდებით საქართველოში მკვეთრად დაეცა ოქროს მთავარი ვალუტის - ჩერვონეცის (ჰოლანდიური დუკატის, ლობანჩიკის) კურსი.

საქართველოს მიღმა ჩერვონეცის კურსი არ დაცემულა. ამის მიზეზად რუსული ადმინისტრაცია ვერცხლისა და სპილენძის ფულის ნაკლებობას აბრალებდა, რომლის პეტერბურგსა და ეკატერინბურგიდან შემოზიდვა, არცთუ უსაფრთხო შორი მანძილის გამო, დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამას ერთვოდა მოგების მიზნით დიდვაჭრების მიერ ყოველნაირი საქონლის საბაზრო ფასების ხელოვნური გაზრდა - ჩერვონეცის დაბალი კურსით გადახურდავებისას დიდი მოგება რჩებოდათ. საქართველოს ბაზარზე სამრეწველო და სასურსათო საქონლის გაძვირებამ ირანული საქონლის ზრდა და საქართველოდან ირანში ლითონის ფულის ხშირი გადინება გამოიწვია, რამაც ქვეყანაში კიდევ უფრო გაამწვავა ფულის დეფიციტი.

აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, დაისვა ფულის ნიშნების თბილისშივე მოჭრის საკითხი. 1804 წლის 15 სექტემბერს სამეფო აბანოს ყოფილ შენობაში საზეიმოდ გაიხსნა ზარაფხანა, რაც საგანგებო მედლის მოჭრითაც კი აღინიშნა. ამ პერიოდში გამოშვებულ ვერცხლის ფულზე ქართული მხედრული დამწერლობით ეწერა „ქართული თეთრი“ და

სპილენძისაზე - „ქართული ფული“. ფულის ნომინალი ორივეზე ქართული ასო-ნიშნებით იყო აღნიშნული, რომელთაც ციფრების მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ მონეტების ნომინალი "უკნინესი" საანგარიშო ერთეულით არის განსაზღვრული. სპილენძის მცირე ნომინალზე, ფულზე წერია „ე“, იგივე „5“ (ე.ი. მონეტა შეიცავს ხუთ საანგარიშო ერთეულს), აბაზიანზე - „ს“, იგივე „200“, ნახევარაბაზიანებს („რ“ 100). სპილენძის ბისტს („კ“ 20), ხოლო ნახევარ ბისტს („ი“ 10). ასევე აღნიშნულია მონეტებზე მათი მოჭრის წელი ქრისტიანული წელთაღრიცხვით.

მაგალითად, 1806 წლის ვერცხლის 2 აბაზიანი მონეტის წინა მხარეზე დატანილი იყო გვირგვინი, პალმისა და ზეთისხილის ტოტები, ქართული ზედწერილი: „ტფილისი“. უკანა მხარეს კი ქართული ზედწერილი - „უ“ – (400), ქართული თეთრი ჩყვ (1806წ.), რუსული ზედწერილი: ზარაფის ინიციალები „АК“.

ქართული წარწერების გარდა, თბილისურ ორაბაზიანზე ზარაფხანის მთავარი ზარაფების რუსული ინიციალებია მოთავსებული.

1804 წლიდან 1834 წლამდე თბილისის ზარაფხანამ 1 060 713 მანეთისა და 70 კაპიკის ღირებულების ვერცხლის და 8 310 მანეთისა და 89,5 კაპიკის ღირებულების სპილენძის მონეტა მოჭრა.

1823 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის წინაშე თბილისის ზარაფხანის დახურვის საკითხი დააყენეს, რადგან რუსულისაგან წონით და ლითონის სინჯით განსხვავებული ფულის მოჭრა რუსეთის ფულადი სისტემისგან გადახვევას ნიშნავდა. მიიჩნევდნენ, რომ ვითარება რუსეთისაგან განსხვავებულ სახელმწიფოთა რიგში აყენებდა საქართველოს. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა შეიტყო, რომ თბილისის ზარაფხანა თავს საკუთარი შემოსავლებით ინახავდა, მისი ხელუხლებლად დატოვება ბრძანა. რუსეთის ხელისუფლება ქართული თეთრის რუსულ რუბლთან გაიგივებას მაინც ცდილობდა. ამ მიზნით 1829 წელს პეტერბურგის ზარაფხანაში საცდელად მოჭრეს და თბილისში გამოგზავნეს ქართული აბაზიანები და ორაბაზიანები, თუმცა ამ მცდელობას შედეგი არ ჰქონია. 1834 წლის თებერვალში თბილისის ზარაფხანა დაიხურა. აქ დარჩენილი ვერცხლისგან უკანასკნელად მოჭრეს ორაბაზიანები და ამ ფულით ზარაფხანის დახურვასთან დაკავშირებული ხარჯები დაფარეს. მთელ ამიერკავკასიაში ფეხმოკიდებულ ამ მონეტებს რუსეთის ხელისუფლების მიერ ძველი ქართული და, საერთოდ, არარუსული ფული ბრუნვიდან

ამოღებისაკენ მიმართული ღონისძიებები არ შეხებია. თბილისის ზარაფხანაში გამოშვებული ფულის ისტორია აქ არ სრულდება. რუსულ ფულთან ერთად XIX საუკუნის ბოლომდე დარჩა მიმოქცევაში.

იმპერიის დაშლის შემდეგ დაიწყო რუსეთის სამოქალაქო ომი, რევოლუციის ფაქტორმა ხელი შეუწყო რუსეთის გუბერნიების გათავისუფლებას. საქართველო ერთ-ერთი მათგანი იყო, რომელმაც 1918 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა და საფუძველი დაუდო დამოუკიდებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, როგორიც იყო მაგალითისთვის ეროვნული ბანკი. ამ პერიოდში შეიქმნა დამოუკიდებელი ვალუტა, ქართული მანეთი. გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნული ვალუტა არ გამოდგა მყარი. ჯამში 18 მილიარდზე მეტი მოიჭრა. **ნუმიზმატიკის თვალსაზრისით არ მოჭრილა არანაირი მონეტა.**

**თანამედროვე ქართული ნუმიზმატიკა და მისი ფინანსური ანალიზი.** საქართველოს დამოუკიდებელი ვალუტის შექმნისათვის მზადება- საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1991 წლის 2 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ", რომლითაც ქვეყანაში ფულის ნიშნების დამზადებისა და მიმოქცევაში გაშვების ორგანიზების ექსკლუზიური უფლება მიენიჭა საქართველოს ეროვნულ ბანკს. აღნიშნული კანონის დამტკიცების შემდეგ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად დაიწყო ეროვნული ვალუტის შექმნისათვის მუშაობა, რაც ძირითადად წარიმართებოდა ფულის ნიშნების საჭირო ოდენობისა და ნომინალების განსაზღვრის, მისი შინაარსისა და დიზაინის შემუშავების კუთხით. ამ უკანასკნელ პროცესში ჩართული იყვნენ ქართველი მხატვარ-დიზაინერები: ელგუჯა ამაშუკელი, გია ბუღაძე, მამუკა გონგაძე, ნოდარ და ბაჩა მალაზონიები.

ეროვნულმა ბანკმა საქართველოს ისტორიაში პირველი საკოლექციო მონეტა 1995 წელს და მიუძღვნა ფაშიზმის დამარცხებას. ასევე გამოშვებულია სხვადასხვა თემატიკის საკოლექციო დანიშნულების პროდუქცია ესენია: ქრისტეშობის 2000 წელი, სახელმწიფოებრიობის 3000 წელი, ახალგაზრდული ოლიმპიადა, ილორის წმინდა გიორგის ტაძარი, ეროვაბჭოში 20 წლის გაწევრიანების იუბილე, დამოუკიდებლობის და კონსტიტუციის მიღბის 100 წლის იუბილე და უამრავი სხვა. აღნიშნული მონეტები არის განსაზღვრული ტირაჟით მოჭრილი (3000, 2000,

1500, 500, 100 ტირაჟით) რაც რაც მათ ხდის მოთხოვნადს. მოთხოვნა კი ყოველთვის ზრდის ბაზარზე ფასს.

დღევანდელი სიტოაციიდან გამომდინარე ყველაზე მოთხოვნადი და ფასეულია მეფეების საკოლექციო მონეტები განსაკუთრებით მეფე ერეკლე რადგან ყველაზე დაბალი ტირაჟითაა გამოცემული. მისი საწყისი ფასი საბანკო ფასი იყო 1690 ლარი ხოლო ახლა მინიმუმ 15 000 ლარი ღირს პირდაპირი შემენისას. მონეტა სულ ერთი წლის წინაა მოჭრილი, თუმცა მისმა ტირაჟმა განმსაზღვრელი ფაქტორი იქონია.

თანამედროვე ქართული ნუმიზმატიკა ფინანსური თვალსაზრისით არის მომგებიანი და ინვესტიციისათვის კარგი დასაყრდენი.

**ლიტერატურა:**


1) რ. ქებულაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX, თბ., 1985.

2) დუნდუა გ., რას მოგვითხრობენ ძველებური მონეტები, თბ., 1968;

3) კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკის სიახლენი, კრ.:კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966;

4) მეტრეველი რ., დავით აღმაშენებელი, თბ., 1965;

5) Lang D., Notes of Caucasian numismatics, «Numismatic Chronicle», 1957, v. 17.

6) დუნდუა გ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978. — გვ. 337.

7) ქუთელია თ., ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 2, თბ., 2012.

8) ფული საქართველოში“, მეორე გადამუშვებული გამოცემა, საქართველოს ეროვნული ბანკი, 2003წ.

9) "საქართველოს ეროვნული ბანკი"

10) კაპანაძე დ., "ქართული ნუმიზმატიკა", თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1969 წელი.

11) ვალერ მოსიაშვილისა და მედეა ჭილაძის "ნუმიზმატიკა და ბონისტიკა".

# განათლების ხარისხი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მასზე მოქმედი გარემოებები
# The quality of education in the general educational space of Georgia and the circumstances affecting it

**ლია ანთაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. დოქტორანტი
**Lia Antadze** - Georgian Technical University. PhD student
antadze.l@gtu.ge

**აბსტრაქტი.** განათლება გვაძლევს განვითარების საშუალებას. განათლების ხარისხის სიტემა მაშინ არის წარმატებული, როდესაც გაცნობიერებული გვაქვს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა არ გულისხმობს მხოლოდ ხარისხის შემოწმებას, ის ჰქმნის ერთობლივ სისტემას.

ზოგადსაგანმანათლებლო სივრციდან იწყება მოქალაქის აღზრდა. საქართველოს კანონის მიხედვით, ზოგადი განათლების მიზანი არის მოქალაქის აღზრდა და პროფესული და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის მომზადება. მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების, თავისუფალ მოქალაქედ ჩამოყალიბებისთის საჭირო პირობების შექმნა.

დღეს, მნიშვნელოვანი გამოწვევებია განათლების სისტემაში, ვუჩივით განათლების ხარისხს. საერთაშორისო კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში მყოფი მოსწავლეების შედეგები, საკმაოდ ჩამორჩება საერთო მაჩვენებელს. თემის აქტუალობაც დადგა ამ მიზეზებიდან გამომდინარე და წარმოდგენილ სტატიაში საუბარია განათლების ხარისხზე ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მასზე მოქმედ გარემოებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ზოგადი განათლება, დისტანციური სწავლება, განათლების ხარისხი, განათლების სისტემა. სასკოლო განათლება.

**abstract.** Education allows us to develop. An education quality system is successful when we realize that quality assurance is not just about quality assurance, it is about creating a common system.

The upbringing of a citizen starts from the general educational space. According to Georgian law, the purpose of general education is to raise a citizen

and prepare him / her for professional and public life. Creating the necessary conditions for the formation of a student's national and universal values, as a free citizen.

Today, there are significant challenges in the education system, we complain about the quality of education. International studies show that the results of students in the general education space in Georgia lag far behind the overall figure. The topic became relevant for these reasons and the presented article talks about the quality of education in the Georgian general education space and the circumstances affecting it.

**Keywords**: general education, distance learning, quality of education, education system. School education.

**განათლების ხარისხი ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში და მასზე მოქმედი გარემოებები.** განათლების ხარისხზე საუბრისას, ფოკუსირება უნდა მოხდეს მოსწავლის მიერ მიღებულ განათლებაზე. განათლების ხარისხზე დამოკიდებულია ის მიზნები, რომელზეც შეთანხმებულია საზოგადოება. განათლების მაღალი ხარისხი წინაპირობაა, რომ უკეთესად გვესმის ჩვენი შვილების განათლების მნიშვნელობა. განათლების მაღალი ხარისხის მქონე საზოგადოება უფრო მეტად არის სოციალურად ორიენტიერებული, რაც სხვა სიკეთესთან ერთად საყოველთაო განათლების სისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ტექნოლოგიების და ინოვაციების ხანაში, მთავარ რესურს წარმოადგენს განათლებული საზოგადოება. რაც უფრო იზრდება ლტოლვა უკეთესი ცხოვრებისკენ მით მეტად მნიშვნელოვანია  განათლებული საზოგადოება.

საქართველოს  ზოგადი განათლების სისტემის სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს საფუძვლად უდევს  საკანონმდებლო აქტები, საერთაშორისო კონვენციები და ხელშეკრულებები: საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, საქართველოს მთავრობის დადგენილება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ.

საქართველოში უზრუნველყოფილია, უწყვეტი საყოველთაო ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა. შედეგზე ორიენტირებული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და მოსწავლის აკადემური შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა განათლების ხარისხის გაუმჯობესების და ხელმისაწვდომობის მიზნით, როგორც ზემოთ ვახსენეთ: შეიცვალა და განახლდა სხვადასხვა გარემო. დამტკიცდა დაწყებითი საფეხურის სტრუქტურულად განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა. გაიზარდა მასწავლებლების ანაზღაურება, მათი კვალიფიკაციის და უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით. მასწავლებლებს ჩაუტარდათ სხვადასვა სახის გადამზადება და ტრენინგი. მოსწავლის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, უფრო მეტად ექცევა ყურადღება მოსწავლეთა უსაფრთხო სერვისების განვითარებას, ფსიქოლოგიურ და სამედიცინო სერვისების განხორციელებას. გაიზარდა ინკლუზიური განათლების ხარისხი, ჩაერთნენ სპეციალური საჭიროების მქონე მასწავლებლები სასკოლო სივრცეში.

განათლების სისტემაში ამ პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, თუმცა მაინც ჩნდება რიგი ხარვეზები. საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო კვლევების მიხედვით, მოსწავლეთა შედეგები ჩამორჩება საშუალო მაჩვენებელს.

ხარისხიანი განათლების მთავარი ინდიკატორი სკოლაში მოსწავლის განვითარებაა. მოსწავლის განვითარება მოიცავს, როგორც ინდივიდუალურ ასევე საზოგადოებრივ მიზნებს. მოსწავლის განვითარების შესაფასებლად ძირითადად დისციპლინებში ცოდნასა და კოგნიტურ უნარებს ვიყენებთ. ხოლო თანასწორობის შეფასების ინდიკატორად, მოსწავლეთა ჩართულობა და რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით მიღწევებს შორის განსხვავება განიხილება. მახასიათებლები კი შეიძლება იყოს: სკოლის მდებარეობა, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სასწავლო რესურსები და ა.შ.

მნიშვნელოვანი გარემო, რითაც სასკოლო სიტემა და მისი ხარისხი ფასდება, არის მოსწავლის სწავლის შედეგი. ეს კრიტერიუმი, როგორც ვიცით გაზომვადია, რადგან როგორია სასკოლო სიტემა, როგორია მოსწავლეთა მიღწევები, ამაზე პასუხს გვაძლევს საერთაშორისო კვლევები და სახელმწიფო შეფასება.

სასკოლო განათლების სისტემა აძლევს თუ არა მოზარდს თავისი შესაძლებლობის განვითარების საშუალებას, რომელიც იზრდება დაბალ სოციალურ/ეკონომიკურ პირობებში, რეგიონში, სოფელში, წარმოადგენს ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობას, ან სჭირდება სპეცალური საჭიროებები. ამ საკითხზე პასუხის გასაცემად, შეიძლება მოვიხმოთ ჩატარებული საერთაშორისო კვლევები. განათლებაში ჩართული ექსპერტების თქმით და ანალიზის შედეგად სჩანს, რომ:

მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში განსხვავდება მშობლების განათლების და დასახლების ტიპის მიხედვით. საერთო რაოდენობის მიხედვით მოზარდების 17% ზოგადი განათლების გარეშეა დარჩენილი. თუმცა, ეს შედეგი განსხვავდება მშობლების განათლების, ოჯახური პირობების, დასახელების, ეკონომიკური და ეთნიკური მდგომარეობის მიხედვით.

მოსწავლეები, რომლებიც სწავლობენ სოფლად და ხელმოკლე ოჯახებიდან არიან, რომლებსაც ნაკლებად განათლებული მშობლები ჰყავთ, საშუალოდ უფრო დაბალ შედეგს აჩვენებენ, ვიდრე ქალაქში მყოფი მოსწავლეები, რომელთა ოჯახის წევრები განათლებულები არიან. ანალოგიურად მოქმედებს მშობლების სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი, ხარისხიანი განათლების მიღების ხელშეწყობაში.

აღსანიშნავია, რომ ხარიასხიანი განათლების მიღებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თანასწორობას. სოფლის სკოლებში ნაკლები საგანმანათლებლო რესურსი ხვდებათ მოსწავლეებს, ვიდრე ისეთ სკოლებში, რომელიც დედაქალაქშია. ასევე, ბუნებრიავია, რომ განათლებული მშობლები უფრო მეტ რესურსს დებენ შვილების განათლებაში და მათ შვილებს მეტი ხელმისაწვდომობა აქვს.

დღევანდელ სამყაროში, რომელიც პანდემიამ მოიცვა და გადავედით დისტანციურ სწავლებაზე, ამ მხრიც საკითხი უფორ პრობლემატური გახდა, რადგან მოსწავლეები, რომლებიც ცხოვრობენ მრავალშვილიან ოჯახებში და აქვთ, თუნდაც ერთი კომპიუტერი, ან მოსწავლეები, რომელთაც ინტერნეტზე წვდომა არ აქვთ, რა თქმა უნდა, ნაკლებად იქნებიან ჩართულები.

ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში სწავლების სამივე საფეხურზე ვხვდებით გამოწვევებს. მაგალითად, დაწყებითი საფეხური არის მნიშვნელოვანი ეტაპი ბავშვის საგანმანათლებლო კარიერაში. თუ ბავშვს

დაწყებით კლასებში ექნება სირთულე, ეს სირთულე სამომავლოდ უფრო იჩენს თავს. დაწყებითი განათლების გამოწვევებზე, უფორ მეტია სასაუბრო, თუმცა სამომავლოდ ჩვენი კვლევა ეხება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებს, სწორედ ამიტომ, ძირითადად შევჩერდები ამ ორ საფეხურზე. საერთაშორისო კვლევებმა გვაჩვენა, რომ საბაზო საფეხურზე, მოსწავლეთა მიღწევები უფრო ნაკლებია, ვიდრე დაწყებითზე. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ხშირი ცვლილებები შეიძლება იყოს ამის განმაპირობებელი ფაქტორი. ასევე შეიძლება იყოს: გადატვირთული სასწავლო პროგრამები, თუ შევადარებთ წარმატებულ ქვეყნებს, თუნდაც ფინეთის საგაკვეთილო ბადეს, აღმოვაჩენთ მკვეთრ სხვაობას. ასევე, სასწავლო გეგმის ხშირი ცვლილება. აუცილებელია ცვლილებებთან შეგუება, მაგრამ მანამდე უნდა ჩავატაროთ ყველაზე მცირე კვლევა ან გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნებისს მაგალითი. შეიძლება მიზეზი იყოს საგნის სასწავლო მოცულობის არათანაბარი გადანაწილება კლასების მიხედვით, ზოგიერთი საგნის სწავლებაში, არ არის განცალკევებული მთავარი და ნაკლებად ნიშვნელოვანი საკითხები. საკამათოა საგნის სწავლების მეთოდოლოგიაც. ექსპერტები ასევე საუბრობენ იმაზე, რომ საბაზო საფეხურზე, სასწავლო გეგმა ზოგჯერ არ ითვალისწინებს მოსწავლეების ასაკობრივ შესაძლებლობებს.

კიდევ ერთი და მნიშვნელოვანი გარემო არის დაფინანსება, რაც ჩვენი განათლების ხარისხზე ძირითად გავლენას ახდენს და მასწავლებელების კვალიფიკაცია.

**დასკვნა:** 2004 წლიდან საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში რეფორმებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო, სახელმწიფომ მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ჩამოყალიბდა განათლების სისტემის მკაფიო მიზნები, ჩამოყალიბდა ახალი ტიპის მართვის სისტემა.

განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, რადგან ხარისხიანი განათლება წარმატების წინაპირობაა. მიუხედავად ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიღწეული ცვლილებებისა, ჩვენი განათლების სისტემა ბევრი გამოწვევების წინაშე დგას.

ხარისხიანი განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც კონკრეტული ინდივიდისთვის, ასევე საზოგადოებისთვის, რადგან ხარისხიანი განათლება წარმატების წინაპირობაა. მიუხედავად ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიღწეული ცვლილებებისა, ჩვენი განათლების სისტემა ბევრი გამოწვევების წინაშე დგას.

განათლების სიტემას, პირველ რიგში სჭირდება გარდაქმნის რეალისტური მიზნების მკაფიოდ დასახვა და არსებული რესურსების გათვალისწინებით, მათი მიღწევის გზების დაგეგმვა.

**გამოყენებული ლიტერატურა:**


1. „მშობელთა ჩართუობა“. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისთვის. საქართველოს დაწყებითი განათლების პროქტი. თბილისი. 2015.
2. ჭკუასელი. ქ. ჭკუასელი. ი. პედაგოგიკის საფუძვლები. გამომცემლობა „ინტელექტი“., თბილისი. 2012.
3. ნ. ჯაშია, ნ. იმედაძო, ს. გორგოძე., განვითარებისა და სწავლების თეორიები, 2008.
4. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ინსტიტუციური მექანიზმები.
5. სასკოლო განათლების სისტემის კონცეფცია.
6. Jody Zall Kusek Ray C. Rist. Ten Steps Ten Steps to a ResultsBased Monitoring and Evaluation System
7. Jody Zall Kusek Ray C. Rist. Ten Steps Ten Steps to a ResultsBased Monitoring and Evaluation System

# ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების საჭიროების კვლევა

# Research on the need for professional skills in the tourism and hospitality sector

**ნატალია კვაჭანტირაძე** – საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე
**ნინო კეკელიძე** – საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
**Natalia Kvachantiradze** - Chairman of the Georgian Tourism Association
**Nino Kekelidze** - Georgian National University

**აბსტრაქტი:** პანდემიის პირობებში უაღრესად დიდი ზიანი მიადგა ტურიზმისა და სტუმარმარპინძლობის ინდუსტრიას, რომელიც საქართველოს ეკონომიკის სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. დარგის გასანვითარებლად და გასაუმჯობესებლად, პოსტ პანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვანი იყო არსებული დამსაქმებლების გამოკვლევა სამი ძირითადი მიმართულებით: 1. ბაზრის საჭიროებების შეფასება; 2. დამსაქმებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება ადამიანური რესურსების პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების მიმართულებით (ცოდნა და უნარ-ჩვევები); 3. დამსაქმებლებისა და პროფესიული სასწავლებლების ურთიერთ თანამშრომლობის საჭიროების გამოკვეთა. კვლევაში მითითებული მიგნებები და რეკომენდაციები ღირებულ წვლილს წარმოადგენს, როგორც ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის დამსაქმებლებისთვის, საგანმანათლებლო პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლებისთვის, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისთვის რომ მოხდეს კერძო სექტორის საჭიროებების გაცნობა და დაკმაყოფილება. კვლევა დაეყრდნო საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, რომლის შედეგებიც ვალიდირებულ იქნა კვლევაში მონაწილე კონკრეტულ ფოკუს-ჯგუფთან, რის შედეგადაც საბოლოო რეკომენდაციები წარედგინა ფართო აუდიტორიას 2021 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ტურიზმის ასოციაციის კონფერენციაზე სასტუმრო ბილთმორში.

**Abstract:** World pandemic caused by COVID-19 had a dramatic impact on tourism and hospitality industry of Georgia, which is a strategic and priority direction of the Georgian economy. In order to develop and improve the sector, it was important to research existing employers in the post-pandemic period through

three main areas: 1. Assess market needs; 2. Identify the needs of employers in the field of professional and general competencies of human resources (knowledge and skills); 3. Identify the needs for cooperation between employers and vocational schools. The main findings and recommendations of the study are a valuable contribution to the employers of the tourism and hospitality sector, the vocational and higher education institutions and the public sector organization to meet the needs of the private sector. The study was based on the best international experience, the results of which were validated with a specific focus group participating in the study, as a result of which the final recommendations were presented to a wide audience on December 8, 2021 at the conference of the Georgian Tourism Association at the Hotel Biltmore Tbilisi.

**შესავალი:** ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორის პროფესიული უნარ-ჩვევების საჭიროების კვლევის ჩატარება და რეკომენდაციების შემუშავება განხორციელდა საქართველოს ტურიზმის ასოციაციასა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ_ს შორის არსებული პროექტის ფარგლებში - „ტურიზმის სექტორში ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების განვითარების ხელშეწყობა“. პროექტის მიზანია სექტორული წარმომადგენლობით სტუმარმასპინძლობის მიმართულებით ტექნიკური და პროფესიული განათლებისა და ტრენინგების კოორდინირება და მხარდაჭერა, რომელიც გაზრდის და გააძლიერებს საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიას. კვლევა განხორციელდა საქართველოს ტურიზმის ასოციაციის მიერ.

**კვლევის მიზნები:** საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომის ბაზრისათვის საჭირო საკვალიფიკაციო პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების (ცოდნა და უნარ-ჩვევების) განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების ან ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით.

**კვლევის ამოცანები:** საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში: 1. ბაზრის საჭიროებების შეფასება; 2. დამსაქმებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება ადამიანური რესურსების პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების მიმართულებით (ცოდნა და უნარ-ჩვევები); 3.

დამსაქმებლებისა და პროფესიული სასწავლებლების ურთიერთ თანამშრომლობის საჭიროების გამოკვეთა.

**მეთოდოლოგია:** კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები სადაც სტრუქტურირებულად ჩამოყალიბდა შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობა:

- ✓ ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მიმართულებით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და დამსაქმებელთა ბაზრის წინასწარი მოკვლევა/იდენტიფიცირება
    - ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მიმართულებით არსებული დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გამოკვეთა
    - ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის მიმართულებით დამსაქმებელთა ბაზრის იდენტიფიცირება
- ✓ დამსაქმებელთა გამოკითხვა ელექტრონული კითხვარის მეშვეობით
    - საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გამოყენებით კვლევის კითხვარის შემუშავება
    - დამსაქმებელთა გამოკითხვა ელექტრონული კითხვარის მეშვეობით
    - დამსაქმებელთა გამოკითხვიდან მიღებული მიგნებების იდენტიფიცირება და შედეგების ანალიზი
- ✓ ფოკუს-ჯგუფის ორგანიზება:
    - კვლევაში მონაწილე დამსაქმებლებთან ფოკუს-ჯგუფის ორგანიზება;
    - კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ვალიდაცია და ანალიზი;
    - საბოლოო რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საწყის ეტაპზე საქართველოს ტურიზმის ასოციაციამ მოახდინა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში არსებული დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოკვლევა, სადაც გამოიკვეთა შემდეგი ოთხი პროგრამა: კულინარიის ხელოვნება; კონდიტერია; სასტუმრო მომსახურება; სარესტორნო მომსახურება.

არსებული ოთხი პროგრამა შედარდა ამავე ინდუსტრიის დამსაქმებელთა ბაზრის სპეციფიკას და გამოიკვეთა საჭიროება, რომ

კვლევაში ყოფილიყო ჩართული არა მხოლოდ ზემოაღნიშნული ოთხი პროგრამის მიმართულებით დამსაქმებლები (განთავსებისა და კვების სექტორი), არამედ საქართველოს ტურიზმის ასოციაციის ყველა წევრი კომპანია რათა მაქსიმალურად ეფექტურად ყოფილიყო კვლევის მიზნები მიღწეული. შედეგად, შერჩეულ იქნა საქართველოს ტურიზმის ასოციაციის წინასწარგანსაზღვრული რაოდენობა (130 კომპანია) და დამატებით დარგში მოღვაწე 20-მდე მსხვილი კომპანია: სასტუმროები, კვების ობიექტები, შიდა, შემომყვანი და გამყვანი ტურისტული კომპანიები, ღვინის მარნები, სატრანსპორტო და ბიზნეს (MICE) ტურიზმის კომპანიები, ავიაკომპანიები. 150 კომპანიიდან, კითხვარი შეავსო 53-მა კომპანიამ (35 %).

კვლევის მეორე ეტაპზე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გამოყენებით შემუშავდა კვლევის კითხვარი (იხ. დანართი 1.), რომელიც მოიცავდა კითხვებს როგორც დარგში საჭირო უნარებთან დაკავშირებით, ასევე პროფესიულ სწავლებაში კომპანიების ჩართულობასა და პროფესიულ სასწავლებლებთან მათი თანამშრომლობის არსებულ და შესაძლო ფორმებს. კითხვარში შერჩეული იყო პროფესიები და უნარები/კომპეტენციები, რომელიც თანხვედრაშია განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან და ამავდროულად, შესაბამისობაშია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

**დიაგრამა 1. კვლევაში მონაწილე კომპანიების სფეროები**




შემუშავებული კითხვარი გადაიგზავნა 150 კომპანიასთან. 53-მა კომპანიამ მიიღო გამოკითხვაში მონაწილეობა, საიდანაც 43% იყო

ტურისტული კომპანია, 20% განთავსების ინდუსტრია, 16% ბიზნეს (MICE) ტურიზმი, 7% კვების ინდუსტრია, 6% ღვინის მარნები, 4% ავიაკომპანიები, 3% სატრანსპორტო კომპანიები და 1% მუზეუმები (იხ. დიაგრამა 1.). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აღნიშნული 53 მონაწილე კომპანია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს ტურიზმისა და სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის შრომის ბაზარს.

კვლევის მეორე ეტაპის დასასრულს შეჯერდა და იდენტიფიცირდა დამსაქმებელთა გამოკითხვიდან მიღებული მიგნებები და მოხდა შედეგების ანალიზი.

კვლევის მესამე ეტაპზე დაიგეგმა მონაწილე დამსაქმებლებთან ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელთაც წარედგინათ მიღებული შედეგების პრეზენტაცია, მოხდა შემაჯამებელი ანალიზი, შედეგების ვალიდაცია და შემუშავდა საბოლოო რეკომენდაციები (იხ. დანართი 2, დანართი 3, დანართი 4, დანართი 5).

**კვლევაში მონაწილე რესპონდენტები:** კვლევაში მონაწილე 53 კომპანიიდან კითხვარი შეავსო უმეტესწილად ზედა რგოლის მენეჯერებმა: ხელმძღვანელი - 83%, მენეჯერი - 15%, ადამიანური რესურსების სპეციალისტი - 2% (იხ. დიაგრამა 2.).

**დიაგრამა 2. რესპონდენტთა პოზიცია**




მონაწილე რესპონდენტების გეოგრაფიული არეალი: თბილისი - 39 კომპანია, მცხეთა-მთიანეთი - 7, კახეთი - 2, იმერეთი - 2, ქვემო ქართლი - 1,

სამეგრელო ზემო-სვანეთი - 1, სამცხე-ჯავახეთი - 1 კომპანია (იხ. დიაგრამა 3.).

**დიაგრამა 3. კვლევის გეოგრაფიული არეალი**




**დიაგრამა 4. 2019, 2020, 2021 წლების საშუალო შემოსავლები**




გამოკითხულ კომპანიათა შრომის ბაზრის წილის მნიშვნელობას ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში განსაზღვრავს მათი წლიური შემოსავალი, რომელიც COVID-19-ის პანდემიისაგან მიყენებული ზიანის ფონზე მკვეთრად შემცირდა 2021 წელს, 2019 და 2020 წლებთან შედარებით. 53 რესპონდენტიდან კომპანიის წლიური საშუალო შემოსავლები (სამი წლის: 2019, 2020, 2021) დაფიქსირდა შემდეგნაირად (იხ. დიაგრამა 4.):

- 14 კომპანიასთან - 1- დან 10 მილიონ ლარამდე;

- 24 კომპანიასთან - 500 000 ლარამდე;
- 3 კომპანიასთან - განულდა შემოსავლები;
- 12 კომპანიამ თავი შეიკავა აღნიშნულ შეკითხვაზე პასუხის გაცემაზე კომპანიის კონფიდენციალობის პოლიტიკიდან გამომდინარე.

რესპონდენტ კომპანიათა დასაქმებულთა რაოდენობა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის დარგის სპეციფიკიდან, მრავალფეროვნებიდან და ამავდროულად COVID-19_ის პანდემიით გამოწვეული ზიანიდან გამომდინარე განსხვავებულია ყველა მონაწილე კომპანიაში. 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს უმეტესწილად გამოიკვეთა თანამშრომელთა რაოდენობის კლება/შემცირება კომპანიებში, თუმცა რამოდენიმე კომპანიაში 2021 წელს შეინიშნება კადრთა მატება რაც განპირობებულია 2020 წელს პანდემიის შედეგად ახალი რეგულაციებითა და შეზღუდვებით გამოწვეული სექტორის შეჩერებისგან. 17 რესპონდენტის პასუხში ასევე შეინიშნება რომ 2020 წელთან შედარებით 2021 წელს არ მომხდარა საკადრო პოლიტიკის რაოდენობაში კადრთა ცვლილება. 53 რესპონდენტიდან 9 მონაწილემ არ გასცა სრული პასუხი შეკითხვას (იხ. დიაგრამა 5.).

**დიაგრამა 5. დასაქმებულთა რაოდენობა და ცვლილება გასულ წელთან შედარებით (2020)**




კვლევის ძირითადი მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო კომპანიების მოლოდინების დაზუსტება 12 თვის შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობის ზრდასთან/შემცირებასთან დაკავშირებით მუდმივი და დროებით

დასაქმებულის საჭიროებასთან მიმართებაში, სადაც 53 რესპონდენტიდან 17-მა მონაწილემ განმარტა, რომ არ იცის, რადგან თვლის, რომ დამოკიდებულია პანდემიასთან დაკავშირებულ შეზღუდვებსა და ახალ რეგულაციებზე; 28 მონაწილის მოლოდინით, 12 თვის შემდეგ გახდება მათ კომპანიებში კადრთა ზრდის საჭიროება; 5 რესპონდენტი მიიჩნევს, რომ უცვლელი იქნება კადრთა რაოდენობა მომდევნო წელსაც, ხოლო 3 მონაწილის ხედვით, შემცირდება მათი ადამიანური რესურსის რაოდენობა 2022 წლისთვის (იხ. დიაგრამა 6.).

**დიაგრამა 6. 12 თვის შემდეგ დასაქმებულთა რაოდენობის მოლოდინი: ზრდა, უცვლელი, შემცირება**




**კვლევის ანალიზი:** დამსაქმებელთა კითხვარი შედგებოდა 24 შეკითხვისგან (იხ. დანართი 1.), რომელიც კვლევის ძირითადი მიზნებისკენ იყო მიმართული და ეხებოდა საქართველოს ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში შრომის ბაზრისათვის საჭირო საკვალიფიკაციო პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების (ცოდნა და უნარ-ჩვევების) განსაზღვრას და რეკომენდაციების შემუშავებას არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების ან ახალი პროგრამების შემუშავების მიზნით. ზემოაღნიშნული მიზნების მაქსიმალური სრულყოფისთვის გამოიკვეთა სამი მნიშვნელოვანი ამოცანა,

რომელიც სხვადასხვა კითხვების სახით ფორმულირდა კვლევის კითხვარში:

- ბაზრის საჭიროებების შეფასება;
- დამსაქმებელთა საჭიროებების იდენტიფიცირება ადამიანური რესურსების პროფესიული და ზოგადი კომპეტენციების მიმართულებით (ცოდნა და უნარ-ჩვევები);
- დამსაქმებლებისა და პროფესიული სასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობის საჭიროების გამოკვეთა.

**დიაგრამა 7. დამსაქმებელთა შიდა პროცედურა: თუ როგორ და რა ხერხების გამოყენებით ასაქმებენ თავიანთ კომპანიებში ახალ კადრებს**

ვინაიდან დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებისთვის პროგრამის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სწორედ კურსდამთავრებულთა მიზნობრივი და გრძელვადიანი პერსპექტივით დასაქმებაა, საჭირო იყო

კვლევის საწყის ეტაპზე დადგენილიყო დამსაქმებელთა შიდა პროცედურა: თუ როგორ და რა ხერხების გამოყენებით ასაქმებენ თავიანთ კომპანიებში ახალ კადრებს.

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ დამსაქმებლები, ახალი კადრის აყვანის დროს უმეტესწილად საკუთარი ძალებით ცდილობენ საკადრო ცვლილებების განხორციელებას და არ უკავშირდებიან პროფესიულ ან უმაღლეს სასწავლებლებს.

გამოკითხულთა 23% აქვეყნებს ვაკანსიებს: jobs.ge/hr.ge/worknet.ge-ზე, 19% ეკონტაქტება კოლეგებს, 11% არჩევს ძლიერ/გამოცდილ კადრებს „ნადირობის“ (head-hunters) მეთოდით, 11% იყენებს Facebook ჯგუფებს, 6% იყენებს LinkedIn-ს და 7% იყენებს სხვა დასაქმების ხერხებს, როგორიცაა: საკუთარი ძალებით კადრების გამოზრდა, შიდა კადრების დაწინაურება და სხვა მსგავსი.

მონაწილე რესპონდენტთა მხოლოდ 11% უკავშირდება პროფესიულ საგანმანათლებლო კოლეჯებს, 8% უკავშირდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ხოლო 4% საქართველოს ტურიზმის ასოციაციას ეკონტაქტება საჭირო ახალი კადრების საკითხთან დაკავშირებით (იხ. დიაგრამა 7.).

გამოკითხულ რესპონდენტთა შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია, ბოლო სამი წლის განმავლობაში განიცდის კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს, რომელსაც ადასტურებს გამოკითხულთა 81% (დიაგრამა 8.).

კერძო სექტორის მხრიდან ძირითადად მოთხოვნადი პროფესიები და პოზიციები, რომელი კუთხითაც შეინიშნება კვალიფიციური კადრების ნაკლებობა წარმოდგენილია თანდართულ დიაგრამაში (დიაგრამა 9.) გამოკითხულთა 34%-ის მიხედვით კერძო სექტორი განიცდის ტუროპერატორისა და გიდის პოზიციებზე არსებული კადრების დეფიციტს, რომელიც არ იფარება არსებული ოთხი დუალური პროგრამის მიხედვით.

დაფიქსირდა ასევე მოთხოვნა იმ პროფესიებზე რომელსაც ფარავს ოთხი დუალური პროფესიული პროგრამა: მომხმარებელთა ურთიერთობის მენეჯერი, მზარეული/შეფი, კაფე-რესტორნის მენეჯერი, დიასახლისი, ფრონტ ოფის მენეჯერი, კონდიტერი, მიმტანი და სხვა. გამოკითხულთა 14% თვლის, რომ ასევე საჭიროა გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერი, 11%-ის ხედვით სპა სპეციალისტი და 15%-ის მოსაზრებით დეფიციტია ღონისძიებების მენეჯერი პოზიციებით.

**დიაგრამა 8. კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა**




დასაქმებულ კადრთა უნარების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ოთხი ძირითადი უნარი რომელიც აკლიათ კადრებს: ენობრივი უნარი, სტრატეგიულობა და ინოვაცია, დაგეგმვისა და მონიტორინგის უნარი და პრობლემების გადაჭრის უნარი.

შედარებით დაბალი პროცენტური მაჩვენებლების მიხედვით ასევე გამოიკვეთა ის უნარები სადაც დასაქმებული კადრები განიცდიან სისუსტეებს: ემპათია და ემოციური ინტელექტი, სტრესისა და დროის მენეჯმენტი და ინტერპერსონალური /ინტერკულტურული კომუნიკაცია.

კადრთა უნარების ნაკლოვანებების გამოკვეთის შედეგად მნიშვნელოვანი იყო განსაზღვრა თუ რითია განპირობებული დასაქმებულ კადრთა უნარების ნაკლოვანება, სადაც ძირითად ფაქტორად 44 რესპონდენტის მოსაზრებით დაფიქსირდა ქვეყანაში ზოგადად კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა, 18-ის მოსაზრებით პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლების ხარისხის ნაკლებობა, ხოლო 14

მონაწილის ხედვით კვალიფიციური მასწავლებლების/ტრენერების ნაკლებობა (იხ. დიაგრამა 11) .

**დიაგრამა 9. რომელი პროფესიის და პოზიციის ნაკლებობას განიცდის კერძო სექტორი**




ბოლო სამი წლის განმავლობაში დაქირავებული პერსონალის კომპეტენციების კმაყოფილებასთან დაკავშირებით რესპონდენტების უმრავლესობა გამოხატავს მეტ-ნაკლებად უკმაყოფილებას და საშუალო კმაყოფილების ინდექსით აფასებს დაქირავებულ კადრთა კომპეტენციებს (იხ. დიაგრამა 12.)

**დიაგრამა 10. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში ასაქმებულებს რა უნარები აკლიათ ყველაზე მეტად?**




**დიაგრამა 11. თქვენი აზრით, რითია განპირობებული, არსებულ პროფესიულ ჯგუფებში უნარების ნაკლებობა?**




გამოკითხულთა 22% თვლის, რომ უახლოეს 12 თვეში არ დასჭირდება ახალი პერსონალი, 10%-ს არ აქვს ზუსტი პასუხი რადგან განმარტავს, რომ აღნიშნული დამოკიდებულია ეპიდსიტუაციის განვითარებაზე, ხოლო 68% თვლის, რომ დასჭირდება ახალი კადრების აყვანა, შემდეგი პროფესიების მიხედვით: გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერი; დიასახლისი;

მზარეული, სუ შეფი; კონდიტერი; მიმტანი; ტუროპერატორი; ავიაბილეთების ოპერატორი; გიდი; ოპერაციული მენეჯერი; ადმინისტრატორი; რესტორნის მენეჯერი; დალაგების სამსახურის უფროსი; ტექნიკოსი; ბარმენი.

**დიაგრამა 13. დაგჭირდებათ თუ არა ახალი პერსონალი უახლოეს 12 თვეში?**




**დიაგრამა 14. გთხოვთ, დაასახელოთ მინიმუმ 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიული კომპეტენცია (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომლებსაც თქვენი აზრით უნდა ფლობდნენ კადრები**



ოთხ ყველაზე მნიშვნელოვან პროფესიულ კომპეტენციად (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომლებსაც უნდა ფლობდნენ კადრები დასახელდა შემდეგი კომპეტენციები:

1. პრობლემის გადაჭრის უნარი (პრობლემის იდენტიფიცირების, ანალიზისა და გადაჭრის უნარი);
2. თვითკონტროლი (დროის ეფექტურად დახარჯვის, სტრესთან გამკლავების უნარი);
3. წერითი და სალაპარაკო კომუნიკაცია ქართულ ენაზე და ერთ საერთაშორისო ენაზე (საქმიანი მიმოწერა, ანგარიშების წერის უნარი);
4. ტურიზმის პროდუქტის შექმნა და მისი ბაზარზე პოზიციონირება (ბაზრის კვლევა, პროდუქტის შესაქმნელად).

---

- პერსონალური კომპეტენციები: ძირითადი/საბაზისო უნარები და კარიერის დაგეგმვისა და განვითარების უნარები 13 (24.5%)
- სამუშაო კომპეტენციები: საბაზისო კომპეტენციები, როგორიცაა სამუშაოსადმი დამოკიდებულება და პირადი დაშვებები - 18 (34%)
- სამუშაო კომპეტენციები: ფუნქციური კომპეტენციები, როგორიცაა მაგალითად ადამიანების მართვის კომპეტენცია, პროფესიული კომპეტენცია, მენეჯმენტი და ტექნიკური უნარები - 22 (41.5%)
- პრობლემის გადაჭრის უნარი (პრობლემის იდენტიფიცირების, ანალიზისა და გადაჭრის უნარი) – 33 (62.3%)
- თვითკონტროლი (დროის ეფექტურად დახარჯვის, სტრესთან გამკლავების უნარი) – 25 (47.2%)
- წერითი და სალაპარაკო კომუნიკაცია ქართულ ენაზე და ერთ საერთაშორისო ენაზე (საქმიანი მიმოწერა, ანგარიშების წერის უნარი) – 24 (45.3%)
- ტურიზმის პროდუქტის შექმნა და მისი ბაზარზე პოზიციონირება (ბაზრის კვლევა, პროდუქტის შესაქმნელად) - 24 (45.3%)
- IT სისტემების (CRM), მენეჯმენტის / რეზერვაციის სხვადასხვა პროგრამების პროგრამების გამოყენება/ცოდნა - 10 (18.9%)
- ადმინისტრაციული მენეჯმენტი (სხვადასხვა დოკუმენტებზე, ინვოისებზე, შეკვეთებზე, სალარო აპარატზე მუშაობის უნარი) – 7 (13.2%)

- მომხმარებელთა მომსახურების უნარ-ჩვევები (სხვადასხვა ტიპის ტურისტულ დაწესებულებებში მომხმარებელთა მომსახურების უნარი) – 23 (43.4%)
- მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი (საჩივრებთან მოპყრობის უნარი) – 14 (26.4%)
- პროდუქტის გაყიდვები (პროდუქტის განთავსება, პროდუქტის დისტრიბუცია) – 11 (20.8%)
- ხარისხის კონტროლი (ხარისხის მართვის პრინციპების შეფასებისა და უზრუნველყოფის უნარი) – 9 (17%)
- დაგეგმვა (ამოცანების პრიორიტეტებად დასახვის უნარი) -14 (26.4%)
- უსაფრთხოება (მომხმარებელთა და დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით საჭირო ზომების ცოდნა - 7 (13.2%)
- ეკო-ცნობიერება (ეკო და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების გამოყენების უნარი ტურიზმის ბიზნესში) - 7 (13.2%)

**დიაგრამა 15. გთხოვთ, დაასახელოთ მინიმუმ 3 ყველაზე მნიშვნელოვანი ზოგადი კომპეტენცია (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომლებსაც თქვენი აზრით უნდა ფლობდნენ კადრები**




სამ ყველაზე მნიშვნელოვან ზოგად კომპეტენციად (ცოდნა და უნარ-ჩვევები), რომლებსაც უნდა ფლობდნენ კადრები დასახელდა: 1. პრობლემის გადაჭრა; 2. დამოუკიდებლად მუშაობა; 3. უცხო ენები

მონაწილეთა 75% აფიქსირებს, რომ არცერთ საგანმანათლებლო დაწესებულებას არ გაუვლია მათთან რაიმე სახის კონსულტაცია ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით, ხოლო 25% გამოკითხული კომპანიებისა ასახელებს შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულებეს, რომელთანაც გაიარეს კონსულტაციები, ესენია:

- ✓ პროფესიული კოლეჯი იკაროსი
- ✓ თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თელავის პროფესიული სასწავლებელი
- ✓ ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია
- ✓ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ აქვს მჭიდრო კომუნიკაცია არსებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელთან.

**დიაგრამა 16. გაუვლია თუ არა რომელიმე საგანმანათლებლო დაწესებულებას რაიმე სახის კონსულტაცია თქვენს კომპანიასთან, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავების მიზნით?**




გამოკითხულ რესპონდენტთა 62% აღნიშნავს, რომ არ თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კურსდამთავრებულთა დასაქმების, სამუშაო გამოცდილების გაზიარების, სტიპენდიების გაცემის, პრაქტიკის ადგილის გამოყოფის ან სხვა მიმართულებით (იხ. დიაგრამა 17.)

**დიაგრამა 17. თანამშრომლობს თუ არა თქვენი კომპანია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (კურსდამთავრებულთა დასაქმების, სამუშაო გამოცდილების გაზიარების, სტიპენდიების გაცემის, პრაქტიკის ადგილის გამოყოფის მიმართულებით ან სხვა?**




გამოკითხულ 38% მონაწილეთან, რომელმაც დააფიქსირა, რომ თანამშრომლობს პროფესიულ საგანმანათლებლო სასწავლებლებთან დამატებით დადგინდა მათი ორმხრივი თანამშრომლობის კმაყოფილების ინდექსი კონკრეტულად კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მიხედვით, სადაც გამოიკვეთა საშუალო კმაყოფილების ინდექსი (იხ. დიაგრამა 18.).

**დიაგრამა 18. თუ წინა შეკითხვაზე თქვენი პასუხია დიახ, გთხოვთ დააკონკრეტოთ ხართ თუ არა კმაყოფილი პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით?**



კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებმა რომ დააკმაყოფილონ კერძო სექტორის სამუშაო მოთხოვნები, დადგინდა სამი ძირითადი განსახორციელებელი ცვლილება რომელიც განსახორციელებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:

1. პრაქტიკულ სწავლებაზე ფოკუსირება, პრაქტიკის, სტაჟირების ორგანიზება და ა.შ. – **40 რესპონდენტი (75.5%);**
2. სასწავლო პროგრამების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში კვალიფიციური კადრების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით - **27 რესპონდენტი (50.9%);**
3. სწავლების ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა - **24 რესპონდენტი (45.3%).**

დამატებით გამოიკვეთა განსახორციელებელი ცვლილების საჭიროება შემდეგი მიმართულებებით:

4. სასწავლო პროგრამების გადახედვისა და შეცვლის თვალსაზრისით მზაობა, მათი ბაზრის მოთხოვნებთან და ტექნოლოგიურ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით - **23 რესპონდენტი (43.4%)**
5. სექტორული ასოციაციებისა და კომპანიების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და შემუშავების პროცესში - **23 რესპონდენტი (43.4%)**
6. პროფესიული სტანდარტების განსაზღვრა და განახლება შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად - **21 რესპონდენტი (39.6%)**
7. იმ უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების შექმნა, რომელთა გამოყენება კომპანიაში არ იქნება დამატებით ტრენინგებთან და შესაბამისად მეტი დროის დახარჯვასთან დაკავშირებული - **16 რესპონდენტი (30.2%)**

კვლევაში მონაწილეთა 13-მა (24%) რესპონდენტმა უარი თქვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე. 37 რესპონდენტი (70%) გამოთქვამს თანამშრომლობის შესახებ მზაობას. 2 მონაწილეს არ აქვს პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზე, ხოლო 1 რესპონდენტი უკვე თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან (იხ. დიაგრამა 20.).

**დიაგრამა 19. გაქვთ თუ არა სურვილი, რომ გახდეთ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პარტნიორი დუალური მიდგომით პროფესიული განათლების დანერგვა-განვითარების კუთხით?**




გამოკითხვაში მონაწილე 37-მა რესპონდენტმა, რომელმაც განაცხადა რომ აქვს მზაობა ითანამშრომლოს საგანმანათლებლო სასწავლებლებთან გამოკვეთეს თანამშრომლობის შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულება:

1. კურსდამთავრებულების/სტუდენტების დასაქმება - 25 (62.5%)
2. მონაწილეობის მიღება სტაჟირების პროგრამებში - 25 (62.5%)
3. მოკლევადიან ტრენინგებში მონაწილეობა - 24 (60%)
4. გამოცდილების გაზიარება, სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა - 19 (47.5%)

დამატებით გამოიკვეთა თანამშრომლობის მიმართულებები პრიორიტეტულობის მიხედვით:

5. სასწავლო პროცესში ჩართულობა, როგორც პარტნიორი კომპანია - 18 (45%)
6. პარტნიორობა დუალურ საგანმანათლებლო პროგრამებში - 12 (30%)
7. როგორც პარტნიორნა კომპანიამ, პროფესიული სწავლებისთვის ინსტრუქტორების გამოყოფა - 6 (15%)
8. სივრცეების, ლაბორატორიებისა და ტექნიკის უზრუნველყოფა პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად - 4 (10%)
9. ინსტრუქტორების/მასწავლებლების მიწოდება, ისე რომ არ გახდეთ პარტნიორი კომპანია - 2 (5%)
10. სპონსორობა / სტიპენდია - 1 (2.5%)

**კვლევის ძირითადი მიგნებები:** დამსაქმებელთა კვლევის ანალიზის საფუძველზე დადგინდა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სექტორში

არსებული მდგომარეობა და საჭიროებები, რის საფუძველზეც გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები რომელთა გათვალისწინება და სრულყოფაში მოყვანა სექტორს მისცემს სწრაფი და მდგრადი განვითარების საშუალებას.

კვლევის ანალიზის შედეგად გამოკვეთილია ძირითადი მიგნებები:

- COVID-19-ით გამოწვეული პანდემიის შედეგად არსებული შეზღუდვების, ახალი სტანდარტებისა და რეგულაციების ფონზე ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის კერძო სექტორში შეინიშნება მკვეთრი დინამიკის ვარდნა როგორც ფინანსების, ადამიანური რესურსებისა და მომავალი აქტივობების მდგრადი დაგეგმარების მიმართულებით;
- ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრია, განიცდის კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს როგორც დედაქალაქ თბილისში ასევე რეგიონებში: კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, მცხეთა-მთიანეთში და სხვა. აღნიშნული ნეგატიურად აისახება როგორც კერძო სექტორის ფუნქციონირებაზე ასევე ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაზე;
- კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემიის ფონზე შეინიშნება არსებული პროფესიონალი კადრების მასიური დენადობა ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიიდან სხვა დარგებში, რაც საჭიროებს ქმედით ნაბიჯებს დარგის გადარჩენისა და უკეთესი განვითარებისთვის.
- ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროს გარკვეული პროფესიები და პოზიციები, როგორებიცაა დიასახლისი, მიმტანი, სტიუარდი, ბარგის პორტერი და სხვა არის არაპოპულარული როგორც დასაქმებულებისთვის ასევე მათი ოჯახის წარმომადგენლებისთვის, რაც საჭიროებს ცნობადობის ამაღლებას და პროფესიების მეტ პოპულარიზაციას.
- დასაქმებულ კადრთა უნარების ნაკლოვანებებთან დაკავშირებით გამოიკვეთა ოთხი ძირითადი უნარი რომელიც აკლიათ კადრებს: ენობრივი უნარი, სტრატეგიულობა და ინოვაცია, დაგეგმვისა და მონიტორინგის უნარი და პრობლემების გადაჭრის უნარი;
- ახალი კადრების საჭიროების შემთხვევაში დამსაქმებლების უმრავლესობას არ აქვს ნდობა/არ უკავშირება პროფესიულ ან უმაღლეს

სასწავლებლებს და ახალი კადრების ასაყვანად იყენებენ საკუთარ ხერხებს, როგორიცაა: ვაკანტური პოზიციების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებენ ინტერნეტ დასაქმების ვებ გვერდებსა და სოციალურ ქსელებში, არჩევენ ძლიერ/გამოცდილ კადრებს „ნადირობის“ (head-hunters) მეთოდით, ეკონტაქტებიან კოლეგებს, საკუთარი რესურსით ზრდიან კადრებს და სხვა;

- დაფიქსირდა პროფორიენტაციის მიმართულებით ნაკლოვანება, როდესაც პრაქტიკის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულები მათთვის „არაპოპულარულ“ ვაკანტურ ადგილზე უარის თქმას ასაბუთებენ დარგისა თუ კონკრეტული პოზიციის მიმართ უინტერესო დამოკიდებულებით.
- დადასტურდა მოთხოვნადი პროფესიები და პოზიციები, რომლის ნაწილი იფარება დუალური პროფესიული პროგრამებით ხოლო ტუროპერატორისა და გიდის პროფესია რომელიც არ შედის დუალური პროფესიული სწავლების ნაწილში კვლავ გამოიკვეთა დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნად პროფესიათა შორის.
- დასაქმებულების შეფასებით შეინიშნება ნაკლოვანება შემდეგი უნარების კუთხით: ენობრივი უნარები, პრობლემის გადაჭრის უნარი, დაგეგმვისა და მონიტორინგის უნარი, სტრატეგიულობა და ინოვაცია.
- პროფესიული კომპეტენციების საჭიროების კუთხით, გამოიკვეთა შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები რომლებსაც უნდა ფლობდნენ დასაქმებულები:
    1. სამუშაო კომპეტენციები: საბაზისო კომპეტენციები, როგორიცაა სამუშაოსადმი დამოკიდებულება და პირადი დაშვებები;
    2. მომხმარებელთა მომსახურების უნარ-ჩვევები (სხვადასხვა ტიპის ტურისტულ დაწესებულებებში მომხმარებელთა მომსახურების უნარი);
    3. ადმინისტრაციული მენეჯმენტი (სხვადასხვა დოკუმენტებზე, ინვოისებზე, შეკვეთებზე, სალარო აპარატზე მუშაობის უნარი);
    4. თვითკონტროლი (დროის ეფექტურად დახარჯვის, სტრესთან გამკლავების უნარი);
    5. წერითი და სალაპარაკო კომუნიკაცია ქართულ ენაზე და ერთ საერთაშორისო ენაზე (საქმიანი მიმოწერა, ანგარიშების წერის უნარი);

6. ტურიზმის პროდუქტის შექმნა და მისი ბაზარზე პოზიციონირება (ბაზრის კვლევა, პროდუქტის შესაქმნელად).

- ზოგადი კომპეტენციების საჭიროების კუთხით ასევე დადასტურდა შემდეგი ცოდნა და უნარ-ჩვევები რომლებიც მნიშვნელოვანია კადრთა სამსახურეობრივი აქტივობების შესრულების დროს:
  1. პრობლემის გადაჭრა
  2. დამოუკიდებლად მუშაობა
  3. უცხო ენები
- კურსდამთავრებულთა უნარ-ჩვევებმა რომ დააკმაყოფილონ კერძო სექტორის სამუშაო მოთხოვნები, დადგინდა სამი ძირითადი განსახორციელებელი ცვლილება რომელიც კერძო სექტორის ხედვით განსახორციელებელია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში:
  1. პრაქტიკულ სწავლებაზე ფოკუსირება, პრაქტიკის, სტაჟირების ორგანიზება და ა.შ.;
  2. სასწავლო პროგრამების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის სფეროში კვალიფიციური კადრების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით;
  3. სწავლების ახალი მეთოდოლოგიების დანერგვა.
- კერძო სექტორის წარმომადგენლები გამოთქვამენ პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის მზაობას, შემდეგი მიმართულებებით:
  1. კურსდამთავრებულების/სტუდენტების დასაქმება;
  2. მონაწილეობის მიღება სტაჟირების პროგრამებში;
  3. მოკლევადიან ტრენინგებში მონაწილეობა;
  4. გამოცდილების გაზიარება, სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა.

## რეკომენდაციები:

1. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის მიმართულებით კერძო და საჯარო სტრუქტურებს შორის მჭიდრო და აქტიური ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება, რომ მოხდეს COVID-19_ით მიყენებული ზიანის დროული ანაზღაურება და დარგის მდგრადი განვითარება;

2. დუალური პროფესიული სწავლების შესახებ ცნობადობის ამაღლება;
3. მოთხოვნადი პროფესიების შესახებ (როგორებიცაა: მიმტანი, დიასახლისი, სტიუარდი და სხვა) არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა, საუკეთესო კურსდამთავრებულთა მაგალითების პოპულარიზაციითა და სხვა თანამედროვე მარკეტინგული აქტივობებით;
4. პროფორიენტაციის მიმართულების გაძლიერება, რომ დუალურ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი ნათლად აცნობიერებდეს საკუთარი სამომავლო პროფესიის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს, ისევე როგორც გრძნობდეს ინტერესსა და სიყვარულს დარგის მიმართ. დუალურ პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტი დამოუკიდებლად იღებდეს გადაწყვეტილებას პროფესიის არჩევის დროს და არ მოქმედებდეს მშობლის ან სხვა ადამიანის აზრის ზემოქმედების ქვეშ;
5. ტურიზმისა და სტუმარმარპინძლობის სექტორში არსებული პროგრამების გადახედვა პრაქტიკოსი მასწავლებლებისა და დარგის ექსპერტების მიერ;
6. ბაზრის საჭიროებების გათვალისწინება პროფესიონალ კადრთა ზოგადი და პროფესიული კომპეტენციების (ცოდნისა და უნარ-ჩვევების) გაძლიერების კუთხით;
7. ახალი, სასწავლო შეთავაზებების გაჩენა მოთხოვნად პროფესიებზე, როგორებიცაა ტუროპერატორი და გიდი;
8. პროფესიული დაწესებულებების მასწავლებლების და კომპანიების ინსტრუქტორების გადამზადება;
9. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის კერძო სექტორის დაკავშირება და მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობის დამყარება საგანმანათლებლო სასწავლებლებთან, პროფესიონალ კადრთა აღზრდის, ახალი პროფესიული პროგრამების შემუშავების ნაწილში.
10. ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის კერძო სექტორისა და პროფესიული კოლეჯების ურთიერთთანამშრომლობის უწყვეტი მონიტორინგი, არსებული გამოწვევებისა და მიღწეული შედეგების ანალიზი.

# მსოფლიო ფინანსური სისტემის განვითარების თანამედროვე ტენდენციები
# Modern trends in the development of the world financial system

**ვალერი მოსიაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ
**თეონა ალექსიძე** - საბანკო საქმის მაგისტრი
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, სეუ

**Valeri Mosiashvili** - Doctor of Economics, Professor
Georgian National University, Seu
**Teona Aaleksidze** - Master of Banking
Georgian National University, Seu

**აბსტრაქტი.** გლობალიზაციის არსებული მდგომარეობის ანალიზი გვაძლევს საშუალებას აღვნიშნოთ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია (სეი) ეროვნული ფინანსური და ფულად-საკრედიტო სისტემების განვითარების მძლავრი ინსტრუმენტი გახდა. საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია (სეი) - არის მეზობელი ქვეყნების ერთიან სამეურნეო კომპლექსში, მათ კომპანიებს შორის მდგრადი ეკონომიკური კავშირების საფუძველზე, შეზრდის (შერწყმის) პროცესი. დღეისათვის არსებობენ ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგი ფორმები: თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო კავშირები, საერთო ბაზარი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი. ჩვენს წინამდებარე სტატიაშიც საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის აღნიშნული ყველაზე გავრცელებული ფორმების ანალიზი და მათი სავარაუდო გავლენის შედეგებია მოცემული. კვლევის სხვადასხვა მეთოდების (ძირითადად ანალიზისა და სინთეზის, ინუქციისა და დედუქციისმეთოდები, ხოლო არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში აბსტრაგირების მეთოდის) გამოყენებით ჩავატარეთ კვლევა და გავაკეტეთ ადექვატური პრაგმატული ხასიათის დასკვნები.

**საკვანო სიტყვები:** ეკონომიკური ინტეგრაცია, თავისუფალი ვაჭრობა, სავალუტო ბაზარი, სავალუტო კავშირი, ფინანსური კრიზისი.

**Abstract.** An analysis of the current state of globalization allows us to note that at the end of the twentieth century, international economic integration (IEA) became a powerful tool for the development of national financial and monetary systems. International Economic Integration (IEA) - is the process of growth (merger) in a single economic complex of neighboring countries, based on sustainable economic ties between their companies. There are currently the following forms of economic integration: free trade zones, customs unions, common market, economic and monetary union. Our present article also analyzes the most common forms of international economic integration and the consequences of their potential impact. Using various research methods (mainly analysis and synthesis, injection and deduction methods, and in case of insufficient information abstraction method) we conducted research and made adequate pragmatic conclusions.

**Keywords:** economic integration, free trade, foreign exchange market, monetary union, financial crisis.

პირველი ფორმაა - თავისუფალი ვაჭრობის ზონა - სადაც უქმდება ქვეყანა-მონაწილეებისათვის სავაჭრო შეზღუდვები (მცირდება ან უქმდება საბაჟო მოსაკრებლები). მაგრამ ასეთმა მონაწილეობამ შეიძლება ქვეყანა-მწარმოებლების მდგომარეობა გაართულოს, რადგანაც იმპორტის ლიბერალიზაცია შეთან-ხმების ქვეყანა-მონაწილეებიდან მოწინააღმდეგებისათვის კეთილსასურველ პირობებს ქმნის, რომელთა პროდუქცია შეიძლება უფრო მაღალი ხარისხის იყოს. ყოველივე აღნიშნულმა შეიძლება საგადასახადო შემონატანებზე იმოქმედოს.

მეორე ფორმაა - საბაჟო კავშირი - რომელიც ითვალისწინებს უფრო მჭიდრო თანამშრომლობას: საგარეოსავაჭრო შეზღუდვების გაუქმებასთან ერთად ინტეგრაციული გაერთიანების შიგნით დგინდება ერთიანი საბაჟო ტარიფი და მესამე სამყაროს ქვეყნებთან მიმართებაში ერთიანი საგარეოსავაჭრო პოლიტიკა ტარდება. რიგ შემთხვევებში საბაჟო კავშირი შეივსება საგადახდო კაცშირით, რომელიც ვალუტების ურთიერთ კონვერტირებადიბას და ერთიანი საანგარიშსწორებო ფულადი ერთეულის ფუნქციონირებას ითვალისწინებს. საბაჟო კავშირის ჩარჩოებში ქვეყანა-მონაწილეებმა შეიძლება ძირითადი სახით საბაჟო-სატარიფო წესებისა და პროცედურების სფეროში  კოორდინირებული საგარეოსავაჭრო პოლიტიკა გაატარინ. აღნიშნული გარემოება წარმოების, ექსპორტის განვითარებისა და

საიმპორტო მოთხოვნის უფრო სრულად დაკმაყოფილების ინტერესებში სასაქონლო ნაკადების რეგულირების, ფულადი ნაკადების დაგეგმვის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. საბაჟო კავშირი ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის კეთილსასურველ პირობებს ქმნის, რაც ქვეყანაში უცხოური ფინანსური კაპიტალის მოდინებაზეაღიქმება.

მესამე ფორმა ინტეგრაციის პროცესის შემდგომ განვითარებში არის - საერთო ბაზარი. იგი ხელშკრულების ხელმოწერით ხასიათდება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთის „ოთხ თავისუფლებას“ - საქონელისათვის, მომსახურებისათვის, კაპიტალისათვის და ადამიანებისათვის.

საერთასორისო ეკონომიკური ინტეგრაციის მითითე-ბული სამი ფორმა ძირითადი სახით, ვაჭრობისა და ურთიერთ ფინანსური ანგარიშსწორებების განვითარებისათვის ქვეყანა- მონაწილეებისათვის ფორმალურად სხვადასხვა პირობების შექმნით, გაცვლის სფეროს მოიცავენ.

მეოთხე ფორმა - ეკონომიკური და სავალუტო კავშირი - ინტეგრაციის ყველაზე რთული ფორმაა მაღალგან-ვითარებული, მდგადი, გრძელვადიანი საგარეოეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებით. ეკონომიკური და სავლუტო კავშირის შედეგად ხორციელდება ინტეგრაციული თანამეგობრობის მართვის ზეეროვნული ინსტიტუტების შემოღება, ერთიანი სავალუტო პოლიტიკის განხორციელება და ერთიანი ვალუტის შემოღება არის გათვალისწინებული. აღნიშნული ღონისძიებები ერთიანი ცენტრალური ბანკის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

დღეისათვის არსებობს რამდენიმე პროგრესირებადი ინტეგრაციული გაერთიანებები:განვითარებულ ქვეყნებში - ევროპული კავშირი (ЕС) და თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთამერიკული ასოციაცია (НАФТА), განვითარებულებში - საერთო ბაზარი სამხრეთის კონუსის ქვეყნების (МЕРКОСУР). სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოების ასოციაცია (АСЕАН ). დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობის (СНГ) კავშირის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 1991 წლის ბოლოს სსრკს დაშლის შესახებ ბელოვეჟის შეთანხმებების რუსეთის, ბელორუსიისა და უკრაინის მრეზიდენტების მიერ ხელმოწერასთან ერთდროულად იქნა მიღებული. შემდგომში СНГ-ს, პრიბალტიკურების გარდა, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები შეუერთდა.

გლობალიზაცია - მრავალდონიანი მოვლენაა, რომელიც ეხება - ცალკეულ საწარმოებს (მიკროდონე); სასაქონლო, ფინანსური და სავალუტო ბაზრები (მაკროდონე). ტრამსეროვნული კორპორაციები (ტეკ) და მათი ანალოგიური მეურნე წარმონაქმნები - მსოფლიო ფინანსური სისტემის მძლავრ სექტორს ქმნიან. 2002 წლის მონაცემების მიხედვით, ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) რიცხვი 65 ათასამდე, ხოლო მათი უცხოური ფილიალების რიცხვი კი 859 ათასამდე გაიზარდა, რომელთა ჯამურმა აქტივებმა თითქმის 25 მილიარდ დოლარს მიაღწია.

გლობალიზაცია განსაკუთრებით კაპიტალის მოძრაობას შეეხო. დღეისათვის პირდაპირი ინვესტიციების სამპოლუსიანი გლობალური სტრუქტურა არსებობს: აშშ, ევროპული კავშირი და იაპონია. „ტრიადაზე“ ინვესტიციების გატანისა და შემოტანის საერთო მოცულობის მიახლოებით 4/5 მოდის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმსხვილეს მიმღებებად გარდამავალი პერიოდის ეკონომიკიან ქვეყნებს შორის არიან: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, რუსეთი.

მსოფლიო სავალუტო ბაზარი: მსოფლიოში გადახდების უდიდესი მოცულობა უცხოურ ვალუტაში და დერივატენთან მიმართებაში სპეკულაციური სავალუტო ოპოერაციების კიდევ მეტი მოცულობა ხორციელდება. განხორციელებული გარიგებების მოცულობა დღეში 1,5 ტრილიონ დოლარს, ხოლო წელიწადში კი - მიახლოებით 400 ტრილიონ დოლარს უახლოვდება. სავალუტო ბაზარზე და დერივატების ბაზარზე მთავარ მოქმედ პირებს კომერციული ბანკები წარმოადგენენ. ცენტრალური ბანკები ასევე, ეროვნულსავალუტო ბაზრებზე სავალუტო ინტერვენციების განხორციელებით, სავალუტო ბაზრების საქმიანობაში მონაწილეობენ, რომ მოთხოვისა და მიწოდების ძლიერი რყევები (და შესაბამისად ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობები) იქნას თავიდან აცილებული. ვალუტითა და სავალუტო დერივატებით ვაჭრობა ხორციელდება ყველგან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა მსოფლიოს ფინანსურ ბაზრებზე. ვალუტების გაცვლასთან მიმართებაში ყველა სახის ოპერაციების მიხედვით პირველი ადგილი - ლონდონს, ხოლო სავალუტო ფიუჩერესების ვაჭრობასთან მიმართებაში კი - ჩიკაგოს უკავია. ამერიკულ დოლარზე მიახლოებით ვალუტასთან ყველა გარიგებების მიახლოებით ნახევადი მოდის.

დერივატიულებს (ფინანსურ დერივატებს) უწოდებენ იმ ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა საფუძველში სხვა, უფრო მარტივი ფინანსური

ინსტრუმენტები - აქციები, ობლიგა-ციები, ვალუტა არია ჩადებული. დერივატების ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს ოფციონები (რომლებიც მის მფლობელს გარკვეული აქციების გაყიდვისა და ყიდვის უფლებას აძლევს), ფიუჩერსები (კონტრაქტები სამომავლოდ მოწოდებაზე, მათ შორის ვალუტისა, კონტრაქტში დაფიქსირებული ფასით). დერივატების ბაზარი მჭიდროდაა დაკავშირებული სავალუტო ბაზართან და უპირველეს ყოვლისა ერთი ვალუტის მეორეზე ან ერთ ვალუტაში ფასიანი ქაღალდების სხვებზე გაცვლის საფუძველზე. დღეისათვის ფინანსური დერივატების მსოფლიო ბაზარი 50 ტრილიონი დოლარის ოდენობით ფასდება და ძირითადებია - ფიუჩერსები და სვოპები.

მსოფლიო საკრედიტო ბაზარი: მსოფლიო საკრედიტო ბაზარს უფრო ხშირად განიხილავენ ნაწილების მიხედვით - როგორც სავალო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარს და როგორც საბანკო კრედიტების მსოფლიო ბაზარს.

სავალო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი: აღნიშნულ ბაზარზე მიმოიქცევიან უპირველეს ყოვლისა ფასიანი ქაღლდები, როგორიცაა თამასუქები ფდა ობლიგაციები. შსამჩნევი ადქგილი აქ უკავიათ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, უპირველეს ყოვლისა ამერიკულებს როგორც ყველაზე უფრო საიმედოებს (მათზე მთლიანი მსოფლიო ბაზრის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიახლოებით ნახევარი მოდის საერთო მოცულობით მიახლოებით 18 ტრილიონი დოლარი). სავალო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარზე მსხვილი თანხებით გამოიშვება ასევე უცხოური ობლიგაციები, ჩვეულებრივ რომელიმე ერთ უცხოურ ქვეყანაში მსი ეროვნულ ვალუტაში.

საბანკო კრედიტების მსოფლიო ბაზარი: აღნიშნული ბაზარი სხვადასხვა ფინანსურ სესხებზე, ნასესხობაზე და კრედიტებზე სპეციალიზირდება. მსესხებლებად მასზე გამოდიან კომპანიები, ბანკები, ასევე სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები. კრედიტორებად აღნიშნულ ბაზარზე გამოდიან სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციები, უპიტატესად ბანკები. ბაზრის სიდიდე 40 ტრილიონ დოლართან ახლსაა. საბანკო კრედიტების ბაზარში არც ისე იშვიათად ბანკთაშორისო ბაზარს გამოყიფენ, რომელზეც სხვადასხვა ქვეყნების საკრედიტო დაწესებულებები ერთმანეთში განათავსებენ დროებით თავისუფალ ფულად სახსრებს,

ძირითადად მოკლევადიანი დეპოზიტების სახით, ასევე მიმდინარე ანგარისბისა და სესხების სახით.

საბანკო კრედიტების მსოფლიო ბაზარი ბევრად ფინანსურ რესურსებზეა დაფუძნებული, რომლებიც მოსულია რომელიმე ერთი ქვეყნიდან სხვა ქვეყნების ბანკებში, ემსახურებიან მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს და ამიტომ თავიანთი ეროვნული კუთვნილება აქვთ დაკარგული. აღნიშნული უპირატესად სახსრებია დოლარებში და ევროპულ ვალუტებში, რომლებიც დეპოზიტებზე ძირითადად ევროპაშია განთავსებული, და ამიტომ მათ ევროვალუტებს ან, ისეთი ფინანსური აქტივების მთავარი ვალუტის სახელის მიხედვით - ევროდოლარებს უწოდებენ, თუმცა მათი მნიშვნელოვანი მასა მიმოიქცევა არა მარტო ევროპის ფინანსურ ცენტრებში, არამედ მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც. ევროდოლარების ბაზრის სიდიდე მიახლოებით 10 ტრილიონია, ხოლო ამერიკული დოლარები აღნიშნული სიდიდის მიახლოებით 2/3 შეადგენენ. საბანკო კრედიტების ბაზრის სეგმენტი, რომელზეც ევროდოლარებით ოპერირებენ, უწოდებენ ევრობაზარს (ევროდოლარების ბაზარს), ხოლო აღნიშნულ ბაზარზე აქტიურ კრედიტებს - ევრობანკებს, მასზე აღებულ სესხებს - ევროსესხებს, ხოლო აღნიშნულ ბაზარზე გამოშვებად ფასიან ქაღალდებს - ევროქაღალდებს (ევროობლიგაციებს, ევრონოტებს) და ა.შ.. შეიძლება დასახელებული იქნას ევროდოლარების ბაზრის წარმოშობისა და სწრაფი ზრდის შემდეგი მიზეზები: უპირველეს ყოვლისა, ფინანსური სახსრების ზოგიერთი მფლობელები თავიანთ ქვეყნებში არასტაბილურობის, თავიანთი ფინანსური სახსრების წარმოშობის არაკანონიერების გამო, მაღალი ეროვნული გადასახადების გამო უპირატესობას ანიჭებენ თავიანთი სახსრები უცხოეთში და მსოფლიოს ყველაზე ყფრო საიმედი ვალუტებში განათავსონ; მეორეს მხრივ, მსხვილი ფინანსური რესურსების საკვანძო ვალუტებში და საერთაშორისო ფინანსურ ცენტრებში თავმოყრა სწრაფად და შიშის გარეშე დიდი სახსრების მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში გადაყვანის შსაძლებლობას ქმნის. განსაკუთრებით მოხერხებულია აღნიშნული განხორციელდეს ობშორული ცენტრებიდან, რომლებიც შეიძლება ევროდოლარების ბაზრის მნიშვნელოვან შემადგენელად ჩაითვალის.

მსოფლიო ფინანსური კრიზისები. ფიმამსური კრიზისები ცალკეულ ქვეყნებში სულ უფრო და უფრო ხშირად გარგაიქმნებიან რეგიონალურებად და გლობალურებად. ფინანსური კრიზისი შეიძლება იყოს: სავალუტო (ეროვნული ვალუტების დევალვაციისაკენ მივყავართ), საბანკო („შესუსტებული“ ბანკების დიდ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას მოითხოვს), სავალო (შიდა ან საგარეო ვალის პრობლემის გამწვავებასთანაა დაკავშირებული) და სისტემური (ქვეყნის მთლიან ფინანსურ სისტემას მოიცავს). ფინანსური კრიზისების მიზეზები მრავალსახოვანია: უსუსური მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სუსტი ეროვნული ფინანსური სისტემა, არაკეთილსასურველი საგარეო პირობები (მაგალითად, ფასების დაცემა საექსპორტო საქონელზე), არასწორი გაცვლითი კურსი (ჩვეულებრივად ამაღლებული), პოლიტიკური არასტაბილურობა. განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ფინანსური კრიზისი წარმოიქმნება ბევრად უფრო ხშირად, ვიდრე განვითარებულებში. მსოფლიო სავალუტო ფონდის (მსფ) კვლევებების მონაცემების მიხედვით, 204 სავალუტო და საბანკო კრიზისებიდან 1975-1997 წლებში, 158 იყო სავალუტო, ამასთან მესამედ შემთხვევებში ეროვნული ვალუტა 755-ით იქნა დევალვირებული.

ფინანსების სახელმწიფოებრივი რეგულირება: სახელმწიფო რეგულირების ობიექტად უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ფინანსები, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები გამოდიან. ყველაზე უფრო ინტენსიურად აღნიშნული ვლინდება დასავლეთ ევროპაში და მნიშვნელოვანი ზომიერებით - აშშ-ში და იაპონიაში. ასე მაგალითად, 1995 წელს იაპონიის ფედერალურ ბიუჯეტში შევიდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 17,6%, აშშ-ში - 19%, ავსტრალიაში - 22,35%, მაშინ როდესაც ევრო კავშირის (ეკ) ქვეყნები-წევრებში აღნიშნული მაჩვენებელი იყო 28,75% (ესპანეთი) - და 43,75% (ბელგია) შოროს დიაპაზონში. მთლიანობაში გადასახადები შეადგენენ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მიახლოებით 1/3-ს აშშ-ში, იაპონიაში, კანადაში და ავსტრალიაში, ხოლო დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში აღნიშნული ინდექსი აღწევს 30-50%, შვედეთში და დანიაში - 50%-ზე მეტია.

საგადასახადო რეგულირება, ინვესტიციების სიდიდისა და სამომხმარებლო მოთხივნის ცვლილებისათვის მოიცავს - შემოსავლებზე და მოგებაზე გადასახადების განაკვეთის მანებრირებას; საგადასახადო შეღავათების შემოღებას (გაუქმებას); გადასახადების გადახდის წესებისა და

ვადების შეცვლას (მაგალითად, გადასახადების ციკლური ამაღლების ფაზაში წინასწარი გადახდის დადგენა, რომ მოთხოვნა იქნას შეზღუდული, ან, პირიქით, გადაახადების კრიზისის ფაზაში გადახდების ვადების გადავადება, რომ მოთხოვნა იწნას სტიმულირებული).

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურული პოლიტიკისა და სხვათა განხირციელების მიზნით - კერძო ბიზნესისათვის სუბსიდიების, შეღავათიანი სესხების და კერძო კრედიტების მიხედვით გარანტიების მიწოდებისათვის გამოიყენება.

სახელმწიფო რეგულირება ასევე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მესცეობით ხორციელდება, რომელიც მოიცავა შემდეგ ძირითად ელემენტებს: ცენტრალური საემისიო ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის მანევრირება, რაც სასესხო პროცენტის საერთო დონეზე ზემოქმედებს, რადგანაც კერძო ბანკები ადგენენ 1-1,5%-ით უფრო მეტს ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთთან შედარებით; სავალდებულო მინიმალური რეზერვების ნორმის ცვლილება, ანუ აღნიშნულ ბანკებში ფულადი ფონდების პროცენტული თანაფარდობა მიმდინარე და გრძელვადიანი ანაბრების სიდიდისადმი, რომლებიც კომერციულმა ბანკებმა თავიანთი ოპერაციებიდან უნდა გამოქვითონ და ცენტრალურ ბანკში თავიანთ უპროცენტო ანგარიშებზე უნდა „გაყინონ“ (განათავსონ); ოპერაციები „ღია ბაზარზე“, ანუ ცენტრალური ბანკისა და კერძო ბანკების მიერ განხორციელებადი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის აქტები. სახელმწიფო ცენტრალური ბანკის სახით ფულად-საკრედიტო რეგულირების მეშვეობით ზემოქმედებს ფულადი და საკრედიტო მასის მოცულობაზე, სასესხო პროცენტის სიდიდეზე, ხოლო ამით კაპიტალის კვლავწარმოების ტემპებზე და პროპორციებზე

დასკვნები:

❖ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია - არის ქვეყნების ეკონომიკური კავშირის საფუძველზე ერთიანი სამეურნეო კომპლექსის შექმნის პროცესი სხვადასვა ფორმებში, ისეთებში როგორიცაა - თავისუფალი ვაჭრობის ზონები, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური დას სავალუტო კავშირი.

❖ დღეისათვის არსებობს რამდენიმე ინტეგრაციუკი გაერთიანება: ევროპული კავშორო (EC), თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოეთ-ამერიკული ასოციაცია (НАФТА), საერთო ბაზარი სამხრეთის კონუსის ქვეყნების

(MERKOCУР), აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთის სახელმწიფოების ასოციაცია (ФСЕАН), დამოუკიდებელი ქვეყნების კავშირი (СНГ), ტრანს ეროვნული კორპორაციები (ЕНК) და სხვები.

❖ მსოფლიო სავალუტო ბაზარი უცხოურ ვალუტაში გადახდების დიდი მოცულობით და დერივატებთან სავალუტო ოპერაციების მიცულობებით ხასიათდება.

❖ მსოფლიო საკრედიტო ბაზარი უნდა იქნას განხილული როგორც სავალო ფასიანი ქაღალდების მსოფლიო ბაზარი და როგორც საბანკო კრედიტების მსოფლიო ბაზარი.

❖ მსოფლიო ფინანსური კრიზისები წარმოიქმნება ცალკეულ ქვეყნებში ფინანსური კრიზისებით, რომლებიც რეგიონალურებში, შემდეგ კი გლობალურებში გარდაიქმნებიან. მიზეზები მრავალსახოვანებია: არამდგრადი ფინანსური პოლიტიკა, სისტი ფინანსური სისტემა, არაკეთილსასურველი საგარეო პირობები, პოლიტიკური არასტაბილურობა და სხვები.

❖ ფინანსების სახელმწიფო რეგულირება, სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, საგადასახადო სისტემისა და საკრედიტო-ფულადი პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება.

**ლიტერატურა:**


1. Clifford Gomez,; Banking and Finance-Theory, Law and Practice.; PHI Learning Private limited, New Delhi. 2013.
2. https://drive.google.com/file/d/1uR8uC251_KCUMPq9pRAq7_4h6fJJaePI/view დამოწმებულია - 17.12.2021
3. https://drive.google.com/file/d/1lVkeJSojb00ayAXvvMWiooZtglPFlkdb/view გადამოწმებულია - 22.12.2021
4. https://drive.google.com/file/d/14lp4-YP2fKIBN2Df_uk2AjnUWP2wLarA/view გადამოწმებულია - 13.12.2021
5. https://mosiashviliblog.wordpress.com/ უკანასკნეგადამოწმებულია - 23.12.2021
6. www.worldbank.org გადამოწმებულია - 02.12.2021
7. https://dergipark.org.tr/tr/pub/kdeniz/issue/48671/573640 გადამოწმებულია - 17.12.2021
8. https://mosiashviliblog.wordpress.com/category/%e1%83%94%98/ გადამოწმებულია - 09.12.2021.

საერთაშორისო, რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო ჟურნალი

# ეკონომიკა და ფინანსები

ჟურნალი წარმოადგენს აკადემიურ გამომცემლობას, რომელიც ყოველკვარტლურად აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს ისეთ სფეროებში როგორიცაა ეკონომიკა, ფინანსები, სოციალური მეცნიერებები და ბიზნეს-ტექნოლოგიები

მთავარი რედაქტორი - ეკონომიკის დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩახვაშვილი

https://www.facebook.com/davit1chakhvashvili

https://www.linkedin.com/in/davit1chakhvashvili

თბილისი / Tbilisi
2021 / 4